

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნათია გორგაძე

**გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
დაწყებით საფეხურზე**

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2015 წელი

აბსტრაქტი

მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ, თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები გოგონებისა და ბიჭებისათვის განვითარების ერთერთი უმთავრესი დეტერმინატორია, რომელი პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის წინსვლაზე ყველა სასიცოცხლო სფეროში. წარმოდგენილი ნაშრომი შერეული ტიპის კვლევას აერთიანებს და მისი ძირითადი მიზანია გაარკვიოს, რამდენად უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული განათლების პოლიტიკა და განხორციელებული ინტერვენციები გენდერულ თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოს სასკოლო სივრცეში. დაწყებითი საფეხურის განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასა და მის ფსიქო-სოციალურ ფორმირებაზე, კვლევის მართებულ ფოკუსად სწორედ დაწყებითი საფეხური იქნა მიჩნეული. რეპრეზენტატული შერჩევის პრინციპების შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის 400 მასწავლებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაანალიზდა საქართველოში არსებული ზოგადი განათლების პოლიტიკის საკანონდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტაცია. შესწავლილ იქნა მასწავლებლის განათლების მოქმედი პროგრამები საქართველოს ექვს სახელმწიფო უნივერსიტეტში და გაანალიზდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედი პროგრამები. ჩატარდა დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების დეტალური ანალიზი გენდერული მგრძნობელობის ხარისხის დასადგენად და ფოკუსჯგუფების საშუალებით გამოიკითხა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. მიღებული შედეგების სწორად გააზრებისათვის ასევე საჭიროდ მივიჩნიეთ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის შესწავლა. შესაბამისად, განხორციელდა მეორად მონაცემთა კვლევა, რომელიც არსებული სტატისტიკის დეტალურ ანალიზს მოიცავდა. კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გვაძლევს საფუძველს შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. მიუხედავად პოზიტიური ზოგადი საკანონდებლო ბაზისა, საქართველო ვერ უზრუნველყოფს პრაქტიკაში მის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ქალთა თანაბარი უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით.
2. საქართველოს განათლების პოლიტიკის საკანონდებლო და მარეგულირებელი ბაზა მეტწილად ნეიტრალურია გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ და

არასათანადოდ უსვამს ხაზს გენდერულად დაბალანსებული განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელობას სკოლაში.

3. დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები მეტწილად ხელს არ უწყობენ მოსწავლეების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ გააზრებას და მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

4. გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ავლენს სტერეოტიპულ დამოკიდებულებას გენდერულ როლებთან დაკავშირებით და განსხვავებული მოლოდინები აქვს მოსწავლეებისგან მათი სქესის გათვალისწინებით.

5. პროფესიული განვითარების პროგრამები არსებული მასწავლებლებისათვის და განათლების პროგრამები მომავალი პედაგოგებისათვის არ უზრუნველყოფენ მათ სათანადო ცოდნით გენდერული საკითხების შესახებ განათლებაში და, შესაბამისად, არ ამზადებენ გენდერულად მგრძნობიარე სწავლების განსახორციელებლად.

6. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ავლენენ მკვეთრად სეგრეგირებულ დამოკიდებულებებს და აქვთ განსაზღვრული აღქმა საკუთარი თავისა და თანატოლების მიმართ გენდერული როლების მიხედვით.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები განათლების პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც დაფუძნებულია ცვლილებების მიმართ კომპლექსური მიდგომის ხედვას და აერთიანებს ყველა მნიშვნელოვან ფაქტორსა და ასპექტს პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. რეკომენდაციები დაფუძნებულია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც კვლევის ფარგლებში გამოვლინდა.

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი ასევე ეფუძნება 2013 წელს ჩატარებულ ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევას საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, რომელიც „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMU) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში. კვლევა დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

Abstract

Equal education for both boys and girls has been shown consistently to be one of the most important determinants of development, with positive implications for all other measures of progress. The presented work consolidates the mixed type research and its main purpose is to determine how well the existing education policy in the country and the educational interventions contribute to establishment of gender equality principles in Georgian schools. Considering the significance of the primary education for cognitive development and psycho-social formation of students, I-VI grades have been considered as the proper focus of the research. In accordance with the representative selection principles, 400 teachers of primary public school in Georgia have been surveyed within the frames of the research. Legislative and regulatory documentation of general education policy has been analysed. The existing teachers' education programs at the State Universities of Georgia have been studied and programs of teachers' professional development - analysed. Textbooks of primary education have been analysed to determine the quality of gender sensitivity and focus groups conducted with students of primary school in order to learn their gender socialization patterns. For proper analysis of the received results, we deemed it expedient to study the social-economic and political background in the country from gender perspective. Accordingly, the secondary data survey has been carried out including the detailed analysis of the existing statistics. The results received give us basis to make the following conclusions:

1. Despite the positive general legislative base, in practice, Georgia fails to fulfil the undertaken international obligations re protection of women's equal rights and gender equality principles.
2. Education policy legislative and regulatory base is mostly neutral towards the gender equality issues and improperly underlines the significance of gender-balanced education at schools.
3. Existing textbooks mostly don't contribute to appropriate consideration of gender equality issues by students as well as establishment of positive attitude towards it.
4. Big part of the surveyed teachers shows stereotypical attitude re gender roles and have different expectations from students considering their gender.
5. Professional development programs for the existing teachers and education programs for future teachers fail to provide relevant information/knowledge on gender issues and gender sensitive education accordingly.
6. Students at primary school display sharply segregated gender attitudes towards themselves and their classmates according to gender.

The conclusive part of the work provides recommendations on improvement of gender sensitivity of the education policy and ground the vision that complex approach to the changes is necessary. The recommendations incorporate all the important factors and aspects to achieve the positive changes. Recommendations are based only on statistically important factors and findings uncovered during the research.

The dissertation is partly based on the study “Research of Aspects of Intercultural Education Research in Primary Grades of Georgia” carried out by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations in 2013 under the Program “Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC implemented by the East-West Management Institute’s (EWMI) and financed by the USAID.

მადლობა

მინდა ჩემი მადლიერება, პატივისცემა და მადლობა გამოვხატო ირმა ხომერიკის - გენდერის საკითხების ექსპერტის მიმართ, რომელმაც განაპირობა ჩემი განსაკუთრებული ინტერესი ნაშრომში მოცემული საკითხებისადმი და რომლის წვლილი განუზომელია კვლევის ფარგლებში განხორციელებული დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზის საქმეში გენდერული მგრძნობელობის კუთხით. მადლობა ჩემს კოლეგას - შალვა ტაბატაძეს. მასთან ერთად განხორციელებული კვლევის გარეშე ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხზე ფოკუსირება შეუძლებელი იქნებოდა. მადლობა პროფესორ კახა გაბუნიას - ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, კოლეგასა და მეგობარს, იმ მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელიც მან აღმომიჩინა ნაშრომზე მუშაობისას. ის აქტიურად იყო ჩართული ამ ნაშრომისათვის საბოლოო სახის მიცემისა და ჩამოყალიბების პროცესში. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო თანამშრომლებს, თამარ ანთაძეს, ქეთევან ჯაჭვაძეს, ელენე ჯაჯანიძეს და მარიამ ქართველიშვილს, რომლებმაც დიდი შრომა ჩადეს მონაცემთა მოგროვებასა და ბაზების შექმნაში. და ბოლოს, არ შეიძლება ჩემი მადლიერება არ გამოვხატო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მთელი პროცესის მანძილზე ჩართული განათლების მეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელის - ქეთევან ჭკუასელის, პროგრამის მთელი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის მიმართ იმ შრომისათვის, რომელსაც ისინი განათლების პროგრამის წარმატებისათვის აკეთებენ.

სარჩევი

აბსტრაქტი	i
წინათქმა.....	9
თავი 1: კვლევის დიზიანი	12
მიზანი და ამოცანები	12
კვლევის კითხვები.....	13
კვლევის ინსტრუმენტები.....	13
კვლევის ჰიპოთეზა.....	16
კვლევის ლიმიტები	17
კვლევის სამომავლო პოტენციალი	18
მასწავლებლის კითხვარის სტრუქტურა და მეთოდოლოგია.....	18
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.....	19
თავი 2: ლიტერატურის მიმოხილვა	19
გენდერული თეორიები	19
გენდერი განათლებაში: არსებული მონაცემები და საერთაშორისო გამოცდილება	27
დასკვნა.....	39
თავი 3: სქესობრივი თანასწორობა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი და ზოგადი სტატისტიკა.....	40
ზოგადი ნაწილი	40
პოლიტიკური კონტექსტი	42
სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი.....	46
ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება	58
ქალთა მიმართ ძალადობა	70
დასკვნა.....	71
თავი 4: განათლების კონტექსტი, განათლება და სქესთაშორისი გადანაწილება	72
შესავალი.....	72
მოსწავლეთა და სტუდენტების გადანაწილება საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სქესის მიხედვით - ზოგადი განათლების საფეხური.....	73
პროფესიული განათლების საფეხური და სქესთაშორისი გადანაწილება.....	80
უმაღლესი განათლების საფეხური და სტუდენტთა გადანაწილება სქესის მიხედვით	81
მოსწავლეთა და სტუდენტთა გადანაწილება დარგებისა და სფეროების მიხედვით.....	86
პედაგოგთა გადანაწილება საგანმანათლებლო ინსტიტუტების სხვადასხვა საფეხურზე.....	95
დასკვნა.....	99
თავი 5: განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების მიმოხილვა გენდერულ ჭრილში.	101
თავში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული მთავარი მიგნებები	101
კანონებისა და ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური ანალიზი.....	101
ეროვნული სასწავლო გეგმა	104
მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი	113
მასწავლებლის ეთიკის კოდექსი.....	114
სახელმძღვანელოების გრიფირების წესი.....	115
თავი 6: მასწავლებლების პროფესიული განვითარების და განათლების პროგრამების ანალიზი	118
ძირითადი მიგნებები და დასკვნები	118

მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ანალიზის პარამეტრები	118
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები	119
მასწავლების განათლების პროგრამები უნივერსიტეტებში.....	123
დასკვნა.....	127
თავი 7: დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზი გენდერული მგრძნობელობის პერსპექტივიდან.....	127
თავში მოცემული ძირითადი მიგნებები	127
სახელმძღვანელოების ანალიზისათვის გამოყენებული მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა	128
სახელმძღვანელოების ზოგადი ანალიზი	129
საგნობრივი ჯგუფი ქართული ენა და ლიტერატურა	131
საგნობრივი ჯგუფი „საზოგადოებრივი მეცნიერებები (ჩვენი სამშობლო)“	147
საგნობრივი ჯგუფი, ქართული როგორც მეორე ენა	155
ესთეტიკური მიმართულების საგნობრივი ჯგუფი.....	158
მათემატიკის საგნობრივი ჯგუფი.....	171
დასკვნა.....	177
თავი 8: მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა	178
მთავარი მიგნებები	178
მოსწავლეთა ფოკუსჯგუფების შედეგები.....	178
თავი 9: მასწავლებელთა სქესთაშორისი დამოკიდებულების და საკუთარი პრაქტიკის ანალიზი გამოკითხვის შედეგების მიხედვით.....	182
ძირითადი მიგნებები	182
გამოკითხვის დეტალური ანალიზი	182
თავი 10: მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგები	191
ძირითადი მიგნებები	191
პირისპირი ინტერვიუების შედეგების აღწერა	191
თავი 11: რეკომენდაციები განათლების პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის უზრუნველსაყოფად.....	197
ზოგადი რეკომენდაციები	197
რეკომენდაციები ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხებზე	199
მასწავლებელთა მომზადება და პროფესიული განვითარება.....	201
რეკომენდაციები სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებით	203
მოქმედი და მომავალი მასწავლებლების მომზადება გენდერულად მგრძნობიარე სწავლებისათვის	205
გენდერულად დაბალასებული სასკოლო გარემოს შექმნა	206
გამოყენებული ლიტერატურა	208
ნაშრომში გამოყოფილი ცხრილები და დიაგრამები	210
ცხრილები.....	210
დიაგრამები	211
დანართები	213
დანართი 1	213
დანართი 2	1
დანართი 3:	215

წინათქმა

განათლება საკვანძო როლს თამაშობს სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობას გულისხმობს. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია იმ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც საქართველოში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე მოქმედებს და განაპირობებს მათი დამოკიდებულებების, მოლოდინებისა და პოტენციალის ფორმირებას არა მხოლოდ კონკრეტული საფეხურის გადმოსახედიდან, არამედ სწავლისა და განვითარების მომდევნო ეტაპებზეც. განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობისას, ერთი მხრივ, აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი და შეფასება, ხოლო, მეორე მხრივ კი, ქვეყანაში არსებულ კულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირება. უდავოა, რომ იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებს თითოეული სქესის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ქცევას, სოციალურ ნორმას და აღქმულ ღირებულებებს, ერთი მხრივ, განათლების სისტემაში, სწორედ ქვეყნის საერთო კონტექსტით არის ნაკარნახევი, ხოლო, მეორე მხრივ კი - სწორედ განათლების სისტემაში შესაძლებელი უთანასწორობა იწვევს გენდერული როლების სოციალურ გადანაწილებას. გენდერული როლების გადანაწილება არ უკავშირდება ქალთა და მამაკაცთა თანაბარ რაოდენობრივ გადანაწილებას ინსტიტუციისა თუ სფეროს დონეზე. ჯასკუ ტრუ (Jacqui True, 2010) მიიჩნევს, რომ გენდერის მეინსტრიმი არ გულისხმობს ქალების რაოდენობის მომატებას სხვადასხვა სპეციფიკურ ინსტიტუტში. ჭეშმარიტი მეინსტრიმი გულისხმობს საზოგადოების ცნობიერების ცვლას ისე, რომ პოლიტიკის ეფექტი ორივე სქესისათვის კარგად იყოს გაანალიზებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მისი რეალური განხორციელება დაიწყება.

ნაშრომი მოიცავს იმ ასპექტების ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა პერსპექტივით, განსხვავებული ხარისხითა და ინტენსივობით მოქმედებს სკოლის, როგორც სოციალური აგენტის, როლის ჩამოყალიბებასა და მის პოტენციალზე, შეძლოს გენდერულად დაბალანსებული და სენსიტიური ოპერირება. შესაბამისად, ის საგანმანათლებლო ფაქტორები, რომლებიც კვლევაშია განხილული და რომელიც მოიცავს მასწავლებლის დამოკიდებულებებისა და მზაობის შესწავლას, სახელმძღვანელოების, როგორც არა მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნის, არამედ ღირებულებების, მოლოდინებისა და დამოკიდებულებების განმტკიცების მძლავრ ინსტუმენტს, მოსწავლეების გენდერული როლების აღქმის ანალიზს, და ბოლოს, სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ამ ასპექტის ურთიერთქმედებასა და ეფექტურობას, წარმოადგენს იმ მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთქმედებებს, რომლებიც სახელმწიფოს სოციალური, პოლიტიკური, კულტურული გარემოსა და სასკოლო განათლებას შორის არსებობს.

კოგნიტური განვითარების, სოციალური სწავლების, ფსიქო-ანალიტიკური, გენდერული სქემის თეორია და ბოლოს - სოციალურ-კოგნიტური თეორია გენდერულ საკითხებს გენდერული როლების იდეტიფიკაციის კუთხით უდგება. სწორედ გენდერული როლების ჩამოყალიბების პროცესი მოიცავს არაერთგვაროვანი კომპეტენციების, ინტერესებისა და ღირებულებების სწავლებას. სოციალურ-კოგნიტური თეორია განმარტავს იმ დეტერმინატებსა და მექანიზმებს, რომლებიც გენდერთან დაკავშირებულ როლებსა და ქცევას განაპირობებს. თეორიის მიხედვით, გენდერული ხედვის, იდენტობისა და ქცევის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება და სამი ძირითადი საშუალებით ხდება. პირველი საშუალებაა - მოდელირება. გენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ბავშვის უშუალო გარემოსთან - მშობლებთან და თანატოლებთან, მისთვის მნიშვნელოვან ინდივიდებთან (როგორიცაა მასწავლებელი დაწყებითი კლასის ბავშვისათვის), სოციალურ და საგანმანათლებლო ურთიერთკავშირის შედეგად მიიღება. მეორე საშუალებაა - პასიური გამოცდილება. ის დამოკიდებულია გენდერთან

დამოკიდებული ქცევის და შედეგების შეცნობაზე, რომლებიც სხვადასხვა ინდივიდის ქცევისგან გამომდინარეობს. გენდერულ როლებთან დაკავშირებული ქცევა კი უმეტეს საზოგადოებებში სოციალურად დაზუსტებულია. შესაბამისად, სოციალური რეაქციები ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროებია მოზარდის გენდერული კონცეფციების კონსტრუირებისათვის. მესამე საშუალება პირდაპირი სწავლების შედეგად მიღებული გავლენაა. ის ეტაპობრივად აძლევს ბავშვს ინფორმაციას ქცევის განსხვავებულ სტილსა და მის ურთიერთკავშირზე გენდერთან. მეტიც, ის ხშირად დაისწავლება კონკრეტული მოდელების ქცევისა და ქცევითი შედეგის გამოცდილების სინთეზირების შედეგად (Kay Bussey Albert Bandura (1999). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ნაშრომი სასკოლო განათლების ადრეულ ეტაპზე ამახვილებს ყურადღებას და დაწყებითი კლასების მაგალითზე აფუძნებს ანალიზს.

თავი 1: კვლევის დიზიანი

მიზანი და ამოცანები

ნაშრომი ეფუძნება კვლევას, რომელიც მოიცავს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. ნაშრომის დიდი ნაწილი დაფუძნებულია სამაგიდე კვლევას.

კვლევის მიზანია დაადგინოს, რამდენად უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული განათლების პოლიტიკა და განხორციელებული ინტერვენციები გენდერულ თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოს სასკოლო სივრცეში.

მიზნიდან გამომდინარე, კვლევაში ოთხი ძირითადი ამოცანაა გამოყოფილი:

1. საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებსა და განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლა-სწავლების რესურსებში გენდერული მგრძნობელობის დადგენა და ამ კუთხით არსებული ხარვეზების წარმოჩენა;
2. მასწავლებლეთა წინასწარი მოლოდინების შესწავლა და დამოკიდებულების დადგენა სქესთაშორის განსხვებებსა და გენდერულ როლებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვითქვანოთ დასკვნები მათ მზაობასთან დაკავშირებით გენდერულად თანასწორი სწავლების უზრუნველსაყოფად;
3. მოსწავლეთა აღქმისა და მოლოდინების დადგენა გენდერულ როლებთან დაკავშირებით.
4. ქვეყანაში არსებული კონტექსტის შესწავლა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით და დადგენა, რამდენად უწყობს ის ხელს გენდერულად მგრძნობელი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.

კვლევის კითხვები

კვლევის ამოცანების შესაბამისად, პასუხი უნდა გასცემოდა შემდეგ კითხვებს:

- ა. არის თუ არა განათლების სისტემა მგრძნობიარე გედერული თანასწოროების საკითხების მიმართ და რამდენად არის თანასწორობის პრინციპები ასახული ზოგადი განათლების პოლიტიკის საკანონდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და სასწავლო რესურსებში;
- ბ. რამდენად არის უზრუნველყოფილი სასკოლო განათლების დაწყებით საფეხურზე გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი და დაბალანსებული განათლება მოსწავლეებისათვის?
- გ. რამდენადაა ორიენტირებული მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები მომავალ და არსებულ მასწავლებელთა იმგვარი ცოდნითა და უნარებით აღჭურვისაზე, რომელიც მათ საშუალებას მისცემს სტერეოტიპებისგან თავისუფალი და გენდერულად სენსიტიური სწავლება განახორციელონ კლასში?
- დ. რამდენად აქვთ გაცნობიერებული მოქმედ მასწავლებლებს გენდერის მნიშვნელობა განათლებაში, როგორია მათ მიერ გენდერული საკითხის აღქმა და რა დამოკიდებულება გააჩნიათ დაბალანსებულ, თანასწორ და გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალ სწავლებასთან დაკავშირებით?
- დ. როგორია მოსწავლეთა გენდერული აღქმები და დამოკიდებულებები განათლების დაწყებით საფეხურზე?

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: სამაგიდე კვლევა, გამოკითხვა კითხვარის საშუალებით, ფოკუსჯგუფები, პირისპირი ჩადრმავებული ინტერვიუ და მეორად მონაცემთა ანალიზი.

უფრო კონკრეტულად კვლევის ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელდა:

1. საქართველოს განათლების პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებსა და აქტებს. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა: კანონი საშუალო განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილი და ქართულის, როგორც მშობლიური ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური მიმართულებისა და სპორტის პროგრამული ნაწილები, ასევე სახელმძღვანელოების გრიფირების წესისა და პროცედურების განმსაზღვრელი საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები. გაანალიზდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. სამაგიდე კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა მასწავლებლების განათლების პროგრამების შესწავლა საქართველოს ექვს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში და განხორციელდა მოქმედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ანალიზი.
2. კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა სახელმძღვანელოების ანალიზი, რომელიც გულისხმობდა დაწყებითი საფეხურის მოქმედი 69 გრიფირებული სახელმძღვანელოდან შერჩეული 17 სახელმძღვანელოს შესწავლას. სახელმძღვანელოები შეირჩა სტრატეგიცირებული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სადაც სტრატეგიკაცია მოხდა სამი პარამეტრის გათვალისწინებით შერჩევის რეპრეზენტაციულობისათვის: (ა) დაწყებით საფეხურზე არსებული ყველა საგანი; (ბ) ყველა კლასი (I-VI კლასი); (გ) ყველა გამომცემლობა, რომელთა პროდუქტიც გრიფირებულია და გამოიყენება დაწყებით საფეხურზე. სახელმძღვანელოების ანალიზი განხორციელდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. ანალიზის დეტალური მეთოდოლოგია აღწერილია „დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზის“ თავში, აქვეა მოცემული გაანალიზებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. *გაანალიზებულ სახელმძღვანელოთა სია მოცემულია დანართი 1-ის სახით.*

3. მასწავლებლების გამოკითხვა განხორციელდა სტანდარტიზებული კითხვარის საშუალებით ინტერვიუერთან პირისპირი გამოკითხვის მეთოდით. პოპულაციის გენერალურ ერთობლივობას წარმოადგებდა საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებლები - 27557 პედაგოგი¹ 2053 საჯარო სკოლიდან, ცდომილების ზღვარი შეადგენს 4,1 %-ს 90%-იანი სანდოობის მაჩვენებლით. სამიზნე სეგმენტიდან შეირჩა 400 პედაგოგი ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდით. სტრატეგიკაციის პარამეტრებად განისაზღვრა რეგიონი და დასახლების ტიპი. თითოეულ სტრატაში კვოტები გადანაწილდა პედაგოგების რაოდენობის პროპორციულად. ამასთან, ძირითად შერჩევასთან ერთად გაკეთდა სარეზერვო სიაც, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა ძირითადი შერჩევიდან ამოვარდნილი პედაგოგების ჩანაცვლება. ძირითად შერჩევაში მოხვედრილი 400 სკოლის პედაგოგის გარდა, ბუფერი 105 პედაგოგი იყო. საველე სამუშაოების შედეგად, კითხვარი შეავსო 400-მა პედაგოგმა, თუმცა 5 პედაგოგის კითხვარი არ ჩაითვალა ვარგისად და არ იქნა გამოყენებული ანალიზისათვის. შესაბამისად, სანდოობის მაჩვენებელი საერთო ჯამში უტოლდება: გამოყენებული კითხვარების რაოდენობა/მთლიანი დისტრიბუცია = $395/400=98.7\%$. *შერჩეული სამიზნე ჯგუფის სია მოცემულია დანართი 2-ის სახით.*
4. ინტერვიუ მასწავლებლებთან: გამოკითხული 400 პედაგოგისგან სტრატეგიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 40 პედაგოგი ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის. სტრატეგიფიცირების პრინციპი ეფუძნებოდა მასწავლებელთა რეგიონებში გადანაწილების პრინციპის მიხედვით მათ რაოდენობრივ განაწილებას. გამოკითხვა ჩატარდა სპეციალურად მომზადებული პროტოკოლის საშუალებით. ინტერვიუების მიზანი იყო მასწავლებლების ცნობიერების დადგენა გენდერულ საკითხებზე, დამოკიდებულებებისა და მგრძნობელობის კვლევა გენდერულ როლებთან

¹ განათლების საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ბაზის საფუძველზე

დაკავშირებით სწავლების პროცესში. ასევე, საკუთარი სწავლებისა და მიდგომების შეფასება გენდერული ბალანსისა და ობიექტურობის კუთხით.

5. ჩატარდა 6 ფოკუსჯგუფი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან. გეოგრაფიული განსხვავებების გათვალისწინებით, მოსწავლეების ფოკუსჯგუფი შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში ჩატარდა: (1) ბოლნისი; (2) თელავი; (3) ახალქალაქი; (4) ახალციხე; (5) ბათუმი; (6) ხულო. შესაბამისად, ფოკუსჯგუფებმა მთლიანად დაფარა ურბანული, სასოფლო და მაღალმთიანი ტერიტორიული განსხვავებები, ასევე, განსხვავებული ეთნიკური ნიშანი. ფოკუსჯგუფები წარმომართა არაფორმალური, ღია ინტერვიუს სახით. ფოკუსჯგუფების საშუალებით უნდა გამოვლენილიყო საინტერესო შემთხვევები სქესთაშორისი დამოკიდებულებებისა და გენდერული როლების მიხედვით სეგრეგირებული ქცევების თვალსაზრისით და, ასევე, გარკვეულიყო მოსწავლეთა სასკოლო დამოკიდებულებები, მოლოდინები და აღქმები გენდერულ სქესობრივ განსხვავებებსა და გენდერულ როლებთან დაკავშირებით.
6. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული სტატისტიკა პოლიტიკური და სოციალური ჭრილიდან. სოციალურ სფეროში აქცენტები გაკეთდა დემოგრაფიის, დასაქმებისა და შემოსავლის და განათლების სტატისტიკურ მონაცემებზე.

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევის ჰიპოთეზაა, რომ ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანობაში არ არის გენდერულად დისკრმინაციული, თუმცა, ამავდროულად, არ არის სათანადოდ მგრძნობიარე და არ აკეთებს ფოკუსირებას ორივე სქესის მოსწავლეების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისკენ მიმართული პოლიტიკის დანერგვასა და გატარებაზე. ამგვარი პოლიტიკა კი ნეგატიურად აისახება იმ პირდაპირ და უმნიშვნელოვანეს რესურსზე, როგორცაა სასწავლო

სახელმძღვანელო და სოციალურ აგენტებზე - მასწავლებლებზე, მათ მზაობაზე გენდერულად თანასწორი და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი სწავლებისათვის. ვუშვებთ ჰიპოთეზას, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციულია, რაც გამოწვეულია გენდერული საკითხების შესახებ დაბალი ცნობიერებით, არასათანადო მომზადებითა და შეუსაბამო უნარებით. შესაბამისად, გენდერულად მგრძობიარე სწავლების მიდგომების შესახებ ცოდნა არ არის დამაკმაყოფილებელი. ჰიპოთეზის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს არ უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული მკაფიო სქესობრივი კუთვნილება აღქმული გენდერული როლების შესაბამისად და პოზიტიურად უნდა იყვნენ განწყობილნი თანასწორობის პრინციპების მიმართ.

კვლევის ლიმიტები

1. კვლევა მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა საშუალებას განვაგრძოთ მიგნებები საშუალო განათლებაზე. შესაბამისად, კვლევის საშუალებით ვერ დგინდება, რამდენად ხდება დაწყებით საფეხურზე გამოვლენილი ტენდენციების კვლავწარმოება ან გაღრმავება სასკოლო სწავლების შემდგომ ეტაპებზე.
2. კვლევა არ იძლევა საშუალებას, გამოვიტანოთ დასკვნები მასწავლებლების მიერ პრაქტიკაში გამოყენებული მიდგომების შესახებ გენდერული კუთხით და შეგვიძლია მხოლოდ მათი აღქმის, მოლოდინებისა და დამოკიდებულებების შესახებ ვისაუბროთ გენდერული თანასწორობისა და საკუთარი სწავლის მიდგომების შესახებ. მეორე მხრივ, კვლევა ხაზს უსვამს იმ აუცილებლობას, რომელიც სამომავლოდ მასწავლებელთა პრაქტიკულ მუშაობაზე დაკვირვებას და სწავლა-სწავლების შედეგების გაანალიზებას გულისხმობს გენდერულ ჭრილში, რაც შესაძლებელს გახდის, ვიმსჯელოთ, თუ რამდენად მკაფიოდ ხდება მასწავლებელთა დამოკიდებულებების ასახვა მათ პროფესიულ პრაქტიკასა და მოსწავლეებთან დამოკიდებულებებზე.

კვლევის სამომავლო პოტენციალი

კვლევაში გამოყენებული მდიდარი მასალისა და საკვლევი საკითხების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევა საშუალებას იძლევა, მის საფუძველზე სხვადასხვა მიმართულებით სამომავლო კვლევები დაიგეგმოს. მათ შორის, აქტუალურად მივიჩნევთ სკოლის საბაზისო და საშუალო საფეხურებზე არსებული სიტუაციის კვლევა და საკითხების სიღმისეული გაანალიზება. მასწავლებლების დამოკიდებულების ცვლის კვლევა მათი ცნობიერების ამაღლების კვალდაკვალ. ასევე, მასწავლებელთა დამოკიდებულებისა და პრაქტიკულ მუშაობაში დანერგილ მიდგომებს შორის ურთიერთკავშირების გაანალიზება.

მასწავლებლის კითხვარის სტრუქტურა და მეთოდოლოგია

მასწავლებლის კითხვარი მოიცავს კითხვებს, რომლებიც ეფუძნება ბენეტის ინტერკულტურული განათლების კონცეპტუალურ ჩარჩოსა (Bennet, 1995a) და კუშნერის, მაკლილანდისა და საფორდის (Cushner, McClelland and Safford, 2006) მიერ დადგენილი კულტურული იდენტობის იმ თორმეტ წყაროს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლა-სწავლების პროცესზე. კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში დეტალურად არის გაანალიზებული 12-დან ერთი წყარო, რომელიც სქესის მიხედვით ადამიანის მიერ კულტურულ თვითიდენტიფიკაციას გულისხმობს. კითხვარი ადაპტირებულია და აერთიანებს დახურული ტიპის რვა დებულებას 5 სავარაუდო პასუხით, რომლებიც შემდეგ ვარიანტებს მოიცავს: 1. სრულიად ვეთანხმები. 2. ვეთანხმები. 3. ნაწილობრივ ვეთანხმები. 4. არ ვეთანხმები. 5. აბსოლუტურად არ ვეთანხმები. ამასთან, კითხვარი მოიცავს დემოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებულ კითხვებსაც, კერძოდ ადგენს მასწავლებლის საცხოვრებელ/სამუშაო რეგიონს, რაიონს, ასაკს, გეოგრაფიულ დასახლებას (ქალაქი, სოფელი, დაბა), განათლების დონეს, სწავლების ენას, სწავლების საგანს და ასაკს. მეორე ნაწილში გაერთიანებულია ზემოთ აღნიშნული 8 დებულება. *კითხვარი მოცემულია დანართი 3-ის სახით.*

მოცემული დებულებებიდან 3 დაკავშირებული იყო მასწავლებლის პროფესიულ პრაქტიკასთან, ხოლო 4 კი ზოგად დამოკიდებულებას არკვევდა სქესთაშორისი ურთიერთობისა და თანასწორობის პერსპექტივიდან.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

კვლევის მიზნიდან და საპილოტე კითხვარებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდა, რომ გარდა აღწერითი ანალიზისა, რომელიც მოიცავდა ქულათა სიხშირეს, ნორმალური გადანაწილების ინტენსივობას, სტანდარტულ გადახრასა და მოდას, ასევე საჭიროა t-ტესტისა და პარამეტრული სტატისტიკური ანალიზის (General lineal model) მეთოდების გამოყენება, რაც სხვადასხვა პარამეტრის შედარების ჭრილში მონაცემთა დანახვის საშუალებას მოგვცემდა. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა Windows SPSS 19 ვერსიული პროგრამის საშუალებით. თვისებრივი მონაცემების ტრანსფორმირება მოხდა ტრანსკრიპტების საშუალებით, რომელთა საფუძვლიანი გაანალიზებისათვის სპეციალური აპლიკაცია „ატლასი“ იქნა გამოყენებული.

თავი 2: ლიტერატურის მიმოხილვა

გენდერული თეორიები

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ–ცნობარის განმარტების მიხედვით, „სოციალიზაცია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების შეთვისების პროცესია“... და აღნიშნავს ინდივიდის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების ათვისების პროცესს, რომლის

დროსაც ინდივიდი შეიმუშავებს საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს².”

საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვის შემთხვევაში, ესაა სტერეოტიპული აზროვნების სხვადასხვა ელემენტის ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა განვითარების პოტენციალს და არა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ მისი საზოგადოების მიერ აღქმული გენდერული როლების მიხედვით. ამგვარი სტერეოტიპული აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პროფესიების არჩევისას არსებული სეგრეგაცია და სოციალური პოზიციონირების მოლოდინი, რომელიც სქესობრივი ნიშნით არის დაყოფილი. სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი იმ კონტექსტის გაანალიზება, რომელშიც მამაკაცებსა და ქალებს, მათი სქესობრივი განსხვავების მიხედვით, განსხვავებული გენდერული როლები ენიჭებათ პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში და რომელიც უდავოდ ურთიერთკავშირშია განათლებასთან. გავლენიანი ფემინისტური ორგანიზაცია, კანადელ ქალთა სტატუსი განმარტავს, რომ გენდერული თანასწორობა თანაბარი პირობების, მოპყრობისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაა მამაკაცისა და ქალისათვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის, ადამიანის უფლებებისა და ღირსებების სრულად რეალიზება. გენდერული თანასწორობა ასევე გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის კონტრიბუციისა და სარგებლის მიღებას (Status of Women Canada, 2007). იუნესკოს განმარტებით, რომ გენდერი სოციალური და კონსტრუქციული განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის როლებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომელიც დასწავლილია, განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და ცვალებადია (UNESCO 2009).

² სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი—ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [გ.ა.]

გავლენიან წიგნში, „მეორე სქესი“, ბევუარი (Beauvoir, 1949) საუბრობს ქალის ფენომენის მამაკაცის მიერ განსაზღვრაზე. მისი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალები შეეცდებიან შეცვალონ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება, ისინი რისკის ქვეშ დადგებიან, იზოლაციაში აღმოჩნდნენ. ბევუარი ასკვნის, რომ „განსხვავებულობა ადამიანის აზროვნების ფუნდამენტური კატეგორიაა. “ქალები განისაზღვრებიან და განსხვავდებიან მამაკაცთან შედარების საფუძველზე, ამასთან, ქალი სხვათაშორისი კატეგორიაა და წარმოადგენს არააუცილებელს აუცილებელის საპირისპიროდ. მამაკაცი სუბიექტია, სისრულე და აბსოლუტიზმი. ქალი კი უბრალოდ „სხვა“.

განსხვავებით, ჩოდოროუ (Chodorow, 1978) ეყრდნობა ფსიქოანალიზს, რომლის მიხედვითაც პირველი და უმთავრესი ფემინინობისა და მასკულინობის თეორია გენდერული უთანასწორობა და ჰეტეროსექსუალობის განვითარების თეორიაა.

ბატლერისმიერი გენდერის კონცეპტუალიზაციის მიხედვით, (Batler, 2004) ინდივიდი იდენტურობისა და შინაარსის ნაზავია და ის არასდროს არაა ექსკლუზიურად „მამაკაცი“ ან „ქალი“. გენდერი კონტექსტის ცვლილებაზე დამოკიდებული მდგომარეობაა. შესაბამისად, გენდერი არ წარმოადგენს რაიმე დამკვიდრებულ და უცილობელ ატრიბუტიკას, არამედ იმ ქმედებათა ერთობლიობით გამოწვეული მდგომარეობაა, რომლებიც „განმეორებითია და რიტუალური“. ამგვარი განსაზღვრებით ბატლერი ცდილობს ახსნას ის „პრაქტიკები, რომელშიც გენდერი არსებობს.“ ამასთან, ბატლერი არ უარყოფს განსაზღვრული ტიპის ბიოლოგიურ განსხვავებებს, არამედ ცდილობს შეისწავლოს ის დისკურსიული და ინსტიტუციური მდგომარეობები, რომელშიც შედარებითი ბიოლოგიური განსხვავებები სქესის უტყვ მახასიათებლად გარდაიქმნება. მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ სქესი ინდივიდუალური საქმიანობისა და ინსტიტუციური გავლენის კომპლექსური ნაზავია, რომელიც განპირობებულია სოციალური კოდექსის სიმძლავრით და გავლენით. ის არსებობს იმისათვის, რომ მოახდინოს იდეების ფორმირება ნორმატიულობისა და ნორმიდან გადახრის შესახებ. სქესი ახდენს

„ბუნებრივის“, „ბიოლოგიურის“ და „ღვთის მიერ ნაბოძების“ მიხედვით ინდივიდთა კატეგორიზაციას. ბატლერი წარმოგვიდგენს „ნორმალური მამაკაცის“ და „ნორმალური ქალის“ მატრიქს, რომელიც ჰეტეროსექსუალობასთან არის დაკავშირებული და აჩვენებს იმ აუცილებელ კავშირებს, რომელიც ბიოლოგიურ სქესს, გენდერულ იდენტიფიკაციასა და ჰეტეროსექსუალობას შორის არსებობს. ის თვლის, რომ ამგვარი კავშირები არ არის ნაკარნახევი ბუნებით. ამგვარი კავშირი ილუზიაა, რომელიც კულტურული სისტემებისათვის მნიშვნელობის მინიჭების საფუძველზეა წარმოქმნილი და შედგება ადამიანების, საზოგადოების მიერ მტერიალურისა და ანატომიურის აღქმისაგან. მეცნიერი თვლის, რომ გენდერული ქცევის მოშლა ხაზს უსვამს, რომ მას არაფერი აქვს საერთო სქესთან და სქესობრივ პრაქტიკასთან. „გენდერს შეიძლება ბუნდოვანი, მრავალაზროვანი გამოხატულება და მნიშვნელობა გააჩნდეს იმგვარად, რომ არ შეცვალოს სქესი და არ მოახდინოს ნორმატიული სქესობრივობის რეორიენტაცია.“

ინსტიტუციური ეთნოგრაფია შეისწავლის სოციალურ კავშირებს ინდივიდებს შორის, რომელიც წარმოიშვება აქტუარ გამოცდილებებში და ამ გამოცდილებების საშუალებით. ინსტიტუციური პროცესების კოორდინაცია იდეოლოგიასთან უნდა თანხმდებოდეს. იდეოლოგიის კატეგორიები და კონცეფციები კი ინსტიტუციების წევრთა აქტუალურ გამოცდილებებს შორის კავშირს გამოხატავს. გამოცდილებები მათ საქმიანობას უკავშირდება ინსტიტუციის ფუნქციონირებისათვის. ინსტიტუციების წევრები თავისთავად წარმოშობენ დაკვირვებისა და ანგარიშებისათვის საჭირო პირობებს მიმდინარე პროცესების შესახებ და განსაზღვრავენ საკუთარ მიმდებარე, ყოველი წევრის პოზიციას და ცნობადობას ამ პროცესებში. წევრები კატეგორიებსა და კონცეპტებს სიტუაციის ანალიზისათვის იყენებენ, რომელიც თავისთავად ხდება დაკვირვებისათვის ხელსაყრელი. ინსტიტუტი და ინსტიტუცია გამოყენებულია იმის ხაზგასასმელად, რომ ის განსაზღვრავს კომპლექსურ უერთიერდამოდებულებებს, როგორც მართვის ინსტრუმენტს, რომელიც ორგანიზებულია განსხვავებული ფუნქციების -

განათლების, ჯანდაცვის, კანონის მიხედვით. განსხვავებით ისეთი კონცეფტისგან, როგორიცაა ბიუროკრატია, „ინსტიტუცია“ არ განსაზღვრავს ორგანიზაციის სოციალური მოქმედების წესს. ის აყალიბებს გადაკვეთისა და კოორდინაციის წერტილებს ერთზე უფრო მეტი მართვის ინსტრუმენტის საშუალებით და კავშირის ფორმით.

ამასთან, პროფესიული გადამზადება ადამიანებს ასწავლის, თუ როგორ უნდა გადაამუშავონ საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტები იმგვარი ფორმით, რომელიც აღქმადი იქნება სწორედ არსებულ ინსტიტუციურ დისკურსში. მაგალითად, მასწავლებლების გადამზადების შემთხვევაში, ისინი სწავლობენ ანალიტიკური პროცედურების ანბანს იმისათვის, რომ საკუთარი საკლასო ოთახი ინსტიტუციურ მოქმედების წესებს დაუქვემდებარონ. ისინი სწავლობენ, როგორ უნდა განსაზღვრონ მოსწავლეების ქცევა „სწორ“ და „არასწორად“, და ამავდროულად გაანალიზონ საკუთარი (და სხვისი) პასუხი ამ ქცევებზე. „არასწორი“ ქცევის საპასუხოდ, მათ შეასწავლიან მოსწავლის ეგოს „ძირის გამოთხრას“ ან იმას, თუ როგორ აარიდონ თავი იმგვარ პრაქტიკას, როგორიც შეიძლება მათი მხრიდან იყოს მაგალითად, სარკაზმი. მათ შეასწავლიან, რომ ისინი უნდა იყვნენ „მზრუნველნი“. შესაბამისად, იდეოლოგიური კორპუსი უზრუნველყოფს პროცედურების ერთობლიობას, რომელიც მოახდენს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესების კატეგორიზებას პროფესიული საგანმანათლებლო დისკურსის ფარგლებში; მოაქცევს საკლასო პროცესებს დაკვირებისა და ანგარიშგებისათვის შესაბამის ფორმებში, რომელიც ინსტიტუციურ წესებს ემორჩილება. ამ სახით, ინდივიდის სამუშაო და პრაქტიკული შეფასება და ძალისხმევისგან მიღებული ლოკალური მიღწეული წესრიგი ხდება არალოკალური ურთიერთკვეთის გამოხატულება.

გენდერული ფაქტორების გენდერული ქცევაზე გავლენას ოთხი ფსიქოლოგიური განმარტება გააჩნია, რომელიც გენდერული ქცევის ოთხ მოდელთანაა დაკავშირებული: ესაა ფროიდისეული იდენტიფიკაციის პროცესის თეორია.

სოციალური დასწავლის კოგნიტური თეორია, გენდერული სქემის თეორია და კოლბერგის კოგნიტური განვითარების თეორია.

ის პროცესი, როდესაც ბავშვი იძენს ღირებულებებს, მოტივაციას და უყალიბდება ქცევა, განიხილება მამრისა და მდედრისათვის შესაბამისად კულტურის ფარგლებში, რომელსაც გენდერული ტიპოლოგია ეწოდება. ბავშვს უნვითარდება გენდერზე დაფუძნებული რწმენები, რომელიც მეტწილად გენდერული სტერეოტიპებით საზრდოობს, ხოლო ეს უკანასკნელი კი გავლენას ახდენს გენდერული როლების ჩამოყალიბებაზე. ბავშვი ითვისებს გენდერულ იდენტობას ცხოვრების ადრეულ ეტაპზე და ასევე უნვითარდება გენდერული როლის შესაბამისი პრეფერენციები.

გენდერულ იდენტობის კონსტრუირებასთან დაკავშირებით რამდენიმე თეორია არსებობს.

ბიოლოგიური თეორია ხაზს უსვამს ჰორმონებისა და გენეტიკის გავლენას გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

ფსიქოდინამიური თეორია კი, გამოყოფს შინაგან ფსიქიკურ კონფლიქტს გარე ზეწოლის ფაქტორების მაგივრად. ამისი მაგალითებია ფროიდის ოედიპოსის კონფლიქტი და პენისის შური.

კოგნიტური განვითარების თეორია სწავლობს მენტალური განვითარების ეტაპებს. კოლბერგის თეორიის მიხედვით „ბავშვები საკუთარი კოგნიტური პროცესების კვალდაკვალ უცილობლად ირჩევენ გენდერს, როგორც სოციალური წესების ორგანიზების წესს, რომელიც მათი და მათი თანატოლების ქცევას განაპირობებს“. (Bem, The lenses of gender, გვ. 112)

სოციალიზაცია ანუ სოციალური დასწავლის თეორია: გამოყოფს იმ გავლენას, რომელიც „დასწავლის გარემოს“ მიერ არის გამოწვეული, განსაკუთრებით მოზარდებში. ამგვარი გარემოსათვის დამახარიათებელია იმ მოდელებისა და

მაგალითების იმიტაცია, რომელსაც ისინი საზოგადოებაში ხვდებიან ან გენდერულად მართებული ქცევის მოწონება და გენდერულად არასწორი ქცევის დაწუნება, კრიტიკა/დასჯა.

გენდერული სქემის თეორია კოგნიტური განვითარებისა და სოციალური დასწავლის თეორიის ნაზავს წარმოადგენს, სადაც სქემა წარმოიქმნეილია (სოციალიზაციის მიერ ფორმირებული) შიდა კოგნიტური ქსელების სახით. ეს ქსელები ახდენენ ინდივიდუალური აღქმების ორგანიზებას და წარმართვას. გენდერული სქემა კოგნიტური ქსელია, რომელიც ასოცირდება მასკულინურ და ფემინინურ საწყისებთან. მაღალი გენდერული სქემის ფარგლებში ინდივიდები ახდენენ საკუთარი მოსაზრებების, აღქმებისა და შეფასებების ორგანიზებას გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და სიმბოლოების მიხედვით.

სოციალურ-სტრუქტურული, იგივე სიტუაციური თეორიები ხაზს უსვამს ბავშვებზე და ზრდასრულებზე სტრუქტურული ძალდატანების მნიშვნელობას, რომელის მიხედვითაც ქალი და მამაკაცი განსხვავებულ და უნიკალურ პოზიციებზე არიან სოციალურ სტრუქტურებში. ის ასევე განიხილავს შეგნებული და არაშეგნებული დისკრიმინაციის ფენომენს და ამტკიცებს, რომ ადამიანები ხშირად არ აცნობიერებენ, რომ ეწევიან დისკრიმინაციას ან არიან დისკრიმინირებულები, რადგან საკმაოდ რთულია ამგვარი მდგომარეობის დადგომის განსაზღვრა.

იდენტურობის კონსტრუირების თეორიის მიხედვით ინდივიდი პერსონალურ და გაცნობიერებულ ვალდებულებებსა აკისრებს და ერთგულია საკუთარი თავის კონკრეტული გამოხატულებისა.

ბემის კულტურული ლინზების თეორია ხაზს უსვამს იმ სოციალურ და ისტორიურ კონტექსტს, რომელიც გენდერის ფორმირებაზე მოქმედებს და გამოჰყოფს კულტურულიზაციის პროცესის ორი ძირითად მიმართულებას, რომელიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და რეალურად ერთად მოქმედებს. ესენია:

- ინდივიდის მიერ ვალდებულებებისა და მოლოდინების შეუსრულებლობის ყოველდღიური გამოცდილება, რომელიც წინა-ინსტიტუციური პროგრამირების ფარგლებში მიმდინარეობს ან წარმოადგენს ისტორიულად გათვლილ ჭრილებს, რომელიც კონკრეტულ დროსა და ადგილას მამაკაცსა და ქალს ერთმანეთისგან გამოარჩევს.
- იმპლიციტური გაკვეთილების უერთიერთგაცვას, იგივე ინფორმაციული მეტა-გზავნილებს იმის შესახებ, თუ რომელი კულტურული ლინზა უნდა იქნეს გამოყენებული სოციალური რეალობის ორგანიზებისათვის. ამგვარი უერთიერთგაცვლები და ინფორმაციული გზავნილები მკაფიო ზღვარს ავლებს მამაკაცსა და ქალს, მასკულიზურსა და ფემინინურს შორის და ამგვარი ზღვარი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევა. (Bem, Lines of Gender, გვ. 139)

თანამედროვე გენდერული თეორიები აერთიანებენ მატერიალურ და იდეოლოგიურ ასპექტებს. ფრაიზერი (Fraiser, 1997) მკაფიო საზღვარს ავლებს გენდერული როლების გადანაწილებასა და აღიარებას შორის, თუმცა, ამავედროულად, ხაზს უსვამს ორივეს მნიშვნელობას სოციალური სამართლიანობის მიღწევისათვის. სოციალური თანასწორობა თავისთავში მოიცავს შესაძლებლობათა თანასწორობას და კრიტიკული მატერიალური რესურსების სამართლიან გადანაწილებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ინდივიდთა მიერ განსხვავებების აღიარებასა და პატივისცემას.

და ბოლოს, ვესტერბერგ-სანდგრენის (Westerberg-Sandgren, 2010) მიხედვით, გენდერული პედაგოგიკის მიზანია გენდერული სტერეოტიპების გავლენის კორექცია პიროვნულ/ინდივიდუალური მიდრეკილებების გამოვლინების საშუალებით. სწორედ ამგვარი პედაგოგიკის არსებობაა აქტუალური და გამოკვლეული მოცემულ ნაშრომში.

გენდერი განათლებაში: არსებული მონაცემები და საერთაშორისო გამოცდილება

გენდერული საკითხების ანალიზისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებისა და გამოცდილების გათვალისწინების გარდა, აუცილებელია ქვეყანაში არსებული გარემოს ზედმიწევით ზუსტი ცოდნა და ამ ცოდნაზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანა. სამწუხაროდ, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების პრობლემატიკა საქართველოში უმეტესწილად სოციალური და პოლიტიკური პერსპექტივიდან არის შესწავლილი და გაანალიზებული, ოჯახური ძალადობა და ქალთა პოლიტიკური პასიურობა კი პრობლემურ საკითხებს შორის საკვანძოდ წარმოჩინდება. ამ ფონზე, ნაკლებად არის გაანალიზებული ის ასპექტები, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ამ მდგომარეობას. ნაკლებად ხდება იმ საკითხების გაშუქება, რომლებიც განათლების თანაბარ შესაძლებლობებს უკავშირდება.

ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხის განათლების კუთხით ანალიზი, რადგან „ინდივიდების განათლების მაღალ საფეხურთან ერთად, მცირდება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის ოჯახური ძალადობის, მაღალი ფერტილობის მაგალითები და იზრდება ეკონომიკური სარგებელი“ (მსოფლიო ბანკი 2005). “არსებობს არასაკამათო მტკიცებულებები იმისა, რომ ქალთა წვდომა სამუშაო ადგილებზე, განათლება... პოზიტიურად მოქმედებს სიღარიბისა და ფერტილობის შემცირების, ბავშვთა კეთილდღეობისა და აგროკულტურულ პროდუქტულობაზე (Barrientos, Armando and De Jong 2006; Blumberg, 2005).

სხვადასხვა ხედვის მიხედვით, საგანმანათლებლო მიღწევები კეთილდღეობის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი და აუცილებელი წინაპირობაა პიროვნების შესაძლებლობებისა და პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისათვის (Sen, 1985). განათლება შემოსავლის პროგნოზისათვის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია იმათგან, რომელთაც კაცობრიობა იცნობს ადამიანური კაპიტალის საკითხებზე მუშაობის პირველი დღეებიდან. თანამედროვე კვლევები ამტკიცებენ,

რომ უთანასწორობა განათლებაში შემოსავლის უთანასწორობასთან დადებით კორელაციაშია. ასეთი შედეგი დადასტურებულია როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე უამრავ სხვა ქვეყანაში (Bedard, W.D., G.T. Ferrell, 2003; Blau and Kahn, 2005)

თავის ნაშრომებში ფოკუ (Foucault, 1967) ხაზს უსვამს სკოლის გავლენას ინდივიდთა გენდერული როლების ფორმირებაში, რადგან „სწორედ სკოლა აყალიბებს სექსუალურობასა და ლეგიტიმური ქცევების იმგვარ აღქმას, რომელსაც მოსწავლეები ნორმად აღიარებენ“. სადკერი მიიჩნევს, რომ „სანამ საგანმანათლებლო სექსიზმი მოისპობა, ჩვენი ბავშვების ნახევარი გაცრუებული დარჩება და მათ ნიქს საზოგადოება დაკარგავს“ (Sadker, 1994).

ამ გადმოსახედიდან, საინტერესოა ის ინდიკატორები, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ გენდერული თანასწორობის გასაზომად გამოიყენება განათლებაში:

პოლიტიკის ნიმუშები განათლებაში გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად

OECD-ის შერჩეული ქვეყნების მაგალითზე	შერჩეული განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე
ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც სტერეოტიპების მსხვევცხენა მიმართული განათლებისა და განვითარების პროგრამების არჩევანის გაკეთებისას. მშობლებისა და მასწავლებლების წახალისება გოგონებში თვითრწმენისა და მოტივაციის ასამაღლებლად, რათა მათ გამოავლინონ ინტერესი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ. ისეთი კურიკულუმის ამოქმედება, სასწავლო მასალების და ტრენინგის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი იქნება და გოგონების STEM -ის სწავლებაში ჩართვისათვის მოტივაციას აუმაღლებს. ბალანსის უზრუნველყოფა მასწავლებელთა კოლექტივში და როლ-მოდელად ქალის წარმოჩენა იმ პროფესიებში, რომლებიც დომინანტურად მამაკაცს უკავშირდება. კვლევების განხორციელების წახალისება	გოგონების საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლის ზრდა და ვალიდური საზომი ინდიკატორების გამოყენება შედეგის თვალსაჩინოდ დასანახად, მათ შორის: გადასახადის შემცირების, სასწავლო მასალების, სასკოლო ფორმისა და საკვების ტრანსპორტირების უზრუნველყოფის საშუალებით. გოგონებისათვის სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნვით. (უსაფრთხო ტრანსპორტირება, ადექვეტური საპირფარეოები, მასწავლებელთა მომზადება) გაჭირვებული ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გამოყოფა, რაც ვალდებულს გახდის მათ შვილების განათლებასა და ჯანმრთელობაში ჩადონ ინვესტიცია. ეფექტური მრავალმხრივი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვის, სოციალური ნორმებისა და კულტურული გამოცდილების ასპექტებს და რომელიც გავლენას ახდენს გოგონების მიერ სკოლის დასწრებისა და

გენდერული განსხვავებების იმ კონკრეტული ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც პიროვნების მიერ სპეციალიზაციისა და პროფესიის არჩევანს განაპირობებს.

დასრულების შესაძლებლობებზე.

ყურადღების გამახვილება ბიჭების აკადემიურ მოსწრებაზე, იმისათვის, რომ ისინი არ ჩამორჩნენ. ეს ტენდენცია მზარდი დინამიკით ხასიათდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალ ზოგიერთ ქვეყანაში.

განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო რესურსების სწორი მართვა ბიჭებისა და გოგონების საგანმანათლებლო შედეგების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსური განათლების ინტეგრირება სასკოლო სწავლებაში, რათა ბიჭები და გოგონები კარგად იყვნენ უზრუნველყოფილნი მათემატიკური წიგნიერებით და ფინანსური ცოდნით.

სწავლების ხარისხი განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების მოსწრებაზე

სპეციალური ფინანსური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება ქალებისა და კაცებისათვის (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის), იმისათვის, რომ ამაღლდეს მათი თვითშეფასება და ფინანსური საკითხების ცოდნა, რათა მათ შეძლონ ეფექტური ინვესტიციების განხორციელება საპენსიო ასაკამდე და გააუმჯობესონ ეკონომიკური საქმიანობის ხარისხი და დინამიკა.

გარდა ზოგადი ინდიკატორებისა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები კონკრეტულ ინდიკატორებსაც წარმოადგენენ სქესის მიუხედავად თანასწორი განათლებისათვის.

განათლება გოგონებისა და ბიჭებისათვის

განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა	თანასწორობა განათლების ხარისხთან ერთად	თანასწორობა განათლების საშუალებით	თვლადი ინდიკატორების მაგალითები
სკოლის გარეთ მყოფი გოგონები და ბიჭები	სასწავლო შინაარსი: წიგნიერება, მათემატიკური წიგნიერება და ცხოვრებისეული უნარები	ქალისა და მამაკაცის დასაქმება	ხელმისაწვდომობა სკოლის გარეთ მყოფი გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა ხარისხი მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება
გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა სკოლაში	სწავლა-სწავლების მეთოდები და პროცესი	სქესობრივი გასხვავებების მიხედვით გამომუშავება დასაქმების საფეხურის	ხელმისაწვდომობა სკოლაში გოგონათა და ბიჭების რაოდენობა

		მიხედვით.	
გოგონებისა და ბიჭების გადაადგილება განათლების ერთიდან მომდევნო საფეხურზე	საგნების არჩევანი	დემოკრატიული მონაწილეობა გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა სკოლის მმართველ ორგანოებში სამეურვეო საბჭოში, სასკოლო ლიდერობა, პოლიტიკური პოსტები, მაგ. პარლამენტი	ხარისხი გენდერული ბალანსი საკლასო ოთახში, სოციალური დისკრიმინაცია საკლასო ოთახში

თვალსაჩინოა, რომ კონკრეტულ ინდიკატორებში, რომლებიც შედეგების რაოდენობრივ მაჩვენებლებზეა ორიენტირებული, რეალურად ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განათლების ნაწილია და რომელიც ურთიერთგავლენას ახდენს არსებული პოლიტიკის განხორციელებაზე.

ბოლო წლების განმავლობაში დებატები არ წყდება განათლების სხვადასხვა საფეხურზე გენდერული ნიშნით სწავლებისა და განვითარების თანასწორ თუ არათანასწორ უზრუნველყოფაზე, (Witmeyer, 2010, McGee, Bailey, 1992), ხოლო მასწავლებლის და მისი სწავლების მიდგომების გავლენა მოსწავლეთა სოციალიზაციის კუთხით, არ არის სადავო საკითხი. შესაბამისად, ყველა ის მიგნება, რომელიც მასწავლებელს სხვადასხვა სქესის მოსწავლეების სწავლების განსხვავებულ მიდგომებთან დაკავშირებით დაგროვდა, უდავოდ მნიშვნელოვანია განათლების თანაბარ შესაძლებლობებზე მსჯელობისას.

მასწავლებლების გავლენის შესწავლისას განსხვავებული სქესის მოსწავლეებისათვის თანასწორი საგანმანათლებლო შესაძლებლობების მინიჭებასთან დაკავშირებით, აკადემიურ ლიტერატურაში რამდენიმე მთავარი ასპექტი გამოიყოფა; ესენია, მასწავლებელთა დამოკიდებულებები, მოლოდინები და ქცევები, რომელშიც ერთიანდება მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ინტერაქცია და მასწავლებლის მიერ განხორციელებული სწავლება.

ამასთან, ვინაიდან არსებობს პოზიტიური ურთიერთკავშირი მასწავლებლის რწმენებს, ცოდნასა და მოსწავლეების მიერ პრობლემების გადაჭრის უნარებს შორის, (Peterson et al, 1989), აუცილებელია გენდერული თანასწორობის შესწავლისას ყურადღება გამახვილებული იქნეს მასწავლებლის ხედვასა და მოსაზრებებზე, იმ ურთიერთკავშირებზე, რომლებიც მასწავლებლის აღქმასა და საკლასო პრაქტიკას შორის შეიძლება არსებობდეს.

შეფასებისა და განათლების მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (IEA International) კვლევების მიხედვით, მუდმივად დასტურდება ის დადებითი კორელაცია, რომელიც სწავლის შესაძლებლობასა და მათემატიკასა და სამეცნიერო საგნებში წარმატებებს შორის არსებობს (Pimm et al, 1980). პოზიტიური თვითშეფასება და საკუთარი თავისადმი პატივისცემა ყალიბდება კლასში აღიარებისა და ხილულობის ფონზე, რაც კონკურენტულ მიღწევებთან ასოცირდება. შესაბამისად, მოსწავლე-მასწავლებლის ინტერაქციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გენდერული როლების გაცნობიერება და მისი კონსტრუირება ჯერ კიდევ სკოლის დაწყებით საფეხურზე იწყება. ამერიკის უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციის ანგარიშში ვკითხულობთ: *„გოგონები და ბიჭები სკოლის დაწყებით საფეხურზე იღებენ მკაფიო მესიჯებს იმასთან დაკავშირებით, რომ გოგონები არ არიან პატივისცემის ღირსნი და ბიჭებისათვის სათანადო ქცევა სხვებზე საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას, ძალის განხორციელებასაც გულისხმობს. „სხვაში“ კი გოგონები და სუსტი ბიჭები მოიაზრებიან“.* (Bailey, 1992).

შესაბამისად, მასწავლებელი, მისი დამოკიდებულება განსხვავებული სქესის მოსწავლეებსა და მათ გენდერულ როლებთან, გადამწყვეტია მოსწავლეების სწორი გენდერული პოზიციონირების ჩამოყალიბებისათვის.

ბოლო წლების კვლევები ასევე ადასტურებს, რომ „მასწავლებლებს არ აქვთ გაცნობიერებული და არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები და, შესაბამისად, უარყოფენ, რომ ისინი მიკერძოებული შეხედულებისანი არიან მამაკაცისა და ქალის

შესახებ და ამგვარ შეხედულებას წერგავენ პრაქტიკაში (Ifegbesan, 2010). ამანდა ჩეპმენი (Chapman, 2001) ამტკიცებს, რომ მასწავლებლები უმრავლეს შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ საკუთარ სუბიექტურ და მიკერძოებულ ქცევებს, რადგან ისინი მთლიანად არიან სწავლების პროცესში ჩართულები და საკუთარი ქცევების ანალიზი ყურადღების მიღმა რჩება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევა, რომელიც დაწყებითი სკოლის მასწავლებლების ინტერვიუებსა და დაკვირვებას ეფუძნება, (Garah, 2001) საინტერესო დეტალებით ამდიდრებს ინფორმაციას მასწავლებლების მიერ გენდერული როლების აღქმის შესახებ. მასწავლებლები აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან, რომ ისინი არანაირ ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეების სქეს სწავლების განხორციელების დროს და აცხადებენ, რომ ისინი საკუთარ მოსწავლეებს აღიქვამენ, როგორც ზოგადად ბავშვებს და არა როგორც გოგონებსა და ბიჭებს. რეალური პრაქტიკის შემთხვევაში კი, მათი ზოგიერთი ქცევა (მაგალითების მოტანა, ღონისძიებების განხორციელება, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება კლასში), ბიჭების პრიორიტეტიზაციისკენ არის მიმართული. ამავე კვლევის ფარგლებში დასტურდება, რომ სხვა ტიპის აქტივობების დროს (კითხვის სესიები) მასწავლებლები გოგონებს ანიჭებენ პრიორიტეტს და მათ თვლიან კომპეტენტურებად.

მირა და დავიდ სადკერები (Mira and David Sadkers, 1994) აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები მოსწავლეების კითხვებს, მოსაზრებებსა თუ პასუხებს ოთხი ტიპის უკუკავშირით პასუხობენ. (ა) მასწავლებლის დაფასებითი უკუკავშირი, რომელიც ყველა შემთხვევაში პოზიტიურია მოსწავლეებთან მიმართებით. (ბ) მასწავლებლის გამაჯანსაღებელი უკუკავშირი, რომელიც მოსწავლეებს წაახალისებს საკუთარი პასუხების გასწორებისა და განვრცობისაკენ. (გ) მასწავლებლის კრიტიკული უკუკავშირი, სადაც ორაზროვნად და პირდაპირ ცხადდება, რომ პასუხი არ არის სწორი. და ბოლოს, (დ) მასწავლებლის მიმღეობითი უკუკავშირი, როდესაც მასწავლებელი უბრალოდ აღიარებს ყველანაირ პასუხს. ამასთანავე, ბიჭები ბევრად

უფრო ხშირად იღებენ დაფასებით და გამაჯანსაღებელ უკუკავშირს, ვიდრე გოგონები. კიდევ უფრო მწვავეა სადკერის (Sadker, 1994) მოსაზრება მასწავლებელთა სწავლების ქცევასთან დაკავშირებით. მკვლევარი ავტორებს, რომ მასწავლებლის ენერგიის, მოტივაციისა და დროის მეტი ნაწილი ბიჭებს ეთმობათ არა ერთი, არამედ წლების განმავლობაში, ხოლო გოგონები კი უგულვებელყოფილნი არიან. შერადსონისა და პიზინის კვლევის საფუძველზე მიდიან დასკვნამდე, რომ მასწავლებლები მამრობითი სქესის მოსწავლეებს მიიჩნევენ უფრო კომპეტენტურად ისეთი დავალებების შესრულებისათვის, რომლებიც მოითხოვს მენტალურ და აბსტრაქტულ ოპერაციებს, როგორიცაა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, ინტერპრეტაცია, კითხვების დასმა, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება... გოგონები უფრო ეფექტურად მიიჩნევიან ისეთი დავალებების შესრულებაში, რომლებიც დასრულებას საჭიროებენ, ასეთი დავალებებია: დაკვირვება, გაზომვა, კომუნიკაცია, ვიზუალიზაცია, სხვადასხვა ტიპის ოპერაცია და მანიპულაცია ხელსაწყოებისა და მასალების გამოყენებით.

კვლევები ასევე აჩვენებენ, რომ ბიჭები ორჯერ უფრო მეტად არიან ჩართულები განსაკუთრებული ნიჭიერთა გამოცდებსა და ტესტირებაში, ვიდრე გოგონები. მიზეზი კი ისაა, რომ „ნიჭიერება განხილულია, როგორც გზიდან გადახრა, ხოლო გოგონები კი ცდილობენ, რომ შეეწყონ, შეესატყვისონ არსებულ გარემოს“ (Orenstein, 1994). შესაბამისად, მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე ახდენენ მათთვის მიკუთვნებული გენდერული როლების მიხედვით სოციალიზაციას.

არაერთმა კვლევამ დაადასტურა მოსწავლეების სქესის მიხედვით ერთი და იმავე ტიპის ქცევითი გამოხატულება და მასწავლებლების შესაბამისი დამოკიდებულება. უფრო კონკრეტულად კი, კვლევის მიხედვით, ბიჭები მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეების დროის მონოპოლიზაციისკენ არიან მიდრეკილნი საკლასო ოთახის გარემოცვაში. ბიჭები მტკიცე და გამტანი, აგრესიული, კონკურენტუნარიანი და გახსნილები არიან. ბიჭები მოითხოვენ მეტ ყურადღებას და შესაბამისად, მასწავლებლები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი

მათი ქებისაკენ, მათთვის კრიტიკული უკუკავშირისკენ, ვიდრე გოგონების მიმართ. ეს ორივე, ქალი და მამაკაცი - მასწავლებლების მიერ აბსოლუტურად ინსტინქტურად ხდება. ასეთი კვლევა პირველად 1980 წელს ჩატარდა (Fennema and Peterson, 1985; Eccles and Blumenfeld 1985; Sadker and Sadker, 1986; Delamont, 1990; Sadker, Sadker and Klein, 1991), მაგრამ ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კვლევების მონაცემები იგივე ტენდენციებს იმეორებს.

ბიჭები ზოგადად მეტ ყურადღებას იღებენ მასწავლებლებისგან ქვეყნის, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტისგან დამოუკიდებლად და ეს მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის განსხვავებული ქცევის კორექციისა და უთანასწორობის პრევენციისაკენ მიმართული კონკრეტული სტრატეგიების ძიების საფუძველია. მაგალითისათვის, შვედეთში (Einarsson and Granström, 2004), ამერიკის შეერთებულ შტატებში (Johnson and Didia, 2004) და პერუში (Espinoza, 2006) ტენდენციები ერთი ტიპისაა. მაშინ, როდესაც გოგონები მოწადინებულნი არიან, ერთობლივად შეასრულონ სამუშაო, ბიჭები მეტი ინდივიდუალიზმისკენ არიან მიდრეკილები და ცდილობენ, დომინანტი პოზიცია დაიკავონ საკლასო გარემოში. (Barrington et al, 2000; Francis, 2000). შესაბამისად, მხოლოდ კარგად მომზადებულ პედაგოგს, რომელსაც გასიგრძელებული აქვს თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების მნიშვნელობა და კარგად იცნობს სქესის მიხედვით მოსწავლეთა სწავლის სტრატეგიებს შეუძლია ეფექტურად უპასუხოს არსებულ გამოწვევას.

მასწავლებლების მიერ გოგონათა სოციალიზაცია ქალურობის იდეალის მიხედვით ხდება. გოგონები დაფასებულნი არიან აკურატულობისა და მოწესრიგებულობის, სიმშვიდის გამო, მაშინ როდესაც ბიჭები წახალისებულნი არიან დამოუკიდებელი ფიქრის, აქტიურობისა და საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმისათვის. მეტიც, გოგონების სოციალიზაცია სკოლაში მათი პოპულარობის მიხედვით ხდება და არა საგანმანათლებლო მიღწევებისა და უნარების მიხედვით. ბილეი (Bealey, 1992) კვლევაზე დაფუძნებით ასკვნის, რომ უკვე მეექვსე კლასში გოგონების რეიტინგი და მოწონება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია მათი

თვითიდენტიფიკაციისათვის, ვიდრე მათი კომპეტენტურობა ან დამოუკიდებლობა. მეორე მხრივ, ბიჭებისათვის სწორედ კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობაა მაღალი რეიტინგისათვის სასურველი.

გოგონები ბევრად ნაკლებ კითხვებს სვამენ, ვიდრე ბიჭები და, საზოგადოდ, ნაკლებად აგრესიულები არიან. ამ ქცევიდან გამომდინარე კი სექსისტები აკეთებენ დასკვნას, რომ გოგონებს ნაკლები შანსი აქვთ, წარმატებულები იყვნენ და მაღალი მაჩვენებლები ჰქონდეთ მათემატიკასა და სხვა ზუსტ მეცნიერებაში. ამგვარი დაშვება კი, როგორც ჩანს, არა მხოლოდ მასწავლებლებისა და ადმინისტრატორების მუშაობას განაპირობებს, არამედ, ასევე, მოქმედებს თავად გოგონების თვითიდენტიფიკაციასა და სურვილებზეც. გოგონებმა შეიძლება არასაკმარისად შეაფასონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ათვისების თვალსაზრისით ან უბრალოდ უარი თქვან ამ საგნების ათვისებაზე, რადგან საზოგადოებაში გაბატონებული ნორმების გამო აღარ სურთ კონკურენცია გაუწიონ და უფრო მეტიც, აჯობონ ბიჭებს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

ამრიგად, სოციალიზაცია, რომელიც სკოლის პირობებში ყალიბდება, ცოცხალი, დინამიური პროცესია, სადაც ჩართულნი არიან სხვადასხვა მხარეები, და სადაც ურთიერთქმედებისა და ურთიერთგავლენის მაჩვენებელი სოციალიზაციის მიმართულებებსა და ტენდენციებს განაპირობებს.

სასკოლო გარემო

თუ კარგად გავიაზრებთ იმ სოციალურ მოწყობას, რომელიც სკოლაში არსებობს და სადაც სექსუალური იდენტობა მწიფდება და ვითარდება, გამოდის, რომ ზოგადი საგანმანათლებლო გარემო თავისთავად წარმოქმნის მკაფიო მესიჯებს გენდერის შესახებ. გენდერული სეგრეგაცია სკოლის დაწყებით საფეხურზე ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია საბავშვო სოციალიზაციაში (Thorne, 1993). სკოლა საზოგადოდ მიიჩნევა მოსწავლეებისათვის უსაფრთხო ადგილად. რეალურად კი,

მასკულინური და ფემინისტური ხასიათის სოციალიზაცია სხვადასხვა ტიპის ძალადობას წარმოშობს ბიჭებსა და გოგონებს შორის (Benbenishty and Astor, 2005). კვლევები ასევე ადასტურებს, რომ სქესის მიხედვით იდენტიფიკაცია და აღქმული მოლოდინები არა მხოლოდ მასწავლებლების მხრიდან, არამედ მოსწავლეების მხრიდანაც განსხვავებულია მასწავლებლის სქესის მიხედვით. განათლების გლობალური კამპანიის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მამაკაცი მასწავლებლები უფრო „ჭკვიანები“ არიან, ვიდრე ქალი მასწავლებლები.

უდავოა, რომ არა მხოლოდ ცალკეული მასწავლებლები, არამედ მთალიანდ სკოლა, როგორც ინსტიტუცია, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მოსწავლეების გენდერულ სოციალიზაციაში. „იმდენად, რამდენადაც საკლასო ოთახი საზოგადოების მიკროკოსმოსია და მის სიძლიერებსა და სისუსტეებსაც ერთნაირად ასახავს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვის სოციალიზაციის მოდელი, რომელიც ხშირად გენდერული როლების დამახინჯებული აღქმის ჩამოყალიბებას იწვევს, ნათლადაა გამოვლენილი საკლასო ოთახში“. (Subrahmanyam, 2002) შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გენდერული სუბიექტივიზმი ხშირად სოციალიზაციის მოდელის მიღმა მიმდინარეობს და ასახულია სახელმძღვანელოებში, გაკვეთილების მსვლელობაში, მასწავლებელთა მიდგომებსა და სწავლებაში. ამ ტიპის გენდერული სუბიექტივიზმი ფარული კურიკულუმის ნაწილია და მოსწავლეებს ეტაპობრივად აჩვენებს სუბიექტივიზმს კლასის ყოველდღიური ფუნქციონირების ფონზე. მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებელი და სასწავლო გეგმა აძლიერებს სოციალურ სუბიექტივიზმსა და დისკრიმინაციულ პრაქტიკას ქალის წინამდებარე მოცემული შინაარსის და გამოყენებული სწავლების მეთოდების საშუალებით, ნაკლებად სადავოა.

მასწავლებელთა სტერეოტიპული დამოკიდებულება და სწავლის განსხვავებული მიდგომა გენდერული ნიშნით არ არის ცალსახად განპირობებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გავლენით. განათლების ის ინსტრუმენტები,

რომლებიც თავად მასწავლებლის სწავლების მიდგომებსა და მეთოდებზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს, სასწავლო გეგმა და სასწავლო რესურსებია.

ჯერ კიდევ 1989 წელს სადკერმა ლიტერატურის სახელმძღვანელოს ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა, რომ მამაკაცთა ილუსტრაციები 3-ჯერ სჭარბობდა ქალთა ილუსტრაციებს. იმავე მკვლევარმა 1992 ისტორიის სახელმძღვანელოს ანალიზის დროს აღმოაჩინა, რომ 621 გვერდიდან მხოლოდ 7 გვერდი ეხებოდა ქალებს. კიდევ ერთმა მკვლევარმა, ერინოშომ (Erinosh, 1997), რომელმაც 76 მეცნიერების მიმართულების სახელმძღვანელო გაანალიზა, მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმძღვანელოები ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია სკოლაში გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებისათვის. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ის პრობლემატიკას, რომელიც სქესთა რეპრეზენტაციას შორის არსებობდა. მის მიერ გაანალიზებული 2995 ილუსტრაციიდან 63.2% მამაკაცები იყვნენ გამოსახული და მხოლოდ 36.8% - ქალები.

უამრავი კვლევის შედეგების მიხედვით, რომლებიც გეოგრაფიულ მდებარეობასა და კონკრეტულ ქვეყანასთან არის ასოცირებული ერთი და იგივე ტიპის ტენდენციებს აჩვენებს:

- სკოლები ახდენენ ინტენსიური გენდერული იდეოლოგიის ფორმირებას და განავრცობენ მას საკლასო პრაქტიკის, მასწავლებლების დამოკიდებულებებისა და მოლოდინების და ინტენსიური, მაგრამ ნაკლებად თვალსაჩინო თანატოლების ინტერაქციის საშუალებით;
- გენდერის სასკოლო ფორმირება თვალსაჩინო მახასიათებლებისა და მკაფიოდ გამიჯნული ასპექტების ფონზე ხდება ქალისა და მამაკაცის თვისებების, ხასიათისა და როლების შესახებ. ამგვარი როლები მსგავსია ყველა საფეხურზე, თუმცა საფეხურის მატებასთან ერთად, ხდება მისი ინტენსიურობის მატებაც;
- კვლევის სამიზნე ქვეყნების უმრავლესობაში საკლასო დროსა და სივრცეში ბიჭები დომინირებენ, რაც აკნინებს გოგონების უნარებს და ბუნებრივს ქმნის ქალსა და კაცს შორის განსხვავებას;

- გოგონებისა და ბიჭების აკადემიური მოსწრება უფრო და უფრო კონვერგენციულია, თუმცა, დღემდე ხდება საგნებისა და პოზიციების სტერეოტიპული წარმოდგენების მიხედვით კლასტერიზაცია გენდერის მიხედვით;
- სასწავლო გეგმა ახდენს ბიოლოგიური თვისებების მიხედვით გადანაწილებას და უარს აცხადებს სოციალური ფაქტორის მნიშვნელობის აღიარებაზე და სქესს მიიჩნევს სხვების მიერ კონტროლირებად საკითხად;
- თანატოლები ხელს უწყობენ გენდერულად სეგრეგირებული საკლასო გარემოს არსებობას და მიჩნეული სექსუალური ნორმების დაკანონებას. თანატოლთა კულტურაში ვაჟები დაკნინებულად გრძნობენ თავს გოგონებზე ნაკლები აკადემიური მოსწრებისათვის;
- მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლეული ქვეყნების ძირითად ნაწილში მასწავლებლების კოლექტივი ქალებისაგან შედგება, მათ არ აქვთ გავლილი ადეკვატური პროფესიული გადამზადება გენდერი საკითხებზე და არ შესწევთ უნარი გახდნენ პოტენციური მოდელები ტრანსფორმაციული მიდგომისათვის, რომელიც გენდერულ სამართლიანობის დამცველია;
- განათლების პოლიტიკა მეტწილად არ ცნობს სკოლის სოციალიზაციის აგენტის როლს, რათა ჩამოაყალიბოს შეფასების ინსტრუმენტები მსგავსი მიდგომისგან გამოწვეული საზიანო ეფექტის გასაზომად. ზოგადად, მხოლოდ უმნიშვნელო პოზიტიური ცვლილებებზე შეიძლება საუბარი ბოლო წლების განმავლობაში გენდერული პერსპექტივით ტრანსფორმაციული პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ.

საბოლოო ჯამში კი, ყველა ეს ფაქტორი - განსხვავებული სამუშაო შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის, სხვადასხვა სასწავლო შესაძლებლობები ბიჭებისა და გოგონებისათვის სკოლაში, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის სექსისტური წინასწარი დაშვებები გოგონებისა და ბიჭების ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე თავად გოგონების დაბალი

აკადემიური თვითშეფასება და არაამბიციურობა - ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, ახდენს შედეგებზე ზეგავლენას და აძლიერებს საერთო ეფექტს... ამათგან, თუნდაც ერთი ფაქტორის ცვლილებაც კი, შესაძლოა, ცვლილებების განხორციელებას ითხოვდეს ყველა დანარჩენში³.

მას შემდეგ, რაც სქესთა შორის განსხვავებას ფემინიზმის კონტექსტში გავიაზრებთ, „კონტექსტისა, რომელიც აღარ ცნობს როლთა ტრადიციულ პატრიარქალურ გადანაწილებას, როგორც ბუნებრივ მოვლენას, მზად ვიქნებით, სასკოლო განათლების პროცესი ობიექტურად გავაანალიზოთ და მეტიც, ღირსეულად ჩავერთოთ სისტემის გადახალისების პროცესში“.⁴

დასკვნა

საერთაშორისო კვლევები ამტკიცებენ, რეალურად, ძალიან ბევრი ფაქტორი მუშაობს ქალთა განათლების ხარისხზე და ეს ფაქტორები არ არის დამოკიდებული მხოლოდ ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და მოდერნიზაციაზე. (მსოფლიო ბანკი, 2009).

განათლების ფორმალური კერები, და უპირველეს ყოვლისა სკოლა წარმოადგენს მთავარ აგენტს მამაკაცისა და ქალის კულტურული მოლოდინების სწავლებისა და გაძლიერებისათვის⁵ (Finn et al, 1980; Lee et al, 1994). ამასთან, სკოლა ის ადგილია, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ავტონომიურობა იმისათვის, რომ წარმოშოს ახალი და პროგრესული იდენტურობა⁶ (Apple and Weiss, 1986).

როდესაც გენდერსა და მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ განათლების ინსტიტუციებში, ვსაუბრობთ გენდერის სოციალიზაციაზე, რადგან „გენდერი, რასის მსგავსად უფრო მეტად სოციალური კატეგორიაა, ვიდრე ბიოლოგიური“⁷ (Amott and Matthey , 1991). საერთაშორისო კვლევები, რომლებიც გენდერის სოციალიზაციაზეა

³ სკოლა და საზოგადოება, მე-5 გამოცემა, 2009

⁴ აქვე

⁵ Finn et al. 1980; Lee et al., 1994

⁶ Apple & Weiss, 1986

⁷ Amott and Matthaei (1991)

ფოკუსირებული სკოლაში, 5 ძირითად ფაქტორზე აკეთებენ აქცენტს. (1) მასწავლებელთან დაკავშირებული დინამიკა, რომელიც აჩვენებს, რომ მასწავლებლის წარმოდგენები და მოლოდინები, ისევე, როგორც კომუნიკაცია მოსწავლეებთან, განსხვავებულია ბიჭებთან და გოგონებთან მიმართებით და ამ პროცესში გოგონები წამგებიან პოზიციაში არიან. (2) სასწავლო გეგმაში სექსუალური განათლება არ მოიცავს იმ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოზადების სექსუალობაზე, მიუხედავად სოციალური ნორმების ცვლილებებისა. (3) სასკოლო გარემო მოიცავს გენდერული ძალადობის ელემენტებს, რომლებიც ქალური და მამაკაცური კონცეფციების პოლარიზებას უწყობს ხელს. სექსუალური განათლება პოზიტიურ როლს მხოლოდ მაშინ თამაშობს სკოლაში, თუ ის გენდერული კონცეფციების ტრანსფორმირების ამოცანას ისახავს მიზნად. (4) თანატოლთა უერთიერთგავლენა, რომელიც მნიშვნელოვან, მაგრამ არა ხილულ ბარიერს ქმნის გენდერული იდეოლოგიების კვლავწარმოებისათვის; (5) და ბოლოს, მასწავლებლები, რომლებიც სკოლის ყოველდღიურობის საკვანძო ფიგურები არიან, მოკლებულნი არიან გენდერულ საკითხებზე განვითარების შესაძლებლობებს, და შესაბამისად, არ ახდენენ გენდერული თანასწორობის დანერგვას საკლასო ოთახში⁸.

თავი 3: სქესობრივი თანასწორობა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი და ზოგადი სტატისტიკა

ზოგადი ნაწილი

განათლების სფეროში გენდერულ თანასწორობაზე მსჯელობისას აუცილებელია ქვეყანაში არსებული კონტექსტის ანალიზი კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური კუთხით, რომელიც უდავოდ ანარეკლია იმ ფაქტორების ერთობლიობისა, რომლებიც განპირობებულია თითოეული სქესის მიერ წინასწარ განსაზღვრული ქცევისა, სოციალური ნორმისა და აღქმული ღირებულებებისა.

⁸ The Gender Socialization Process in Schools: A Cross-National Comparison, Nelly P. Stromquist, 2007

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ–ცნობარის განმარტების მიხედვით, „სოციალიზაცია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოცემული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცოდნის, ღირებულებებისა და ნორმების შეთვისების პროცესია“... და აღნიშნავს ინდივიდის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების ათვისების პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი შეიმუშავებს საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს⁹.“ საკითხის გენდერულ ჭრილში განხილვის შემთხვევაში, ესაა სტერეოტიპული აზროვნების სხვადასხვა ელემენტის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა განვითარების პოტენციალს და არა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, არამედ მისი საზოგადოების მიერ აღქმული გენდერული როლების მიხედვით. ამგვარი სტერეოტიპული აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პროფესიების არჩევის წინასწარი განსაზღვრა და სოციალური პოზიციონირების მოლოდინი, რომელიც სქესობრივი ნიშნით არის დაყოფილი. სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი იმ კონტექსტის გაანალიზება, რომელშიც მამაკაცებსა და ქალებს, მათი სქესობრივი განსხვავების მიხედვით, განსხვავებული გენდერული როლები ენიჭებათ პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში. მომდევნო ქვეთავებში გაანალიზებული იქნება ქვეყანაში არსებული მდგომარეობა სქესობრივი ნიშნისა და გენდერული როლების გადანაწილების მიხედვით, სადაც აქცენტები ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე, სოციალურ მდგომარეობასა და სტატუსზე, ეკონომიკურ საქმიანობასა და სამსახურებრივ თავისებურებებზეა გაკეთებული. და ბოლოს, განათლების სხვადასხვა საფეხურზე რეპრეზენტატულობის კუთხით იქნება წარმოადგენილი. ასევე, მართებულად იქნა მიჩნეული ქვეყანაში არსებული ზოგიერთი მონაცემების განხილვა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებულ მონაცემებთან შედარების საშუალებით, რაც ცხადს ხდის იმ თავისებურებებსა თუ

⁹ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [გ.ა.]

მსგავსებებს, რომლებიც გენდერული როლების თვალსაზრისით არსებობს საქართველოში.

პოლიტიკური კონტექსტი

ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზაზე, საქართველოსათვის ამოცანას წარმოადგენს გაეროს სოციალური და ეკონომიკური საბჭოს მიერ 1995 წელს დამტკიცებულ ნიშნულთან მიახლოება¹⁰, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა 30%-იანი წარმომადგენლობის მიღწევას ითვალისწინებს. ასევე ამოსავალი წერილი ევროპის საბჭოს მიერ ყველა სამთავრობო და არჩევით ორგანოში¹¹ ქალთა 40%-იანი წარმომადგენლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

ამ მხრივ, აუცილებელია იმ პოზიტიური ნაბიჯების ხაზგასმა, რომლებიც 2006 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებისა და ინიციატივის განხორციელებით გადადგა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. ეს ცვლილებები ქალთა მიმართ ყველანაირი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის მიერ (CEDAW)¹² ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს წარმოადგენს.

2006 წელს სახელმწიფომ მიიღო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი, 2010 წელს კი კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქალთა უსაფრთხოების, დასაქმების ბაზარზე თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობის უზრუნველყოფას. ამავე წელს პარლამენტმა შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც თავიდან დროებითი სამეთვალყურეო სტრუქტურა

¹⁰ პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, 1995 წლის 4–15 სექტემბერი, პარაგრაფი 182, <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf>

¹¹ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია 1489 (2006) გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები, 2006 წლის 17 მარტი, პარაგრაფი 6.1. <http://www.assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta06/ERES1489.htm>

¹² <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw>

იყო, 2010 წლის მარტში მუდმივმოქმედი ორგანო გახდა. 2012 წელს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც გენდერული ბალანსის დაცვისათვის პარტიების ფინანსურ წახალისებას. არსებული ცვლილების მიხედვით, გათვალისწინებულია პოლიტიკური პარტიებისათვის 10%-ით მეტი სახელმწიფო დაფინანსება, თუ ისინი თავიანთ პარტიულ სიაში ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წარადგენენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამ რეგულაციას არ მოუტანია მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას. მონაწილე პარტიულ სუბიექტთა უმრავლესობამ გენდერულად დაბალანსებული სია არ წარმოადგინა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქალებმა დაიკავეს საპარლამენტო მანდატების სრული რაოდენობის დაახლოებით 11%-ა, რაც, წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, გაუმჯობესებული მაჩვენებელია. ადგილობრივ დონეზე ქალთა წარმომადგენლობა უფრო დაბალია. ეუთოს 57 მონაწილე ქვეყნიდან, საქართველოში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი საშუალოდ 23,7%-ია, ზოგიერთ ქვეყანაში ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში 30-40%-ია.¹³ 2013 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით¹⁴, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით, 136 ქვეყანას შორის საქართველო 97-ე პოზიციას იკავებს¹⁵.

თუ ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში წლების მიხედვით განვიხილავთ, საინტერესო ტენდენციას დავინახავთ; პარლამენტის არსებობის განმავლობაში განმავლობაში დეპუტატ ქალთა რაოდენობა არასოდეს აჭარბებდა 10 პროცენტს (1991 - 6.8%, 1992 - .6%, 1995 - 5.7%, 1999 - 6.4%, 2003 - 9.4% და 2008 - 5%). მხოლოდ

¹³ საპარლამენტო მონიტორინგის კავშირი, ქალები ეროვნულ პარლამენტში, 2013 წლის 1 თებერვალი, <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

¹⁴ გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელი

¹⁵ <http://hdrstats.undp.org/en/indicators/68606.html>,

ამჟამად, 150 დეპუტატიდან 17 ქალია, რაც 11% უახლოვდება¹⁶. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მაჩვენებელი შორსაა დასახული მიზნისგან.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით თვითმმართველობის ორგანოებში; 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებში დაფიქსირებული 14%-ის შემდეგ, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 2002 წელს 12%-ზე ჩამოვიდა. 2006 წლის ოქტომბრის არჩევნებში 1750 არჩეული პირიდან მხოლოდ 195 (14%) გახლდათ ქალი. ეს მაჩვენებელი 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე კიდევ უფრო გაუარესდა - ქალები ადგილობრივ არჩეულ ხელისუფალთა მხოლოდ 11%-ს წარმოადგენდნენ. ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა მხოლოდ 10% მონაწილეობს. ამგვარად, 1998 წლიდან ქალთა წარმომადგენლობა თვითმმართველობის ორგანოებში საგრძნობლად არის შემცირებული.

2012 წლის აგვისტოს მონაცემით, 19 მინისტრიდან მხოლოდ ხუთი იყო ქალი (26.5%), 2013 წლის ივნისის მონაცემით კი, 20 მინისტრიდან, სამია ქალი (15%), ანუ, პროცენტული მაჩვენებელი აქაც შემცირებულია.

2013 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურის სისტემაში დასაქმებულ 839 მუშაკს შორის 279 ქალია (33.4%). ამასთან, 430 პროკურორიდან 104 ქალია (24,2%), 85 გამომძიებელიდან - 9 ქალი (10,6%).

სასამართლო ხელისუფლებაში, 2012 წლის მონაცემებით, ქალთა წარმომადგენლობა მეტად არის დაბალანსებული და ქალი მოსამართლეები საერთო რაოდენობის 48%-ს შეადგენენ. უფრო კონკრეტულად კი, სასამართლო ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: უზენაეს სასამართლოში 19-დან 8 ქალია მოსამართლე (42%) საკონსტიტუციო სასამართლოში 9-დან 3, (33%), სააპელაციო სასამართლოებში 52 მოსამართლიდან 28 ქალია (54%), ხოლო სამოქალაქო სასამართლოებში კი - 173 მოსამართლიდან 82 - ქალი (47%).

¹⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სტატისტიკა, „ქალი და კაცი საქართველოში, 2013“

ქალთა მონაწილეობაზე საუბრისას პოლიტიკასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა პროცესში, მნიშვნელოვანია იმ დამოკიდებულებებზე საუბარიც, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს ამ კუთხით. გაეროს განვითარების ფონდის მიერ 2013 წელს განხორციელებული კვლევის - „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ ცალსახად გამოიკვეთა საზოგადოების დამოკიდებულება მამაკაცისა და ქალის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური შესაძლებლობების და, შესაბამისად, როლების შესახებ. კვლევაში ვკითხულობთ: ... „გენდერული როლები საზოგადოებას ქალის და კაცის არსის ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნია. მაგალითად, ის, რომ ქალი შვილს აჩენს და მასზე ზრუნავს, აძლევს მას უპირატესობას, იყოს *უკეთესი მასწავლებელი*, რომელიც სახლის გარეთაც ბავშვების აღზრდითაა დაკავებული. ხოლო კაცი, როგორც უფრო აქტიური და მეზრდოლი, მოიაზრება პოლიტიკაში, სადაც ლიდერობის, გადაწყვეტილებების მიღების უნარებია საჭირო და ა. შ.“

საგულისხმოა ის, რომ 2013 წლის იანვარში დამტკიცებულ ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც, კონკრეტულ მიმართულებებთან ერთად, მოიცავენ გენდერული თანასწორობის უწყებათმორისი კომისიის შექმნას; ეს უკანასკნელი ქალთა თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად იმუშავებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი მოიცავს პარლამენტის მიერ ანგარიშვალდებულებისა და შესრულებული საქმიანობის აუდიტს, გენდერული თანასწორობისკენ მიმართული კანონპროექტებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას და „გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ახალი სამოქმედო გეგმის/გეგმების პროექტის/პროექტების შემუშავებას“¹⁷.

¹⁷ საქართველოს პარლამენტის დადგენილება - საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, ქუთაისი, 24 იანვარი 2014 წ. N1945-რს

სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი

საქართველოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ სიტუაციის ანგარიშში საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2013 წლის მდგომარეობით, ქალთა ეკონომიკური აქტივობა და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მცირეა.

„გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მიხედვით, ასევე, კვლავ დაბალია ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (საქართველო ამ მაჩვენებლით 126-ე პოზიციაზეა). აღნიშნულ ფონზე კი სულ უფრო მძიმეა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა, მათ შორის, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2 345 000 ქალი და 2 138, 800 მამაკაცია, სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი საშუალო მაჩვენებელი კი 2012 წელს ქალებისათვის - 79, ხოლო მამაკაცებისთვის - 70.23 წელია. საგულისხმოა სოციალური დახმარების პაკეტების გადანაწილების მაჩვენებელი ამ სტატისტიკის ფონზე, რომელიც ქვემოთ ცხრილშია მოცემული:

ცხრილი 1: სოციალური უზრუნველყოფა საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა

	ქალი	%	კაცი	%	სულ
რიცხოვნობა, სულ	545190	63.6%	311800	36.4%	856990
მათ შორის:					
საპენსიო პაკეტის (ასაკით პენსია) მიმღები	478980	70.1%	203906	29.9%	682886
სოციალური პაკეტის მიმღები	66210	38.0%	107894	62.0%	174104
აქედან:					
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	50611	41.5%	71444	58.5%	122055
მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრი	13287	47.3%	14776	52.7%	28063
პოლიტ. რეპრესირებულები	480	30.6%	1087	69.4%	1567
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები	879	9.3%	8585	90.7%	9464
საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები	873	6.9%	11851	93.1%	12724
სხვა	80	34.6%	151	65.4%	231

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2013

ცხრილში თვალნათლივ ჩანს, რომ საპენსიო პაკეტის მიმღებთა 70.1%-ს ქალები შეადგენენ. თუმცა, სხვა ტიპის სოციალური დახმარებების გადანაწილებისას, პროცენტული მაჩვენებლების გადანაწილება შეცვლილია. მაგალითად, მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრებიდან ქალების 47.3% იღებს სოციალურ პაკეტს. სახელმწიფო კონპენსაციის მიმღები ქალთა მხოლოდ 9.3%-ია, ხოლო საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები კი - 6.9%.

სოციალური საკითხების, მათ შორის კი - სოციალური პაკეტებისა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე საუბრის დროს, აუცილებელია იმ სოციალურ-კულტურული ტენდენციის მიმოხილვაც, რომელიც არა გენდერულ, არამედ სქესობრივ მონაცემებს და შვილოსნობის საკითხებს უკავშირდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სქესობრივი დისკრიმინაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, სელექციური აბორტია. სელექციური აბორტი გულისხმობს ბავშვის სქესის გამო ორსულობის შეწყვეტას და იგი ნაყოფის მოცილებას ემსახურება. რეალურად, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, რამდენად ხშირია სელექციური აბორტის შემთხვევები საქართველოში, თუმცა, სქესის მიხედვით ჩაშლილი შობადობის სტატისტიკის მიხედვით, ის ბუნებრივი თანაფარდობა და შობადობის ნორმა, რომელიც 100 გოგონაზე 104-107 ვაჟს გულისხმობს, საქართველოს შემთხვევაში დარღვეულია და გულისხმობს 100 გოგონაზე საშუალოდ 111 ვაჟის დაბადებას. 2008 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში გოგონასა და ვაჟის პროპორცია 100-124-ზე იყო და 1151-ით ნაკლები გოგონა დაიბადა, რაც სელექციური აბორტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის - ჩინეთის მონაცემს უსწრებს. შესაბამისად, დაბადებულ ვაჟთა რაოდენობა მკვეთრად აჭარბებს გოგონათა რაოდენობას. ქვემოთ მოცემულია შობადობისა და აბორტების სტატისტიკა 2007-2012 წლისათვის, სადაც კარგად ჩანს ბუნებრივი შობადობის თანაფარდობითი ბალანსი:

ცხრილი 2: საქსტატის სტატისტიკა 2007-12 წლებში სქესის მიხედვით დაყოფილი შობადობისა და აბორტების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.

წელი	სულ დაბადებულთა რაოდენობა	აქედან ბიჭი	%	აქედან გოგო	%	აბორტი	%
2007	49287	25882	52.5%	23405	47.5%	20.6	0.04%
2008	56565	31720	56.1%	24825	43.9%	22.1	0.04%
2009	63377	32385	51.1%	30992	48.9%	24.3	0.04%
2010	62585	32488	51.9%	30097	48.1%	25.6	0.04%
2011	58014	30330	52.3%	27684	47.7%	30.6	0.05%
2012	57031	29801	52.3%	27230	47.7%	39.2	0.07%

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 140-ე მუხლის მიხედვით, ორსულობის 12 კვირამდე აბორტის გაკეთება მხოლოდ და მხოლოდ ორსულის სურვილზეა დამოკიდებული. ამასთან, კანონი არ კრძალავს სქესის გასარკვევად გამოკვლევის ჩატარებას ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე. ამ ორი რეგულაციის შედეგად კი არსებობს მოცემულობა, რომლის დროსაც ორსულს, კანონის ფარგლებში უფლება ენიჭება, იცოდეს ბავშვის სქესი და, ამავდროულად, არ იყოს ამოწურული კანონით გათვალისწინებული, აბორტისთვის განსაზღვრული 12-კვირიანი ვადა.

რეალურად, კანონი ვერ იცავს 12 კვირამდე ნაყოფს გენდერული დისკრიმინაციისაგან და არ არსებობს უშუალოდ გენდერულ საფუძველზე წარმოქმნილი დისკრიმინაციის აღკვეთის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თავად დისკრიმინაციის სახე და მისი ბუნება: აბორტი შეიძლება გაკეთდეს როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის ნაყოფზე და ამით გენდერული დისკრიმინაცია არ წარმოიშვება, მაგრამ, სელექციური აბორტის შემთხვევაში, აბორტი კეთდება უშუალოდ გენდერული მიზეზით, რაც ცალსახად დისკრიმინაციად და სამართლებრივ უმართლობად უნდა მივიჩნიოთ. ფაქტების გარდა, დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს სოციოკულტურული კონტექსტი, საზოგადოების

დომინანტი შეხედულებები და ღირებულებები, რომლებიც შვილთა შენარჩუნებას სქესის პრიორიტეტის მიხედვით წყვეტენ¹⁸.

მეორე, რეალური პრობლემა, რომელიც ხელოვნურ აბორტს უკავშირდება, თავად აბორტის გადაწყვეტილების მიმღები ქალია, თუმცა, სამწუხაროდ, ამ კუთხით საკითხის გაშუქება საკმაოდ იშვიათად ხდება. რეალურად, ამ გადაწყვეტილების მიმღები ქალი, ასევე, უკვე უნდა განვიხილოთ გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლად, რომელიც სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული შესაძლებლობებისა და პირობების ჭრილში უნდა იქნეს დანახული. პირველი და უმნიშვნელოვანესი - ჯანდაცვის სერვისების არათანაბარი წვდომაა და იგი იურიდიულ და სოციალურ სიძნელებს უკავშირდება. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-15 წლის სტრატეგია „ხარისხიანი ხელმისაწვდომი ჯანდაცვის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესება. სტრატეგიაზე ორგანიზაცია ჰერა XXI-ის კომენტარებში ნათქვამია, რომ... „სტრატეგიაში გათვალისწინებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ოჯახის დაგეგმვის სერვისების შეფასების ჩარჩოს შექმნა, მონიტორინგი და ტრადიციების/სტერეოტიპების აღმოფხვრის გზების შემუშავება“¹⁹.

18 გენდერული სელექცია და მისი რეგულირება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, გიორგი ხარაიშვილი, ინტერმედია, 2013, 6 მაისი, 22:4, <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/33024-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A8/59/user:%E1%83%92.%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:show:channel>

19 ასოციაცია „ჰერა XXI“ –ის კომენტარები კომიტეტის მეოთხე პერიოდული ანგარიშის გათვალისწინებით საქართველოს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით (ICCPR) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. 2014, ასოციაცია „ჰერა XXI“.

დედისა და ბავშვების ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებაზე საუბარს თავისთავად მივყავართ ბავშვზე ზრუნვასა და აღზრდაზე ვალდებულებების განხილვასთან. ადმინისტრაციული სამართლის 172-ე მუხლის თანახმად, ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობა უნდა იწვევდეს მშობლების გაფრთხილებას ან დაჯარიმებას, რომლის ამუშავება, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მეტწილად მამების მიმართ უნდა ხდებოდეს. რეალურად კი ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა დედის სტატუსთან არის დაკავშირებული, რომელიც, არამცთუ ხელს უწყობს ქალთა დასაქმებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილ ჩართულობას, არამედ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მას სოციალური სტატუსის პერსპექტივიდანაც. საქსტატის მონაცემებით, 2000-2013 წლის ჩათვლით, საქართველოში 30 000 ბავშვია დაბადებული, რომელთა დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელია. მიუხედავად ამისა, აქამდე საკანონდებლო დონეზე მარტოხელა ქალებისათვის სოციალური სტატუსი არ არსებობდა. მხოლოდ 2014 წელს დაიწყო მუშაობა იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები განხორციელდეს და მარტოხელა დედის, მამისა და მშობლის სამართლებრივი დეფინიცია მოხდეს. საკანონდებლო ცვლილებების განხორციელება ასევეა დაგეგმილი კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“, სადაც, კანონის შესაბამისად, 5 წლამდე ბავშვის მარტოხელა დედის განთავისუფლება აიკრძალება სამსახურიდან შტატების შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ატესტაციის შედეგების მიზეზით.

ამ მნიშვნელოვანი საკითხის კიდევ ერთ მხარეს დაუოჯახებელი და დაოჯახებული, შვილიანი და უშვილო ქალის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული შესაძლებლობები განაპირობებს, სადაც, კვლავაც, კანონდებლობით გათვალისწინებული ნორმები ქალის შვილოსნობას არ წაახალისებს, დასაქმების ბაზარი არ არის შვილიანი ქალის საჭიროებებზე

მორგებული, ხოლო საზოგადოებრივ-სამოქალაქო ხედვა კი შვილიანი ქალის უფლებების ადვოკატირებაზე არ არის ორიენტირებული. შესაბამისად, აბორტის ამხელა მაჩვენებლის უკან არა მხოლოდ ყოფასთან დაკავშირებული, არამედ სხვა მრავალი ფაქტორიც მოქმედებს და ქალის გადაწყვეტილებას ბავშვის მოშორებასთან დაკავშირებით ხელს უწყობს.

საქართველოს შრომის კოდექსის VI თავის 27-ე მუხლის მიხედვით, დასაქმებულს უფლება აქვს, მოითხოვოს და ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო წელიწადში 477 კალენდარული დღის ოდენობით. საგულისხმოა, რომ კანონით გათვალისწინებული დღეებიდან ანაზღაურებადი მხოლოდ 126 კალენდარული დღეა. კანონის მიხედვით, მხოლოდ მშობიარობის გართულების ან ტყუპი შვილების ყოლის დროს, დასაქმებულს შეუძლია 140 კალენდარული და ანაზღაურებადი სამუშაო დღით ისარგებლოს. თავისთავად, დღეების მცირე რაოდენობა, რაც, შვილოსნობის შემთხვევაში, მშობელს მიეცემა ბავშვის მოვლისათვის, არ არის საკმარისი და ქალს უბიძგებს სხვა, ალტერნატიული დახმარების არქონის შემთხვევაში, უარი თქვას სამსახურზე.

ქალთა დასაქმებისათვის სათანადო პირობებზე საუბრისას, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ინსტიტუციებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაზე ყურადღების გამახვილებაც. გარდა იმ არასათანადო პირობების, ინფრასტრუქტურისა და გარემოსი, რომელიც სახელმწიფო საბავშვო ბაღებში არსებობს მთელ რესპუბლიკაში, საბავშვო ბაღების მწვავე ნაკლებობაა ყველა ქალაქსა და სოფელში. მხოლოდ თბილისში, 2013-14 წლებში, არასაკმარისი ადგილების გამო, სკოლამდელი განათლების მიღმა დაახლოებით 20 000 ბავშვი აღმოჩნდა²⁰. შესაბამისად, მცირეწლოვანი ბავშვის დედა იძულებულია, უარი თქვას

²⁰ *თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაცია, სტატიიდან "წელს ბაღის გარეშე დაახლოებით 20 ათასი ბავშვი დარჩება", ემა ტუხიაშვილი, კვირის პალიტრა, 29-07-2013, <http://www.kvirispalitra.ge/public/18109-qtsels-baghis-gareshe-daakhloebith-20-athasi-bavshvi-darcheba.html>*

მუშაობაზე არა მხოლოდ შვილოსნობის შემდგომ პერიოდში, არამედ ხანგრძლივი, რამდენიმეწლიანი პერიოდით.

თავისთავად, გენდერულ როლებზე საუბრისას, მნიშვნელოვანი არა მხოლოდ სოციოკულტურული სტატუსია, არამედ ის გარემო, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების პირობებს ქმნის ქალისა და მამაკაცებისათვის, რადგან ეკონომიკური საქმიანობა და მასთან დაკავშირებული შემოსავალი უდაოდ ახდენს გავლენას სოციუმის დამოკიდებულებებზე გენდერული როლების მიმართ, და ამასთან, განაპირობებს ინდივიდის თვითშეფასებას, მის პოზიციონირებას საზოგადოებრივ სივრცეში. შესაბამისად, აუცილებელი გენდერული განაწილება ამ ჭრილშიც იქნეს განხილული.


გარდა განათლებისა და განვითარების შესაძლებლობისა, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ, ეკონომიკური საქმიანობის ტიპზე, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ-საფეხურეობრივი ზრდის შესაძლებლობებზე, რაზეც, თავისთავად, საქმიანობისგან მიღებული შემოსავალიცაა მიბმული, მნიშვნელოვნად მოქმედებს სქესობრივი განსხვავების ფაქტორიც და სრულიად ცხადად აისახება არსებულ სტატისტიკაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაკვირვების თანახმად, 2014 წლისათვის საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 875,5 ლარია. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა კი, წინა წლებთან შედარებით, უცვლელია და საშუალოდ 600 000 ადამიანს შეადგენს. სტატისტიკის მიხედვით, ქალისა და მამაკაცის ხელფასებს შორის სხვაობა საკმაოდ ნათელია და, მიუხედავად პოლიტიკის დონეზე განხორციელებული გარკვეული პოზიტიური ნაბიჯებისა, ეს განსხვავება, რომელიც გენდერული ნიშნით არის განსაზღვრული, არ იცვლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე თვალნათლივ ჩანს, რომ საშუალო ხელფასის მაჩვენებელი გაზრდილია 2010 წლიდან 2012 წლამდე როგორც მამაკაცისათვის, ასევე ქალისათვის. თუმცა ამ წლების განმავლობაში განსხვავების ზღვარი

მამაკაცებისა და ქალების ხელფასებს შორის არამც თუ შემცირებულა, არამედ გაზრდილია. უფრო კონკრეტულად, 2010 წელს განსხვავება მამაკაცისა და ქალის საშუალო ხელფასს შორის შეადგენდა 318.2 ლარს, 2011 წელს ეს განსხვავება ოდნავ შემცირდა და 310.9 ლარი შეადგინა. 2012 წელს კი, განსხვავება 386.6 ლარს აღწევს. შესაბამისად, ნიშანდობლივია, რომ 2011-დან 2012 წლამდე მამაკაცთა საშუალო ხელფასი გაიზარდა 142.9 ლარით, ხოლო ქალების ხელფასი - 67.2 ლარით.

დიაგრამა 1: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების საშუალო მაჩვენებლით



რაც შეეხება 2013 და 2014 წლებს, თანაფარდობა მამაკაცისა და ქალის ხელფასებს შორის კვლავაც არ გვიჩვენებს პოზიტიური დინამიკას. წინასწარი მონაცემები, რომლებიც არსებობს, გვაჩვენებენ, რომ ხელფასებს შორის განსხვავება არა თუ მცირდება, არამედ კვლავ მატულობს. ქალებს, საშუალოდ, მამაკაცებზე 1.6-ჯერ და მეტჯერ ნაკლები ხელფასი აქვთ; დაქირავებით დასაქმებული მამაკაცის საშუალო თვიური ანაზღაურება 1 070 ლარამდეა, ხოლო ქალის კი 640 ლარი²¹.

რაც შეეხება 2013 და 2014 წლებს, თანაფარდობა მამაკაცისა და ქალის ხელფასებს შორის კვლავაც არ გვიჩვენებს პოზიტიური დინამიკას. წინასწარი მონაცემები, რომლებიც არსებობს, გვაჩვენებს, რომ ხელფასებს შორის განსხვავება არა თუ მცირდება, არამედ კვლავ მატულობს. ქალებს, საშუალოდ, მამაკაცებზე 1.6-ჯერ

²¹ რატომ შეადგენს ქალების ხელფასი მამაკაცების ხელფასის 60 პროცენტს და რატომ იკავებენ საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალები მამაკაცებზე მაღალ თანამდებობებს“, ნინო ხაჩიძე, **2014-04-07**, ინტერვიუ იოსებ არჩვაძესთან, http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=268440887&year=2014&rubr_id=1&jurn_id=14

და მეტჯერ ნაკლები ხელფასები აქვთ; დაქირავებით დასაქმებული მამაკაცის საშუალო თვიური ანაზღაურება 1 070 ლარამდეა, ხოლო ქალისა - 640 ლარი²².

რაც შეეხება სფეროების მიხედვით სახელფასო მაჩვენებლებს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულია საქმიანობის სქესობრივი ნიშნით მკაფიოდ გამოიჯნული სფეროები, ყველა სფეროში, ამ აღქმული როლების მიუხედავად, მამაკაცების ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ქალებისა. ქვემოთ წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მამაკაცისა და ქალის ხელფასებს შორის განსხვავებას წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში. ამასთან, კარგად იკვეთება ის სფეროები, რომლებიც მკვეთრად მასკულიზურია და სადაც ანაზღაურება სქესობრივი ნიშნით განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

ცხრილი 3: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

შემოსავლების გადანაწილება, ლარი	2010		2011		2012*		სხვაობა ხელფასებს შორის 2012 წელს
	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	
საფინანსო საქმიანობა	1 008.8	1 668.2	1120.1	1 762.4	1156.1	1771.6	615.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	507.7	634.3	552.7	731.2	749.8	988	238.2
სახელმწიფო მმართველობა	855.5	1 010.8	903.2	1 030.6	943	1054.3	111.3
განათლება	288.5	367.6	299.2	389.8	333.4	432.3	98.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	361.2	725.6	444.3	765.5	509.8	854	344.2
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	392.3	529.8	423.9	599.7	497.6	784.8	287.2
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეომეურნეობა, თევზჭერა და მეთევზეობა	285.1	282.8	333.5	399	446.4	602.3	155.9
სამთოთმომპოვებელი მრეწველობა	559.9	849.4	551.9	876.2	636.5	922	285.5
დამამუშავებელი მრეწველობა	373.2	577.2	392.7	629	467.7	758.2	290.5
წარმოება და განაწილება ელექტროენერგიის, აირის და წყლის	716	849.8	846.5	884.1	907.5	963.6	56.1
მშენებლობა	470	683.3	513.7	753.7	654.9	1063.5	408.6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი, მოხმარების საგნების რემონტი	439.3	699.7	402	662.8	471.2	835.9	364.7
სასტუმროები და რესტორნები	326.9	458.7	292.5	427.2	366.8	545.6	178.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	556.4	859.4	686.2	933.2	733.7	1067.9	334.2
სულ	426.6	742.8	460.2	771.1	527.4	914	386.6

²² იგივე წყარო http://www.tbilisebi.ge/?mas_id=268440887&year=2014&rubr_id=1&jurn_id=14

ერთი მხრივ, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ სახელფასო განსხვავება განპირობებულია სპეციფიკურ სფეროში ქალების განსაკუთრებული სიმცირითა და იმ ვერტიკალური სეგრეგაციით, რომელიც, მცირე რაოდენობით წარმოდგენილი ქალების შემთხვევაში, სრულიად ლოგიკურია. ასეთი სფეროებია, მაგალითად, სამთომომპოვებელი ან დამამუშავებელი მრეწველობა ან ნადირობა და თევზჭერა. თუმცა, რეალურად, სახელფასო გადანაწილების ზოგადი ტენდენციაა ის, რომ ნებისმიერ სფეროში, თუნდაც კომუნალურ, სოციალურ და პერსონალური მომსახურების გაწევის სფეროებში, სადაც ქალები ასევე დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, სახელფასო განსხვავება მკვეთრი და თვალსაჩინოა. რეალურად, ჰორიზონტალური სეგრეგაცია არა მხოლოდ სახელფასო მაჩვენებლით, არამედ თავად სფეროების ანაზღაურების საშუალო მაჩვენებლის დემონსტრირებისას არის თვალსაჩინო. დასაქმებულთა 79%, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სფეროში - ქალია. განათლების სექტორის 78% ასევე ქალია, მაშინ, როდესაც სამშენებლო სექტორში, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის 96%, საჯარო ადმინისტრაციის 74% მამაკაცია²³. თუ საშუალო სახელფასო ზღვარს შევხედავთ, აშკარაა, რომ ის სფეროები, როგორცაა ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და განათლება - მეტწილად საჯარო სექტორის ინსტიტუტებით არის წარმოდგენილი. ანაზღაურება კი სწორედ ამ სექტორებშია განსაკუთრებით დაბალი. ტრანსპორტის, ლოჯისტიკისა და მშენებლობის სექტორში მეტი კერძო ორგანიზაცია მუშაობს და საშუალო ანაზღაურებაც უფრო მაღალია. გარდა ამისა, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ზემოხსენებულ დაბალანაზღაურებად სფეროებში მუშაობისათვის უმაღლესი განათლებაა აუცილებელი. მაშინ, როდესაც კერძო სექტორის მაღალანაზღაურებადი სფეროები - მშენებლობა, ტრანსპორტირება და ა.შ დასაქმებულისაგან უმაღლეს განათლებას არ აყენებს ყველა შემთხვევაში და აუცილებელ წინაპირობად.

გენდერული როლების გადანაწილება, ასევე, უთანასწოროა შიდამეურნეობის ლიდერობის საკითხებშიც. საგულისხმოა ასევე, რომ თავად უთანასწორობის

²³ ნანი ბენდელიანი, პირიო ტურკი, მარიამ ამაშუკელი, ლილი ხეჩუაშვილი, კვლევის ანგარიში „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2014 თბილისი

ტენდენცია ადგილმდებარეობის მიხედვით არ იცვლება და ორივე - ურბანულ და სასოფლო დასახლებებში - მკვეთრად განსხვავებულია სქესობრივი ნიშნით. ასევე, ნიშანდობლივია, რომ წლიდან წლამდე უთანასწორობის დინამიკა პრაქტიკულად უცვლელია და დაახლოებით ერთნაირი პროცენტით არის მოცემული. მეორე მხრივ, განსხვავებულია ამ უთანასწორობის სიმკვეთრე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით და სოფლად მაცხოვრებლებს შორის შიდამეურნეობის ლიდერ ქალთა რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია ქალაქში მცხოვრებლებზე.

ცხრილი 4: განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად

	2009		2010		2011		2012	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
ქალი	38.8	30.9	37.5	30.3	38.2	31.6	37.7	30.6
კაცი	61.2	69.1	62.5	69.7	61.8	68.4	62.3	69.4

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, ტენდენცია იმისა, რომ საქართველოში შიდამეურნეობის უფროსად უმეტესად კაცი მოიაზრება, უცვლელი რჩება როგორც ქვეყნის დონეზე, ასევე ქალაქისა და სოფლის ქრისში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც, რომლებიც კარგად ვლინდება როგორც სამსახურეობრივი განვითარების, ასევე საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე. ამიტომაცაა, რომ აუცილებელია სქესთან შორის დასაქმების მაჩვენებლის განხილვა განათლების, დასაქმების სექტორის, სფეროების, განსხვავებულ სქესთა მიერ პოზიციებისა და ანაზღაურების პერსპექტივაში;

იმთავითვე უნდა აღინიშნოს იმ ვარაუდის შესახებაც, რომელიც ეკონომიკის ექსპერტებს გააჩნიათ დასაქმების მაჩვენებლებთან დაკავშირებით; მათი აზრით, დასაქმებულ ქალთა რაოდენობა რეალურად იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ამას სტატისტიკა გვიჩვენებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ქალთა დასაქმება არაფორმალურ შრომით ბაზარზე, რომელიც რეგისტრირებას სამსახურის დაწყების წინ არ

მოითხოვს, მაღალია. ამასთან, სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ ამგვარი ტენდენცია მართლაც არსებობს და მას ხელს უწყობს ქალის შრომითი და ეკონომიკური კმაყოფილებისათვის ნაკლები მოთხოვნები ან საკითხისადმი უფრო პრაქტიკული მიდგომა. სოციოლოგებისვე დასკვნით, სამსახურის პოვნა ან მისი შექმნა თითქმის ყველგან უფრო ძნელია ქალისთვის, ვიდრე კაცისთვის. იმისათვის, რომ ქალმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს, როგორც მუშა ძალამ, მას კაცთან შედარებით უფრო დიდი ბრძოლა და უფრო მეტი ფარული თუ ხილული დაბრკოლებების გადალახვა უწევს. სტატისტიკურად რთულია იმის დამტკიცება, რომ ქვეყანაში არსებულმა მძიმე ფინანსურმა სიტუაციამ უფრო მეტად აიძულა ქალები, სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართულიყვნენ. თუმცა, სოციოლოგების აზრით, სწორედ ქალებმა იტვირთეს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოთ ოჯახები საარსებო მინიმუმით. ქალები მამაკაცებზე გაცილებით მოქნილები აღმოჩნდნენ პროფესიის შეცვლის თვალსაზრისით და ნაკლებად ითაკილეს საკუთარი კვალიფიკაციისათვის შეუფერებელი საქმის კეთება. დღემდე ქალები უფრო ხშირად ასრულებენ არაკვალიფიციურ სამუშაოს, ვიდრე მამაკაცები. ამგვარი სამუშაო კი - სიგარეტებისა და ყვავილების გაყიდვა, საქონლის ექსპორტი, კვების პროდუქტების მომზადება და გაყიდვა, ბავშვების მომვლელებად და დამლაგებლებად მუშაობა, მცირე ბიზნესის წამოწყება და სხვა მრავალია.²⁴

კიდევ ერთი შემაშფოთებელი სტატისტიკა 2014 წლის კვლევას უკავშირდება, რომელიც მონობის საწინამდდეგო კამპანიის „Walk Free“ ფარგლებში ჩატარდა. კვლევაში გამოვლინდა, რომ დღეისათვის საქართველოში 16 100 ადამიანი ცხოვრობს მონურ პირობებში და ამ პირობებშიც კი არსებობს გენდერული როლების მიხედვით დაყოფა. კვლევის თანამხმად, საქართველოში თანამედროვე მონობის ორი ფორმა არსებობს, რომელიც ასევეა სქესობრივი ნიშნით მკვეთრად განსხვავებული. უფრო

²⁴ სამოქალაქო განათლება, 2007, გენდერი და საზოგადოება, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

კონკრეტულად კი ერთ-ერთი - ქვეყნის გარეთ ქალების სექსუალური ექსპლუატაცია²⁵.

შესაბამისად, აუცილებელია განვიხილოთ ის ტენდენციები, რომლებიც არა მხოლოდ ანაზღაურებას, არამედ დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს და კარიერული განვითარების თავისებურებებს უსვამს ხაზს.

ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება

სქესთაშორისი თანასწორობის საკითხებზე საუბრისას, თავისთავად, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრებას, მის ტიპს, სპეციფიკასა და მახასიათებლებს, ასევე დასაქმების მაჩვენებელს, რომელიც თავისთავში მოიცავს როგორც რიცხოვრივი ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს.

ქალთა და მამაკაცებს შორის თანასწორობას საქართველოში სახელმწიფოსთან ერთად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებიც არეგულირებს, ესენია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის დეკლარაცია, კონვენციები (# 100, 111, 156, 183, ასევე სტამბოლის კონვენცია) და რეკომენდაციები. ასევე, ევროკავშირის დირექტივები: ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებით; ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მოპყრობის შესახებ დასაქმების; პროფესიული ტრენინგისა და დაწინაურების ხელმისაწვდომობისა და თანაბარი სამუშაო პირობების საკითხებში; სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში მტკიცების ტვირთის შესახებ; ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის იმპლემენტაციის შესახებ; დეკრეტული შვებულების შესახებ; ფეხმძიმე, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესების შესახებ; შრომით ურთიერთობაში და პროფესიაში თანასწორი მოპყრობის შესახებ; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის შესახებ²⁶.

²⁵ კვლევა: მონობის გლობალური ინდექსი 2014, ვოლს ფრი ფაუნდეიშენ (Walk Free Foundation) http://d3mj66ag90b5fy.cloudfront.net/wp-content/uploads/2014/11/Global_Slavery_Index_2014_final_lowres.pdf

²⁶ სპეციალური ანგარიში შრომით ურთიერთობებში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ, ქსა საერთაშორისო კავკასიაში, 20 ოქტომბერი, 2014 თბილისი.

იმდენად, რამდენადაც საქართველოს პოლიტიკური კურსი დასავლეთისკენ სწრაფვაზეა ორიენტირებული და ევროკავშირთან ინტეგრაცია ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს, ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში ევროკავშირის 28 ქვეყნისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას საქართველოში არსებული სიტუაციის უკეთ გასააზრებლად. მოკლედ განვიხილავთ იმ სტატისტიკას, რომელიც ევროპის ქვეყნებში (EU-28) გამოვლინდა 2013 წელს; საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით, მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელი მკვეთრად მაღალია ქალებთან შედარებით ევროპის EU-28 ქვეყნებში. ყველაზე დიდი განსხვავება სქესთაშორის დასაქმების მაჩვენებლის თვალსაზრისით, მალტაშია და 27.1 ერთეულს შეადგენს. იტალიასა და საბერძნეთში განსხვავების მაჩვენებელი ასევე 20 ერთეულია. ამასთან, საგულისხმოა, რომ საბერძნეთში ქალთა დასაქმების მაჩვენებელია 100-დან 40.1%-ია და ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ევროპის ქვეყნებს შორის. ასევე, 50%-ზე ნაკლები ქალია დასაქმებული იტალიასა და ხორვატიაში. ამგვარი მონაცემების საპირწონედ, დასაქმების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ განსხვავდება სქესობრივი ნიშნით ლიტვაში, სადაც ქალთა დასაქმების პროცენტი 62.8%-ია და ის 1.9 ერთეულით ნაკლებია მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელზე. სქესთაშორისი განსხვავება დასაქმებაში ასევე ძალიან დაბალი პროცენტითაა გამოხატული ფინეთში (2.1 ერთეული), ლატვიაში (3.4 ერთეული), შვედეთში (3.8) და ნორვეგიაში (3.8 ერთეული). ევრო-კავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება სქესთა შორის დასაქმების თვალსაზრისით თურქეთშია დაფიქსირებული, სადაც ქალთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი 29.6% და თითქმის 40 პროცენტით ჩამორჩება მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელს. ასევე შედარებით დიდი განსხვავებაა სქესთა შორის დასაქმების კუთხით მაკედონიაში²⁷.

საქსტატის მონაცემებით, 2012 წელს ქალთა დასაქმება 47.4%-ს შეადგენდა, ხოლო მამაკაცებისა კი, შესაბამისად, 52.6%-ს. 2012 წელს, 2010 წელთან შედარებით,

²⁷ Eurostat (lfsi_emp_a)

ეკონომიკურად აქტიურ ქალთა რიცხი 4.4 პროცენტითაა გაზრდილი, ხოლო მამაკაცთა - 4.3 პროცენტით. დასაქმებული ქალების რაოდენობა 2012 წელს, 2010 წელთან შედარებით, 5.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კაცებისა კი - 6.5 პროცენტით.

ცხრილი 5: 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

		2010		2011		2012	
		ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) (ათასი)		907.9	1037.1	915.6	1043.6	947.7	1 081.4
დასაქმებული		776.7	851.4	795.3	868.9	816.9	907.2
დაქირავებული		300.2	318.3	297.9	334.1	303	359.6
თვითდასაქმებული		475.6	531.5	493.2	532.2	509.7	544.3
გაურკვეველი		0.8	1.6	4.3	2.5	4.2	3.2
უმუშევარი		131.2	185.6	120.3	174.8	130.8	174.2
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა		728.1	355.3	725.3	320.6	703.4	301.8
უმუშევრობის დონე (%)		14.5	17.9	13.1	16.7	13.8	16.1
აქტიურობის დონე (%)		55.5	74.5	55.8	76.5	57.4	78.2
დასაქმების დონე (%)		47.5	61.2	48.5	63.7	49.5	65.6

თუ საქართველოს მონაცემებს ევროპულს შევადარებთ, განსხვავება დასაქმებულ მამაკაცებსა და ქალებს შორის დიდი არაა და სულ 5.2%-ს შეადგენს. თუმცა, დასაქმების მაჩვენებლის ამგვარი გაანალიზება არასრულ სურათს წარმოადგენს არსებული სიტუაციის შესახებ. ზემოთ მოცემული ცხრილი კარგად აჩვენებს იმ განსხვავებას, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის გადანაწილების კუთხით. თუ დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით განსხვავება არ არის იმდენად თვალსაჩინო, აქტიურობის დონე მამაკაცებსა და ქალებს შორის მკვეთრად განსხვავებულია და 2012 წელს 20.8%-ით მეტი ქალია ეკონომიკურად არააქტიური. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში შედიან პენსიონერებიც, რომლებიც ქალთა შემთხვევაში ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის 15%-ს შეადგენს, ხოლო კაცები კი, მხოლოდ 7%-ს, ხოლო დიასახლისია ქალთა 16% და მამაკაცთა 0%, დასაქმებულთა და უმუშევართა შორის ეკონომიკურად აქტიურ მოქალაქეებს შორის

ბალანსი შემდეგნაირია: დასაქმებული ქალები 49%, მამაკაცები 66%, ხოლო მეორე მხრივ კი, უმუშევარია ქალთა 8% და მამაკაცთა 13%²⁸.


ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია უმუშევრობის სტატისტიკა 2009-2012 წლებში. სტატისტიკის მიხედვით, მამაკაცთა მეტი წილია უმუშევარი, ვიდრე ქალი. დასაქმებულთა, უმუშევართა და ეკონომიკურად აქტიური / არააქტიური მოსახლეობის გენდერულ ჭრილში განხილვა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. 2012 წელს ქალებში არააქტიურობის დონემ შეადგინა 42.6, ხოლო კაცებში -21.8 პროცენტი. ასე რომ, კაცებთან შედარებით, ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის დონე, ასევე - დასაქმების დონე.

ცხრილი 6: უმუშევრების განაწილება 2010-2012 წლებში სქესის მიხედვით

	2009		2010		2011		2012	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
უმუშევრები, სულ	141.9	193.7	131.2	185.6	120.3	174.8	130.8	174.2

თვისებრივი კვლევის შედეგების ფარგლებში, რომელიც კომპანია აი-სი-თი-მ ჩაატარა გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, რესპოდენტთა 67% აცხადებს,


რომ არ არის დასაქმებული, ამასთან დაუსაქმებელია ქალთა 75% და მამაკაცთა 59%.



სტატისტიკის სამსახურის მონაცემებშიც კარგად ჩანს, რომ წლიდან წლამდე ქალთა და მამაკაცთა აქტიურობის დონეებს შორის პროპორცია

²⁸ საქსტატის მონაცემები ბროშურიდან ქალი და მამაკაცი, 2013

ფაქტიურად არ იცვლება და მამაკაცთა აქტიურობა დაახლოებით 15%-ით მეტია მამაკაცთა აქტიურობაზე.



იგივე კვლევა ადასტურებს, რომ დაუსაქმებელ ქალთა 18% თვლის, რომ გაუჭირდებოდა საოჯახო საქმის შეთავსება მუშაობასთან. ასევე

დაიგრამა 3: უმუშევრობის დონე სქესობრივ ჯგუფში %

ნიშანდობლივია.

რომ

დაუსაქმებელთა დაახლოებით ნახევარი ეძებს სამსახურს, თუმცა სამსახურის მაძიებელ მამაკაცთა რიცხვი ასევე მკვეთრად აღემატება ქალებისას²⁹.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული დამოკიდებულებები ასევე ადასტურებს, რომ ის ფაქტი, რომ ქალთა დაუსაქმებლობის მაჩვენებელი ნაკლებია, არ ნიშნავს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჯგუფში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში უმუშევრობის დონე შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში პირიქით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 12.3 და 16.5 პროცენტი შეადგინა.

გარდა რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, საინტერესოა დასაქმებულთა სტატისტიკის ანალიზი მათი განათლების მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს ის განსხვავება, რაც, განათლების დონისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, ცვლის სქესთა შორის დასაქმების წილის დინამიკას. განათლების დაწყებით და საბაზისო საფეხურზე მამაკაცთა დასაქმება მკვეთრად აღემატება

²⁹ საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში, მომზადებულია ACT-ის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, 2013

ქალებისას, მაშინ, როდესაც საშუალო ზოგადი განათლებით დასაქმებულ ქალთა რაოდენობა მეტია. დაწყებით პროფესიულ-სახელობო საქმეში მამაკაცების დასაქმება ორჯერ და 2012 წელს კი თითქმის 3-ჯერ აღემატება ქალთა დასაქმებას. საშუალო პროფესიული განათლების საფეხურზე ქალთა დასაქმების წილი ოდნავ მეტია მამაკაცებისაზე. ასევე მკვეთრად აღემატება ქალთა დასაქმების წილი იმ შეთხვევაში, როდესაც განათლების დონე და საფეხური არ არის იდენტიფიცირებული. უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი კი მამაკაცთა შემთხვევაში მეტია.

ცხრილი 7: დასაქმებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით (ათასი)

	2010		2011		2012	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაწყებითი ან საბაზო განათლება	69.7	72.3	60.5	63	56.6	61.5
საშუალო ზოგადი	273.7	347.1	293.5	362.3	316.4	371.3
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	25.1	50	18.1	48.4	19	52.9
საშუალო პროფესიული	169.4	128.9	174.9	138.8	171.4	153.3
უმაღლესი	231.1	248.5	230.6	248	237.1	259.7
განათლების გარეშე/არაიდენტიფიცირებული	7.6	4.5	17.7	8.3	16.3	8.5
სულ	776.7	851.4	795.3	868.9	816.9	907.2

ეს ანალიზი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ კარგად აჩვენებს გარკვეულ კონტრასტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, განათლების მაჩვენებლების, ხოლო, მეორე მხრივ კი - დასაქმების გადანაწილების კუთხით არსებობს. სტატისტიკის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ ქალებისათვის დაწყებითი და საბაზისო განათლების რეგისტრირებული სამსახურის შოვნა უფრო რთულია. ასევე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი იმის შესახებ, რომ დაწყებითი პროფესიული სახელობო საქმიანობა მამაკაცებისათვის უფრო მეტად არის ხელმისაწვდომი და პერსპექტიული. თვალსაჩინოა, რომ განათლების ამ საფეხურზე ქალებისათვის დასაქმება სირთულეს წარმოადგენს, რაც, ერთი მხრივ, გენდერული განსხვავებებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავად სამუშაო ადგილების „მასკულიზური“ ბუნებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ნიშანდობლივია ის ფაქტი, საშუალო პროფესიული განათლების მქონე ქალთა დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცთა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი განათლება საქართველოში ქალების უფრო დიდ

ნაწილს აქვს, დასაქმების მაჩვენებელში მამაკაცთა დასაქმების წილი აქაც მეტია. სტატისტიკის ამგვარი გადანაწილება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ: მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უფრო დიდ ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, ვიდრე მამაკაცს, იმგვარ კვალიფიციურ სამსახურში დასაქმება, რომელიც უმაღლესი განათლების დიპლომს მოითხოვს და, შესაბამისად, მეტ ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული, უფრო რთულია ქალებისათვის. მეტადაა ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების კვალიფიკაციისათვის შესაბამისი სამსახურის შოვნა, მიუხედავად განათლების უფრო მაღალი დონისა. ცალსახაა, რომ დასაქმების ბაზრის გენდერული ნიშნით დაყოფის ტენდენციებზე რამდენიმე ფაქტორი ერთდროულად ახდენს გავლენას; ერთ-ერთი ფაქტორი უდავოდ არის მამაკაცისა და ქალის საქმიანობის სფეროებისა და პროფესიულ-კარიერული პოტენციალისადმი განსხვავებული საზოგადოებრივი დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულებების მიხედვით, ქალებისათვის უფრო შესაფერისი საოჯახო საქმიანობაა. მეტიც, დამოკიდებულებების კვლევა ადასტურებს, რომ ქალისადმი კარიერული ზრდის მოლოდინი ნაკლებია, იმდენად, რამდენადაც ოჯახზე ზრუნვის გამო, ქალმა შეიძლება კარიერას იმდენი ყურადღება ვერ მიაქციოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალისათვის ოჯახზე ზრუნვა უპირობოდ პირველ მოვალეობად არის მიჩნეული. გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ მოსახლეობის 74% თვლის ქალის მთავარ ფასეულობად მისი ოჯახის მდგომარეობას.³⁰

საინტერესო განსხვავებაა განათლების საფეხურისა და მუშაობის სტატისტიკის ურთიერთმიმართების კუთხით ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის; ევრო-სტატისტიკის მიხედვით, დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც 25-64 წლის ასაკის ადამიანების სტატისტიკას მოიცავს, ერთგვარი ტენდენციის მაჩვენებელია; ის პირები, რომლებსაც უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურის განათლება აქვთ დამთავრებული (მოკლედ, უმაღლესი განათლების კურსი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა ან მისი ეკვივალენტი), 2013 წელს 83.4% იყო

³⁰ გაეროს განვითარების ფონდი „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში.

დასაქმებული ევროკავშირში შემავალი ეგრეთ წოდებულ EU-28 ქვეყნის მასშტაბით. ეს მაჩვენებელი კი ბევრად მაღალია იმ პირების დასაქმების მაჩვენებელთან შედარებით (52.1%), რომელსაც დაწყებითი ან საბაზისო განათლება ჰქონდა მიღებული (primary or lower secondary education). ხოლო სრული საშუალო განათლების და პოსტ-საშუალო განათლების მქონე პირების დასაქმების მაჩვენებელი კი, რომლებსაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, ევროკავშირის 28 ქვეყანაში 72.7%-ია. ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 2008-2013 წლებში დაიწყო ევროპაში, ყველაზე დიდი დარტყმა დაწყებითი ან საბაზისო განათლების მქონე პირთა დასაქმებაზე იქონია, ხოლო მცირედად - უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმებას შეეხო. თუ ამ მონაცემებს საქართველოს სტატისტიკას დავუკავშირებთ, თვალსაჩინოა, რომ ქალებისათვის ერთი მხრივ სირთულეს წარმოადგენს უმაღლესი განათლების გარეშე სამსახურის შოვნა, ხოლო მეორე მხრივ კი -საშუალო პროფესიული განათლების კვალიფიკაციით უფრო ხელმისაწვდომია მათთვის სამსახური.

ამავე კვლევის მიხედვით დგინდება, რომ მოსახლეობის 50% იზიარებს მოსაზრებას მამაკაცი ხელმძღვანელის მეტი ეფექტიანობის შესახებ. ამასთან, თავად ქალების 65% თვლის, რომ მამაკაცები უკეთესი ხელმძღვანელები არიან. აბსოლუტურად ლოგიკურია ის დამოკიდებულებაც, რომელიც ხელმძღვანელი პოსტის მოპოვების შემთხვევაში მამაკაცის დიდ უპირატესობას აღიარებს. ამ პოსტულატს გამოკითხულთა 57% ეთანხმება.

ამგვარ სტატისტიკას ძალაუფლებურად დასაქმების ბაზარზე არსებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის უფრო სიღრმისეული განხილვის აუცილებლობამდე მივყავართ, რომელიც არა მხოლოდ საქმიანობის ტიპის, არამედ დასაქმების სექტორის ჭრილში უნდა იქნეს განხილული;

ქვემოთ მოცემულია დასაქმების მაჩვენებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორისათვის 2009-2012 წლებში, რომელიც საქსტატის მონაცემებს ეყრდნობა.

ცხრილი 8: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში

სექტორი	2009		2010		2011		2012 ³¹	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სახელმწიფო	346.7	696.3	375.5	721.0	409.3	774.2	456.6	833.8
არასახელმწიფო	482.0	685.9	502.2	761.0	509.5	769.4	588.9	962.5

ცხრილში კარგად ჩანს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, ისევე როგორც კერძო და არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება ქალებისას. მეტიც, თანაფარდობა მამაკაცებსა და ქალებს შორის სამთავრობო სტრუქტურაში მეტია. 2009 წელს მამაკაცთა 66.8% იყო დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურებში, ხოლო არასახელმწიფო სტრუქტურებში კი - 58.6%. 2012 წელს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა 64.6% მამაკაცია, არასახელმწიფოში კი, 62%.

განვიხილოთ უფრო დეტალურად დასაქმების ტენდენციები სექტორების მიხედვით. საჯარო ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, დღესდღეობით საჯარო დაწესებულებებში არსებული დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, საქართველოს 166 საჯარო დაწესებულების 74 532 თანამშრომლიდან უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები. მამაკაცთა რაოდენობა 52 679-ია (70.67%), ხოლო ქალთა რაოდენობა - 21 853 -ს შეადგენს (29.33%). ასეთი დისბალანსი განსხვავებულ სქესთა შორის გამოწვეულია ძალოვანი სტრუქტურების სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე მამაკაცთა უმრავლესობით, რომელიც თანხვედრაშია გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონთან“, რომელიც განმარტავს, რომ დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან.

ძალოვან უწყებებში დასაქმებულია სულ 39 637 პირი, რომელთაგან 34 171 (86.2%) მამაკაცია, ხოლო 5 466 (17.8%) ქალი. რაც შეეხება "არა ძალოვან" საჯარო

³¹ წინასწარი მონაცემები

დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლებს ამ შემთხვევაში დისბალანსი დასაქმებულ მამაკაცებსა და ქალებს შორის ნაკლებია და თუმცა დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა მაინც მეტია (18 508), ქალთა რაოდენობა 16 387-ს შეადგენს , რაც საერთო ჯამში დასაქმებულთა 46.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 9: საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა გენდერული გადანაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით, 2013

საჯარო დაწესებულების სახე	მამაკაცთა რაოდენობა	%	ქალთა რაოდენობა	%
სამინისტროების ცენტრალური და სახელმწიფო მინისტრების აპარატები	20199	78.6%	50504	21.4%
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	1451	43,5%	1885	56,5%
სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები	20 583	67.2%	10 061	32,8%
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	7938	48,3%	8487	51,7%
ადგილობრივი თვითმმართველობები (მერია,გამგეობა)	7038	67.5%	3383	32,5%
სხვა საჯარო დაწესებულებები	4859	62,6%	2905	37,4%
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	2066	44,1%	2624	55,9%

ცხრილში კარგად ჩანს ის ტენდენციები, რომლებიც, საჯარო ინსტიტუციის ტიპიდან გამომდინარე, დამახასიათებელია დასაქმებულთა გენდერული გადანაწილების თვალსაზრისით. თვალსაჩინოა, რომ ქალ მუშაკთა რაოდენობა მეტია სამინისტროს ცენტრალურ აპარატებსა და სახელმწიფო სამინისტროების აპარატებში, ასევე ქალთა რაოდენობა ოდნავ აღემატება მამაკაცთა რაოდენობას სსიპებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში. სამაგიეროდ, მამაკაცთა რაოდენობა მკვეთრად მაღალია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

იმავე ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 168 საჯარო დაწესებულებიდან, ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 9 250 პირი, რომელთაგან უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობაა - 7245 (78.3%), ხოლო ქალების - 2005 (21.7%). კვლავაც, თუ ძალოვანი სტრუქტურების სპეციფიკიდან გამომდინარე დისბალანსს გამოვრიცხავთ, სადაც ხელმძღვანელ პოზიციებზე მამაკაცთა რაოდენობა 92.6%-ს აღწევს, არაძალოვან საჯარო დაწესებულებებში პროპორცია ოდნავ უკეთ გამოიყურება და 4160 (70.3%)

მამაკაცს და 1758 (29.7%) ქალს მოიცავს.

რაც შეეხება კერძო სექტორს, აქ დასაქმებულთა რაოდენობრივი განსხვავება სქესობრივი ნიშნით ასევე განსხვავებულია საკუთრების ფორმის მიხედვით. მეტი თვალსაჩინოებისათვის მონაცემები მოცემულია როგორც რიცხობრივად, ასევე პროცენტული მაჩვენებლითაც. ცხრილში თვალსაჩინოა, რომ საერთო ჯამში დასაქმებული მამაკაცების რაოდენობა 1.5-ჯერ მეტია ქალთა რაოდენობაზე კერძო სექტორში. თუმცა, ამასთან, ადგილობრივ ბიზნესში ქალთა დასაქმება 10 ერთეულით ნაკლებია მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელზე. რაც შეეხება უცხოური წარმომავლობის ბიზნესს, აქ დისპროპორცია ძალიან მკვეთრია და მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებელი 42 ერთეულით მეტია ქალების დასაქმებაზე. მკვეთრია განსხვავება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორისაც და ის 30 ერთეულის სხვაობას აჩვენებს სქესთა შორის დასაქმების მაჩვენებლით.

ცხრილი 10: ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით, 2012

	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %
სულ	191.2	313.2	37.9%	62.1%
კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	144.9	212.7	40.5%	59.5%
კერძო უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი	24.8	60.6	29.0%	71.0%
სახელმწიფო	21.5	39.9	35.0%	65.0%

კერძო სტრუქტურაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება ქალებსა და მამაკაცებს შორის კიდევ უფრო მკვეთრად განსხვავებულია. კონკრეტულად კი, ქალების ხელფასი თითქმის 2-ჯერ ნაკლებია ადგილობრივ კერძო საწარმოებსა თუ ორგანიზაციებში. და თუ მამაკაცის შემთხვევაში საშუალო ხელფასი 827 ლარია, ქალის შემთხვევაში, საშუალო ხელფასი მხოლოდ 473.1 ლარს აღწევს.

ცხრილი 11: ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2012

	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %
სულ	523.4	915.8	36.4%	63.6%
კერძო ადგილობრ. ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	473.1	827.8	36.4%	63.6%
კერძო უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი	895.2	1289.1	41.0%	59.0%
სახელმწიფო	422	792.9	34.7%	65.3%

და ბოლოს, თუ პრობლემას კარიერული წინსვლისა და სამსახურეობრივი პოზიციის თვალსაზრისით განვიხილავთ, ისევ იმავე ტიპის უთანასწორობას ვაწყდებით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებშიც. ორივე შემთხვევაში მკაფიოდაა გამოსახული ის განსხვავება, რომელიც მაღალ პოზიციებზე სქესის მიხედვით გადანაწილებას, ასევე საკუთრების ფლობისა და ბიზნესის მოცულობას უკავშირდება. ორგანიზაცია „გრანტ ტორნტონის“ საერთაშორისო ბიზნეს ანგარიშში (IBR) „ქალები გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, გეგმები განვითარებისათვის“ აღნიშნულია, რომ მსოფლიო მასშტაბით, ქალთა 24% იკავებს მენეჯერულ პოზიციებს ბიზნეს სტრუქტურებში, საიდანაც ყველაზე მკვეთრი ზრდა ამ მიმართულებით ჩინეთში დაფიქსირდა. აქ 2013 წლის მონაცემით, რომელიც ქალთა მიერ წამყვანი პოზიციების 25%-ს აჩვენებდა, ერთ წელიწადში მაჩვენებელი 51%-მდე გაიზარდა. რეგიონული მაჩვენებლების მიხედვით, აზიაში ქალთა 32% იკავებს ლიდერულ პოზიციებს, ევროპაში კი - 25%-ს. ეს მაჩვენებელი ლათინურ ამერიკაში 23%-ია, ხოლო ჩრდილო ამერიკაში კი - 21%. კვლევა ჩატარდა კერძო სექტორის ოც დარგში და ოთხმოცი კომპანიის შედეგების მიხედვით, მენეჯერულ პოზიციებზე 2012 წლის მონაცემებით ქალთა 24%-ია წარმოდგენილი³², რაც წინა წელთან შედარებით 3%-იან ზრდას აჩვენებს. თუმცა, მეორე მხრივ, გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში კანონმდებლობის, მაღალი დონის ჩინოვნიკებისა და მენეჯერების 12.8%-ია ქალია³³.

ეროვნულ დონეზე საუბრისას, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ვერტიკალური სეგრეგაცია გამოვლინდა უშუალო ხელმძღვანელის მაჩვენებლის მიხედვით - გამოკითხულთა 65% მიუთითებს, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელი კაცია, ხოლო 31% მიუთითებს ქალს³⁴ და ეს მონაცემი დაახლოებულია გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსის მაჩვენებელს.

ამრიგად, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები ერთ რამეს ცხადყოფს: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად,

³² http://www.grantthornton.ie/db/Attachments/IBR2013_WiB_report_final.pdf

³³ ნანი ბენდელიანი, პირიო ტურკი, მარიამ ამაშუკელი, ლილი ხეჩუაშვილი, კვლევის ანგარიში „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2014 თბილისი

³⁴ იქვე

დასანერგად და დასაცავად ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკური მექანიზმები არსებობს, ისინი უფრო ფორმალური ინსტიტუციებისა და სამართლებრივი გარემოს შექმნას განაპირობებენ, ვიდრე არსებულ ვითარებაზე ახდენენ გავლენას.

ქალთა მიმართ ძალადობა

გენდერული უთანასწორობის უკიდურესი გამოვლენა ძალადობაა. საქართველოში ქალებზე ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა კი, ოჯახური ძალადობაა. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის 2010 წლის „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნულ კვლევის“ თანახმად, ქორწინებაში მყოფ ქალთა 9,1% (ყოველი მე-11 ქალი) აღიარებს, რომ გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან; 14% აღიარებს, რომ გამხდარა ემოციური ძალადობის მსხვერპლი; ქალთა 35% აღნიშნავს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმა ქცევის კონტროლის მიზნით, აქედან ქალთა 29%-ს არ აქვს უფლება ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ ოჯახთან, ქალთა 11,6%-ს სჭირდება ქმრის ნებართვა ექიმთან წასასვლელად; იმ ქალთა 2,7%-ს, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა ორსულობის პერიოდში³⁵.

შემაშფოთებელია ის სტატისტიკაც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არის მოცემული და 2007-2014 წლების მონაცემებს აერთიანებს. 1102 ძალადობის ფაქტიდან, 1014 შემთხვევაში მოძალადე მამაკაცია, ხოლო 1010 მსხვერპლი კი, ქალი ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფიზიკური (36%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (55%), ხოლო დანარჩენ ოჯახურ ძალადობებზე მთლიანად მოდის - 9%. იგივე სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლის სექტემბერთან შედარებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევები 92.3%-ით გაიზარდა. დეტალური სტატისტიკის მიხედვით, 2013 წლის სექტემბერში აღნიშნული

³⁵ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნულ კვლევა საქართველოში, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი, 2010

კატეგორიის დანაშაულის 26 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2014 წლის სექტემბერში - 50 ფაქტი. 2013-2014 წწ. (6 თვეში) ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით დევნა დაიწყო სსკ 11 პრიმა და 126 პრიმა მუხლებით 310 პირის მიმართ, საიდანაც 289 -მამაკაცი და 21 ქალი. მხოლოდ 2014 წელს ფენიციდის 22 შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც მოძალადეები ქალის მეუღლეებს, ყოფილ მეუღლეებს ან პარტნიორებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა შემაშფოთებელია, მკვლევარებისა და გენდერის სპეციალისტების აზრით, ის შორსაა ნამდვილი სტატისტიკისგან და ამ მოსაზრების გასამყარებლად საკმარისია კვლავ გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევის მონაცემები მოვიყვანოთ: ქალთა 78,3% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური პრობლემაა და მისი ოჯახს გარეთ გატანა დაუშვებელია, აქედან, ქალების 27,8% არავის უზიარებს ოჯახში ძალადობის პრობლემებს.

მოსაზრება, რომელიც ძალადობის ფაქტის დამალვას/არგამხელას მართებულად მიიჩნევს, საზოგადოების დამოკიდებულება ძალადობის ფაქტებსა და ქალთა უფლებების მიმართ ასევე მოქმედებს სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი ძალადობის ფაქტების შემთხვევაზეც და განაპირობებს სტატისტიკურ მონაცემთა არქონას, შესაბამისად, საუბარი იმაზე, რამდენად გავრცელებულია სამსახურეობრივი ძალადობის/შევიწროვების პრაქტიკა სქესობრივი ნიშნით საქართველოში და რა ტიპის ძალადობა შეიძლება არსებობდეს, რთულია.

დასკვნა

ამრიგად, გენდერული პოლიტიკა, რომელიც საკანონდებლო დოკუმენტაციაშია ასახული გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, გაუმჯობესებისაკენ მიმართულად, პროგრესულად უნდა შეფასდეს. თუმცა, პოლიტიკის განხორციელებისა და დანერგვის ეტაპზე მკაფიოდ ჩანს ის გამოწვევები, რომლებიც ამ კუთხით არსებობს სახელმწიფოს ცხოვრების ყველა მიმართულებით.

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შეზღუდულობა, საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებებით და მოლოდინებით, სტერეოტიპული გენდერული სოციალიზაციით უნდა იყოს გამოწვეული, რომელიც არსებული კვლევების მიხედვით, ყველაზე მკაფიოდ სასკოლო განათლების პერიოდში ყალიბდება.

თავი 4: განათლების კონტექსტი, განათლება და სქესთაშორისი გადანაწილება

შესავალი

საქართველოში არსებული კანონდებლობა ქალების მიმართ არ არის დისკრიმინაციული და ამგვარი დამოკიდებულება განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობასაც გულისხმობს. მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო საერთაშორისო კონვენციებისა და დეკლარაციების ხელმძღვრე ქვეყანაა გენდერული თანასწორობის გარანტიის თვალსაზრისით, ის ვალდებულებას იღებს შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, სადაც ხაზგასმულია თანასწორი მოპყრობისათვის აუცილებელ წინაპირობად „განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.“ ამავე კანონში აღნიშნულია, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებს შორის „ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე“ მიიჩნევა. (თავი II. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები, მუხლი 4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები, პუნქტი 2ბ) ამავე თავში მე-7 მუხლი დათმობილი აქვს „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო

გარანტიებს განათლებისა და მეცნიერების სფეროებში“, სადაც მოცემულია გარანტირები განათლების ყველა საფეხურის, პროფესიისა და სპეციალობის თანაბარ ხელმისაწვდომობის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში თანასწორი ჩართულობის უზრუნველყოფისათვის, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. ამ კანონის არსებობა თავისთავად იძლევა გარანტიას, თუმცა არა წაახალისებს თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას განათლების ყველა საფეხურზე და განათლების შედეგად პროფესიისა და სპეციალიზაციის თანასწორ ფლობას.

ამ თავში მიმოვიხილავთ სქესთაშორისი და გენდერული გადანაწილების მონაცემებსა და სტატისტიკას ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებისათვის. უფრო კონკრეტულად კი, მომდევნო ქვეთავში მიმოვიხილავთ სქესთაშორის რაოდენობრივ გადანაწილებასა და ტენდენციებს მოსწავლეებსა და სტუდენტებში სწავლის სამივე საფეხურზე. შემდეგ შევხებით მოსწავლეთა გადანაწილებას აღქმულ გენდერულ როლებთან მიმართებაში. ბოლოს კი, განვიხილავთ პედაგოგთა გადანაწილებას სასწავლო ინსტიტუტებში სქესის, სწავლების საფეხურისა და ტიპის მიხედვით.

მოსწავლეთა და სტუდენტების გადანაწილება საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სქესის მიხედვით - ზოგადი განათლების საფეხური

განათლების საინფორმაციო მართვის სისტემების ცენტრის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 554378 მოსწავლე სწავლობს, საიდანაც 501091 საჯარო, ხოლო 53287 კი კერძო სკოლაშია. აქედან საჯარო სკოლაშია 262814 ბიჭი, რაც საერთო რაოდენობის რაოდენობის 52.4%-ს შეადგენს, ხოლო კერძო სკოლაში, კი, ბიჭები საერთო რაოდენობის 55.8%-ით არიან წარმოდგენილი. 2010 წლიდან 2014-15 წლებში პროპორცია ბიჭებსა და გოგონებს შორის არც საჯარო და არც კერძო სკოლებში მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი. შეცვლილია მოსწავლეების საერთო რაოდენობა წლების მიხედვით. თუ 2010-2011 წლებში საჯარო სკოლებში სულ 542367

ფიქსირდება, და ეს რაოდენობა თანდათან იკლებს. 2014-2015 წლებში საჯარო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა 501091 მოსწავლეა. განსხვავებული სიტუაციაა კერძო სკოლებში, სადაც მოსწავლეების რაოდენობა 2010-11 წლიდან იკლებს და 2014-15 წლებში კი ყველაზე დიდი რაოდენობით მოსწავლეები ფიქსირდება.

ცხრილი 12: გოგონებისა და ბიჭების გადანაწილება საჯარო და კერძო სკოლებში 2010-2015 წლებში

2010-11		2011-12		2012-13		2013-14		2014-15	
საჯარო სკოლა									
ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები
282462	259905	270140	246598	264633	242026	262713	239237	262814	238277
52.1%	47.9%	52.3%	47.7%	52.2%	47.8%	52.3%	47.7%	52.4%	47.6%
542367		516738		506659		501950		501091	
კერძო სკოლა									
ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები
29397	23630	28866	22882	29291	23465	28443	22623	29737	23550
55.4%	44.6%	55.8%	44.2%	55.5%	44.5%	55.7%	44.3%	55.8%	44.2%
53027		51748		52756		51066		53287	


წყარო: განათლების მართვის ინფორმაციის სისტემა

ეს მონაცემები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საჯარო სკოლებში მოსწავლეების რიცხოვნების შემცირება შეიძლება დემოგრაფიული ზრდა-კლებისა და იმიგრაციის დინამიკიდან გამომდინარეობდეს. თუმცა, მეორე მხრივ, კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის მატება მოსახლეობის შვილის განათლებაში ინვესტიციის განხორციელების სურვილის ზრდით და, შესაბამისად, ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობის გაუმჯობესებით შეიძლება იყოს განპიროვნებული. ამ ფონზე, ის პროპორცია, რომელიც გოგონებსა და ბიჭებს შორის განსხვავებულია საჯარო და კერძო სკოლებში სავარაუდოდ მიაწინებს იმაზე, რომ საქართველოში მშობლები უფრო მეტად ცდილობენ ინვესტიციის განხორციელებას ვაჟის განათლებაში, ვიდრე ქალიშვილის. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა მოსახლეობის კვლევის შედეგები³⁶, რომლის მიხედვითაც ეს განათლების უფლებაზე საუბრისას საზოგადოებრივი მოსაზრება უფრო მეტად თანასწორი უფლებებისკენ

³⁶ საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში, მომზადებულია ACT-ის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, 2013

იხრება. გამოკითხულთა 72% თვლის, რომ „საუნივერსიტეტო განათლება არ არის უფრო მნიშვნელოვანია ბიჭისთვის, ვიდრე გოგოსთვის, 26% კი მიაჩნია, რომ მამაკაცს უფრო მეტად სჭირდება უმაღლესი განათლება. მეორე მხრივ, როდესაც კითხვა ოჯახი ქალიშვილისა და ვაჟის ყოლისა და ერთის უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლებლობის შემთხვევაში არჩევანის გაკეთებას შეეხება, ვაჟის განათლებას პრიორიტეტულად თვლის გამოკითხულთა 44%, ხოლო ქალიშვილისას კი, 22%. ამგვარი დამოკიდებულება, სავარაუდოდ, ეფუძნება საზოგადოებრივ მოსაზრებას, რომ მამაკაცი ოჯახის მარჩენალია და, შესაბამისად, მის განათლებასაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დიაგრამა 4: საზოგადოებრივი აზრის გადანაწილება უმაღლესი განათლების გადასახადის პრიორიტეტების შესახებ სქესის მიხედვით



წყარო: დიაგრამა გადმოღებულია კვლევის ანგარიშის „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ მიერ.


რაც შეეხება საშუალო განათლებას, იმავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობა არ აკეთებს სქესობრივ დიფერენცირებას სრული საშუალო განათლების მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით. 79% თვლის, რომ საშუალო განათლება ისევე სჭირდება გოგოს, როგორც ბიჭს და მხოლოდ 20%-ის აზრითაა საშუალო განათლება უფრო მნიშვნელოვანი.³⁷ თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი აზრი მამაკაცის უმაღლესი განათლების პრიორიტეტულობას აჩვენებს, კერძო სკოლაში ბიჭების მეტი მაჩვენებელი უმაღლესისათვის მოსამზადებელ ნაბიჯად, ანუ, ვაჟისათვის უკეთესი განათლების მიღების მეტი სურვილით შეიძლება ავსხნათ.

ამ ფონზე საინტერესოა სკოლის მიტოვების მაჩვენებლების განხილვა სქესობრივ ჭრილში და კლასების მიხედვით დინამიკაში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების მონაცემების მიხედვით, სკოლის მიტოვების მაჩვენებელი უფრო მაღალია ბიჭებს შორის. ამასთან საჯარო და კერძო სკოლებში სკოლის მიტოვების მაჩვენებლის სქესობრივი გადანაწილება პრაქტიკულად ერთნაირ დინამიკას აჩვენებს და განსხვავება სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. უფრო კონკრეტულად, კერძო სკოლაში ბიჭების მიტოვების მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე საჯაროში. ორივე ტიპის სკოლაში 2010-2011 წლიდან გოგონების მიტოვების მაჩვენებლის წილი მატულობს (3.9%-ით საჯარო და 4.6%-ით კერძო სკოლებში) 2012-2013 წლებში, ხოლო

³⁷ Ibid

2013-2014 წელს კი, ისევ უმნიშვნელოდ (0.6% საჯარო და 0.9% კერძო სკოლებში) იზრდება ბიჭების სკოლის მიტოვების მაჩვენებელი გოგონების მიტოვების მაჩვენებლის კლების პროპორციულად.

დიაგრამა 5-6: სკოლის მიტოვების საერთო მაჩვენებლის განაწილება საჯარო და კერძო სკოლებში სქესის მიხედვით



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

განათლების სამინისტრო ვერ აზუსტებს სკოლის მიტოვების მიზეზს, ფაქტორებს და/ან მოტივატორებს, რომლებიც მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვებას განაპირობებს. შესაბამისად, რთულია სკოლის მიტოვების მიზეზების დიფერენციაცია მოსწავლის მიერ სწავლის სრულად მიტოვებისა და პროფესიულ განათლებაში შესვლასთან დაკავშირებითაც. ჩვენ მხოლოდ საშუალება გვძლევს ხელთ არსებული სტატუსტიკური მონაცემების შედარების საფუძველზე მოვახდინოთ ვარაუდები, რამდენად განსხვავდება რაოდენობრივად ბიჭებსა და გოგონებში სკოლის მიტოვების მიზეზები და არის თუ არა გოგონების შემთხვევაში მეტი ალბათობა იმისა, რომ სკოლის მიტოვება დაკავშირებულია სწავლის სრულ მიტოვებასთან. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვამდევს სკოლის მიტოვების მაჩვენებლის რიცხოვნობრივ და პროცენტულ გადანაწილებას კლასების მიხედვით.

მოსწავლეთა მიერ კლასის რიცხოვრები მაჩვენებელი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს, რა რაოდენობის მოსწავლეების გადინებაზეა საუბარი და რამდენად შენარჩუნებულია სკოლის მიტოვების დინამიკა თითოეულ სქესთან მიმართებით კლასისა და სწავლის საფეხურის მიხედვით. ცხრილში მკაფიოდ ჩანს, რომ პრაქტიკულად ყველა კლასსა და სწავლების საფეხურზე, გარდა პირველ-მეორე კლასებისა, და ისიც გარკვეულ წლებში, ბიჭების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი უფრო მაღალია.

ცხრილი 13: სკოლის მიტოვების რიცხოვრები მაჩვენებელი საჯარო სკოლაში 2011-14 წლებში კლასების მიხედვით.

სასწავლო წელი		1 კლასი	2 კლასი	3 კლასი	4 კლასი	5 კლასი	6 კლასი	7 კლასი	8 კლასი	9 კლასი	10 კლასი	11 კლასი	12 კლასი	მიტოვების მაჩვენებელი სულ 2011-2012	
2011-12	გოგო	50	67	48	42	59	62	67	111	2166	1107	991	323	5093	38.6%
	ბიჭი	50	65	59	54	69	71	104	139	3801	1810	1420	446	8088	61.4%
	სულ	100	132	107	96	128	133	171	250	5967	2917	2411	769	13181	
მიტოვების მაჩვენებელი სულ 2012-2013															
2012-13	გოგო	89	136	131	99	121	121	152	457	860	1317	1167	640	5290	42.5%
	ბიჭი	88	147	134	137	143	167	183	702	1490	2024	1239	699	7153	57.5%
	სულ	177	283	265	236	264	288	335	1159	2350	3341	2406	1339	12443	
მიტოვების მაჩვენებელი სულ 2013-2014															
2013-14	გოგო	115	123	127	117	129	115	157	251	1139	1854	960	636	5723	41.9%
	ბიჭი	115	111	142	125	157	183	230	257	1950	3104	1004	558	7936	58.1%
	სულ	230	234	269	242	286	298	387	508	3089	4958	1964	1194	13659	

წყარო: განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

თუ იგივე მონაცემებს განვიხილავთ თითოეული სქესის მიერ სკოლის მიტოვების სრულის მაჩვენებლის პროცენტული გადანაწილებით კლასის მიხედვით, საინტერესო სურათს მივიღებთ; გოგონების სკოლის მიტოვების მაჩვენებელი მე-5-დან მერვე კლასებში და შემდგომ, მე-11 და მე-12 კლასებში პროცენტულად ბიჭების მიტოვების მაჩვენებელს უტოლდება ან უფრო მაღალია. საბაზისო საფეხურის დასრულების შემდეგ (მე-9 კლასი), ბიჭების მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობა აგრძელებს სწავლას პროფესიულ სასწავლებლებში, რაც რაოდენობრივ და პროცენტულ მაჩვენებლებში ერთნაირად მკაფიოდ არის გამოხატული და ეს

მონაცემები ქვემოთ მე-14 ცხრილში არის ასახული. უნდა გავითვალისწინოთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემები, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე (მე-9 კლასამდე) განათლების მიღება 7 367-მა გოგონამ შეწყვიტა³⁸. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემთხვევებში სტატისტიკურად დაზუსტებული მონაცემები გოგონათა ქორწინებაზე არ არსებობს, არსებობს ვარაუდი, რომ განათლების სისტემიდან ბავშვთა გადინებას ძირითადად ადრეული ქორწინება განაპირობებს. ამ ვარაუდს სახალხო დამცველიც ეთანხმება.

ცხრილი 14: სკოლის მიტოვების პროცენტული მაჩვენებელი საჯარო სკოლაში 2011-14 წლებში სქესთა მაჩვენებლის პროცენტული გადანაწილებით კლასების მიხედვით.

სასწავლო წელი	სქესი	1 კლასი	2 კლასი	3 კლასი	4 კლასი	5 კლასი	6 კლასი	7 კლასი	8 კლასი	9 კლასი	10 კლასი	11 კლასი	12 კლასი	მიტოვების მაჩვენებელი სულ
2011-12	გოგო	1.0%	1.3%	0.9%	0.8%	1.2%	1.2%	1.3%	2.2%	42.5%	21.7%	19.5%	6.3%	38.60%
	ბიჭი	0.6%	0.8%	0.7%	0.7%	0.9%	0.9%	1.3%	1.7%	47.0%	22.4%	17.6%	5.5%	61.40%
	სულ	0.8%	1.0%	0.8%	0.7%	1.0%	1.0%	1.3%	1.9%	45.3%	22.1%	18.3%	5.8%	13181
მიტოვების მაჩვენებელი სულ 2012-2013														
2012-13	გოგო	1.7%	2.6%	2.5%	1.9%	2.3%	2.3%	2.9%	8.6%	16.3%	24.9%	22.1%	12.1%	42.50%
	ბიჭი	1.2%	2.1%	1.9%	1.9%	2.0%	2.3%	2.6%	9.8%	20.8%	28.3%	17.3%	9.8%	57.50%
	სულ	1.4%	2.3%	2.1%	1.9%	2.1%	2.3%	2.7%	9.3%	18.9%	26.9%	19.3%	10.8%	12443
მიტოვების მაჩვენებელი სულ 2013-2014														
2013-14	გოგო	2.0%	2.1%	2.2%	2.0%	2.3%	2.0%	2.7%	4.4%	19.9%	32.4%	16.8%	11.1%	41.90%
	ბიჭი	1.4%	1.4%	1.8%	1.6%	2.0%	2.3%	2.9%	3.2%	24.6%	39.1%	12.7%	7.0%	58.10%
	სულ	1.7%	1.7%	2.0%	1.8%	2.1%	2.2%	2.8%	3.7%	22.6%	36.3%	14.4%	8.7%	13659

³⁸ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, სტატიიდან „ადრეულ ასაკში იძულებით და გარიგებით ქორწინების ფაქტები სახალხო დამცველის ანგარიშში“, ქალთა უფლებები, მიშა ფარესიშვილი, 31.03.2014, <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29862/>

პროფესიული განათლების საფეხური და სქესთაშორისი გადანაწილება

საქსტატის მონაცემებით, სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში 2011-12 წლებში 199 გოგონა და 299 ბიჭი სწავლობდა. 2012-2013 წლებში კი - 2282 გოგონა და 3526 ბიჭი. მთლიანად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ და კურსდამთავრებულ სტუდენტთა რიცხოვნობა 2013 წელს ქვემოთ ცხრილში არის მოცემული:

ცხრილი 15: მოსწავლეების გადანაწილება კერძო და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სქესისა და ასაკის მიხედვით.


საგანმანათლებლო რაოდენობა	დაწესებულებების საჯარო	ჩარიცხული რიცხოვნობა	სტუდენტების			კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	
			კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
კერძო	საჯარო	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
75	29	10035	11010	21045	5181	5609	10790
		47.7%	52.3%		48.0%	52.0%	51.3%
ასაკის მიხედვით							
<15		10	13	23	2	-	2
15-17		1463	2964	4427	677	1643	2320
18-20		4731	4109	8840	2401	2063	4464
21-23		1822	1731	3553	1227	862	2089
24-26		570	633	1203	259	292	551
27-29		394	377	771	138	153	291
30-32		247	264	511	124	122	246
33-35		219	191	410	89	96	185
>35		579	728	1307	264	378	642
სულ		10035	11010	21045	5181	5609	10790

წყარო: განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2013

თუ სკოლის მიტოვების მაჩვენებლებს მე-9 - მე-12 კლასებში და პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მაჩვენებელს 15-17 წლის ასაკის სტუდენტებს შორის შევადარებთ სქესობრივ ჭრილში, დავინახავთ, რომ იმ გოგონათა 37% პროცენტი აგრძელებს სწავლას პროფესიული განათლების დაწესებულებაში, რომლებიც მე-9 - მე-11 კლასებში სკოლას მიატოვებენ, ხოლო ბიჭების შემთხვევაში კი - სკოლამიტოვებული მოსწავლეების 48.9% მიდის პროფესიულ სასწავლებელში. ამგვარი სტატისტიკური გამოთვლა არ არის ზუსტი, რადგან ჩვენ არ გვაქვს მონაცემი იმასთან დაკავშირებით, გააგრძელა თუ არა სწავლა მოსწავლემ პირდაპირ სკოლის მიტოვებასთან ერთად პროფესიულ სასწავლებელში, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიულ სასწავლებელში შესვლის ეს ასაკობრივი კატეგორია შეზღუდულია

და სტუდენტთა მიერ სწავლის დაწყების მხოლოდ 2 წლის ამპლიტუდის საშუალებას იძლევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სქესთა შორის პროფესიული განათლების დაწყების დინამიკა საგრძნობლად არ უნდა განსხვავდებოდეს ნავარაუდევიდან.

დიაგრამა 7: სკოლის მიტოვებისა და პროფესიულ განათლებაში შესვლის დინამიკა სქესობრივ ჭრილში



მეორე მხრივ, სკოლის მიტოვების მაჩვენებლებიდან და პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ჩარიცხვის ცხრილებიდან კარგად ჩანს, 15 წლამდე ასაკის ჩარიცხვისა და დამთავრებული მოსწავლეების რაოდენობა პროფესიულ ინსტიტუტებში ძალიან მცირეა. 15-17 წლის ასაკის მოზარდების ჩარიცხვის რაოდენობა კი, ბიჭების შემთხვევაში, 2-ჯერ მეტია გოგონების რაოდენობაზე. შესაბამისად, სკოლის მიტოვების ის ნიშნული, როდესაც გოგონების მიტოვების მაჩვენებელი ბიჭებისას უტოლდება, არ გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გოგონების უფრო მეტი რაოდენობა საბაზო საფეხურის დასრულებამდე პროფესიული განათლების მიღებაში ებმება.

უმაღლესი განათლების საფეხური და სტუდენტთა გადანაწილება სქესის მიხედვით

განათლების უმაღლეს საფეხურზე სტუდენტ გოგონათა რაოდენობა ასევე მეტია და საერთო რაოდენობის დაახლოებით 55%-ს შეადგენს 2011-14 წლებში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია სტუდენტთა საერთო გადანაწილება ოთხი წლის ჭრილში, სადაც თვალსაჩინოა, რომ თანაფარდობა გოგონებსა და ბიჭებს შორის

მნიშვნელოვნად არ იცვლება, თუმცა, გოგონების თანაფარდობა ოდნავ კლებისკენაა წასული 2013-14 და 2014-15 წლებში.

ცხრილი 16: სტუდენტთა საერთო გადანაწილება 2011-2015 წლებში სქესის მიხედვით

2011/2012			2012/2013			2013-2014			2014-2015 ³⁹		
ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
53079	42031		61256	48277		64747	52963		12177	14101	
		95110			109533			117710			26278
55.80%	44.20%		55.90%	44.10%		55.00%	45.00%		53.66%	46.34%	

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014

ამ ფონზე საინტერესოა უმაღლესი განათლების საფეხურებს შორის სტუდენტების გადანაწილებაც. მეტი თვალსაჩინოებისათვის, მონაცემები პროცენტულადაა გადანაწილებული.

ცხრილი 17: სტუდენტთა გადანაწილება საფეხურების მიხედვით 2011-2014 წლებში სქესის მიხედვით

სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი			მაგისტრატურა			პროფესიული		
წელი	2011/12	2012/13	2013/14	2011/12	2012/13	2013/14	2011/12	2012/13	2013/14
ქალები სახელმწიფო	56.90%	57.00%	53.60%	58.90%	55.00%	51.90%	44.60%	43.00%	45.10%
ბიჭები სახელმწიფო	43.10%	43.00%	46.40%	41.10%	45.00%	48.10%	55.40%	57.00%	54.90%
ქალები კერძო	51.80%	54.90%	55.20%	59.40%	53.60%	55.60%	45.90%	39.80%	42.80%
ბიჭები კერძო	48.20%	45.10%	44.80%	40.60%	46.40%	44.40%	54.10%	60.20%	57.20%

განათლების უმაღლეს საფეხურზე გოგონები ყველა წელს კვლავ მეტი რაოდენობით (პროცენტული მაჩვენებლით) არიან წარმოდგენილნი როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურზე. ამასთან, 2011-2012 წლებში მაგისტრატურაზე გოგონათა რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში სრული რაოდენობის თითქმის 59% პროცენტს შეადგენს. ამავე წელს, კერძო უნივერსიტეტებში გოგონათა რაოდენობა მაგისტრატურაში თითქმის 60%-ს შეადგენს. თუ თავად საფეხურებს შორის გადანაწილებასაც შევხედავთ, დავინახავთ,

³⁹ პირველადი ჩარიცხვები მოწოდებული გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრის მიერ

რომ ბაკალავრიატსა და სამაგისტრო საფეხურებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ გოგონების დაახლოებით იმავე რაოდენობას აქვს მოტივაცია და წვდომა უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურზე, რამდენსაც საბაკალავროზე. რაც შეეხება პროფესიულ უმაღლეს განათლებას, აქ ბიჭების რაოდენობა აღემატება გოგონებისას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბიჭების უფრო დიდი ნაწილია მოტივირებული, რომ მოემზადოს პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პროფესიული განათლება მამაკაცებს ქალებზე მარტივად აძლევს საშუალებას, დასაქმდეს მომავალში.

ცხრილი 18: სტუდენტთა საშუალო სქესის მიხედვით გადანაწილება სსწავლის საფეხურის მიხედვით საჯარო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში % საშუალოდ სამი წლის ჭრილში

საშუალო გადანაწილება სამი წლის ჭრილში	გოგონები საშუალო ბაკალავრიატის საფეხურზე	გოგონები მაგისტრატურის საფეხურზე	გოგონები პროფესიული განათლების პროგრამებზე
საჯარო საგანმ. დაწესებულებები გოგონები	55.8%	55.3%	44.2%
კერძო საგანმ. დაწესებულებები გოგონები	54.0%	56.2%	42.8%
საჯარო საგანმ. დაწესებულებები ბიჭები	44.2%	44.7%	55.8%
კერძო საგანმ. დაწესებულებები ბიჭები	46.0%	43.8%	57.2%

ცხრილში, რომელიც განათლების საფეხურებზე სტუდენტების სამი წლის საშუალო გადანაწილებას გვთავაზობს სქესობრივ ჭრილში, კიდევ უფრო ცხადად ჩანს ის განსხვავება, რომელიც განათლების საფეხურის მიხედვით იკვეთება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებში.

უმაღლესი განათლების ბოლო საფეხურზე გოგონების რაოდენობა ასევე მეტია ბიჭების რაოდენობაზე და 2011 წელს სრული რაოდენობის 58.5%, ხოლო 2012-13 წლებში კი - 55% და 55.5%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი გადანაწილება პროგრამებს მიხედვით დოქტორანტურის საფეხურზე მკვეთრად

განსხვავებულია, ქალები მაინც მეტად არიან წარმოდგენილნი უმაღლესი განათლების ბოლო საფეხურზე.

ცხრილი 19: საქართველოში დოქტორანტთა გადანაწილება 2011-2013 წლებში

დოქტორანტთა რაოდენობა	2011					2012					2013				
	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %	სულ	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %	სულ	ქალი	კაცი	ქალი %	კაცი %	სულ
სულ	2494	1772	58.5%	41.5%	4266	1673	1367	55.0%	45.0%	3040	1784	1429	55.5%	44.5%	3213

შედარებისათვის: ევროკავშირის ქვეყნებში მამაკაცები მკვლევრის კვალიფიკაციით მთლიანი რაოდენობის 60%-ს შეადგენენ. აქედან, ლატვიაზე ქალ-მკვლევართა ყველაზე მაღალი წილობრივი მაჩვენებელი მოდის და რეალურად, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქალები რაოდენობით უსწრებენ მამაკაცებს.⁴⁰

ქვემოთ მოცემულია დოქტორის ხარისხის ფლობის სტატისტიკური მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნებისათვის სქესის მიხედვით:

ცხრილი 20: 2008 წლისათვის დოქტორის ხარისხის მქონე პირთა სქესობრივი გადანაწილება ევროსტატის მიხედვით

	მამაკაცი	ქალი
ბელგია	64.8	35.2
დანია	62.4	37.6
გერმანია	64.4	35.6
ესპანეთი	55.5	44.5
ლატვია	45.8	54.2
ლიტვა	53.0	47.0
უნგრეთი	68.4	31.6
მალტა	73.1	26.9
ჰოლანდია	68.7	31.3
სლოვენია	59.1	40.9
ფინეთი	55.1	44.9
შვეიცარია	67.4	32.6
აშშ	61.1	38.9
საქართველო	36.4	63.56

⁴⁰ ევრო-სტატისტიკა, Data from the CDH 2009 voluntary data collection, published in June 2012. Most recent data: Further Eurostat information, Main tables and Database.

ცალსახაა, რომ საქართველოში დოქტორანტ ქალთა რიცხვი მკვეთრად მაღალია ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან. ისევ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალებისათვის განათლების უმაღლესი საფეხური ბევრად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პრესტიჟული სამსახური იშოვოს, ვიდრე მამაკაცებისათვის. იმდენად, რამდენადაც უმაღლესი განათლების ბოლო საფეხური - დოქტორანტურა მას აკადემიური საქმიანობის გზას უხსნის, ლოგიკურად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში კადრების დიდ ნაწილს ქალები უნდა წარმოადგენდნენ. თუმცა, ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც პროფესორ-მასწავლებელთა სტატისტიკას გვაჩვენებს, ნათლად იკვეთება ვერტიკალური სეგრეგაციის არსებობა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებშიც; ძირითადი პერსონალის გადანაწილება სქესის მიხედვით ქალების ოდნავი რაოდენობრივი უპირატესობით ხასიათდება. თუმცა, თუ აკადემიური პერსონალის აკადემიური თანამდებობების მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მამაკაც სრულ პროფესორთა რაოდენობა 2-ჯერ აღემატება ქალებისას. ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და მასწავლებელი კი, ქალების მეტი რაოდენობით ხასიათდება. ამასთან, უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობიდან დაბლისკენ ხაზი ქალთა რაოდენობის მატებით ხასიათდება.

ცხრილი 21 პროფესორ მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

1012/2013												
	სულ		სრული პროფესორი		ასოცირებული		ასისტენტ-პროფესორი		მასწავლებელი		სხვა	
ძირითადი პერსონალი	6287		1515		2652		1284		538		298	
ქალი	3154	50.2%	476	31.4%	1406	53.0%	741	57.7%	335	62.3%	196	65.8%
კაცი	3133	49.8%	1039	68.6%	1246	47.0%	543	42.3%	203	37.7%	102	34.2%
ხელშეკრულ ებით	8466		376		470		91		3449		4080	
ქალი	5240	61.9%	149	39.6%	231	49.1%	46	50.5%	2204	63.9%	2610	64.0%
კაცი	3226	38.1%	227	60.4%	239	50.9%	45	49.5%	1245	36.1%	1470	36.0%

რაც შეეხება ხელშეკრულებით დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს, ქალების საერთო რაოდენობა მკვეთრად მეტია მამაკაცებისაზე. თუმცა, რეალურად ამგვარი გადანაწილება ქალი მასწავლებლების დიდი რაოდენობით არის განპირობებული. აქაც - ძირითადი პერსონალი - მასწავლებლების მსგავსად, ქალ მასწავლებლების რაოდენობა 27%-ით მეტია მამაკაცების რაოდენობაზე. მამაკაც სრულ პროფესორთა რაოდენობა ბევრად მეტია ქალების რაოდენობაზე. ასოცირებული პროფესორების რაოდენობა ხელშეკრულებით დასაქმებულთა შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მამაკაცთა უმნიშვნელო უპირატესობით. ხოლო ასისტენტი პროფესორი ქალები კი უმნიშვნელოდ მეტნი არიან მამაკაცებზე. საერთო ჯამში, შეგვიძლია ვივიარაუდოთ, რომ მიუხედავად დოქტორის ხარისხის მაძიებელთა და მქონე ქალთა რაოდენობრივი უპირატესობისა, უმაღლეს აკადემიურ საფეხურზე მუშაობა მათთვის უფრო რთულად მისაღწევია, ვიდრე მამაკაცებისათვის.

მოსწავლეთა და სტუდენტთა გადანაწილება დარგებისა და სფეროების მიხედვით

გარდა განათლების პროცესში ჩართულ პირთა ზოგადი რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, საინტერესოა ასევე იმ ინდიკატორების განხილვაც, რომლებიც მოწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ზომავენ სხვადასხვა საგანში და შედეგების განხილვის საშუალებას იძლევიან სქესობრივ ჭრილში. ამგვარი ინდიკატორებიდან / შედეგებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო კვლევებში მონაწილე მოსწავლეების შედეგების ანალიზი სქესის მიხედვით, რაც მკაფიოდ აჩვენებს მოსწავლეთა სქესის მიხედვით გადანაწილების შედეგებსა და ტენდენციებს და, ამასთან, მაღალი სანდოობა აქვთ. გარდა თავად შედეგების ანალიზისა, რომელიც სქესის მიხედვით განხვავებულია, საერთაშორისო შეფასება საშუალებას იძლევა, შედეგები სქესობრივ ჭრილსა და ასაკობრივ დინამიკაში ერთდროულად დავინახოთ და ვიმსჯელოთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც შეიძლება მოსწავლეების შედეგებზე მოქმედებდნენ.

ამასთან, შეიძლება გამოითქვას ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ძლიერ როლს თამაშობს სკოლა მოზარდების სოციალიზაციის პროცესზე და რამდენად ახდენს გავლენას პროფესიის, სამომავლო საქმიანობის სფეროს არჩევანზე როგორც არა მხოლოდ საგანმანათლებლო ინსტიტუცია, არამედ - როგორც სოციალური აგენტი. ამგვარი შეფასებები იძლევა იმის განცდას, რომ აუცილებელია სტერეოტიპული, განსხვავებულ სქესთან ასოცირებული უნარების, მიდრეკილებების მიკუთვნების რეალური საფუძვლების მოძიება და ანალიზი, რის მიხედვითაც საზოგადოება დარგებს, დისციპლინებს, პროფესიებს, მიმართულებებს და მეტიც - პოზიციურ გადანაწილებას სპეციფიკურად სქესის მიხედვით მიჰწავს.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS), რომელიც საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ ხორციელდება ციკლურად, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, საქართველო 2006 წლიდან მონაწილეობს. კვლევის მაზანია იყო მე-4 კლასის მოსწავლეებში კითხვის უნარების შეფასება. კითხვის უნარების შეფასება კი გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვის შემდეგ მისი გაგება-გააზრებისა და წაკითხული ინფორმაციის შესაბამისად გამოყენების უნარების შეფასებას. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგების ანალიზი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი ქვეყნის მიღებული შედეგების გაანალიზება მრავალ ჭრილში ხდება, ხოლო მისი ციკლურობა კი მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, საკუთარ განათლების სისტემაში არსებული და მიმდინარე მოვლენები შეაფასოს დინამიკაში, ხოლო, მეორე მხრივ კი, გაანალიზონ სხვა ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტი. საერთაშორისო კვლევაში მოსწავლეთა მიღწევები სქესის მიხედვითაც არის გაანალიზებული. აღსანიშნავია, რომ PIRLS 2011-ში, ისევე, როგორც 2006 წელს, გოგონებმა ბიჭებზე მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აჩვენეს თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. საგულისხმოა, რომ გოგონების შედეგები უკეთესია როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტექსტების გააზრების

კომპონენტში. მეტიც, განსხვავება ორივე ტიპის ტექსტის გააზრებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევაში (TIMSS), რომელშიც საქართველო 2007-ში წლიდანაა ჩართული, გოგონებისა და ბიჭების მიღწევებს შორის მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა როგორც მე-4, ასევე მე-8 კლასში. გოგონებმა ბუნებასთან დაკავშირებული დავალებები უკეთ ამოხსნეს. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2011 წელს. გოგონებმა TIMSS-ის ორივე ციკლში (2007, 2011) ბიჭებზე მაღალი შედეგები აჩვენეს ბუნების შინაარსობრივ სფეროებში. 2011 წელს სტატისტიკურად არსებითი უპირატესობა აქვთ გოგონებს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში. როგორც მეოთხეკლასელ, ასევე მერვეკლასელ გოგონებს სამივე კოგნიტურ სფეროში (ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა) უკეთესი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ბიჭებს. ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ცოდნისა და მსჯელობის სფეროებში.

რაც შეეხება მათემატიკას, მე-4 კლასში გოგონებმა უკეთ შეასრულეს გეომეტრიული და მონაცემთა გამოსახვის დავალებები. რიცხვით ოპერაციებთან დაკავშირებულ დავალებებში კი ბიჭებმა უკეთ შეასრულეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საერთაშორისო მონაცემთა მიხედვით, მე-8 კლასშიც გეომეტრიისა და მონაცემთა გამოსახვაში გოგონები უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ხოლო რიცხვობრივ ოპერაციებში კი, ბიჭები ტესტურ დავალებებს უკეთ ასრულებენ. საქართველოს შემთხვევაში კი, იგივე ტენდენცია არ დაფიქსირებულა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებისა და ბიჭების შედეგებს შორის არც ერთ კომპონენტში არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება კოგნიტურ სფეროებს - მე-4 კლასში გოგონებს და ბიჭებს თითქმის თანაბარი შედეგები აქვთ (ცოდნა: გოგონები – 492, ბიჭები – 492; გამოყენება: გოგონები – 488, ბიჭები – 489, მსჯელობა: გოგონები – 487, ბიჭები – 489). თუმცა, კოგნიტური სფეროების მიხედვით მეოთხეკლასელ გოგონებს სამივე კოგნიტურ


სფეროში (ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა) აქვთ უკეთესი მაჩვენებელი, ვიდრე ბიჭებს. ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითი მხოლოდ გამოყენების სფეროშია (გოგონები 452 (3.3), ბიჭები 421 (4.3)). მე-8 კლასში, საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, გოგონების მონაცემი აღემატება ბიჭებისას ცოდნის (გოგონები – 471, ბიჭები – 464) და მსჯელობის (გოგონები – 466, ბიჭები – 463) კომპონენტების მიხედვით. საქართველოში გოგონებს ცოდნის კომპონენტში მცირედ უკეთესი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე ბიჭებს, გამოყენების კომპონენტში კი ბიჭების მაჩვენებელი უფრო მაღალია. რაც შეეხება მსჯელობას, აქ სქესის მიხედვით არანაირი სხვაობა არ აღინიშნება.

ეს მონაცემები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ პარალელები და ურთიერთკავშირები მოსწავლეების სქესის მიხედვით მიღწევებსა და მათ მიერ არჩეულ პროფესიებს შორის. პროფესიის არჩევანის გაკეთების ტენდენციები ყველაზე ნათლად ჩანს აბიტურიენტთა მიერ პროგრამების არჩევის და ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნის სქესის მიხედვით გადანაწილების ანალიზისას.

2013 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე ჩარიცხულ პირველკურსელთა 24% მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, მაშინ, როდესაც ტექნიკურ მიმართულებებზე ჩარიცხულთა 67%-ს ვაჟები წარმოადგენენ⁴¹. ის, რომ ამგვარი გადანაწილება არ არის შემთხვევითი, კარგად არის გამოსახული გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ მონაცემებში პირთა რაოდენობის შესახებ, ვინც სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა დარგებისა და სქესის მიხედვით 2014 წელს.

⁴¹ თამთა თვალავაძე, ტექნიკური მიმართულება - ბიჭებს, ჰუმანიტარული - გოგონებს, 21.11.2013, <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17371&lang=geo>


დიაგრამა 8: სტუდენტთა გადანაწილება 2014 წლის გამოცდების შედეგად დარგების მიხედვით



სტუდენტებს შორის გენდერული როლების გადანაწილების ტენდენცია თვალსაჩინოა პროგრამების არჩევის შეთხვევაშიც. ის სოციალური ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს გენდერული როლების გადანაწილებისა და ფუნქციების შესახებ, აქტუალურია განათლების უმაღლეს საფეხურზე.

არჩევითი საგნების გადანაწილება ეროვნულ მისაღებ გამოცდაზე ასევეა სქესის მიხედვით დიფერენცირებული. დიაგრამაში, რომელიც გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზეა შედგენილი, საგნების გადანაწილება სქესთა შორის რიგ საგნებში არ არის მეტ-ნაკლებად თანაბარი. ლიტერატურას 80%-მეტი გოგონა ირჩევს, ფიზიკას კი - ბიჭი. ასევე, ძალიან არათანაბრად არის არჩეული მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია და ხელოვნება.

დიაგრამა 9: არჩევითი საგნის გადანაწილება 2014 წლის მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე სქესის მიხედვით



ამრიგად, „მამაკაცური“ და „ქალური“ სფეროები და დისციპლინები, რომლებიც ნაკლებადაა დამოკიდებული სკოლაში მოსწავლეების სქესის მიხედვით მოსწრებაზე, განათლების უმაღლეს საფეხურზე უფრო მკვეთრი ხდება და ყოველ საფეხურზეა წარმოჩენილი - ბაკალავრიატიდან დოქტორანტურის ჩათვლით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, სადაც წარმოდგენილია დოქტორანტების გადანაწილება, ასევე თვალსაჩინოა ის დიფერენციაცია, რომელიც სქესის მიხედვით არსებობს პროგრამების არჩევისას.

ცხრილი 22: დოქტორანტების გადანაწილება 2011-2013 წლებში პროგრამების მიხედვით

	2011					2012					2013				
პროგრამა	ქალი	კაცი	ქალი%	კაცი %	სულ	ქალი	კაცი	ქალი%	კაცი %	სულ	ქალი	კაცი	ქალი%	კაცი %	სულ
განათლება	106	29	78.5%	21.5%	135	152	83	64.7%	35.3%	235	95	69	58%	42%	164
ჰუმანიტარული მეცნიერებანი და ხელოვნება	585	171	77.4%	22.6%	756	426	208	67.2%	32.8%	634	397	173	70%	30%	570
სოციალური მეცნიერებანი, ბიზნესი და სამართალი	1124	972	53.6%	46.4%	2096	468	451	50.9%	49.1%	919	717	587	55%	45%	1304
მეცნიერება	328	236	58.2%	41.8%	564	313	294	51.6%	48.4%	607	242	266	48%	52%	508
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	138	247	35.8%	64.2%	385	116	228	33.7%	66.3%	344	118	220	35%	65%	338
სოფლის მეურნეობა	40	25	61.5%	38.5%	65	3	2	60.0%	40.0%	5	6	9	40%	60%	15
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	125	43	74.4%	25.6%	168	158	54	74.5%	25.5%	212	188	67	74%	26%	255
მომსახურება	48	49	49.5%	50.5%	97	37	47	44.0%	56.0%	84	21	38	36%	64%	59

ცხრილში კარგად არის წარმოჩენილი, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებასა და ხელოვნების, ისევე როგორც ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე ქალი დოქტორანტები 70 პროცენტზე მეტს შეადგენენ. განათლების მიმართულებით კი გადანაწილების დინამიკა იცვლება და თუ 2011 წელს ამ მიმართულებით დოქტორანტთა დაახლოებით 80%-ს ქალები შეადგენდნენ, 2013 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 58%-ია. ასევე, მკვეთრია განსხვავება დამამუშავებელი და სამშენებლო, ასევე სოფლის მეურნეობის შინაარსის პროგრამებთან დაკავშირებით, სადაც მეტწილად მამაკაცები არიან დოქტორანტები.

პედაგოგთა გადანაწილება საგანმანათლებლო ინსტიტუციების სხვადასხვა საფეხურზე


თუ ვისაუბრებთ იმაზე, რომ სკოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური აგენტია მოსწავლის სოციალიზაციის პროცესისათვის, თავისთავად საინტერესოა მასწავლებლების გადანაწილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სქესის მიხედვით. რეალურად, ის ფაქტი, რომ მოსწავლეები ძირითადად მასწავლებლის როლში ქალს ხედავენ, ხოლო იმ გამოწვევის შემთხვევაში ხვდებათ მასწავლებელი პედაგოგი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ საგნებს ასწავლის მათ დაწყებითიდან საშუალო საფეხურის ჩათვლით, ქვეცნობიერად აყალიბებს მოსწავლეებში სტერეოტიპს გენდერული როლების გადანაწილებისა და ფუნქციების შესახებ.

2013-2014 წლის მონაცემებით, საქართველოს სკოლებში 67152 მასწავლებელია დასაქმებული, საიდანაც დაახლოებით 84% ქალია და დარჩენილი 16% კი - მამაკაცი. თუმცა, საშუალო განათლების დაწყებით, საბაზისო და საშუალო საფეხურებს შორის, მასწავლებლების რაოდენობა არ არის ერთგვაროვნად გადანაწილებული და მამაკაც მასწავლებელთა წილი პედაგოგთა საერთო რაოდენობაში საბაზისო და საშუალო განათლების საფეხურზე მატულობს. აქვე უნდა აღიშნოს ისიც, რომ მასწავლებლების

ნაწილი შეიძლება ასწავლიდეს რამდენიმე საგანს და/ან ასწავლიდეს სხვადასხვა საფეხურზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია პედაგოგების შეფარდება სქესის მიხედვით სწავლების თითოეულ საფეხურზე 2014-15 სასწავლო წლისათვის და, ასევე, საშუალო მაჩვენებელი ყველა საფეხურისათვის.

დიაგრამა 10: მასწავლებლების პროპორციული გადანაწილება საშუალო განათლების საფეხურებზე სქესის მიხედვით



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დიაგრამაზე სრულიად მკაფიოდ ჩანს ის განსხვავება სქესთაშორის გადანაწილებაზე, რომელიც დაწყებითიდან საშუალო საფეხურამდეა მოცემული. დაწყებითსა და საბაზისო საფეხურებს შორის მასწავლებლებს შორის თანაშეფარდება 9.5-ით მცირდება და ქალ მასწავლებელთა რაოდენობა 91.5%-დან 82%-ზე ჩამოდის. საბაზისოდან საშუალო საფეხურზე, მამაკაც მასწავლებელთა რაოდენობა ასევე იზრდება 2.8%-ით და ქალი მასწავლებლები 79.2%-ით არის წარმოდგენილები. შესაბამისად, დაწყებითიდან საშუალო საფეხურამდე მამაკაც პედაგოგთა რაოდენობა 12.7%-ით იზრდება. ეს ფაქტი თავისთავად შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი მხრივ საგნების რაოდენობის ზრდით განათლების ყოველ მომდევნო საფეხურზე და ასევე სქესთაშორის პროფესიების გადანაწილების ტენდენციით, რომელიც მკვეთრ დიფერენცირებას აკეთებს „ქალურ“ და „მამაკაცურ“ სპეციალობებს შორის. თუმცა, რეალურად, თუ თითოეულ საფეხურზე მასწავლებლების გადანაწილების სტატისტიკას შევხედავთ, მარტივად შევნიშნავთ, რომ ერთი და იგივე საგანს, მაგალითად, მათემატიკას ან ინფორმატიკას დაწყებით საფეხურზე უფრო მეტი ქალი მასწავლებელი ასწავლის, ვიდრე საბაზისო ან საშუალოზე. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც გამოსახულია იმ საგნებს შორის გადანაწილება, სადაც მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობა შედარებით მაღალია, ამავდროულად, დაწყებით

საფეხურზე მამაკაც პედაგოგთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია ამ საგნების სწავლებისას, ვიდრე ქალი მასწავლებლებისა.

ცხრილი 23: მასწავლებლების გადამწილვა საშუალო განათლების სამივე საფეხურზე იმ საგნებში, სადაც მამაკაცი პედაგოგების პროპორცია იცვლება საფეხურიდან საფეხურზე

საგანი	დაწყებითი		საბაზისო		საშუალო	
	ქალი %	კაცი %	ქალი %	კაცი %	ქალი %	კაცი %
მათემატიკა	93.8%	6.2%	80.6%	19.4%	80.4%	19.6%
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	87.2%	12.8%	61.7%	38.3%	77.0%	23.0%
სპორტი	74.6%	25.4%	20.6%	79.4%	20.6%	79.4%
ჩვენი საქართველო (V-VI კლასი/ისტორია/სამოქალაქო განათლება	79.0%	21.0%	75.8%	24.2%	77.3%	22.7%
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება			67.0%	33.0%	64.5%	35.5%

წყარო: განათლების მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა

შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სკოლებში ქალი მასწავლებლების წილი მკვეთრად მაღალია მამაკაცებთან შედარებით, ისინი სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე არიან მეტად კონცენტრირებულები. იქიდან გამომდინარე, რომ უმაღლესი განათლების სქესთაშორისი გადამწილვების სტატისტიკა არ გვამღევეს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ამგვარი გადამწილვა გამომდინარეობს პედაგოგის სპეციალობაზე მაგისტრატურადამთავრებული მამაკაცების უფრო მაღალი მაჩვენებლით ან მათი საგნობრივი ცოდნა და კომპეტენციები დამტკიცებულია, რომ უფრო მაღალია... მაგალითად სერტიფიცირების გამოცდების შედეგებით (2014 წლის სტატისტიკური მონაცემები სერტიფიცირებულ მასწავლებელთა გადამწილვაზე ორ სქესს შორის) აჩვენებს, რომ სულ სერტიფიცირებულია მამაკაც პედაგოგთა 4.5% და ქალთა 95.5%. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მამაკაცი მასწავლებლების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელია და, შესაბამისად, სერტიფიცირების გამოცდაზე გასვლის შანსი არ ჰქონია, მაინც უნდა გამოითქვას ვარაუდი, რომ პედაგოგთა საფეხურებს შორის სქესობრივი გადამწილვა ერთგვარი ვერტიკალური სეგრეგაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც უკეთეს ანაზღაურებას უკავშირდება. მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებული დომინანტი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით,

რომ ქალებს უფრო შესწევთ უნარი, სახლის გარეთ ბავშვებთან იმუშაონ, რაც საზოგადოების გამოკითხვიდან, თვისებრივი კვლევებიდან ნათლად ვლინდება, განაპირობებს დაწყებით საფეხურზე მათს უფრო ინტენსიურ გადანაწილებას. მოსწავლეთა აზრითაც, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს/ბავშვებს უფრო სჭირდებათ დედასთან ასოცირებული ყურადღება.

ზოგადსაგანმანათლებლო განათლებაში ვერტიკალურ სეგრეგაციაზე მიანიშნებს სკოლის ადმინისტრაციაში მამაკაცთა და ქალთა გადანაწილების მაჩვენებელიც. შემთხვევით შერჩევის პრინციპით ორი რეგიონის სკოლების შემთხვევაში დგინდება, რომ ხაშურის რაიონის 34 სკოლიდან 18 ქალია დირექტორი (52.9%), 16 კი - მამაკაცი, აქედან ერთი ქალი დირექტორი მოვალეობის შემსრულებელია. ჭიათურის რაიონში 45 სკოლიდან 26-ის დირექტორია ქალი (57.7%), ხოლო 19-ისა კი - მამაკაცი. იმ პროცენტული გადანაწილების ფონზე, რომელიც პედაგოგებს შორის არსებობს სქესობრივი ნიშნით, ცხადია, სკოლის დირექტორთა ამგვარი გადანაწილება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისეთ „ფემინურ“ სფეროშიც კი, როგორც განათლება და უფრო კონკრეტულად კი - საშუალო განათლება, ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია თვალსაჩინოდ არის წარმოადგენილი.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი განათლების სფეროში არსებული ვითარების შესწავლა და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენაა, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ სქესთაშორისი თანასწორობის საკითხები სახელმწიფო ცხოვრების სამი ფართო დომეინის - პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივიდან მიმოგვეხილა. ამასთან, აუცილებლად მივიჩნიეთ საკითხების გაანალიზება არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისითაც, რადგან კვლევის ინტერესს არ წარმოადგენს მხოლოდ იმის გარკვევა, რამდენად თანაბარია მამაკაცთა და ქალთა რეპრეზენტატულობა პოლიტიკურ-სოციალური სფეროების სხვადასხვა მიმართულებებში, არამედ იმის

დადგენაც, რამდენად თანასწორი არიან მოქალაქეები მათი სქესობრივი განსხვავების მიუხედავად. კიდევ ერთი არგუმენტი, რაც აუცილებელს ხდის გენდერული თანასწორობის განხილვას სხვადასხვა ჭრილში ისაა, რომ რეალურად ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება და მისი შემადგენელი სფეროები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული და ურთიერთზეგავლენას ახდენს იმ კონკრეტული სიტუაციის წარმოშობისა და დამკვიდრებისათვის, რომელიც დღესდღეობით არის გამოვლენილი სქესთაშორისი თანასწორობის კუთხით.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკა, და დოკუმენტაციაში ასახული ვალდებულებები ნაკლებად მგრძნობიარეა გენდერული საკითხების მიმართ, ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებები, სტრატეგიული მიმართულებები და მოქმედების არეალი, არ შეიძლება იყოს ქალთა თანასწორობაზე უფრო მეტად ფოკუსირებული, ვიდრე ეს კვლევაში განხილულ მონაცემებშია დაფიქსირებული. შესაბამისად, განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ზოგადი კონტექსტი, რომელშიც განათლების პოლიტიკა ყალიბდება.

მეორე მხრივ, სწორედ ამ ფონზე ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა განათლების სფეროში გენდერული მგრძნობელობის კუთხით არსებული სიტუაციის დეტალურ შესწავლას, ანალიზსა და მისი განვითარებასათვის გზების დასახვას, რათა ამ პრინციპებზე არზრდილი საზოგადოება დაუდგეს სათავეში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დამკვიდრებასა და გატარებას სახელმწიფოში.

თავი 5: განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების მიმოხილვა გენდერულ ჭრილში.

თავში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული მთავარი მიგნებები

განათლების საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტაციის განხილვა აჩვენებს, რომ, საერთო ჯამში, განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტები არ არის გენდერულად დისკრიმინაციული და არ წაახალისებს სქესთაშორის უთანასწორობას განათლებაში. მიუხედავად ამისა, დოკუმენტების უმრავლესობა არ არის სათანადოდ სენსიტიური გენდერის, როგორც თანასწორობისა და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი განათლების, მნიშვნელოვანი ასპექტის აღიარებისათვის. შესაბამისად, საკანონმდებლო და მარეგულირებელი სფერო განათლებაში ვერ უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის, როგორც თანაბარი შესაძლებლობების, უზრუნველყოფის უპირველესი პირობის მკაფიოდ და ცალსახად წარმოჩენას.

კანონებისა და ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ განათლების მარეგულირებელი ძირითადი სახელმწიფო დოკუმენტები არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, ისინი მოკლებულნი არიან გენდერულ სენსიტიურობას, არ უსვამენ ხაზს თანასწორობის პრინციპებს და არ წარმოადგენენ ქმედითუნარიან ხედვებსა და მექანიზმებს გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დამკვიდრებისათვის.

თავში მოყვანილია კონკრეტული ამონარიდები განათლების საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტებიდან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გამოხატავენ დოკუმენტის დამოკიდებულებას სქესთაშორისი თანასწორობისა და გენდერული მგრძნობელობის მიმართ. შესაბამისად, ის დოკუმენტები, რომლებიც

არაპირდაპირ მოიცავენ გენდერულ საკითხებს, გაანალიზებულია გამოხატულებისა და მკაფიოობის კუთხითაც.

საქართველოს კონსტიტუცია (1995) უზრუნველყოფს განათლების უფლებას ყველა მოქალაქისათვის, შესაბამისად, ის თანაბრად იცავს ორივე სქესის წარმომადგენელს, „მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა“.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ:

კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლში 9 ასევეა აღნიშნული ყველასათვის განათლების მიღების უფლება (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005).

მუხლი 3. „ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები“ განსაზღვრავს:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ზოგადი განათლების სახელმწიფო მიზნები (2004) განსაზღვრავს, იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელსაც საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მთლიანობაში უნდა ემსახურობდეს. დოკუმენტში ვკითხულობთ:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზანია ისეთი მოქალაქის აღზრდა, რომელიც იქნება „კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს

უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

თავისთავად ცხადია, რომ მიზანი, რომელიც ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტს და პიროვნების პატივისცემის უნარის განვითარებას გულისხმობს, ორივე სქესის წარმომადგენელთათვის ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს და ეს მიზანი ერთნაირად ძალმოსილია.

მიუხედავად ამისა, კანონის არც ერთი მუხლი და არც ერთი პუნქტი არ აკონკრეტებს სქესთა შორის თანასწორობის პრინციპების მნიშვნელობას ზოგადი განათლების საფეხურზე.

კანონის მე-13 მუხლის. „ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა“ მე-6. პუნქტში ნათქვამია:

„სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწეობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“.

მუხლში არ ჩანს, რომ სკოლა ვალდებულია იღებს, მრავალფეროვანი იდენტობის კვალდაკვალ, იგივე პრინციპები სქესობრივი თავისებურებების გათვალისწინებითაც დაიცვას და მოსწავლეებისათვის შექმნას შესაბამისი გარემო.

მეორე მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებებში გაწერილია,

ა) მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;...

...რაც თავის თავში ასევე მოიცავს სქესთაშორისი თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებასაც.

მუხლში 47. „მოსწავლეთა თვითმმართველობა“ ვკითხულობთ:

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველოს არჩევნების ჩატარებისას თანასწორობის დაცვა დოკუმენტში მოთხოვნილია, გენდერულად სენსიტიური დოკუმენტი, კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის კვალდაკვალ, ასევე გაითვალისწინებდა სქესის მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპებსაც.

დოკუმენტის მეოთხე ნაწილში „ეროვნული სასწავლო გეგმა“ ვკითხულობთ: *„სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.“*

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული: „თითოეულ მოსწავლეს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა მიზნების შესაბამისი უნარების ათვისებაში“, სახელმწიფოს მიერ ჩამოთვლილ დისკრიმინაციის ფორმებში არაა გამოყოფილი გენდერული ნიშანი და იგი სოციალურ კატეგორიაშია გაერთიანებული. იმდენად, რამდენადაც აქვეა მოცემული იდენტობის მახასიათებლები, სასურველი იქნებოდა გენდერი არა როგორც იდენტობის „სხვა ნიშანი“, არამედ მკაფიოდ განსაზღვრული იდენტობის ნიშნად ყოფილიყო გამოყოფილი.

ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილი ასევე ხაზს უსვამს მოსწავლეების ინდივიდუალური თვისებების წარმოჩენის აუცილებლობა და ამ ინდივიდუალური თვისებების შესაბამისი მიდგომების გამოყენებას.

„თავი VI. ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები“ მუხლი 31 და მუხლი 32 - მკაფიოდაა გამოხატული ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების აუცილებლობა, ასევე, განვითარების თანაბარი შესაძლებლობისათვის აუცილებელი მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის წარმართვის მოთხოვნა, რაც თავის თავში მოიცავს გენდერულ განსხვავებების აღიარებას და ამ პრინციპების დანერგვას ორივე სქესის მოსწავლეებთან მიმართებით.

მუხლი 31. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა:

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

მუხლი 32. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა

განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაღებად სკოლამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მუხლში 34. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა წერია:

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა....

თავისთავად, დებულება აბსოლუტურად სწორად განსაზღვრავს მოტივირების ამოცანასა და მოტივაციის როლს. ამასთან, ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ პედაგოგის უნარი, კომპეტენციები, ცოდნა და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომები განაპირობებს მოსწავლის მოტივაციის ზრდას ან პირიქით - კლებას. შესაბამისად, გენდერულად არამგრძნობიარე და სტერეოტიპული შეხედულებების მქონე პედაგოგი ვერ უზრუნველყოფს ორივე სქესის მოსწავლეებისათვის მოტივაციის ერთნაირი ხარისხით ზრდასა და განმტკიცებას.

თავი VIII. „პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები“ , მუხლი 48. ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოცემულია მუხლი:

ი) სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

სასურველი იქნებოდა, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების ჩამონათვალში არა მხოლოდ შემწყნარებლობა და სხვისი უფლებების პატივისცემა, არამედ განსხვავებების აღიარებაც ყოფილიყო კომპეტენციის ნაწილად განხილული.

რაც შეეხება საგნობრივი პროგრამებს, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის ძირითადი ნაწილის შესავალში ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა მოსწავლეების პიროვნებად ფორმირების საქმეში. აქ ვკითხულობთ:

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა... მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური მოსწავლის განვითარებას იმგვარად, რომ მან წარმატებით შეძლოს ყველა სხვა საგანში ცოდნის შეძენა და პროფესიული კომპეტენციების განვითარება. ამ გადმოსახედიდან, ქართულ ენასა და ლიტერატურას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ პიროვნულ ჩამოყალიბებასა და ზრდას ენიჭება და ის უნდა პასუხობდეს ყველა მოსწავლის ენობრივ და ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროებას, მიუხედავად მისი სქესისა.

„ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები“ ბოლო პუნქტად ასახელებს:

გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

შესაბამისად, საგნობრივი პროგრამის შინაარსი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მან მოსწავლეებს დაანახოს კაცობრიობის განვითარების მზარდი დინამიკა, მისცეს საშუალება, გააცნობიეროს, როგორ იცვლება ნაკლებგანვითარებული პრაქტიკა და ტრადიციები უფრო თანამედროვე, საჭიროებასა და მოთხოვნებზე მორგებულით. ამ პერსპექტივით, გენდერული თანასწორობის პრინციპი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად არის მიჩნეული, მისი ცვლილება და მისკენ სწრაფვა უნდა იგულისხმებოდეს და აუცილებლად უნდა აისახებოდეს საგნის პროგრამულ გეგმაში.

გენდერული მგრძნობელობის გადმოსახედიდან, საინტერესოა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი გეგმის მიხედვით, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს. მოყვანილია ორი პუნქტი მუხლიდან: „მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა.“

*მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან;
საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა.*

ორივე პუნქტი არაპირდაპირ, მაგრამ მკაფიოდ იძლევა მესიჯს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსწავლისათვის მიწოდებული ლიტერატურული მასალა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევდეს, საკუთარი პერსპექტივიდან გაიაზროს ნაწარმოები და, მეორე მხრივ, თავად უნდა იყოს მომზადებული იმისათვის, რომ საკუთარი ინტერესები გაითვალისწინოს ლიტერატურული ნაწარმოების შერჩევისას; შესაბამისად, სასწავლო გეგმის მიხედვით, ორივე სქესისათვის საინტერესო, გამოცდილებასთან დაკავშირებული მასალის უზრუნველყოფა დაწყებით საფეხურის სასწავლო გეგმის ამოცანის ნაწილია.

კიდევ უფრო საინტერესოა საბაზისო საფეხურის საგნობრივი გეგმისა და სწავლების მიზნისა და ამოცანების ზოგადი განმარტება:

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

რეალურად, სასწავლო გეგმის ზოგადი ვადებულების მიხედვით, სწავლება პრობლემატიკაზე მუშაობის უნარების განვითარებას, განსხვავებული თვალსაზრისების გამოთქმას და პოზიციების შეჯერებას უნდა ემსახურებოდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს, სქესისა და მიუხედავად, უნდა მიეწოდებოდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის აუცილებელი მასალა და სწავლისას შეეძლოს გენდერული პოზიციის გააზრება, თავისუფლად გამოთქმა და დაცვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანესი საგნობრივი ჯგუფის გეგმაშია გენდერული თანასწორობისა და მგრძნობელობის თვალსაზრისით შეტანილი, ამავე საფეხურის „მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვის“ პარაგრაფშია მოცემული:

„ნაწარმოებში არსებული პრობლემური საკითხების მრავალმხრივი და არასტერეოტიპული ინტერპრეტაცია;

აზროვნების ასეთი უნარის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ გენდერულად მგრძნობელი, შესაბამისი სასწავლო მასალის, დაბალანდებული, თანასწორი სწავლებისა და საკითხისათვის სათანადო ყურადღების დათმობის შემთხვევაში. სასწავლო გეგმა კი პირდაპირ მოითხოვს ასეთი სწავლების უზრუნველყოფას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებების აღწერაში, ზეპირმეტყველების ზოგად განმარტებში წერია:

მათი განვითარება (სამეტყველო ქცევა) საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.“

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი გეგმა ნაწილობრივ ისახავს მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და განსხვავებული აზრის გამოთქმის მიზნებსა და ამოცანებს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს გენდერულად მგრძნობიარედ, რადგან არსად არ ქმნის კონკრეტულ ვალდებულებას სასწავლო რესურსებისა და სწავლების გენდერული პერსპექტივიდან გააზრებისათვის.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების პროგრამების ძირითად ნაწილში ვკითხულობთ:

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნებია:

ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

ხელი შეუწყოს მის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

გამოუმუშავოთ მათ მტკიცე ნებისყოფა, განუვითაროს საგანგებო სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარი, რათა მათ შეეძლონ ურთიერთდახმარება, საკუთარი და გვერდით მეოფის სიცოცხლის გადარჩენა სხვადასხვა სახის საგანგებო ვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების მიზნებში საუბარია ჰუმანური მსოფლმხედველობის და საზოგადოების სრულფასოვან წევრად, მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე, ასევე, საუბარია საგანგებო სიტუაციებში ურთიერთდახმარებასა და სიცოცხლის გადარჩენაზე, თუმცა არ ჩანს ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვათა ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებასა და საკუთარი თავისა და სხვათა დისკრიმინაციისგან პრევენციისა და დაცვის უნარზე.

ცოდნის აღწერაში, რომელიც საგნების სწავლის შედეგად უნდა მიიღოს მოსწავლემ, წერია:

„.....სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლა ეხმარება მოსწავლეს, რომ მსოფლიო კონტექსტში გაიაზროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.“

ამ მუხლში არაფერია ნათქვამი სოციალურ ჭრილში ქვეყნის ინტერესების გააზრებაზე.

რეალურად, საგნობრივ პროგრამებში გოგონებისა და ბიჭების შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესახებ საუბარი მხოლოდ **სპორტის პროგრამაშია**, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ხდება არა გენდერული განსხვავებების, არამედ სქესობრივი ნიშნით და ფიზიკურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების საფუძველზე აღიარება. შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ ეროვნული სასწავლო გეგმის არასაკმარის ორიენტაციაზე გენდერული განსხვავებების მიხედვით.

საგნობრივი პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

საგნობრივი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში ვკითხულობთ:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიზანია: ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება.

ფასეულებებისა და დამოკიდებულებების განვითარებისათვის კი საგნობრივი

ჯგუფის ეამოცანაა:

პატივისცემის გრძნობის განვითარება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, ადამიანის შრომის მიმართ; თანაგანცდისა და თანაგრძნობის უნარის განვითარება; შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება სხვა ადამიანების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობისადმი.

მიზნისა და ამოცანის ამგვარი ჩამოყალიბება თავისთავად მოიცავს გენდერული პერსპექტივებიდან ხელოვნების იდეის დანახვას და გაცნობიერებას.

სასწავლო გეგმაში ასევეა აღწერილი საგნის როლი პიროვნების ფორმირებაში, სადაც თვითგანვითარებაზე ორიენტირებული ადამიანის მახასიათებლებს შორისაა:

- კრიტიკული აზროვნება;
- თვითგამოხატვის უნარი
- სამოქალაქო ცნობიერება;
- კომუნიკაციის უნარი;

1. კრიტიკული აზროვნების განმარტების მიხედვით:

კრიტიკული აზროვნება ხელოვნების შესწავლის პროცესში მოვლენათა გააზრებისა და პრობლემათა წვდომის უნარის ჩამოყალიბებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს: ა) მოსწავლეთა მიერ მხატვრული იდეების პროდუცირება, ბ) საკუთარი და სხვების შემოქმედების დახასიათება, შეფასება და ანალიზი; გ) იმ როლის გააზრება, რომელსაც ასრულებს ეროვნული და მსოფლიო კულტურების მემკვიდრეობა სხვადასხვა კონტექსტში.

მიუხედავად იმისა, რომ განმარტება საკმაოდ დეტალური და ამომწურავია, სასურველი იქნებოდა აქცენტი გაკეთებულიყო არა მხოლოდ საკუთარი და სხვების შემოქმედებაზე, და სხვადასხვა კონტექსტში კულტურული მემკვიდრეობის ხელოვნების როლის გააზრებაზე, არამედ ხელოვნებაში მოცემული მრავალფეროვნების აღქმაზეც, რომელიც განსხვავებული სქესის ხედვასა და კონტექსტს მოიზრებს.

თვითგამოხატვის მახასიათებლის განმარტებაში ვკითხულობთ:

ხელოვნების შესწავლის პროცესში მოსწავლის თვითგამოხატვას (შეხედულებები, იდეები, განწყობები, გრძნობები) ხელს უწყობს:

თანაკლასელთა მხატვრულ შემოქმედებაში გარკვეული შეხედულებების, იდეების, განწყობებისა და გრძნობების ამოცნობა და მათზე მსჯელობა;

ამგვარი განმარტება საშუალებას იძლევა თანაკლასელთა პერსპექტივების ამოცნობის

უნარს დამატებოდა განმარტება „*მათი კულტურულ-ეთნიკური და სქესობრივი*

განსხვავებების გათვალისწინებით“, რაც ბევრად უფრო ცხადად იქნებოდა შესაბამისობაში ხელოვნების მიზეზთან და ამოცანებთან.

სამოქალაქო ცნობიერება:

ხელოვნების სწავლებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილისა და უნარის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს: კლასის, სკოლის და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებასა და კეთილდღეობაში საკუთარი წვლილის შეტანა; კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება

კვლავაც, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელოვან ენიჭება მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პერსპექტივიდან ხელოვნებისა და შემოქმედების აღქმასა და გააზრებას, რაც ეფექტურად ინტეგრირდებოდა და სრულს გახდიდა ხელოვნების როლს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებისთვის. შესაბამისად, პოზიტიურად მიგვაჩნია განმარტების დასაწყისი შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული: *ხელოვნების სწავლებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილისა და უნარის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის, და ამ კონტექსტში მრავალფეროვნების მნიშვნელოვანობის გათვალისწინება და განვითარებას ხელს უწყობს:*

კომუნიკაციის უნარი

ხელოვნების სწავლებისას კომუნიკაციის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: გ) ჯგუფური მუშაობისას სხვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა და პრობლემურ საკითხებზე შეთანხმება....

მართებულად მიგვაჩნია ჯგუფური მუშაობის განხორციელებისას ხაზგასმული იყოს ჯგუფში შესაძლო განსხვავებული სოციო-კულტურული წარმოშობის პირების თანაარსებობა, სადაც განსხვავებული კულტურული ხედვებისა და პერსპექტივების მიუხედავად, ეფექტური თანამშრომლობის უნარების განვითარება იქნებოდა მნიშვნელოვანი.

პოზიტიურია, რომ ხელოვნების სწავლების შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულების სწავლების აღწერისას, გვხვდება ხელოვნების კონტექსტში აღქმის განსაზღვრება:

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ბალბური შემოქმედების ზოგიერთ დარგებს, არკვევენ მათ შინაარსსა და დანიშნულებას, აკავშირებენ მათ ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან; ეცნობიან მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს.

ამგვარი დეფინაცია უდავოდ გულისხმობს გენდერული ჭრილიდან ხელოვნების საკითხების შექმნისა და შეფასების გაცნობასა და გაანალიზებას.

საგნობრივი პროგრამა მუსიკაში

მუსიკის სასწავლო კურსის შემაჯამებელი შედეგების ჩამონათვალში, რომელიც დაწყებით და საბაზო საფეხურის მიხედვითაა დაყოფილი და შეძენილი ცოდნისა და უნარჩვევებს სამ მიმართულებად: პრაქტიკულ ჩვევებად, კომუნიკაციისა და ინტერპრეტაციისა და მუსიკის კონტექსტში აღქმის უნარად განიხილავს, საბაზისო საფეხურის, დაწყებითი საფეხურის დასრულებისათვის შემდეგ შედეგზე გასვლას ისახავს მიზნად:

აწყებით საფეხურზე		საბაზო საფეხურზე
შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე		
კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს მუსიკალური ნაწარმოების შესახებ; აცნობიერებს, რომ მუსიკა კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის საშუალებაა.	აანალიზებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუშს, განმარტავს, რა მიზნით არის გამოყენებული კონკრეტული გამომსახველობითი ხერხი; აცნობიერებს, რომ ხელოვნება მსოფლმხედველობის გამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებაა.
მუსიკის აღქმა კონტექსტში	განიხილავს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნაწარმოებებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგს და მათ კავშირებს.	ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს და მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე; ერთმანეთს ადარებს და მსჯელობს განსხვავებულ მუსიკალურ სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე; მუსიკის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში, იცნობს მუსიკალური ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს.

სასურველი იქნებოდა, საკმაოდ ბევრის მომცველ შედეგებში, კომუნიკაციისა და ინტერპრეტაციის შედეგში ნახსენები ყოფილიყო, რომ მუსიკა მრავალფეროვნების გამოხატვისა და კომუნიკაციის არაჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს. ხოლო

მუსიკის კონტექსტში აღქმასთან დაკავშირებული შედეგის აღწერისას კი, ქართული მუსიკა, ხალხურ შემოქმედების კუთხითაც ყოფილიყო ნახსენები, და ამასთან, ტრადიციებთან კავშირი ყოფილიყო ხაზგასმული, რაც საშუალებას მოგვცემდა მუსიკის გააზრება და დაკავშირება უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო ორივე სქესისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი როლებისა და დამსახურების გათვალისწინებით.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებლის ახალი სტანდარტი, რომელმაც ბოლო ცვლილებები 2014 წლის 28 მარტს განიცადა, მინისტრის №39/ნ ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრავს „მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს; სტანდარტში წარმოდგენილი მოთხოვნები საერთოა ყველა მასწავლებლისათვის.“ თავი IV „პრაქტიკოსი მასწავლებელი“, მუხლი 6 „სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო“. პუნქტი 1 ამბობს:

მასწავლებელი ქმნის უსაფრთხო გარემოს სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის....

ამავე თავის პუნქტი 5-ის მიხედვით:

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად, რეკომენდაციების საფუძველზე შეუძლია სასწავლო გარემოს მოწყობა და რესურსების ორგანიზება

მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტში საკმაოდ მკაფიოდაა ყურადღება გამახვილებული განსხვავებული კულტურისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფაზე, გენდერული ბალანსი არ შეიძლება რომელიმე ამ პარამეტრის ფარგლებში მოვიაზროთ.

ამავე თავის მუხლი 8 „სწავლება“, პუნქტი 1 ამბობს:

მასწავლებელმა იცის მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარების თავისებურებები, სწავლისა და განათლების თეორიების ძირითადი პრინციპები და იყენებს მათ პრაქტიკაში;

შესაბამისად, პროფესიული სტანდარტი არაპირდაპირ, მაგრამ ავალდებულებს პედაგოგს, გაითვალისწინოს მოსწავლის სოციალურ-პიროვნული განვითარების

თვისებურებები. რეალურად, ბევრად უფრო მკაფიო იქნებოდა სქესთაშორის არსებული განსხვავებებისადმი მასწავლებლის დამოკიდებულება, თუ, ფიზიკურთან ერთად, ფიზიოლოგიური განსხვავებებიც იქნებოდა ნახსენები.

თავი VI “წარჩინებული მასწავლებელი”, თავი 13 „სწავლება“, პუნქტი 1 ამბობს: *მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სწავლისა და განათლების თეორიების ცოდნას მოსწავლეების ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარებისთვის.*

კვლავაც, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს განსაზღვრავს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და იყენებს შესატყვის თეორიებს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისთვის, ამ შემთხვევაშიც, სასურველი იქნებოდა, თუკი ფიზიოლოგიური თავისებურებების ხაზგასმით, სტანდარტი გენდერულად მრძნობიარე სწავლების აუცილებლობასაც გაითვალისწინებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში მკაფიოდაა ასახული ის მოთხოვნები, რომლებიც მრავალფეროვანი კულტურისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების თავისებურებს უკავშირდება და ასევეა ხაზგასმული განსხვავებული მიდგომების, სწავლებისა და განვითარების თეორიების გამოყენების აუცილებლობა, ასაკობრივი, ფიზიკური და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ყველა ეს პარამეტრი არაპირდაპირ შეიძლება მოიცავდეს გენდერულად სენსიტიური მიდგომების დამკვიდრებას მასწავლებლის პროფესიულ მოთხოვნებში.

მასწავლებლის ეთიკის კოდექსი

მასწავლებლის ეთიკის კოდექსის მეოთხე მუხლში „მოსწავლეებთან ურთიერთობა“ მე-11 პუნქტში გაკეთებულია მკაფიო განაცხადი:

მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა

და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ ერთნაირად მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად.

რეალურად, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი ერთადერთი განათლების პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ასე მკაფიოდ გამოხატავს ყველა მოსწავლისადმი თანაბარი დამოკიდებულებისა და მიდგომების აუცილებლობას, მრავალფეროვნებისა და თავისებურებების სხვადასხვა ნიშანს შორის სქესობრივსაც ცალსახად აღნიშნავს.

სახელმძღვანელოების გრიფირების წესი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელო წამყვანი საგანმანათლებლო რესურსია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილი მიზნების მისაღწევად გამოიყენება და, პედაგოგთან ერთად, წარმოადგენს საკვანძო კომპონენტს მოსწავლეთა ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ფორმირებისათვის. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ წესებს, რომლებიც სახელმძღვანელოების გრიფირებას, და, ფაქტობრივად, სწავლის შინაარსისა და პროცესის მიმართულებებს განაპირობებს.

გრიფირების წესში, რომელიც 2011 წლის 25 თებერვალს ბრძანების №30/ნ საფუძველზე დამტკიცდა და რომელიც დღესაც მოქმედია, მუხლში 8: სახელმძღვანელოს/სერიის შეფასება, პუნქტი 10ბ ვკითხულობთ:

10. სახელმძღვანელო არ შეფასდება და ეთიშება გრიფირებას იმ შემთხვევაში, თუ:

ბ) მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, სქესი, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვა).

ამრიგად, გრიფირების წესში სახელმძღვანელოს უარყოფითად შეფასებისა და გრიფირების არმინიჭების საფუძველი შეიძლება სქესობრივად დისკრიმინაციული/დისკრედიტაციის ელემენტები შეიძლება გახდეს. ამგვარი კრიტერიუმის არსებობა თავისთავად დადებითად შეიძლება შეფასდეს თუნდაც იმიტომ, რომ გრიფირების წინა ვარიანტებიდან განსხვავებით მოიცავს სახელმძღვანელოს დაწუნებისათვის განსხვავებული ნიშნის დისკრიმინაციისა და

დისკრედიტაციის პრევენციის მექანიზმს. თუმცა, მეორე მხრივ, ნეგატიური პერსპექტივიდან გამოხატული წინაპირობა ვერანაირად ვერ განიხილება სქესის მიმართ მგრძნობელი და დაბალანსებული სახელმძღვანელოს შემუშავების გარანტად, არამედ მხოლოდ სახელმძღვანელოს უვარგისობის განმსაზღვრელია.

ამასთან, გრიფირების წესში არსადაა განმარტებული, რა ნიშნები ან ელემენტები შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად ან დისკრედიტაციად სახელმძღვანელოში, რაც, ერთი მხრივ, დისკრედიტაციისა და დისკრიმინაციის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას გამომცემლობასა და ავტორებს აკისრებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად შეფასებას ექსპერტის სუბიექტურ აღქმაზე დამოკიდებულს ხდის.

რეალურად, ეს ერთადერთი პუნქტია შეფასების წესის ძირითად დოკუმენტში, რომელიც ტექნიკური და ადმინისტრაციული ხასიათის განმარტება არ არის და სახელმძღვანელოს შინაარსობრივ მხარეს ითვალისწინებს.

სახელმძღვანელოს შინაარსობრივი კრიტერიუმები გატანილია დანართად #1. სადაც, პირველ კომპონენტში: „ზოგადი შეფასება“ მუხლი 1.3 განმარტებულია:

სახელმძღვანელო ხელს უწყობს მრავალმხრივი შეხედულებებისა და ყველა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას;

მეორე კომპონენტში: „ინფორმაციის მიწოდების ხარისხი“ მუხლი 2.11 მოცემულია შემდეგი:

სახელმძღვანელოში ნათლად არის გამოკვეთილი, თუ რა საგანმანათლებლო მიზანს/მიზნებს ემსახურება შერჩეული მასალა

მესამე კომპონენტი – „მოსწავლის გააზრებული მუშაობა“ შეფასების კრიტერიუმი მუხლი 3.3 გვაუწყებს:

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მრავალმხრივი უნარ-ჩვევების განვითარებას და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მიიღოს მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილება;

მუხლი 3.4: სახელმძღვანელო ითვალისწინებს ინფორმაციის სხვადასხვა გზით მოპოვებისა და ორგანიზების შესაძლებლობას; იგი იძლევა ინფორმაციის მრავალმხრივი შეფასებისა და ინტერპრეტირების საშუალებას;

მეოთხე კომპონენტი – „მოსწავლის მოტივაცია“:

მუხლი 4.3. ამბობს, რომ სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი ტექსტები და აქტივობები;

მუხლი 4.4. სახელმძღვანელო ხელს უწყობს სწავლის სხვადასხვა სტილის მექონე მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი (ინდივიდუალური და ჯგუფური) შინაარსისა და მიზნების მექონე აქტივობების გზით;

მეხუთე კომპონენტი - „უკუკავშირი“:

მუხლი 5.1. ამბობს: სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია აქტივობები, რომლებიც იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების (მათ შორის, თვითშეფასების) საშუალებას;

რეალურად, შეფასების კრიტერიუმების დანართში მოცემული არც ერთი კომპონენტი არ მოიცავს ისეთ მუხლს, რომელიც ავტორსა და გამომცემელს მისცემდა ვალდებულებას, გაეაზრებინათ, რომ სახელმძღვანელო ორი სქესის მოსწავლეებისათვის იქმნება და ყველა ის წინაპირობა, რომელიც შეფასებას განაპირობებს, გენდერულ ჭრილშიც უნდა იქნეს გააზრებული. რასაკვირველია, მუხლების ამგვარი კონსტატაცია შეიძლებოდა სწორად ყოფილიყო აღქმული იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ავტორებისა და გამომცემლობების მზაობა, შესაბამისი ხედვა და რელევანტური კომპეტენციები გენდერული მგრძნობელობისადმი, მათ გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება და იცნობენ იმ ძირითად მიდგომებს, რომლებიც გენდერულად დაბალანსებულ სახელმძღვანელოებში უნდა გამოიყენონ ან ზედმიწევნით ასრულებენ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში არსებულ გენდერულად მგრძნობიარე მოთხოვნებს. რეალურად, გამომდინარე სასწავლო გეგმის ნეიტრალური ბუნებიდან სქესთაშორისი განსხვავებების მიმართ, სახელმძღვანელოს გრიფირების წესში მოცემული შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანია გენდერული კუთხით და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს გენდერული ბალანსის დაცვას სახელმძღვანელოებში, რაც კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა სახელმძღვანელოების ანალიზმაც ნათლად წარმოაჩინა.

თავი 6: მასწავლებლებისა პროფესიული განვითარების და განათლების პროგრამების ანალიზი

ძირითადი მიგნებები და დასკვნები

განათლების პროგრამებისა და მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამების დეტალური ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ გენდერული საკითხები არ განიხილება, როგორც პროფესიული ცოდნისა და საჭირო კომპეტენციების ნაწილი. შესაბამისად, მიმდინარე საუნივერსიტეტო პროგრამები, იქნება ეს მასწავლებელთა განათლების თუ განათლების ადმინისტრირების/მართვის პროგრამა, ისევე, როგორც მოქმედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სატრენინგო პროგრამები - არანაირი სახით არ მოიცავს გენდერული ჭრილში განხილულ საკითხებს. ეს ეხება შინაარსობრივ/საგნობრივ, მეთოდურ და პედაგოგიურ მიდგომებზე ორიენტირებულ ნებისმიერი კურსს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობა არ არის მიჩნეული მნიშვნელოვან ასპექტად განათლების სისტემაში არსებული პედაგოგებისა და მომავალი მუშაკების პროფესიული მზაობისათვის.

მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ანალიზის პარამეტრები

ჯონ დევეი (John Dewey, 1961) მიიჩნევს, რომ მასწავლებლის ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლის ეფექტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია⁴². შესაბამისად, აუცილებლად მივიჩნიეთ იმის გაანალიზება, თუ რამდენად აძლევს არსებული სისტემა მასწავლებელს და, ასევე, მომავალ მასწავლებელს იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო ცოდნით,

⁴² John Dewey, When Teachers Help plan the Curriculum, ჯონ დევეი, „როდესაც მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვაში გეხმარებიან“, Educational Leadership, Oct, 1961, http://www.ascd.org/ASCD/pdf/journals/ed_lead/el_196110_dewar.pdf

კომპეტენციებითა და დამოკიდებულებით იმოქმედოს როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ მიმოვიხილეთ მასწავლებლის პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომელთაც მათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სთავაზობს სატრენინგო პროგრამების სახით და გავანალიზეთ უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამები, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებენ. მასწავლებლებისა და მომავალი მასწავლებლების პროგრამების განხილვა შემდეგი ასპექტების მიხედვით მოხდა:

(1) არსებობს თუ არა ხელმისაწვდომი სატრენინგო პროგრამები და კურსები, რომლებიც გენდერულ საკითხებს განათლების პერსპექტივიდან მიმოიხილავენ და აცნობენ მასწავლებლებს/მომავალ მასწავლებლებს;

(2) არსებობს თუ არა სატრენინგო პროგრამები და კურსები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავენ გენდერულ ასპექტებსაც განათლების სისტემაში და სწავლებაში, როგორც ტრენინგის/კურსის აქტუალურ თემატიკას;

(3) არსებობს თუ არა იმგვარი სატრენინგო პროგრამები და კურსები, რომლებიც პირდაპირ არ მიმოიხილავენ გენდერის საკითხებს განათლებასა და სწავლებაში, თუმცა ითვალისწინებენ ისეთი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებას თავად პროგრამისა და კურსის მიმდინარეობისას, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული მგრძნობელობის განვითარებას და დაბალანსებული სწავლებისათვის მასწავლებელთა და მომავალ მასწავლებელთა მომზადებას.

ასეთი ინფორმაციის მიღება კი მასწავლებელთა სატრენინგო მოდულებისა და პროგრამების, მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში შემავალი კურსების ანალიზის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები

დღეისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დაახლოებით 300 მოქმედი ტრენინგ-მოდული გააჩნია⁴³, რომლებიც უზრუნველყოფს

⁴³ ინტერვიუ ცენტრის დირექტორის მოადგილესთან - ირინა აბულაძესთან, 29 ივლისი, 2014

„მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ორიენტირებულს მრავალფეროვანი ტრენინგ-პროგრამების საშუალებით“⁴⁴. ესენია: გრძელვადიანი ტრენინგ-კურსები, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტული მიმართულებით ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგები, რომლებიც მასწავლებლებს ეხმარება საკუთარი ცოდნის სისტემატიზაციაში. ამასთან, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, აირჩიოს ის პროგრამა, რომელიც უკეთ მოერგება მის საჭიროებებს და საშუალებას მისცემს, ეფექტური პროფესიული განვითარების გზა გაიაროს. ცენტრის თითოეული ტრენინგის თემატიკა მასწავლებლის სტანდარტს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და მასწავლებელთა საჭიროების ანალიზს ეფუძნება⁴⁵.

რაც შეეხება ცენტრის მიერ ორგანიზებულ სატრენინგო კურსებს პედაგოგთა საგნობრივი და ზოგადი პროფესიული უნარების განვითარებისათვის, ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა, რომელიც სპეციფიკურად გენდერს განათლების ჭრილში განიხილავს, ცენტრს არ გააჩნია. ასევე არ გვხვდება პედაგოგიური პრაქტიკის ზოგადი კურსი, რომელიც საკითხს შინაარსობრივი და/ან პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური კუთხით წარმოაჩენდა.

მეორე მხრივ, ცენტრის მიერ გენდერული თანასწორობის/მეინსტრიმის საკითხების დაფარვა ხდება გეოგრაფიის საგნის მიმართულებით და ასახულია სატრენინგო პროგრამის საგნობრივ-შინაარსობრივ ნაწილში. უფრო კონკრეტულად კი, გენდერული როლების შესახებ საუბარია ტრენინგ-პროგრამაზე: „გლობალიზაცია-გლობალური პრობლემების გეოგრაფია“. ტრენინგ-მოდული 20 საათიანია. გენდერის შესახებ საკითხები ტრენინგის-3 დღეს, სესიის 6.4 ნაწილში მიმოიხილება. გეოგრაფიის საგნობრივი მიმართულებით ასევე მიმდინარეობს ტრენინგ-მოდული “პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“, სადაც აქტუალურ საკითხებს შორის განხილულია ათასწლეულის გამოწვევის მიზნები. ამ საკითხებს პირველი

⁴⁴ ამონარიდი ცენტრის ვებ-საიტის ტრენინგ-პროგრამების ანოტაციიდან.

⁴⁵ იქვე

სატრენინგო დღის ნახევარი ეძღვნება. 8 მიზანს შორის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 მოიცავს გენდერის საკითხებს, მიმართულია ქალთა უფლებების განმტკიცებისკენ:

ტრენინგ-მოდულის „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“ ფარგლებში, რომელიც გეოგრაფიის მასწავლებლებისთვისაა გამიზნული, განიხილება ასევე დემოგრაფია, პრონატალისტური და ანტინატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკა და მათი მიზანშეწონილობა.

ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ცენტრში ორჯერ ჩატარდა მასტერკლასი „გენდერი, როგორც გლობალური პრობლემა“ გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან კურსს -გლობალური პრობლემების გეოგრაფია და მისი მიზანი იყო: გენდერის ტერმინისა და არსის გაცნობიერება; გენდერული უთანასწორობის შეფასება; სხვადასხვა ქვეყნის პროფილების შედარება.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების იმ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ცენტრი აწარმოებს, გენდერის თემას ეხება გრძელვადიანი კურსის მე-2 მოდულის: „სამოქალაქო განათლების მიმართულებები და კომპონენტები“ მე-17 სესია - „სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა კომპეტენციები“. ამ სესიაზე განიხილება სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო (რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო (პიტერ ბრეტი, პასკალ -მომპოინტ-გელარდი და მარია ელენა სალემ; პირველი ქართული გამოცემა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009წ.), სადაც თხუთმეტი ძირითადი კომპეტენციიდან ერთ-ერთი არის „კომპეტენცია 12: სტრატეგიები დისკრიმინაციის წინააღმდეგ“.

გენდერის საკითხებზე ყურადღება მახვილდება საერთაშორისო ორგანიზაციასთან „ადამიანი გაჭირვებაში“ ერთობლივად განხორციელებული პროგრამის „დემოკრატიული მოქალაქეობის მე-3 სესიაში „სოციალური რეკლამები,

როგორც სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით“ დოკუმენტური ფილმებით სწავლების მეთოდის შემადგენელი ნაწილის პრაქტიკაში გამოყენება“. გენდერის თემას ეძღვნება სოციალური რეკლამები - 1) „იდეალური ქმარი“, სადაც განხილულია გენდერის და ქალისთვის და მამაკაცისთვის დამახასიათებელი საქმიანობის არსებობა/არარსებობის თემები და 2) „კედლის უკან“, სადაც განხილულია ოჯახში ძალადობა და ქალთა უფლებები - მასთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობებით.

ამრიგად, საგნობრივი ტრენინგებიდან გენდერულ საკითხებს მოიცავს გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება. საკითხები მეტწილად საინფორმაციო ხასიათის მასალისგან შედგება და მასწავლებლებს აცნობს გენდერის, როგორც სოციალური მოვლენის მნიშვნელობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში. მეორე მხრივ, ტრენინგი არ ისახავს მიზნად მასწავლებლებისათვის იმ მესიჯის მიწოდებას, რომელიც მათი, როგორც მასწავლებლის, როლს უკავშირდება გენდერული როლების გაანალიზებისა და განტკიცებისათვის მოსწავლეების მიერ. შესაბამისად, არ არის მოცემული მეთოდური მასალა და მიდგომები, რომლებიც მასწავლებლის ეფექტიანობის გაზრდაზე იქნებოდა ორიენტირებული სწავლების პროცესში. ტრენინგი არ არის ორიენტირებული იმ კავშირების დადგენასა და ხაზგასმაზე, რომელიც გენდერის, როგორც სოციალური მოვლენისა და სწავლა-სწავლების პრინციპებსა და პროცესებს შორის შეიძლება არსებობდეს.

როგორც ცენტრის მიერ მოწოდებული მასალიდან მკაფიოდ ჩანს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მესვეურებსა და საგნობრივ ექსპერტებს კარგად ესმით გენდერული საკითხების ინტეგრირების აუცილებლობა მასწავლებელთა განათლების სისტემაში. თუმცა, აქვე კარგად ჩანს, რომ გენდერული ცნობიერების ამაღლება ხდება მხოლოდ ცალკეული საგნობრივი მასწავლებლების შემთხვევაში. დამატებითი 2 ტრენინგ-პროგრამა, რომელიც ყველა მასწავლებლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, არ არის რეგულარული და დამოკიდებულია გარეშე დონორისა და განმახორციელებელი ორგანიზაციის სურვილსა და შესაძლებლობებზე. შეზღუდული ტრენინგ-პროგრამები არ არის

ორიენტირებული გენდერის საკითხის წარმოჩენაზე განათლების კუთხით. შესაბამისად, ის ხარვეზი, რომელიც მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში არსებობს, ამ შემთხვევაში შინაარსობრივი და არა ფარული კურიკულუმის კუთხით, არ არის გათვალისწინებული და დაბალანსებული მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამებში.

მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამებში ასევე არ გვხვდება ზოგადი პედაგოგიური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში გენდერული ბალანსის მიღწევისათვის აუცილებელი მეთოდებისა და მიდგომების განხილვა არც თეორიული და პრაქტიკული კუთხით. კურსში ასევე არსადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა მგრძნობელობის ამაღლება ცნობიერების ამაღლების საშუალებით განათლების ინსტიტუციებში გენდერული საკითხების გარშემო.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული სატრენინგო პროგრამები მოკლებულია გენდერულ მგრძნობელობას, ხოლო ზოგადი საკითხები კი მოცემულია მხოლოდ ფრაგმენტულად, კონკრეტულ საგანთან მიმართებით.

მასწავლების განათლების პროგრამები უნივერსიტეტებში

დღეისათვის საქართველოში 8 სახელწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მასწავლებლის განათლების პროგრამა სწავლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ როგორც საგნობრივ-სპეციფიკური, ასევე ზოგად-პედაგოგიური ცოდნის შეძენასა და უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სქესობრივი/რეპროდუქციული განათლება არ არის სასწავლო გეგმის ნაწილი, სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის ზოგადი სტანდარტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, სტუდენტი უნდა ეცნობოდეს იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რომლებიც მათ პედაგოგიური კარიერის დაწყებიდან მისცემს საშუალებას,

მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ეფექტურად უპასუხონ.

საკვლევი რვა უნივერსიტეტიდან მხოლოდ ხუთს აქვს მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო, ხოლო ერთს კი - განათლების მეცნიერებისა და მართვის პროგრამა.

საინტერესოა, რომ 8 უნივერსიტეტიდან მხოლოდ ერთს (ილიას სახ. უნივერსიტეტი) მოეპოვება კურსი მაგისტრატურის საფეხურზე, რომელიც მთლიანად გენდერის სოციალიზაციაზე არის ორიენტირებული და სტუდენტებს არჩევით კურსად მიეწოდებათ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტს გააჩნია გენდერის პროგრამა უნივერსიტეტის სწავლების სამივე საფეხურისათვის, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში განათლების საკითხები გენდერული პერსპექტივიდან ნაკლებადაა განხილული, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსების ნაწილი მოიცავს განათლების კონტექსტში საკითხის განხილვასაც. (1. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა; 2. გენდერი და განვითარება). რეალურად, პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ კურსები ინტეგრირებულ იქნეს მასწავლებელთა განათლების პროგრამაში და ინტერდისციპლინარული მიდგომის საშუალებით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, განიხილონ განათლების საკითხები გენდერული პერსპექტივიდან; მაგრამ, რეალურად, ამგვარი პრაქტიკა არ ფიქსირდება. თავად მასწავლებელთა განათლების პროგრამაში შემავალი კურსების შესახებ (მულტიკულტურული განათლება, ბავშვთა უფლებები და განათლება, ა.შ.), რომლებიც შეიძლება, რომ მოიცავდეს განათლების საკითხებს, ინფორმაცია არ გახდა ხელმისაწვდომი.

საგულისხმოა, რომ სხვა უნივერსიტეტებში სწავლების არც ერთ საფეხურზე გენდერთან დაკავშირებული თემატიკა არ არის მოცემული, როგორც კურსის პირდაპირი საკითხი. კურსები, რომლებიც დასახელდა, როგორც რელევანტური გენდერისა და მოსწავლეთა განსხვავებისა და თავისებურებებზე ორიენტირებული

საკითხების მიმოხილვის კუთხით, აბსოლუტურად იდენტურია. სილაბუსში, სალექციო საკითხებში, მიზნებსა და ამოცანებში, შედეგებში, სავალდებულო და სარეკომენდაციო ლიტერატურაში არც ერთ კურსში არ არის მოცეული გენდერული თემატიკა. რეალურად, მხოლოდ 2 პროგრამაში კურსის მიზნებს შორის დასახელებულია გენდერი. (ბათუმის სახ. უნივერსიტეტი, ქუთაისი სახ. უნივერსიტეტი), საიდანაც, ერთ-ერთ კურსში „დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა“ მოცემულია, ძალადობა მოცემულია კურსის შინაარსობრივ აღწერაში, ხოლო მეორეში კი (სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები და მართვა“), სოციალური პედაგოგიკის კურსში მოცემულია როგორც კურსში განსახილველი საკითხი (სკოლის სოციალური მუშაკის საქმიანობის ასპექტები: ა) მეცნიერული, ბ) გამოყენებითი. გ) პრაქტიკული, დ) გენდერული, ე) ორგანიზაციული.) და ასახულია სასწავლო კურსის მიზნებში: (განუვითაროს სტუდენტებს შექმნილი რთული სოციალური (გენდერული და სხვა) სიტუაციებიდან ადვილად გამოსვლის უნარი.) თანასწორობის შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და მათი უნარების განვითარება გენდერის მიმართულებით.

პროგრამაში ასახვის ხარისხი/ უნივერსიტეტი	საბაკალავრო	სამაგისტრო	საბაკალავრო	სამაგისტრო	საბაკალავრო	სამაგისტრო	საბაკალავრო	სამაგისტრო	სამაგისტრო	სადოქტორო
	ფოკუსირებული საკითხებზე ჭრილში	გენდერულ განათლების განათლების ჭრილში	მოიცავს საკითხებს ჭრილში	გენდერული განათლების განათლების ჭრილში	ასახულია კურსის მიზანსა და ამოცანებში, სწავლის შედეგებში, მეთოდურ და სტრატეგიულ ნაწილში		სავალდებულო პრაქტიკაში თანასწორობის აღწერის შეფასება		ნაშრომი საკითხებზე ჭრილში (3 წლის განმავლობაში)	გენდერულ განათლების (3 წლის განმავლობაში)
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არა	არა	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა	არა	არა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ	არა	არა	არა	დიახ
ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	(სოციალ- პოლიტიკური ფაკულტეტის პროგრამის ფარგლებში)	(სოციალ- პოლიტიკური ფაკულტეტის პროგრამის ფარგლებში)	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა	არა	არა
სოხუმის სახელმწი უნივერსიტეტი	არა	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა	არა
ბათუმის სახ. უნივერსიტეტი		არა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა
ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი	არა	არა	არა	დიახ (განათლების მეცნიერების და მართვის პროგრამა)	არა	(განათლების მეცნიერების და მართვის პროგრამა)	არა	არა	არა	არა
სამცხე- ჯავახეთის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	არა	პროგრამა არ აქვს	დიახ	პროგრამა არ აქვს	დიახ	პროგრამა არ აქვს	არა	პროგრამა არ აქვს	პროგრამა არ აქვს	პროგრამა არ აქვს
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი		პროგრამა არ აქვს	არა	პროგრამა არ აქვს	არა	პროგრამა არ აქვს	არა	პროგრამა არ აქვს	პროგრამა არ აქვს	პროგრამა არ აქვს



დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის განათლების საუნივერსიტეტო პროგრამებში არ არსებობს მომავალი პედაგოგის, როგორ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გამტარებელი სოციალური აგენტის, ხედვა. შესაბამისად, არც ერთ საუნივერსიტეტო პროგრამაში, არც ერთ საფეხურზე არ არის გენდერული ცნობიერების ამაღლებისა და სათანადო კონპეტენციებით აღჭურვაზე ორიენტირებული პროგრამა, კურსი ან კურსის ფარგლებში ინტეგრირებული საკითხები. უდავოა, რომ მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაცია, მახასიათებლები, კომპეტენცია, უნარები და პასუხისმგებლობები არ გულისხმობს იმგვარი პროფესიონალის აღზრდას ან განვითარებას, რომელსაც გაცნობიერებული ექნება გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სწავლების მნიშვნელობა და ექნება მოსწავლეებისათვის გენდერული როლების სწორად გააზრების ხეშეწყობისათვის აუცილებელი კომპეტენციები.

თავი 7: დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზი გენდერული მგრძნობელობის პერსპექტივიდან

თავში მოცემული ძირითადი მიგნებები

სახელმძღვანელოების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზით დასტურდება, რომ დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები გენდერული როლების შესახებ სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს. უფრო კონკრეტულად კი:

- სახელმძღვანელოების უდიდესი ნაწილი არ ასახავს გენდერული თანასწორობის საკითხებს;
- არ ამყარებს მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას სქესთა თანასწორობის შესახებ;

- სახელმძღვანელოებში მოცემულ სასწავლო მასალაში უხვადაა გენდერულ როლებსა და ფუნქციებთან დაკავშირებული სტერეოტიპები;
- სახელმძღვანელოები არ უწყობს ხელს განათლების სისტემის დაწყებით საფეხურზე გენდერულად მგრძნობიარე ხედვის ინტეგრირებას.

სახელმძღვანელოების ანალიზისათვის გამოყენებული მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა

სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზის განსახორციელებლად რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები იქნა გამოყენებული. რაოდენობრივ ჭრილში გაანალიზდა მდებრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები ილუსტრაციებში. რაოდენობრივი მეთოდით იქნა ასევე გაანალიზებული პერსონაჟების რაოდენობა სასწავლო მასალაში სქესის მიხედვით.

თვისებრივი მეთოდი გამოყენებულ იქნა ილუსტრაციების, სასწავლო ტექსტებისა და დავალებების ანალიზისათვის. თვისებრივი ანალიზისათვის რამდენიმე სახის ინდიკატორი იქნა შემუშავებული: (ა) მამაკაცისა და ქალის თვისებები და მახასიათებლები; (ბ) საქმიანობა; (გ) როლები (სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ა.შ.) (დ) როლები (მხატვრული ნაწარმოებების ფარგლებში ხარისხოვნების მიხედვით).

ამასთან, თითოეული სახელმძღვანელოს ანალიზი განხორციელდა მასში მოცემულ საკითხებში გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის არსებობის კუთხითაც: თუ რამდენად არის სასწავლო მასალა გენდერულ ჭრილში განხილული და რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეებისათვის გენდერული საკითხების შესახებ თეორიული ცოდნის მიღებასა და გენდერული თანასწორობისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავებასა და განმტკიცებას.

მეტი მკაფიოობისათვის გენდერული საკითხების დეტალურ ანალიზში გაერთიანებული სახელმძღვანელოები საგნობრივ ჯგუფებად არის დაჯგუფებული.

დანართში 2 მოცემულია იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა გაანალიზებული:

სახელმძღვანელოების ზოგადი ანალიზი

სახელმძღვანელოების ანალიზისას საინტერესოდ მივიჩნიეთ დაწყებითი კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორთა სქესობრივი შემადგენლობა. კვლევა აჩვენებს, რომ ავტორთა მეტი ნაწილი ქალები არიან და 74%-ს შეადგენენ. რაც შეეხება ილუსტრაციებს - კვლევამ გამოავლინა, რომ ილუსტრაციების 55%-ში მხოლოდ მამაკაცებია გამოსახული, ქალთა რაოდენობა 23%-ია, ხოლო დანარჩენ 22%-ზე კი ორივე სქესის წარმომადგენელია გამოსახული. საგნისა და ავტორთა გადანაწილების მიხედვით არ შეიძლება ვისაუბროთ რომელიმე ერთ ჯგუფში ავტორთა ერთი რომელიმე სქესის განსაკუთრებულ კონცენტრაციაზე. შეიძლება აღინიშნოს, რომ მუსიკისა და ხელოვნების სახელმძღვანელოებისათვის, რომლებსაც 4 გამომოცემლობა წარმოადგენს, ყველა შემთხვევაში ავტორი ქალი ან ქალთა ჯგუფია.

ცხრილი 25: გაანალიზებულ სახელმძღვანელოებში ავტორთა და ილუსტრაციების სქესობრივი თანაფარდობა


	ავტორები		ილუსტრაციები			ილუსტრაციები %		
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	შერეული	მამაკაცი	ქალი	შერეული
სახელმძღვანელო I	2	2	17	17	0	70%	30%	0%
სახელმძღვანელო II	2	1	18	12	11	44%	29%	27%
სახელმძღვანელო III	0	2	59	7	19	70%	8%	22%
სახელმძღვანელო IV	0	2	45	3	9	79%	5%	16%
სახელმძღვანელო V-VIII	0	2	104	63	44	49%	30%	21%
სახელმძღვანელო IX	2	2	28	9	33	40%	13%	47%
სახელმძღვანელო X	2	3	48	7	28	58%	8%	34%
სახელმძღვანელო XI	0	3	45	48	23	39%	41%	20%
სახელმძღვანელო XII	0	3	87	35	35	54%	24%	22%
სახელმძღვანელო XIII	0	3	68	29	35	52%	21%	27%
სახელმძღვანელო XIV	0	1	55	34	28	47%	29%	24%

სახელმძღვანელო XV	0	1	90	32	18	64%	23%	13%
სახელმძღვანელო XVI	0	1	58	25	9	63%	27%	10%
სახელმძღვანელო XVII	2	2	92	93	55	40%	40%	20%
სულ	26%	74%	814	414	347	55%	23%	22%

რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც სახელმძღვანელოების ილუსტრაციების რაოდენობაში აისახება, ნათლად წარმოაჩენს იმ არათანაბარ რეპრეზენტაციას, რომელიც გენდერული კუთხით პრაქტიკულად ყველა სახელმძღვანელოში ვლინდება. ყველა გაანალიზებულ სახელმძღვანელოში ერთად ილუსტრაციების 55%-ზე მხოლოდ მამაკაცია გამოსახული, 23%-ზე ქალი, ხოლო 22%-ზე ორივე სქესის წარმომადგენელია ერთად. თავისთვად ცხადია, რომ მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემები არ იძლევა სრულ ინფორმაციას სასწავლო მასალის არასაკმარისი გენდერული მგრძნობელობის შესახებ. თუმცა, ილუსტრაციები, რომლებიც სასწავლო მასალის შინაარსობრივ მასალასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ რაოდენობრივი უთანასწორობის, არამედ შინაარსობრივი დისკრიმინაციის ასპექტების დემონსტრირებასაც ახდენს და, შესაბამისად, ქალთა თვისებების, აქტივობებისა და სხვადასხვა როლის შესახებაც გამოხატავს სტერეოტიპულ დამოკიდებულებას.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, დიაგრამაში მოცემულია ილუსტრაციების პროცენტული გადანაწილება ყველა გაანალიზებულ სახელმძღვანელოში ერთად სქესის მიხედვით.

დიაგრამა 11: გაანალიზებულ სახელმძღვანელოებში მოცემული ილუსტრაციების საერთო პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით.



ქვემოთ მოცემულია თითოეული სახელმძღვანელოს დეტალური ანალიზი საგნობრივი ჯგუფის მიხედვით, სადაც დასტურდება ილუსტრაციებთან დაკავშირებული მიგნებები და დასკვნები და აღწერილია შინაარსობრივი ასპექტები.

საგნობრივი ჯგუფი ქართული ენა და ლიტერატურა

„ქართული ენა და ლიტერატურა“ მე-2 კლასი
ავტორები: ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ლალი ვაშაკიძე, ავთანდილ არაბული
გამომცემელი: გამომცემლობა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე/შპს „სწავლანი“
სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორები: 2 ქალი და 2 მამაკაცი, სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 4 ქალი და 1 მამაკაცი (მათ შორის მხატვარი: 1 ქალი და 1 მამაკაცი, დამკაბადონებელი: 1 ქალი, რეცენზენტები: 2 ქალი).

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ავტორთა ნაწარმოებები: სახელმძღვანელოში სულ წარმოდგენილია 90 ნაწარმოები. აქედან 73 ნაწარმოები ეკუთვნის 38 მამაკაც ავტორს, რაც მთლიანი რაოდენობის 81% შეადგენს. 13 ნაწარმოები 7 ავტორი ქალისაა (14.5%), ხოლო 4 კი ხალხური შემოქმედებაა (4.5%)

ამყარებს თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული მასალა მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას სქესთა თანასწორობის შესახებ?

სახელმძღვანელოში მოცემული მასალა მეტწილად აგებულია მამრობითი სქესის გმირების საქმიანობის, თავგადასავლების, ემოციებისა და დამოკიდებულებების შესახებ მოცემული ინფორმაციისგან. შესაბამისად, ის განამტკიცებს მოსწავლეებში მამაკაცების, როგორც დომინანტი სქესის შესახებ აღქმას და წარმოადგენს.

დაწყებული მე-6 გვერდიდან, პირველივე მოთხრობა, სადაც პერსონაჟები ჩნდება, მოცემულია ბიჭუნას პირველი სასწავლო დღე და მასთან დაკავშირებული ერთგვარი ტრასფორმაცია - პატარაობიდან მოსწავლეობაში გარდასახვაა ასახული. შემდეგი ლექსი („ყოჩაღი ბიჭი“) ასევე მოსწავლის წარმატებაზეა ფოკუსირებული და გვაჩვენებს, როგორ გაუხარა ბიჭუნამ თავისი ცოდნით დედას გული. რამდენიმე დავალება, რომელიც ლექსს მოსდევს, არ მოიცავს გოგონასთვის წამახალისებელ არც

ერთ ფრაზას. სახელმძღვანელოს ამგავრი სტრუქტურა იძლევა შთაბეჭდილებას, რომ სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული დადებითი ემოციები მხოლოდ ბიჭებთან ასოცირდება.

ორივე სქესის წრამომადგენელი გმირი პირველად მხოლოდ მე-9 გვერდზე ჩნდება ლალი ვაშაკიძის „დახუჭობანაში“, სადაც „გოგო-ბიჭები დახუჭობანას თამაშობენ“. თუმცა ეს ტექსტიც ბიჭუნას, როგორც დომინანტი გმირის პოზიციიდან არის გადმოცემული და გვიყვება, როგორ დაიხუჭა, როგორ ეძებს იგი მეგობრებს. ტექსტში მოცემულია, თუ როგორ იპოვა რეზომ ია ყველაზე პირველი, იმიტომ რომ იას ჭრელი კაბა ხის უკან მოუჩანდა. რეალურად, ამ ტექსტშიც კი, სადაც ორივე სქესის გმირია მოცემული, ბიჭუნა უფრო ყოჩაღად, საზრიანად არის გამოყვანილი, რომელიც გოგონას, რომელსაც დაუდევრობის თუ მოუფიქრებლობის გამო კაბა გამოუჩნდა, პირველსავე ჯერზე პოულობს.

სახელმძღვანელოს შემდეგი ტექსტიც („სიტყვის კაცი“) მამრობითი გმირის ისტორიას გვიყვება, რომელსაც უკვე მე-12 გვერდზე პატრიოტული ლექსი („ჩემი მხარე“) მოჰყვება და რეალურად გენდერულად ნეიტრალურია. ლექსს მოსდევს სავარჯიშოები, სადაც ისევ და ისევ მშვენიერ ჭაბუკზე, კაცზე, მგოსანზეა საუბარი. პირველად ტექსტი, რომელიც სავარჯიშოს სახით არის მოცემული და გოგონაზეა ფოკუსირებული მხოლოდ მე-16 გვერდზე გვხვდება და აღწერს, თუ როგორ შენიშნა გოგონამ ბაღში წითელი ვარდი, მოეწონა და სახლში წამოიღო. რეალურად, ტექსტი განამტკიცებს იმ სტერეოტიპულ მოლოდინს, რომელიც ქალის ბუნებას, პრიორიტეტებსა და გემოვნებას უკავშირდება.

სახელმძღვანელოს შემდეგი ტექსტი ტყუპი ბიჭუნების ისტორიაა, რომელიც სამ თავადაა გაყოფილი: ბიჭუნები წელიწადის სხვადასხვა სეზონთან, ზამთარსა და თოვლთან, ზაფხულსა და მდინარესთან დაკავშირებულ გამოცდილებას უზიარებენ მოსწავლეებს. არც ტექსტში, არც მომდევნო სავარჯიშოებში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები გოგონები. ბიჭუნები აკეთებენ თოვლის ბაბუას, ძერწავენ მშვენიერ გემებს, გოგონები კი თითქოს არ არსებობენ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი შემდეგ ტექსტში („ერთი გემი“) მოქმედი გმირები ბავშვები არიან, რომლებიც გემს აკეთებენ ერთად. ერთი შეხედვით, ტექსტი გენდერულად მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, რადგან მოქმედი ბავშვებიდან სამი სახელით მოიხსენიება და 2 ვაჟი და ერთი გოგონაა. თუმცა, თუ მათ შორის როლების განაწილებას შევხედავთ, ტექსტში ასევე ხდება გენდერული სტერეოტიპების განმტკიცება; მოთხრობის დასაწყისში აღწერილია, თუ როგორ აკეთებენ ბავშვები გემებს და ეზოს დიდი აუზში უშვებენ. მას შემდეგ, რაც მეუზოვე პეტრე გაუბრაზდება ბავშვებს: „რამდენი გემი გაგიშვიათ, წყალი დაბინძურდებაო“, მიხო და სოსო მეუზოვე პეტრეს ჰპირდებიან, რომ ერთ გემზე მეტს აღარ გააკეთებენ. მოთხრობაში მოქმედი გმირების როლები პროგნოზირებადი და ადვილად შესაცნობია; მეუზოვე, რომელიც ეზოსა და წყლის სისუფთავის აუცილებლობაზე აძლევს დარიგებას ბავშვებს - ასევე, მამაკაცია. ხოლო მოთხრობის თავში ნახსენები ბავშვებიდან, რომლებიც გემებს აკეთებენ, ორი ბიჭი ჰპირდება მეუზოვეს, რომ ერთზე მეტ გემს აღარ გააკეთებენ, რაც განამტკიცებს იმის მოლოდინს, რომ ერთი მხრივ, ბავშვები, რომლებიც გემების გაკეთებით არიან გართულები, ბიჭები არიან, ხოლო მეორე მხრივ კი, სწორედ ბიჭები იძლევიან დაპირებას. მოთხრობის ბოლოს, როდესაც ბავშვებმა ერთი საერთო გემი გააკეთეს, ჩანს, რომ გემზე რეზოს მოტანილი საყვირი დაამაგრეს და მანანას შეკერილი დროშა გაუკეთეს. ისევ და ისევ, როლები მოლოდინების მიხედვითაა დანაწილებული - საყვირი რეზომ მოიტანა, დროშა კი მანანამ შეკერა.

მომდევნო ლექსი („გზა“) „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზეა შექმნილი და გვიყვება, როგორ მიდიან ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მზეთუნახავის გამოსახსნელად ერთად, როგორ გაათავისუფლებენ მას ქაჯეთის ციხიდან. მდებრობითი სქესის წარმომადგენელი უმოქმედო მზეთუნახავია, რომელსაც ვაჟკაცები ათავისუფლებენ. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი შემდეგი ლექსია „მღერიან თუშის ბიჭები“...

ოცდამერვე გვერდზე მოცემულია პაატა მამფორიას სასწავლო-შემეცნებითი ტექსტი „სიტყვის კონა“, რომელიც მოსწავლეებს სიტყვების მართლწერას ასწავლის. ტექსტი იწყება მცირე შესავლით, თუ როგორ გახსნა ეკამ საფოსტო ყუთი და იქ წერილი დახვდა. ამის შემდეგ იწყება სიტყვის კაცის წერილი. ეს არის ერთადერთი ტექსტი, სადაც მდებრობითი სქესის მთავარი გმირია წარმოდგენილი 28 გვერდის განმავლობაში, თუმცა რეალურად ეკაც პასიური, დოკუმენტური ფიგურაა, თავად ტექსტში კი „სიტყვის კაცი“ ჭკვიანი, განათლებული პირი და ასევე ინტელექტუალი მამა ფიგურირებს, რომელიც „ხშირად იხედება წიგნში“.

რეალურად, მთელი სახელმძღვანელოს შინაარსი გაჯერებულია ბიჭებისა და მამაკაცების პერსონაჟებით. ის მცირე რაოდენობის მდებრობითი სქესის გმირები, რომლებიც სახელმძღვანელოში გვხვდება, როგორც წესი, მეორეხარისხოვანია...

ამგვარად, წიგნის შინაარსობრივი მხარე მორგებულია ბიჭების ინტერესთა სფეროს და ხედვას და, ამასთან, სწორედ ბიჭებს წარმოადგენს მოქმედებების, მოვლენების თუ აქტივობების დომინანტ მონაწილედ.

ხდება თუ არა სახელმძღვანელოს გაფორმებისა და ილუსტრაციების საშუალებით მოსწავლეებისათვის გენდერული როლების შესახებ ობიექტური და დაბალანსებული მესიჯების მიწოდება?

წიგნი ნამდვილად არ არის მდიდარი მრავალფეროვანი ილუსტრაციებით. მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში, მოცემული ილუსტრაციები ვერ ასრულებს მასალის შინაარსის პროგნოზირებისათვის დამხმარე ფუნქციას, რომელიც სასურველი იქნებოდა მეორე კლასის მოსწავლეების კითხვის კომპეტენციის განვითარებისთვის.

გენდერული

ჭრილიდან

სახელმძღვანელოს

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
25	7	18	0	23.0	72.0	0.0

გაფორმება ზედმიწევნით შეესაბამება სახელმძღვანელოს შინაარსობრივ დისბალანსს. იმ მცირე ილუსტრაციიდან, სადაც ადამიანები ან სქესის მიხედვით განსხვავებული

გმირები არიან გამოხატული, 18 ილუსტრაციაზე მამრობითი სქესის გმირი ან გმირების ჯგუფი და 7 მდედრობითი წარმომადგენელია. საგულისხმოა, რომ არც ერთ მოცემულ ილუსტრაციაზე მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ერთობლიობა არ არის მოცემული და აბსოლუტურად ყველა ილუსტრაციაზე ისინი სქესის მიხედვით არიან გამოჯნულები, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სახელმძღვანელოში მოჭარბებულად მოცემული გენდერული როლების მიხედვით გამოჯნული შინაარსის აღქმას, რეალურად, სახელმძღვანელო მკვეთრად მასკულიზურია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წიგნის ავტორებსა და გამომცემლებს არც ერთი წუთით არ უფიქრიათ წიგნის გენდერულად დაბალანსებაზე და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმძღვანელოში მოცემული მასალა მდედრობით სქესს ეხება, ილუსტრაციები არ არის დაკავშირებული ქალთა თვისებების, როლის ან ფუნქციის წარმოჩენაზე და, შესაბამისად, ავტორების მიერ გენდერული ბალანსის უზრუნველყოფის მცდელობაზე საუბარი შეუძლებელია.

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი

ავტორები: როდონაია, მირიანაშვილი ვაშაკიძე;

გამომცემელი: შპს „გაზეთი საქართველო მაცნე“/შპს „სწავლანი“

სახელმძღვანელოს ავტორები: 2 ქალი და 1 მამაკაცი

სახელმძღვანელოზე მომუშავე დანარჩენი ჯგუფის შემადგენლობაში შედის 4 ქალი

და 1 მამაკაცი (მათ შორის მხატვარი: 1 ქალი, 1 მამაკაცი - რედაქტორი,

დამკაზადონებელი: 1 ქალი, რეცენზენტები: 2 ქალი).

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ავტორები:___სულ წარმოდგენილი 60 ნაწარმოებიდან 6 ნაწარმოების ავტორია 5 ქალი მწერალი/პოეტი. 50 ნაწარმოების ავტორია 31 მამაკაცი, 4 ნაწარმოები კი ხალხურია.

გენდერული ხედვა ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალაში

სახელმძღვანელოში		ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
მოცემულია	41	სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
		41	12	18	11	29.2	43.9	26.8

ილუსტრაცია, საიდანაც

19-ში წარმოდგენილია ადამიანთა ჯგუფები, საიდანაც 11 ჯგუფი შერეულია და ორივე სქესის წარმომადგენელი შედის. 18 ილუსტრაციაში მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 12-ში - მხოლოდ მდედრობითი. აღსანიშნავია, რომ ილუსტრაციებიდან 11 დოკუმენტურია, ადამიანების ან გმირების ფოტოებითაა წარმოდგენილი, საიდანაც 1 ფოტო ქალბატონისაა, ხოლო ერთი კი თემიდას ქანდაკებას წარმოადგენს. სხვა შემთხვევებში 5 ფოტოზე მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, ხოლო 4 კი შერეულია სქესთა წარმომადგენლობის კუთხით. მთლიანობაში, შეიძლება დავასკნათ, რომ წიგნის ილუსტრაციებში მეტ-ნაკლებად დაცულია გენდერული ბალანსი.

უწყობს თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა ხელს ორივე სქესის წარმომადგენელთა დაბალანსებულ წარმოჩენას და გენდერულად მგრძნობიარე ხედვის ინტეგრირებას?

სახელმძღვანელოს ხაზად გასდევს მწერალთა ბიოგრაფიული მონაცემები და მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები. შესაბამისად, მოცემულია გამოჩენილი ქართველის მწერალი მამაკაცების - იაკობ გოგებაშვილის და რუსთაველის ბიოგრაფია, 1 ინტერვიუ აკაკი წერეთელთან; ასევე: ინფორმაცია ისტორიული გმირების - ცხრა ძმა ხერხეულიძის, მირიან მეფისა და თავდადებული მღვდლის, თევდორეს შესახებ. ამასთან, ტექსტი მირიან მეფის შესახებ მოგვითხრობს წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლისა და ნანა დედოფლის მიერ ქრისტიანობის მიღების ისტორიას. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია გიორგი ლეონიძის ლექსი: „წარწერა ქართველ მწერალთა სურათებზე“, სადაც ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და შოთა რუსთაველის პორტრეტების მოკლე ეპითეტებია მოცემული. სახელმძღვანელო შეიცავს ბიოგრაფიულ ეპიზოდს ანა კალანდაძის შესახებ. მითიური პერსონაჟებიდან სახელმძღვანელოში განმარტებულია თემიდას - სამართლიანობის ქალღმერთის

ვინაობა. არც ერთი გამოჩენილი ქალის შესახებ, დამატებითი მასალა არ არის წარმოდგენილი.

უწყობს თუ არა ხელს სახელმძღვანელო გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას მოზარდთა ცნობიერებაში, გენდერული როლებთან დაკავშირებული აღქმებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას?

სახელმძღვანელოს სრულად შესწავლისას აშკარად შესამჩნევია, რომ ინფორმაცია, ისტორიები მამრობითი სქესის გმირებისა და პერსონაჟების შესახებ ბევრად ჭარბობს მდედრობითი სქესის წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციას. მე-15 გვერდიდან დაწყებული ლექსი „ოცნება“, რომლის მთავარი გმირი ბიჭუნაა, გრძელდება ინანიშვილის „ბედნიერებით“, რომელშიც მთავარი გმირის სქესი მკაფიოდ არ ჩანს, თუმცა ერთადერთი პირი, რომელსაც მთხრობელი ახსენებს, მამამისია. შემდეგი ნაწარმოები („ტყეში“) ასევე ექსკლუზიურად მამაკაცური ისტორიაა ტყეში მამრობითი სქესის წარმომადგენელთა საქმიანობის შესახებ. ბუნების მოვლენის შესახებ ტექსტს კვლავ აგრძელებს ისტორია ვაშლის ხისა და ბიჭის შესახებ, სადაც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი საერთოდ არ ფიგურირებს. შემდეგია ხალხური ნაწარმოები „ირმისა“, სადაც მთავარი გმირი ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენელია.

რეალურად, ერთი გვერდიდან შემდეგამდე სახელმძღვანელოში ფაქტობრივად არსად გვხვდება ქალი გმირის სახე. დავალებები და სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტებსა და ლექსებს ახლავს, ასევე არასაკმარისად მოიცავს რაიმე ტიპის ინფორმაციას ან აქტივობას სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მკვეთრად მასკულიზური შინაარსის გასაწივრებლად. რეალურად, იქ, სადაც აბსოლუტურად თავისუფლად არის შესაძლებელი, დამატებით მასალაში, სავარჯიშოებსა თუ კითხვებში ინფორმაცია მდედრობითი სქესის პოზიციიდან იყოს მოცემული, მსგავსი მცდელობა პრაქტიკულად არ გვხვდება. მაგალითად, 50-ე გვერდის რუბრიკაში - „ეს საინტერესოა“ - წარმოდგენილია ბებრისციხესთან ნაპოვნი სალამურის ისტორია, რომელიც არქაულია და „მწყემსი ბიჭის სალამურის“

სახელითაა ცნობილი. გენდერულად სენსიტიური სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობის შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლებოდა ამ ისტორიაში იმის ხსენება, რომ დღეს სალამურზე ერთნაირი წარმატებით უკრავენ ქალები და მამაკაცებიც.

ქვემოთ მოცემულია ილუსტრაცია, სადაც თანამედროვე მუსიკოსი ასრულებს მუსიკალურ ნაწარმოებს სამუზეუმო ექსპონატზე. სასურველი იქნებოდა, ფოტოზე არა ბიჭი, არამედ გოგონა ყოფილიყო მოცემული, რაც, ერთი მხრივ, საკრავის ქალთან დაკავშირებას შეუწყობდა ხელს, ხოლო მეორე მხრივ კი, წიგნში მოცემული რეალური ინფორმაციის საპირწონედ, სქესთაშორის თანასწორობის იდეას ძალდაუტანებლად მიაწოდებდა მოსწავლეებს. პირველი ნაწარმოები, რომელიც სათაურიდანვე მდებარეობით სქესთან არის დაკავშირებული და მისი მთავარი გმირიც ცალსახად ქალია, 113-ე გვერდზე გვხვდება პირველად და გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ქალების როლი მკვეთრად მეორეხარისხოვანი ან ნაკლებმნიშვნელოვანია, თუმცა რეალურად ამგვარი ნაწარმოებებიც კი სახელმძღვანელოში საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით არის მოცემული.

მისასალმებელია, რომ „მაგდანას ლურჯა“ ფილმის კადრებით არის გამდიდრებული, სადაც ჯგუფური სცენები, მაგდანას სახე ახლო პერპესექტივით არის ნაჩვენები, რაც მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენას აძლევს ნაწარმოების შესახებ და მათ ემოციურ სფეროსაც მოიცავს. თუმცა, მეორე მხრივ, ნაწარმოები ძლიერად არის დაკავშირებული ფილმის ასოციაციებთან, მისი შექმნის ისტორიებთან, ბიოგრაფიულ ფაქტებთან ფილმის რეჟისორის შესახებ, რასაც შეიძლება მოჰყვეს ნაწარმოების შინაარსიდან მოსწავლის ყურადღების ზედმეტი გადატანა სხვა, დამატებით ასპექტებზე, სადაც ერთმნიშვნელოვნად კვლავ ჭარბობს ინფორმაცია მამაკაცების (მიხოს როლის შემსრულებელი, რეჟისორი და ა.შ) შესახებ. სასურველი იქნებოდა, ფილმის მთავარი გმირის მოგონებების, ფილმის შესახებ წარმოდგენილი სხვადასხვა ინფორმაციის გვერდით, აქცენტი გაკეთებულიყო ეკატერინე გაბაშვილის, როგორც ქართველი მწერალი ქალის შემოქმედებაზეც. დადებითია,

რომ „მაგდანას ლურჯას“ გვერდით ნიკო ლომოურის წარმოდგენილია ნაწყვეტი „ქაჯანადან“, რომელსაც კატო ჰქვია და რომელიც მოზარდებს უხატავს არა ტრადიციულად მშვიდი, დამჯერე და თვინიერი, არამედ ცელქი, ხალისიანი და ამავე დროს გამრჯე გოგონას პორტრეტს.

რეალურად, სახელმძღვანელოში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორები გენდერული ბალანსის მიღწევას ერთგვარი რუბრიკებად დაყოფილი მასალის საშუალებით ცდილობენ. ამგვარი დასკვნის გაკეთების საბაზს იძლევა ზედიზედ მიყოლებული რამდენიმე ნაწარმოები, რომელიც მდედრობითი სქესის გმირებს, მათ ისტორიებს მოიცავს. თუმცა ამგვარი მცდელობა ფრაგმენტულია და სახელმძღვანელო ნამდვილად არ გამოირჩევა გენდერულად დაბალანსებული ინფორმაციითა თუ სამუშაო მასალით.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები - ანა კალანდაძის ლექსი („საქართველო ლამაზო“) წარმოდგენილია, როგორც სახელმძღვანელოს პირველ გვერდებზე მოცემულ პატრიოტულ-ისტორიული თემის ერთგვარი გაგრძელება, სავარჯიშოებში კი, რომელიც ლექსთან დაკავშირებულ გრამატიკულ მასალას აცნობს მოსწავლეებს, მოცემულია გამოჩენილი ქართველი პოეტების/მწერლების ხელნაწერი ნაწყვეტები ლექსებიდან. მისასალმებელია, რომ კალანდაძის ლექსის ხელნაწერი სრულად არის მოცემული ილიას, აკაკისა და ვაჟას ხელნაწერების გვერდით, ხოლო ლექსთან ერთად ანა კალანდაძის ბიოგრაფიული ეპიზოდიცაა მოცემული, რაც მოსწავლეებს კალანდაძის პიროვნების გააზრების საშუალებას აძლევს, - ესეც სახელმძღვანელოს პლუსად შეიძლება ჩაითვალოს.

სახელმძღვანელოს მე-14 გვერდზე მოსწავლეებისათვის განმარტებულია განსხვავება ბიოგრაფიასა და ავტობიოგრაფიას შორის და მცირე მაგალითად მოსწავლის ავტობიოგრაფიაა მოტანილი, რომელიც ბიჭუნას სახელითაა მოცემული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-15 გვერდზე ალექსანდრე საჯიას ლექსი („ოცნება“) კვლავ პირველ პირში ბიჭის სახელითაა დაწერილი, მიზანშეწონილი იქნებოდა, ავტობიოგრაფიის ავტორი გოგონა ყოფილიყო.

195-ე გვერდზე წარმოდგენილია ზაალ სამადაშვილის მოთხრობა „სანდრო კანდელაკის ჩექმა“, რომელშიც საინტერესო ინფორმაციაა ქართველი ფალავნის შესახებ. ტექსტი გავრცობილია დავალებებისა და სავარჯიშოების სახით. სახელმძღვანელოში არის საინტერესო ინფორმაცია ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან. რუბრიკაში - „ეს საინტერესოა“ - გამოტანილია დამატებითი ინფორმაცია ქართველი მოჭიდავეების შესახებ. სასურველი იქნებოდა, სახელმძღვანელოს ავტორებს თუნდაც ერთი წინადადებით ხაზი გაესვათ სპორტსმენის ქალების წარმატებებისთვის, რადგან სწორედ სპორტული წარმატებების ხაზგასმა მასკულიზური ძალოსნის შესახებ მოთხრობისა და ოლიმპიადის განვითარების საქმეში დიდი წვლილის მქონე მოღვაწის პიერ დე კუბერტენეს შესახებ ინფორმაციის ფონზე ქართველი სპორტსმენი ქალების წვლილის წარმოჩენა ხელს შეუწყობდა გენდერული ბალანსისა და გენდერული როლების ადეკვატურად აღქმას მოზარდებში.

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი

ავტორები: ნინო გორდეღაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე;

გამომცემელი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორი: 2 ქალი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 1 ქალი, 3 მამაკაცი (მათ შორის: კონცეფცია - 1 მამაკაცი, რედაქტორი - 1 ქალი; დიზაინი-ილუსტრაცია - 2 მამაკაცი, 2 ქალი); რეცენზენტები - 2 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და გენდერული ხედვა ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალაში

სახელმძღვანელოში

ილუსტრაციების

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
84	7	59	18	8	70	22

რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელია გამოსახული, ილუსტრაციათა საერთო რაოდენობის 70%-ს შეადგენს, რაც თითქმის ცხრაჯერ აღემატება იმ ილუსტრაციათა რაოდენობას, რომელზეც მხოლოდ

მდედრობითი სქესის წარმომადგენელია გამოსახული (8%). ილუსტრაციათა 22% ორივე სქესს წარმოგვიდგენს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ილუსტრაციები კიდევ უფრო განამტკიცებენ წიგნის მასკულინურ ხასიათს. წიგნის იმ ადგილებშიც კი, რომელიც სავარჯიშოებისთვის არის განკუთვნილი, ილუსტრაციები არ არის დაბალანსებული და მოქმედებებს ძირითადად მამაკაცები/ბიჭები ახორციელებენ. გრამატიკის ნაწილიც კი მასკულინური სულისკვეთებისაა. მეტყველების ნაწილების სწავლებისას ვხვდებით ბორკილდადებულ ტყვე მამაკაცებს, საბრძოლო იარაღებს, მეომრებს და ა.შ.

უწყობს თუ არა ხელს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები ქალის განსხვავებული გენდერული როლების წარმოდგენას?

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანების უმრავლესობა მამრობითი სქესისაა. 226-გვერდიან წიგნში გვხვდება მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დედა და ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა. ასევე გვხვდებიან ავტორების რანგში ანა კალანდაძე და ნინო ნაკაშიძე.

რამდენად არის წარმოდგენილი გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში?

სახელმძღვანელოსათვის შერჩეული ტექსტებიდან გენდერული მგრძნობელობის კუთხით აღსანიშნავია არჩილ სულაკაურის „სალამურა“. ამ ზღაპრის მთავარი პერსონაჟები არ არიან გენდერულად სტერეოტიპულები. სალამურა არ არის ტიპურად მასკულინური ტიპაჟი. ზღაპრების პასიური მზეთუნახავებისგან განსხვავებით, ბაია საკმაოდ დამოუკიდებელია. ის ცივინათელების მწყემსია, მწყემსობისათვის კი სახლიდან მოშორებით დამოუკიდებლად გადაადგილებაა საჭირო. ამ კუთხით, ის სცდება ქალის ტრადიციულ პრობლემას, რომელიც სახლისგან მოცილებასთანაა კავშირში.

სახელმძღვანელო 12 თავად არის დაყოფილი. აქედან თავები - „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „ვაჟკაცსა გული რკინისა“ - გენდერულად ყველაზე სტერეოტიპულია. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოცემული ტექსტები უფრო სამშობლოსათვის

ბრძოლით მსახურების სულისკვეთებას გადმოსცემს, ვიდრე შრომით მსახურებისას, ამიტომ ძირითადად მამაკაც გმირთა თავდადებას ეძღვნება.

ისტორიულ პირთაგან ტექსტებში გვხვდება: ვახტანგ გორგასალი, მეფე ერეკლე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, სამასი სპარტელი, იოთამ ზედგენიძე, გიორგი მერვე, ყვარყვარე ათაბაგი, მღვდელი თევდორე, პატარა კახი.

პატრიოტი მამაკაცი პერსონაჟები შემკულნი არიან შემდეგი ეპითეტებით: თავისი ქვეყნის ერთგული მოყვარე, ლომივით მებრძოლი, სამშობლოსათვის თავდადებული, გმირული სულის მქონე, საარაკოდ ვაჟკაცური, საოცრად უშიშარი, გულმხურვალე მამულიშვილი, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლი, ვაჟკაცური ფიცის დამდები.

ქალი პატრიოტისათვის უმთავრესი ღირსებაა მამულისათვის თავგანწირულ გმირთა გაზრდა (9 ძმა ხერხეულიძის დედა). ქალის პატრიოტიზმი გამოიხატება მკვეთრად მასკულიზური შეფერილობის მქონე თვისებების საშუალებით, რაც აღრმავებს ქალსა და მამაკაცს შორის საგარეო და საშინაო საქმეთა გადანაწილების სტერეოტიპს.

მესამე თავში მოცემულია ტექსტი „ცისა და მიწის მეფეები - არწივი და ლომი“. ტექსტიდან ნათელია, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არსებული ძალაუფლების გენდერული განაწილების სქემა ბუნებაზეც ვრცელდება. მმართველი, მბრძანებელი მამაკაცია, მეფეა. ამავე თავშია შესული ლადო ასათიანის ლექსი „ყაყაჩო“, რომელშიც გაპიროვნების ლიტერატურული ხერხის გამოყენებით ნაზი ყვავილი ემხიან და ამავდროულად მორცხვ ქალთან ასოცირდება.

მეოთხე თავში საინტერესო ტექსტებიდან უნდა გამოიყოს ხალხური ლექსი „მზე და მთვარე“, რომელშიც მზე, რომელიც უფრო ძალმოსილია, ქალია და მთვარე კი კაცი, განსხვავებით სხვა ხალხების მითოლოგიური წარმოდგენებისგან.

ტექსტში „უძველესი ნახატები“ გვხვდება მოუსვენარი და ცნობისმოყვარე 9 წლის გოგონა მარია, რომელიც მამას დაეხმარა ალტამირას გამოქვაბულის ნახატების აღმოჩენაში. ამ ტექსტის სახელმძღვანელოში შეტანა დადებითად მიგვაჩნია, რადგან

აღმომჩენთა თუ თავგადასავლების მქონეთა როლებში გოგონა იშვიათად არის ხოლმე წარმოდგენილი. თუმცა, ამავე თავში მოცემულ ტექსტში (ჯურხა ნადირაძის „ცეცხლის მოთვინიერების ამბავი“) ცეცხლის პირველ მომპოვებლად, არა ზოგადად პირველყოფილი ადამიანი კი არ არის გამოყვანილი, არამედ აქცენტირებულად კაცი. აქ, ვფიქრობთ, ავტორის არჩევანს გენდერული სტერეოტიპის ავტომატურ გავლენა განაპირობებს.

ადამიანისა და ცხოველების მეგობრობის, ადამიანის მიერ ცხოველებისადმი გულმოწყალე დამოკიდებულების გამომხატველ მოცემულ ხუთივე ტექსტში ადამიანთა მოდემის წარმომადგენელად მამაკაცია წარმოდგენილი: ანდროკლე და ლომი, გამიხარდი და ირემი, წიქარა და ობოლი ბიჭი, მოხუცი და ბროლია, ფიროსმანი და მისი პერსონაჟები ჟირაფი და შველი.

მერვე თავში კი, რომელშიც მოზარდის ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებისათვის განკუთვნილი ტექსტებია, აბსოლუტურად ყველა ტექსტი ბიჭუნებსა და მათ მიერ სხვადასხვა ზნეობრივი პრინციპების (ქურდობის უარყოფა, ცხოველებისადმი გულმოწყალება, თავისუფლების ფასის გააზრება, გასაჭირში დახმარების აუცილებლობა, დაჩაგრულის ქომაგობა) შეთვისებას შეეხება. იმ მოსაზრებას, რომ სახელმძღვანელოს ამ ნაწილის სამიზნე ჯგუფად გაუცნობიერებლად მხოლოდ ბიჭუნები მოიაზრებიან, აძლიერებს აქვე მოყვანილი ლექსი („ის კი არ არის ბიჭობა“), რომელიც წმინდა მამაკაცურ თვისებებს შეეხება.

სახელმძღვანელოში არსებობს თავები, სადაც გოგონა სრულიად უჩინარია. ეს კი აკნინებს მათი პიროვნული განვითარების მნიშვნელობას და არსებული სტერეოტიპების გაძლიერებას ემსახურება.

„ქართული ენა და ლიტერატურა“ მე-6 კლასი

ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე,

გამომცემელი: „მერიდიანი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორი: 2 ქალი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 2 ქალი, 1 მამაკაცი (მათ შორის: რედაქტორი: 1 ქალი; მხატვარი: 1 ქალი, დიზაინერი: 1 მამაკაცი); რეცენზენტები: 3 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალებში:

სახელმძღვანელოში ილუსტრაციების რაოდენობა ყველა განხილულ წიგნს შორის ყველაზე

დაუბალანსებელია.

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
57	3	45	9	5	79	16

მამრობითი სქესის წარმომადგენელი საერთო რაოდენობის 79% ილუსტრაციებზეა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც მდედრობითი სქესი გამოსახულია ილუსტრაციების მხოლოდ 5%-ზე, ხოლო ორივე სქესისა კი - 16% -ზე.

სახელმძღვანელოში შესულია 5 ცნობილი პირის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია. მათგან არცერთი არ არის ქალი. სახელმძღვანელოში მოხსენიებული 53 ისტორიული პირიდან, მხოლოდ 13-ია ქალი (25%); კერძოდ, გვხვდება: თამარ მეფე, დარეჯან ბატონიშვილი, მარიამ ბებურიშვილი (ილია ჭავჭავაძის დედა), მაკრინე ჭავჭავაძე (ილია ჭავჭავაძის მამიდა), ოლღა გურამიშვილი (ილია ჭავჭავაძის მეუღლე), ეკატერინე აბაშიძე (აკაკი წერეთლის დედა), სოლომონ მეორის ასული დარეჯანი (აკაკი წერეთლის დიდი ბებია), ნატალია ბაზილევსკაია (აკაკი წერეთლის მეუღლე), კეკე ნებიერიძე, თამარ დიდებაშვილი (ვაჟა ფშაველას პირველი და მეორე მეუღლეები), თამარ, გულქან, ნინო რაზიკაშვილები (ვაჟა ფშაველას ქალიშვილები).

რეალურად, 13 ქალიდან 11 სახელმძღვანელოში გვხვდება, როგორც ცნობილი მამაკაცის დედა, მეუღლე ან ქალიშვილი. სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ბიოგრაფიებში ცნობილი პირის ბიოგრაფიული მონაცემების მოყვანისას, მეუღლეები და ქალიშვილები, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ სახელით არიან მოხსენიებულები (7 შემთხვევა), იმ დროსაც კი, როდესაც შესაძლებელი იყო მათ თითო წინადადება მაინც დასთმობოდათ; მაგალითად, ოლღა გურამიშვილისა და გულქან რაზიკაშვილის შემთხვევაში. შედარებით უკეთაა წარმოდგენილი დედის სახე, თითო აბზაცი ეძღვნებათ დედებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიებში. თუმცა, კვლავაც, ქალის წარმოჩინება დომინანტურად

დედის როლთანაა ასოცირებული, რაც ძალაუფლებურად განამტკიცებს რწმენას მდედრობითი სქესის დედობის ერთადერთი და დომინანტი ფუნქციის შესახებ.

ასახვევენ თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული პერსონაჟები გენდერული თანასწორობის საკითხებს?

სახელმძღვანელოში შესული ტექსტების უმრავლესობაში მთავარი პერსონაჟი მამაკაცია: თორნიკე ერისთავი (ი. გოგებაშვილი „ივერიის მონასტერი“), მახმუტ-ბიი (უიარაღოს „მამელუკი“), ეინარი (სერგო კლდიაშვილის „შორეული“), ფინეზი, ლეონი, ჯუმბერი, სედრაქი, რუქა (სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“), კოპალა (ხალხური ზღაპარი), წვიმის მოყვარული კაცი (გურამ პეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცი“), სიტყვის პაპა, პატიოსანი კაცი და მეფე (გურამ დოჩანაშვილის „ყველაზე კარგი პაპა“), შიშია (თედო რაზიკაშვილის „მონადირე“), იოსება (რევაზ ინანიშვილის „უშიშარი ბიჭი იოსება“), ბიჭუნა (მურმან ლებანიძის „თორმეტი წლის კაცი“), ვარსკვლავბიჭუნა (ოსკარ უაილდის „ვარსკვლავბიჭუნა“), ფრანცი (ალფონს დოდეს „უკანასკნელი გაკვეთილი“).

სახელმძღვანელოში შესულ მხოლოდ ერთ ტექსტშია მთავარი პერსონაჟი გოგონა (რევაზ ინანიშვილის „დედუნა“). ორ ტექსტში ქალები ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟები არიან: აბესალომ და ეთერი (ხალხური თქმულება), სიუ და ჯონსი (ო'ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“). დანარჩენ ტექსტებში ქალები ეპიზოდურად გვხვდებიან, ხოლო 14 ტექსტში (ანუ ტექსტების 39%-ში) ქალები საერთოდ არ არიან ნახსენები.

არის თუ არა მოცემული სასწავლო მასალა გენერულად სტერეოტიპული გმირებისათვის თვისებებისა და როლების წარმოდგენისას?

სახელმძღვანელოსათვის შერჩეული ტექსტების მიხედვით, აქტიურობასთან, ძალაუფლებასა და რაციონალობასთან დაკავშირებული თვისებები ძირითადად მამაკაცებს მიეწერებათ. კერძოდ, მამაკაცებს ახასიათებთ შემდეგი თვისებები: ღრმად განსწავლული, მეტად ნიჭიერი, ღვაწლმოსილი, განათლებული, ჭკვიანი, გამოცდილი, მხნეობით აღსავსე, სასიქადულო ქართველი, მოაზროვნე, გენიოსი,

ჩინებული დიდაქტიკოსი, დიდი ავტორიტეტის მქონე, გონიერი, სხარტი, ენამოსწრებული, გულკეთილი, თავაზიანი, ფიცხი ბუნების, მეტად კეთილი, მწიგნობრობის მოტრფიალე, გავლენიანი, შეუდრეკელი ბუნების, დიდად ენერგიული, გონიერი, ენამოსწრებული, უზადო ნიჭის მქონე,

ქალები ხასიათდებიან შემდეგი თვისებებით: მშვენიერი, ლამაზი, კეთილშობილი, სათნო ბუნების ქალი, საუკეთესო აღმზრდელი თავისი შვილებისა, ფრიად განსწავლული ადამიანი, შესანიშნავი მცოდნე მშობლიური ენისა და ლიტერატურისა, გამჭრიახი, შრომისმოყვარე, მკაცრი, სამართლიანი, მწიგნობრობის მოტრფიალე, კარგი მეოჯახე, გაჭირვებულთა გამკითხავი, მოუღლეელი, ნიჭიერი მოლექსე, მგრძნობიარე გულის მქონე. შესაბამისად, სახელმძღვანელოში შექმნილია მამაკაცისა და ქალის მკვეთრად გამიჯნული გენდერული პორტრეტები.

სახელმძღვანელოში ნახსენები მამაკაცების სამოქმედო ასპარეზი ფართოა. ტექსტებში მამაკაცი გვხვდება შემდეგ როლებში: მეცნიერი, ფილოსოფოსი, მწერალი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, სარდალი, ღვთისმეტყველი, იმპერატორი, მეფე, ვეზირი, მონადირე, მამლუქი, ბრძენი, უფლისწულის აღმზრდელი, პედაგოგი, მისიონერი.

ქალების სამოქმედო ასპარეზი შედარებით ვიწროა. მხოლოდ საზღვარგარეთული მწერლობის თავში მოცემულ ერთადერთ ტექსტში ჩანს ქალი გარკვეული პროფესიის მქონე (მხატვარი სიუ, ო'ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“), დანარჩენ შემთხვევებში ქალი საოჯახო როლებში გვხვდება, როგორც დედა, მეუღლე და ქალიშვილი.

საგნობრივი ჯგუფი „საზოგადოებრივი მეცნიერებები (ჩვენი სამშობლო)“

„ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი

ავტორები: მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, ლაშა ბერაია, თამარ გეგეშიძე, ნინო მამალაძე, მანანა ქურთუბაძე, თამარ შალვაშვილი, იზა გარსენიშვილი, ლია გარსენიშვილი, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ზურაბ კიკნაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, თამარ უზუნაშვილი,

გამომცემელი: „ლოგოს პრესი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორთა გენდერული ბალანსი დაცულია: 2 ქალი, 2 მამაკაცი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 8 ქალი, 6 მამაკაცი (მათ შორის: თანაავტორები - 1 მამაკაცი, 3 ქალი; რედაქტორები - 2 მამაკაცი, 1 ქალი; სავარჯიშოების შემდგენლები - 3 ქალი; მხატვარ-დიზაინერი - 3 მამაკაცი, 1 ქალი; კარტოგრაფია - 1 ქალი, 1 მამაკაცი); რეცენზენტები - 1 მამაკაცი, 2 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და გენდერული ხედვა ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალებში

ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესი წარმომადგენელია, გამოსახული საერთო რაოდენობის 40%-ს შეადგენს, რაც სამჯერ აღემატება იმ ილუს-

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
70	9	28	33	13	40	47

ტრაციათა რაოდენობას, რომელზეც მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენელს ვხედავთ (13%).

შედარებით მაღალია იმ ილუსტრაციათა რაოდენობა, რომელიც წარმოგვიდგენს ორივეს ერთად (47%).

სახელმძღვანელოში მოხსენიებულ პირთა უმრავლესობა მამაკაცია. გვხვდება მდედრობითი სქესის 7 პერსონა: წმინდა ნინო (საქართველოს გამჟღავნებელი), დედოფალი ნანა (პირველი ქრისტიანი დედოფალი), სიდონია აბიათარის ასული (წმინდა ნინოს თანამოაზრე), ფარნავაზ მეფის დედა, თამარ მეფე, რუსუდანი (თამარ მეფის მამიდა), ელენე ახვლედიანი, მედეა - იაზონის ასული (არგონავტების ბერძნული მითიდან).

სახელმძღვანელოს შესავალი ნაწილი - „რას და როდის ისწავლი ამ სახელმძღვანელოში“ მოსწავლეს უხსნის ისტორიის დანიშნულებას: „(ისტორიის) ცოდნა დაგეხმარება, უკეთ გაიგო ჩვენი ქვეყანა, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, ვინ ვართ ჩვენ, რა გვაქვს საამაყო და მისაბადი და რა - დრომოჰმული და წარსულისათვის ჩასაბარებელი“. შესაბამისად, შესავალი ნაწილი საშუალებას იძლევა მოსწავლეება კრიტიკულად გაიაზრონ საკუთარი ისტორიული გამოცდილება და საზოგადოებაში არსებული ტრადიციები. განავითარონ კრიტიკული ანალიზის უნარები ქალისა და მამაკაცის ისტორიულად ჩამოყალიბებული როლებისა და ურთიერთობის მოდელებთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოს პირველი ოთხი თავი („ჩვენი სამშობლო“, „თბილისი“, „საქართველოს კუთხეები, „ძველი საქართველოს მიწები და საქართველოს ისტორიული ქალაქები“) მოსწავლეებს აწვდის ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს საქართველოს შესახებ. ამ თავების შინაარსი გენდერულად ნეიტრალურია. ცალ-ცალკე გაკვეთილები ეთმობა საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან ორ პერიოდს („გაქრისტიანება“ და „ოქროს ხანა“), რომელიც ქალის სახელს უკავშირდება (წმინდა ნინო, თამარ მეფე).

გენდერული ანალიზისათვის საინტერესოა თავები „ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა საქართველოში“ და „ქართული ტრადიციული ყოფა“, რომლებიც ქართული მეურნეობისა და კულტურის ტრადიციულ დარგებს გვაცნობს. სამეურნეო საქმიანობათა შორის აღწერილია ის დარგიც, რომელშიც ქალები აქტიურად საქმიანობენ. გაკვეთილი - „რას ამზადებენ მატყლისაგან მთაში?“ მოსწავლეებს აცნობს თექის მოთელვის, დაზგაზე და ჩხირებით ქსოვის ტრადიციას. ეს ის რეწვის დარგებია, რომლებიც ტრადიციულად ქალთა საქმედ ჩამოყალიბდა, რომელშიც მთიელმა ქალებმა მაღალ ოსტატობას მიაღწიეს. წიგნში აღნიშნულია, რომ ეს სულაც არ იყო იოლი საქმე და რომ „მატყლის გარეცხვა და ჩეჩვა საკმაოდ რთული იყო“, რაც პოზიტიურ მხარედ უნდა განვიხილოთ. თემა „განათლების კერები საქართველოში“ გვამცნობს, რომ „წარჩინებული ქალებიც საკმაოდ განათლებულები იყვნენ. განათლებას ისინი დედათა მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებში

იღებდნენ“. ტექსტს მოსდევს კითხვა განსჯისათვის „ის ფაქტი, რომ მხოლოდ წარჩინებული ქალები იღებდნენ განათლებას, თავისთავად გულისხმობს, რომ ასეთ განათლებას ვერ იღებდნენ უბრალო (გლეხური წარმომავლობის) გოგონები და ქალები. რამდენად სასარგებლო იყო ქვეყნისათვის ის, რომ გოგონები და ქალები ძირითადად საოჯახო საქმისათვის იყვნენ გამწესებული? - კარგი შესაძლებლობაა მასწავლებლისათვის მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს ქალის ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცევის შედეგებზე და მისი როლის გაფართოების სიკეთეებზე იმსჯელოს.

მეორე მხრივ, თემაში- „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან უნივერსიტეტამდე“ - განხილვის დროს არც ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალი არ არის მოხსენიებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა შესწავლილი და ისტორიულად დადასტურებულია.

საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა ტრადიციის გადმოცემისას ძალიან თვალსაჩინოა ქართული კულტურის მასკულიზურობა. მაგალითად, ახალი წლის აღნიშვნა: ახალ წელს მეკვლე ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო, კაცის გამოსახულების კვერს („ბასილას“) აცხობდნენ; ხალხური ცეკვა და მუსიკა - „ზოგ საკრავს მამაკაცები უკრავდნენ, ზოგს კი ქალებიც“; სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია - სუფრასთან საპატიო ადგილას სტუმარი და ოჯახის უფროსი სხდებოდნენ, სუფრას ახალგაზრდები და ქალები ემსახურებოდნენ. ქორწილის აღნიშვნის ტრადიციაში გადმოცემულია, რომ ქორწილის დროს პატარძალს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუგორებდნენ. აქვე კითხვაა: როგორ ფიქრობ, რატომ უსვამდნენ პატარძალს პატარა ბიჭს კალთაში? არჩევითი პასუხით: ოჯახს რომ ძეობა (ბიჭის დაბადება) დაჰბედებოდა. მსგავსი ძლიერი სტერეოტიპების შემცველი ტრადიციები ისე მიეწოდებათ მოსწავლეებს, რომ არ ხდება მისი განხილვა-შეფასება თანამედროვე ღირებულებების თვალსაზრისით.

დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს სახელმძღვანელოში ისეთი თემების შემოტანა, როგორებიცაა „ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი“,

„აღზრდის ტრადიციული წესები“. გენდერული თვალსაზრისით კორექტულად მიგვაჩნია ტრადიციული ოჯახისა და აღზრდის წესების ანალიტიკური შედარება თანამედროვეობასთან. სახელმძღვანელო მოსწავლეებს აცნობს, რომ ტრადიციული „ოჯახის უფროსი ყველგან მამაკაცი იყო. იგი ქალებზე და ოჯახის წევრ უმცროს მამაკაცებზე მეტი უფლებებით სარგებლობდა“. თუმცა, ძველი ტრადიციული ოჯახის გაცნობამდე ავტორები აღწერენ თანამედროვე ოჯახს: „თანამედროვე ოჯახში ქალები და მამაკაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

გაკვეთილს ახლავს შეკითხვა: შეადარე შენი ცხოვრების წესი ძველი ქართული ოჯახის ცხოვრების წესს. რომელი საოჯახო ტრადიცია არის დაცული შენს ოჯახში? ეს კითხვა გენდერული თვალსაზრისით საინტერესო დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა - რომელ ტრადიციას უნდა გავუფრთხილდეთ, თუ რა შეიცვალა ან ჯერ კიდევ შესაცვლელია. თუმცა, დისკუსიის გავრცობა შემდეგი კითხვების საშუალებით არ ხდება და შემდეგი დავალებები არსებული სტერეოტიპული ტრადიციების განმტკიცება-დასწავლის ფუნქციას ასრულებს.

მიუხედავად პოზიტიური მაგალითებისა, მთლიანობაში სახელმძღვანელოს ტექსტში არ არის მკაფიო მინიშნებები, თუ „რა არის დრომოჭმული და წარსულისათვის ჩასაბარებელი“. შემაჯამებელი კითხვების მიხედვით, გაკვეთილის მიზანი ტრადიციული ოჯახის გაცნობა და ტრადიციების დაცვისა და პატივისცემის განწყობის ჩამოყალიბებაა და არა არასწორი ტრადიციის კრიტიკული ანალიზი. ასეთ შემთხვევაში კი წიგნში მოცემული ინფორმაციის სწორი პერსპექტივით გაანალიზება კლასში მასწავლებლის კომპეტენციებზეა დამოკიდებული. ამ წიგნით სწავლებისას შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად მასწავლებელს ეკისრება. ეს კი ნიშნავს, რომ გენდერულად არამგრძნობიარე პედაგოგის სწავლების შემთხვევაში, მოსწავლეებს არ ეძლევათ შანსი, სწორად შეაფასონ და გააკრიტიკონ სახელმძღვანელოში აღწერილი ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში, რომელიც ხშირ შემთხვევაში დღემდე შემორჩა.

„ჩვენი საქართველო“, მე-6 კლასი

ავტორები: მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე

გამომცემელი: „ლოგოს პრესი“

სახელმძღვანელოს ავტორები: 3 ქალი, 2 მამაკაცი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 5 ქალი, 5 მამაკაცი (მათ შორის: თანაავტორები - 1 მამაკაცი, 1 ქალი; სავარჯიშოების შემდგენელი - 1 ქალი; რედაქტორები - 1 მამაკაცი, 1 ქალი; მხატვარ-დიზაინერი - 1 მამაკაცი, 2 ქალი; კარტოგრაფია - 1 ქალი, 2 მამაკაცი); რეცენზენტები - 1 მამაკაცი, 2 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და გენდერული ხედვა ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალაში:

სახელმძღვანელოში ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესის წარ-

მომადგენელია გამოსა-

ხული, ილუსტრაციათა

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
83	7	48	28	8.0	58.0	34.0

საერთო რაოდენობის თითქმის ორი მესამედია და შეადგენს 58%-ს, რაც შვიდჯერ აღემატება იმ ილუსტრაციათა რაოდენობას, რომლებზეც მხოლოდ მდედრობითი სქესია გამოსახული (8%). ილუსტრაციათა 34% ორივე სქესს წარმოგვიდგენს.

სახელმძღვანელოში მოხსენიებულ პირთა უმრავლესობა მამაკაცია. სახელმძღვანელოს თემატიკა მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური ისტორიით, რაც ქალთა როლის მეტად წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. სახელმძღვანელო ცნობებს გვაწვდის 21 ქალის შესახებ. ესენია: წმინდა ნინო, დედოფალი ნანა, სერაფიტა (არმაზის ბილინგვის წარწერიდან), საგდუხტი (ვახტანგ გორგასლის დედა), თამარ მეფე, რუსუდანი (თამარის მამიდა), რუსუდან მეფე, ქეთევან დედოფალი, ბიზანტიის ქართველი დედოფალი მართა-მარიამი (მიხეილ დუკას მეუღლე, ბაგრატ IV შვილი), დედოფალი ბორენა (შვილთან, მართა-მარიამთან ერთად ააშენა მონასტერი კაპათა), ბიზანტიის დედოფალი თეოფანა (დავით კურაპალატი დაეხმარა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში),

დედოფალი ანა (ბაგრატ V-ის ცოლი, რომელიც დაატყვევა თემურ-ლენგმა), საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი (გიორგი XII-ის მეუღლე, რომელმაც მოკლა რუსი გენერალი ლაზარევი), ნინო პოლტოროვცაია (აღნიშნულია, რომ იზიარებდა უკიდურეს გაჭირვებას მეუღლესთან, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად და არ არის სახელითა და გვარით მოხსენიებული), ფარნავაზის ორი და და ცოლი (ასევე სახელების გარეშე), კახეთის დედოფალი ანა (ჩვენამდე მოღწეულ უძველესი ხელნაწერი „ქართლის ცხოვრება“ გადააწერინა), დარეჯან ბატონიშვილი (სოლომონ I-ის შვილი, გადაასახლეს რუსეთში შვილის, ივანე აბაშიძის გამო, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას), ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთელი („წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილების ხელმძღვანელი ყვარელში), პელაგია (ქაიხოსრო გურულის ასული, „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ხელნაწერის მფლობელი).

სახელმძღვანელოს პირველი ორი თავი („დრო და ისტორია“, „გარემო და ადამიანი“) გენდერულად ნეიტრალურია. მესამე თავში („საქართველოს მოსახლეობა“) მოცემულია საქართველოში მცხოვრები ჯგუფები და მათი განსხვავების ნიშნები, თუმცა, ეთნიკური, რელიგიური აღმსარებლობისა და მათი დასახლების სახეობების ნიშნების კვალდაკვალ, რომელიც თვალსაჩინოდ დიაგრამებითაა წარმოჩენილი, იგნორირებულია სქესობრივი ნიშნით განსხვავებულობა. ასევე მე-17 გაკვეთილი („როგორ იცვლება მოსახლეობის რიცხოვნება“) დემოგრაფიული მდგომარეობის ცვალებადობის მიზეზებზე მსჯელობისას იყენებს სტატისტიკას. თემა დინამიკის გენდერულ ჭრილში გაცნობის შესაძლებლობას იძლევა, რაც არ არის გამოყენებული.

მესამე თავში („საქართველოს მოსახლეობა“) მე-20 გაკვეთილის თემაა „ადამიანის ასაკი და ცხოვრების ტრადიციული წესი“. მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივ პერიოდებად დაყოფის ერთ-ერთ მოდელს, რომლის მიხედვით ასაკობრივი პერიოდების შესაბამისი წლოვანებები განსხვავებულია სქესის მიხედვით. გოგონები ერთი წლით ადრე ასრულებენ

ბავშვობას, ვიდრე ბიჭები. ქალები ხუთი წლით უფრო ადრე ითვლებიან ხანშიშესულებად (55 წლის ასაკიდან), ვიდრე მამაკაცები. სასურველია, ამ მოდელის გაცნობას მოსდევდეს შეკითხვა, რა არგუმენტები დგას ამგვარი გადანაწილების უკან, რაც საშუალებას მისცემდა მოსწავლეებს დაეწყოთ ფიქრი, არის თუ არა დისკრიმინაციული ასაკობრივ პერიოდებად დაყოფის ამგვარი მიდგომა. გაკვეთილი მოსწავლეებს აგრეთვე აცნობს ქალსა და მამაკაცს შორის შრომის განაწილების ძველად არსებულ მოდელს: „ძველად ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომა დანაწილებული იყო: ქალს ძირითადად ოჯახის მოვლა ევალებოდა, მამაკაცს - ოჯახის რჩენა და დაცვა. გოგონებსაც და ბიჭებსაც თავისებური წესით, სხადასხვანაირად ზრდიდნენ“. იქვე მოცემულია ნაწყვეტი აკაკი წერეთლის „ჩემი თავადასავლიდან“, სადაც ავტორი იგონებს სოფელში გატარებულ ბავშვობის და ქალებისა და მამაკაცების ჩვეულ, ტრადიციულ საქმიანობას. იქვე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, იმსჯელონ და გაიაზრონ, რომ ქალის ხელსაქმარს კაცისათვის ცოდვად მაშინდელი გლეხები თვლიდნენ, სინამდვილეში კი აკაკი ხვდება, რომ ეს ცრურწმენაა. ტექსტს ახლავს სასწავლო აქტივობები, რომლებიც უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს თემის გააზრებაში: *ამოწერეთ, რას საქმიანობდა წარსულში მამაკაცი და რას ქალი? იმსჯელოთ კლასში: რა შეიცვალა ქალისა და მამაკაცის ცხოვრების წესში? როგორაა დღეს მათ შორის განაწილებული უფლებები და მოვალეობები ოჯახში? რამდენად ემთხვევა შრომისა და გართობა-დასვენების ტრადიციული წესი თანამედროვეს? ტექსტის ამგვარი გააზრება პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს.*

საინტერესოა ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობები ტაოხებისა და ბერძნების შეტაკების შესახებ, რომელიც მოგვითხრობს, რომ დიაოხის მკიდრნი სიკვდილს არჩევდნენ ტყვეობას: „ქალები კლდიდან თავიანთ ბავშვებს ისროდნენ, შემდეგ თვითონაც ხტებოდნენ. მამაკაცებიც ასე იქცეოდნენ“. ეს ასევე დადებითი ტენდენციაა, რომ ავტორებმა წყაროებიდან შეარჩიეს სწორედ ისეთი ფრაგმენტები, რომლებიც ბრძოლის მიმდინარეობის აღწერის ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალთა და ბავშვთა ცხოვრების სირთულეებზე გაუთავებელი ომიანობის დროს.

გაკვეთილის - „ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე“ - შემაჯამებელი დავალება მოსწავლეებს აწვდის ცნობებს, რომ იმ დროისათვის ადამიანებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული არც ოჯახი და არც უფრო დიდი სანათესაო ჯგუფი - გვარი, მაგრამ ისინი შრომას ინაწილებდნენ სქესისა და ასაკის მიხედვით. პალეოლითურ ხანაში შრომის განაწილების შემდეგი წესი იყო გავრცელებული: მამაკაცები ნადირობდნენ, ქალები და ბავშვები შემგროვებლობით იყვნენ დაკავებულნი. საგულისხმოა, რომ გაკვეთილს არ მოსდევს შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ამგვარი წესი, და გარემოებათა ცვლილებასთან ერთად იცვლება თუ არ წესებიც, რაც მოსწავლეებს გენდერული როლების ცვლილებების მიზეზების შესახებ მსჯელობის საშუალებას მისცემდა.

გაკვეთილში - „ღირსება, თანასწორობა, თავისუფლება“ - სხვა მაგალითებთან ერთად, სქესის ნიშნით ქალთა დისკრიმინაციის მაგალითებია მოყვანილი. მასწავლებელი ვაჟებს მაღალ ნიშნებს უწერს, გოგონებს - დაბალს. თეკლა სამსახურიდან გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ქალია. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რა ნიშნით ხდება დისკრიმინაცია და იმსჯელონ, თუ რატომ მიიჩნევენ ამა თუ იმ ფაქტს დისკრიმინაციად.

თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ილუსტრაციული დისბალანსის მიუხედავად, სახელმძღვანელო გენდერულად მგრძნობიარეა.

საგნობრივი ჯგუფი, ქართული როგორც მეორე ენა

„ქართული, როგორც მეორე ენა“ მე-2-5 დონე
გამომცემელი: განათლების და მეცნიერების სამინისტრო
ავტორები: მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე
სახელმძღვანელოს ავტორები: 2 ქალი, 2 მამაკაცი. სახელმძღვანელოზე მომუშავე
 ჯგუფი: 5 ქალი, 1 მამაკაცი (მათ შორის: რედაქტორი 2 ქალი, მხატვრები: 1 ქალი, 1
 მამაკაცი, დიზაინერ-დამკაზადონებელი: 2 ქალი).

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული მე-2-5 დონეების სახელმძღვანელოებში გამოვლენილი მსგავსი ტენდენციების გამო, საგნობრივი ჯგუფის ანალიზისათვის საკმარისად ჩაითვალა ერთი სახელმძღვანელოს მაგალითის მოტანა.

ამყარებს თუ არა სახელმძღვანელო(ები) მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას სქესთა თანასწორობის შესახებ?

ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმძღვანელოების საკმაო ნაწილში სტერეოტიპული დამოკიდებულებების კვლავწარმოება და განმტკიცება განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ქალის როლის წარმოჩენისას ოჯახში. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები დაბალანსებულია. ეს ეხება როგორც შინაარსობრივ მხარეს, ასევე – ვიზუალურსაც. ქალი არ არის წარმოჩენილი, როგორც დიასახლისი – სხვადასხვა კლასში ასახულ კომუნიკაციურ სიტუაციებში „დედა“ წარმოდგენილია „მამის“ სრულფასოვან პარტნიორად.

არის თუ არა სასწავლო მასალაში მოცემული გენდერულ როლებსა და ფუნქციებთან დაკავშირებული სტერეოტიპები?

თუ ნიმუშისათვის მე-4 დონის სახელმძღვანელოს განვიხილავთ, აქ ილუსტრაციების

რაოდენობა, რომლებზეც

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
211	63	104	44	30	49	21

მხოლოდ მდებდრობითი სქესია გამოსახული, საერთო რაოდენობის 30 %-ს შეადგენს და ნაკლებია იმ ილუსტრაციათა რაოდენობაზე, რომლებზეც მხოლოდ მამრობითი

სქესია გამოსახული (49 %). ილუსტრაციათა 21% შერეულია და ორივე სქესის წარმომადგენლებს ასახავს.

სახელმძღვანელოში მოცემულ ავტორთა შემადგენლობა

სახელმძღვანელოში გამოყენებული ფრაგმენტებიდან და ლექსებიდან 6 ეკუთვნის ქალ ავტორს, ხოლო 8 - მამაკაცს. სახელმძღვანელოში გამოყენებულია, როგორც ქალი, ისე მამაკაცი საბავშვო მწერლის ნაწარმოებები.

სახელმძღვანელოში დაბალანსებულია ვითარება ქალის როლის შესახებ საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში, შესაბამისად, არ იმეორებს სახელმძღვანელოების უმრავლესობაში მოცემულ ტენდენციას. ეს ეხება როგორც შინაარსობრივ, ასევე ვიზუალურ მხარეს. სახელმძღვანელოში ქალი არ არის წარმოჩენილია დიასახლისად, ხოლო „დედა“ წარმოდგენილია „მამის“ სრულფასოვან პარტნიორად. მამა და დედა სამსახურში მიდიან, კაქტუსების ოჯახის ორივე წევრი (დედაც და მამაც) მუშაობს. ბებია-ბაბუის შემთხვევაში, შენარჩუნებულია საოჯახო საქმიანობის გადანაწილების ტრადიციული მოდელი: ბებია საჭმელს ამზადებს, ბაბუა კითხულობს ან ტელევიზორს უყურებს.. შესაბამისად, მამა არა მხოლოდ გაზეთს კითხულობს, არამედ შვილებსაც ესაუბრება, ზოოპარკში ასეირნებს. ილუსტრაციების მიხედვით, სახელმძღვანელოში მოცემული საოჯახო ურთიერთობებიც თანამედროვე მოდელის მიხედვით წარიმართება. მაგალითად, ერთ-ერთი თემის („ერთი ჩვეულებრივი დღე“) მიხედვით ოჯახის ამსახველ ილუსტრაციაზე არა მხოლოდ ბაბუა უყურებს ტელევიზორს, არამედ დედაც და შვილიშვილიც. უკანა პლანზე ბებია დგას, რომელიც აშკარად დაინტერესებულია გადაცემით, მაგრამ თითქოს თავს ჩამოჯდომის უფლებას ვერ აძლევს, სავარაუდოდ საოჯახო საქმიანობაში ჩართულობის გამო. სახელმძღვანელოში აღწერილი სიტუაცია განსხვავდება ოჯახური სიტუაციის სტერეოტიპული წარმოსახვისაგან, სადაც მამაკაცი მუდამ საკუთარი თავითა და ინტერესებითაა დაკავებული, ქალი - ოჯახზე ზრუნვით.

სახელმძღვანელოში კიდევ ერთი საგულისხმო დადებითი ტენდენცია, რომ პროფესიული საქმიანობა არ არის გენდერულად სეგრეგირებული. ექიმი, მასწავლებელი, ვეტერინარი, პოლიციელი, მზარეული ქალიცაა და მამაკაციც. მკერავი ქალის გამოსახულების გვერდით გვხვდება ტექსტი „მკერავი ბესო“. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს ზღაპრული სიუჟეტი აქვს და არ ასახავს რეალობას, იგი სახალისო, განსხვავებული და საინტერესოა, და ამასთან მოსწავლეებს ამზადებს გენდერულად არასეგრეგირებული საქმიანობის მიმღეობისათვის.

შედარებით მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი გოგონების საქმიანობაც. გოგონა არა მხოლოდ ვიოლინოს დაკვრას და ცეკვას სწავლობს, არამედ ველოსიპედით სეირნობს, ცურავს, სკოლის სპორტდარბაზში თამაშობს ფრენბურთს. მიუხედავად ამისა, სპორტსმენთა შორის (ფეხბურთელი, წყალბურთელი, კალათბურთელი, ჩოგბურთელი) ყველა ბიჭია. ერთ-ერთ ილუსტრაციაზე ბიჭი ტირის. მართალია, ბიჭი პატარაა, ანუ იმ ასაკისაა, როდესაც ტირილის ნებას ჯერ კიდევ რთავს საზოგადოება. მაინც მისასალმებელია, რომ მაინცდამაინც გოგონა არ არის წარმოჩენილი მტირალა არსებად.

ილუსტრაციებშიც და ტექსტშიც გოგონები და ბიჭები მხოლოდ განცალკევებულად არ არიან გამოსახულები, ისინი ურთიერთობენ ერთმანეთთან, ერთად საქმიანობენ, მეგობრობენ: ტელეფონით საუბრობენ, ტყეში ერთდ სეირნობენ, ბანაობენ, ირუჯებიან, ერთ ოთახში სხედან და საუბრობენ, სავაჭრო ცენტრში ერთად არიან, დაბადების დღეს აღნიშნავენ.

მიუხედავად ამისა, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მამაკაცი და ბიჭი უფრო ხშირად არიან ავტორთა ყურადღების ცენტრში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო გენდერული სტერეოტიპულობისაგან თავისუფალია და ქალი, გოგონა არ არის უჩინარი, მეორეხარისხოვანი.

ესთეტიკური მიმართულების საგნობრივი ჯგუფი

„ხელოვნება“, მე-3 კლასი

ავტორები: ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნათელა ჯაბუა

გამომცემელი: „მერიდიანი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორები: 3 ქალი,

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 2 მამაკაცი, 3 ქალი (მათ შორის რედაქტორი: 1 მამაკაცი, მხატვარ-დიზაინერი: 1 ქალი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: 1 მამაკაცი, რეცენზენტები: 2 ქალი).

სქესთა რეპრეზენტაციის ანალიზი ილუსტრაციებში:

ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მდედრობითი სქესია გამოსახული 41%-ია, ხოლო მხოლოდ მამრობითი სქესის გამოსახულებიანი ილუსტრაციები - 39%.

ილუსტრაციათა 22%-ზე

ორივე სქესის

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
116	48	45	23	41	39	20

წარმომადგენლები არიან გამოხატულნი. ეს არის ერთადერთი შემთხვევა გაანალიზებულ სახელმძღვანელოებს შორის, როდესაც ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის რაოდენობრივ მაჩვენებლებში მდედრობითი სქესი უმნიშვნელოდ, მაგრამ აღემატება მამრობითს.

მეორე მხრივ, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის ავტორები ძირითადად მამაკაცები არიან. ილუსტრაციის ავტორთა შორის გვხვდება მხოლოდ ერთი ქალი - ელენე ახვლედიანი.

რამდენად არის სახელმძღვანელოში გენდერული ხედვა ინტეგრირებული სასწავლო აქტივობებში?

საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოს ტექსტის დიდი ნაწილი გენდერულად ნეიტრალურია, რამდენადაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ბავშვებისათვის სახვითი ხელოვნების საბაზისო ცნებების, სხვადასხვა სახატავი მასალის, ტექნიკის, მხატვრული ხერხების გაცნობას.

სახელმძღვანელოს ყველა გაკვეთილი მთავრდება რუბრიკით „სცადე შენც“, რომელიც მოსწავლეებში სახვითი ხელოვნების ნიმუშების შექმნისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. ამ რუბრიკას სახელმძღვანელოში სამი მხატვარი პერსონაჟი უძღვება: გოგონა, ბიჭუნა და კატა. ბიჭუნა მხატვართან ერთად გოგონა მხატვრის გამოსახვამ შესაძლებელი გახადა სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში სქესთა თანაბარი წარმოჩენა, რაც დაადასტურა რაოდენობრივმა მონაცემებმაც.

სახელმძღვანელოში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ილუსტრაციების ერთ-ერთ ტიპს - საბავშვო ნახატებს. ილუსტრაციების ავტორთა გენდერული ბალანსისათვის სასურველია მოსწავლეთა ნახატებს ავტორთა სახელები მიეწეროს, რადგან მოსწავლეთა შორის არიან როგორც გოგონები, ისე ბიჭები. ავტორი ბავშვების სქესის მიხედვით იდენტიფიკაცია კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ სახელმძღვანელოში მოცემული რეპროდუქციების ავტორები ძირითადად მხოლოდ მამაკაცი მხატვრები არიან.

„ხელოვნება“, მე-4 კლასი

ავტორები : ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე

გამომცემელი: „მერიდიანი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორები: 3 ქალი, სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 5 ქალი (მათ შორის რედაქტორი: 1 ქალი, მხატვარ-დიზაინერი: 1 ქალი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: 1 ქალი, რეცენზენტები: 2 ქალი).

სქესთა რეპრეზენტაცია ილუსტრაციებში: სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია: ილუსტრაციების რაოდენობა,

რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესის

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
161	39	87	35	24	54	22

წარმომადგენელია გამოსახული (54%), ორჯერ აღემატება მხოლოდ მდედრობითი

სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 24%). ილუსტრაციათა 22%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატული.

წინა სახელმძღვანელოს მსგავსად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის ავტორები მეტწილად მამაკაცები არიან. ილუსტრაციის ავტორთა შორის გვხვდება 2 ქალი: ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი.

გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში?

სახელმძღვანელოს ტექსტი გენდერულად ნეიტრალურია. სახელმძღვანელო მოსწავლეებს აცნობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად მიმდინარეობებს, ჟანრებს, ხელოვნების დანიშნულებასა და როლს, სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებულ ნიმუშებს. სახელმძღვანელოს ფოკუსში არის ხელოვნება და არა მისი ავტორები. ეს პოზიტიური მიდგომაა, რადგან წიგნი თემატურად საინტერესო და მრავალფეროვანია, და არა მამაკაცთა ბიოგრაფიული მონაცემების რეესტრს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში შემოქმედებითი უნარების განვითარებისაკენ მიმართული ტექსტები და დამატებითი მასალა, რომელიც უხვადაა სახელმძღვანელოში, ორივე სქესის მოწავლისათვის ერთნაირად საინტერესოდ არის მოწოდებული. პოზიტიურია სახელმძღვანელოში ისიც, რომ რეპრედუქციებიც დაბალანსებულად ასახავს ორივე სქესსა და მათ ცხოვრებას. თუმცა, მეორე მხრივ, რეპროდუქციების გარდა, მოცემული ილუსტრაციები, რომლითაც სახელმძღვანელოა გაფორმებული, ასახავს პროფესიებისა და საქმიანობის გენდერულ სეგრეგაციას: ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს, დედა ასეირნებს ბუშტიან გოგონას ზოოპარკში, მამაკაცი არის მხატვარი, ექიმი, ქალი - მასწავლებელი. რეალურად, ამ ტიპის ილუსტრაციები ბევრი არ არის, თუმცა, იმდენად, რამდენადაც ილუსტრაციების შერჩევისას ავტორები თავისუფლები არიან, გენდერულად მგრძნობიარე სახელმძღვანელოს შექმნის სურვილის შემთხვევაში, არ არის რთული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სქესთა როლების ასახვა. დავალებების შესრულებასთან ასოცირდება სახელმძღვანელოში უხვად მოცემული მხატვრის გრაფიკული გამოსახულება. მიუხედავად იმისა, რომ

გამოსახულება არ არის მასკულინური, ბერეტიტა და გულზე ბაფთითაა და სხვადასხვა აქსესუარებით გვხვდება სხვადასხვა რუბრიკებში, სასურველი იქნებოდა, თუ მას თანაბრად ჩაანაცვლებდა ქალი მხატვრის სიმბოლური გამოსახულებაც. თემა - „ესეც ხელოვნებაა“ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას აცნობს მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულია: დაზგაზე ქსოვის ხელოვნება არ ჩამოუვარდება სხვა დარგის შედეგებს და რომ ამგვარი შემოქმედება ძირითადად ხალხურია, სასურველი იქნებოდა ისიც ყოფილიყო აღნიშნული, რომ გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური რეწვის ნიმუშების ავტორები ძირითადად ქალები არიან. ასევე ბევრი წარმატებული ქალია დიზაინერთა შორის. ამგვარი ინფორმაცია დააბალანსებდა ხელოვანი ადამიანების ჩამონათვალს სახელმძღვანელოში.

„ხელოვნება“, მე-5 კლასი
ავტორები: ანა კლდიაშვილი, ნინო ლაღანიძე, თამარ ჯაყელი
გამომცემელი: გამომცემლობა „კლიო“
სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორები: 3 ქალი,
 სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 4 ქალი (მათ შორის რედაქტორი: 1 ქალი,
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: 1 ქალი, რეცენზენტები: 2 ქალი).

სქესთა რეპრეზენტაცია და გამოჩენილი ადამიანები ილუსტრაციებსა და ტექსტში

სახელმძღვანელოს ილუსტრაციების რაოდენობა, რომლებზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული (52%), მნიშვნელოვნად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 21%). ილუსტრაციათა 27%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატულნი.

ტექსტებში გვხვდება

	ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
	სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
წმინდა ნინო, წმინდა	132	29	68	35	21	52	27

მარინე, თამარ მეფე, ეკატერინე ჭავჭავაძე, დედოფალი ელისაბედი. სახელმძღვანელოში მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული ელენე ახვლედიანის ილუსტრაცია, თუმცა, არც ერთ ტექსტში არ არის მოხსენიებული ხელოვანი ქალი.

გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში

სახელმძღვანელოს ტექსტი უმეტესწილად გენდერულად ნეიტრალურია, რაც ბუნებრივია, რადგან სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ბავშვებისათვის სახვითი ხელოვნების საბაზისო ცნებების გაცნობასა და ხატვის ელემენტარული ჩვევების გამომუშავებას. გარდა დარგთან დაკავშირებული სპეციფიკური ტექსტებისა, სახელმძღვანელოში შესულია 4 ცნობილი ქართველი მხატვრისა და 1 მოქანდაკის ბიოგრაფია. ხუთივე ბიოგრაფია მამაკაცი ხელოვანებისაა. პოზიტიური იქნებოდა ერთი ხელოვანი ქალის ბიოგრაფიის წარმოდგენაც, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ილუსტრაციულადაც მამაკაცი ავტორების რიცხვი სჭარბობს.

სახელმძღვანელოში მოცემული ხატვის უნარ-ჩვევების განსავითარებელი სასწავლო აქტივობები საინტერესოა როგორც გოგონების, ისე ბიჭებისათვის. სახელმძღვანელოში ილუსტრაციების ერთ-ერთ ტიპს საბავშვო ნახატები წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ილუსტრაციებში ავტორთა გენდერული ბალანსი დაცულია.

სახელმძღვანელო შედგება ნაწილისგან „ყველა ჩემი სამშობლო“, რომელიც ისტორიული ხასიათის ტექსტებს აერთიანებს. სასურველი იქნებოდა, სახელმძღვანელოში მეტი ყურადღება გამახვილებულიყო ხალხურ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაზე, რაც კარგად გამოყოფდა ქალი ავტორების წვლილს ტრადიციული ხელოვნების განვითარებაში, რაც რეალურად კულტურული ისტორიის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა.

“მუსიკა“, მე-2 კლასი

ავტორი : მარიკა ჩიკვაძე

გამომცემელი: გამომცემლობა „ინტელექტი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორი: 1 ქალი, სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 3 ქალი და 1 მამაკაცი. მათ შორის მთავარი რედაქტორი: 1 ქალი, მხატვარი: 1 ქალი, წიგნის დიზაინი: 1 ქალი, ყდის დიზაინი: 1 მამაკაცი; რეცენზენტები: 3 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და გამოჩენილი ადამიანები ილუსტრაციებსა და

ტექსტუალურ მასალაში: ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ

მამრობითი სქესია გამოსახული (47%), აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან

ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 29%).

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემაჯგუფება		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
117	34	55	28	29	47	24

ილუსტრაციათა 24%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატული.

სასწავლო აქტივობებში გამოყენებულია ქალი კომპოზიტორების (მერი დავითაშვილის, რუსუდან სებისკვერადის, ინოლა გურგულიას, ია კარგარეთელის) ნაწარმოებები. ამ ფონზე გაუმართლებელია, რომ მათი ფოტოპორტრეტები არ არის წარმოდგენილი მამაკაცი კომპოზიტორების- გრიგის ლალიძის, ცინცაძის, შუმანის, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკი პორტრეტების მსგავსად.

ზოგჯერ სიმღერის ავტორის სახელი ინიციალითაა მოცემული და არ ჩანს, რომ ავტორი ქალია თუ მამაკაცი (მაგალითად გ. დარახველიძე). ასევე, გამოყენებულია მსახიობების - სოფიკო ჭიაურელისა და ჯული ენდრიუსის ფოტოები მუსიკალური ფილმებიდან („ვერის უბნის მელოდიები“ და „მუსიკის ჰანგები“). სახელმძღვანელოში ასევეა მოცემული მსახიობ დოდო ჭიჭინაძის ფოტო ფილმიდან „ბაში-აჩუკი“, თუმცა ვინაობა მითითებული არ არის.

ნიშანდობლივია, რომ შესწავლილ მუსიკის სახელმძღვანელოებს შორის ამ წიგნში შედარებით მეტია (24%) ორივე სქესის საქმიანობის გამომსახველი ფოტოები. თუმცა, გენდერული ხედვა ნაკლებადაა ინტერირებული. მრავლადაა ილუსტრაციები, რომლებიც გენდერულ როლებზე სტერეოტიპულ წარმოდგენას აყალიბებს: ბიჭი ველოსიპედით სეირნობს, წიგნს კითხულობს, ონავარია, ჩიტებს

ქვებს ესვრის; გოგონა პეპლების საჭერით, თავსაფრით სადილს მიუტანს ყანაში მომუშავე მამაკაცებს, შვილს აძინებს, თოჯინებს ასწავლის (მათ შორის არ არის ბიჭი თოჯინა). გაკვეთილის - „როგორ მოვიქცეთ კონცერტზე“ - ილუსტრაციაზე ასახულები არიან ბიჭები, რომლებიც ლაპარაკობენ და ცელქობენ კონცერტის მსვლელობისას, უინტერესოდ მიიჩნევენ მას და ტელევიზორში ნახატი ფილმის ყურებას ამჯობინებენ. იქვეა მუსიკალური წარმოდგენის ამსახველი ორი ფოტო მხოლოდ გოგონების მონაწილეობით. მუსიკალური ქვეყნის გმირები მხოლოდ მამაკაც პერსონაჟებთანაა გაიგივებული (მეფე - ოდელა, ნოტები - ჯარისკაცები, მინორი და მაჟორი - ძმები).

სახელმძღვანელოში შესასრულებელი დავალებები შინაარსის მიხედვით ერთგვარი სიმბოლოებითაა ერთმანეთისგან გამიჯნული. მიუხედავად იმისა, რომ მოსასმენ მასალაზე ყურადღების მისაქცევად ყურთასმენიანი გოგონას თავია გამოსახული, სასურველი იქნებოდა, ამგვარი სიმბოლოების ორივე სქესის წარმომადგენელთა სახით დაბალანსებულად წარმოჩენა ან მათთვის სქესობრივი ნიშნის არმინიჭება, რაც არ შექმნიდა სხვადასხვა დავალების და საქმიანობის ერთ, რომელიმე სქესთან დაკავშირების წარმოდგენას.

გაკვეთილში - „ადვილია გახდე შემსრულებელი?“ მოყვანილია პაგანინის შესახებ მოკლე ისტორია, სადაც საუბარია მამის როლზე ნიკოლო პაგანინის ვირტუოზო შემსრულებლად ჩამოყალიბებაში. ტექსტში მამის ტირანული სახეა დახატული, რომელმაც მიზნად დაისახა შვილი, რომელიც 7 წლისაც არ იყო, გამოჩენილ მევიოლინედ გამოეწვრთნა. ტექსტში არსად არ ჩანს თვითონ ნიკოლოს ინტერესი, სურვილი, შინაგანი მოტივაცია. ასეთი ტექსტი დამატებითი რუბრიკების, კრიტიკის საშუალებისა და შეფასების გარეშე, არასწორ წარმოდგენებს შეუქმნის მეორეკლასელ ბავშვს მამის როლზე.

გაკვეთილი „სიმღერები შრომის დროს“ ძირითად მიზნად ისახავს მოსწავლეებს შეასწავლოს სიმღერა „მზევ, შინ შემოდიო“. იქვე მოცემული ტექსტი მოსწავლეებს აცნობს ეთნოგრაფიულ ცნობებს, თუ როგორ ხვდებოდა ძველად

ქართული ოჯახი ვაჟის დაბადებას. ტექსტში ნათქვამია, რომ ქართულ ოჯახში ვაჟის დაბადების შემთხვევაში ნადიმს იხდიდნენ, თოფს ისროდნენ და რომ ეს მოვლენა განსაკუთრებულ სიხარულთან იყო დაკავშირებული. თუ ავტორებს სურთ მომავალმა თაობამ საკუთარი მანკიერი ტრადიციებიც იცოდეს, მაშინ იქვე გარკვეული შეფასებაც უნდა მისცენ მსგავსი შინაარსის ტექსტებს და ისინი არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ასე ვთქვათ, ნეიტრალური სახით (მხოლოდ შიშველი ტექსტი). ასეთი ტრადიციის გაცნობა მეორეკლასელ გოგონებში ჩამოაყალიბებს საკუთარი არასრულფასოვნებისა და მეორეხარისხოვნების, ბიჭებში კი - უპირატესობის განცდას. არათუ მეორე კლასის მოსწავლეებს, არამედ უფრო მოზრდილ ბავშვებსაც კი ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი შინაგანი ზნეობრივი კრიტერიუმები მსგავს საკითხებზე და უნდა განემარტოთ, რომ გენდერული ნიშნით ადამიანებისათვის უპირატესობის მინიჭება ან დამცირება სწორედაც რომ უზნეობაა და დანაშაული. გაკვეთილს თანდართული კვარტეტის ფოტო გენდერულად დაბალანსებულია: ორი შემსრულებელი ქალია, ორი - მამაკაცი. ეს მისასალმებელია, მაგრამ არ არის საკმარისი ზემოაღნიშნული საფრთხის გასაწეიტრალებლად.

„მუსიკა და ბავშვები“, მე-4 კლასი

ავტორი: მაია ოთიაშვილი

გამომცემლობა „წყაროსთვალი“

სახელმძღვანელოს ავტორები: 1 ქალი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 7 ქალი, 8 მამაკაცი. მათ შორის, მუსიკალური რედაქტორები: 1 ქალი, 1 მამაკაცი, ეთნომუსიკოსი: 1 ქალი, მხატვარი: 1 ქალი, ლიტერატურული რედაქტორები: 2 ქალი, ფსიქოლოგი: 1 ქალი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: 3 მამაკაცი, ფონოგრამების ავტორები: 2 მამაკაცი, აუდიორეჟისორები: 2 მამაკაცი, მთავარი რედაქტორი: 1 ქალი; რეცენზენტი: 3 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და გამოჩენილი ადამიანები ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალაში.

ილუსტრაციებში

სქესთა რეპრეზენტაციის

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
140	32	90	18	23	64	13

რაოდენობრივი მაჩვენებლები უმნიშვნელოდ განსხვავდება იმავე ავტორთა ჯგუფის

მიერ შექმნილი მე-5 კლასის სახელმძღვანელოს რაოდენობრივი მაჩვენებლებისაგან. მამრობითი სქესის გამოსახულებიანი ილუსტრაციები საერთო რაოდენობის 64 %-ია, რაც მკვეთრად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (27%). ილუსტრაციები, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები არიან, მხოლოდ 13 %-ია.

სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი ვენის კლასიკოსებს ეძღვნება, თუმცა წიგნი ქალებსაც გვაცნობს. ესენი არიან კომპოზიტორები: ინოლა გურგულია, მერი დავითაშვილი, მაია ოთიაშვილი (სახელმძღვანელოს ავტორი), ნანერლი და ანა მარია (მოცარტის დები), ჯულია (ჯონ ლენონის დედა), მითოლოგიური პერსონაჟები, კოლხი მედეა, კირკე (აიეტის და), პანდორა, ბიბლიური ევა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ილუსტრაციებსა და მუსიკოსთა ცხოვრება-შემოქმედების აღწერისას მამაკაცთა რაოდენობა მეტია, სახელმძღვანელო მოსწავლეებს აცნობს ქალთა შემოქმედებასაც. სახელმძღვანელოში მუსიკის თეორიისა და სოლფეჯიოს საკითხებს უძღვება სათვალისი და მაგისტრის მოსასხამიანი პითაგორა ბიჭუნა, ხოლო რუბრიკას „მდერის ინოლა“, სადაც კომპოზიტორ ინოლა გურგულიას სიმღერების შესწავლაა მიზნად დასახული, საქანელაზე მოქანავე ვარდისფერკაბიან, ბაფთიან, თავზე ყვავილების გვირგვინიან გოგონას - ინოლას მიჰყავს. პითაგორას და ინოლას გამოსახულებებიც რუბრიკებთან ერთად გასდევს მთელ წიგნს და ხშირად მეორდება. ამგვარი გამოსახვა ამყარებს ბიჭუნას რაციონალური და ჭკვიანი, ხოლო გოგონას მეოცნებე, რომანტიკულ იმიჯს. აღსანიშნავია, რომ პითაგორა ბიჭუნა, ამავე ავტორის შემდეგი წლის (მეხუთე კლასი) სახელმძღვანელოში კვლავ გვხვდება, გოგონას სიმბოლო აღარ მეორდება.

გაკვეთილებში „მუსიკალური ყუთი“ და „გაიხსენე და დახატე საკრავები“ ავტორი დიდ დროს უთმობს მითს „პანდორას ყუთის“ შესახებ. მასწავლებელი ავალებს ბავშვებს ამ მითის სახლში გაცნობას, პანდორას ყუთის დამზადებას, გაკვეთილზე განიხილავს მითის შინაარსს. ცხადია, გაკიცხულია პანდორა, რომელმაც არ დაუჯერა ზევსს და გახსნა ყუთი, საიდანაც დედამიწაზე გავრცელდა

სიძულვილი, ავადმყოფობა და ყოველგვარი ბოროტება. დამნაშავე, ყოველგვარი უკეთურობის გამავრცელებელი ქალის ხატი კიდევ უფრო გამძაფრებულია ბიბლიურ ევასთან ასოციაციით. აქვეა ილუსტრაცია რუბენის ცნობილი ტილოდან - ევას ხელში უჭირავს ის ცოდვის ვაშლი, რომელმაც უნდა აცდუნოს მამაკაცი და ბოლო მოუღოს ადამიანთა მოდგმის ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას. მიუღებელია 9 წლის ბავშვებისთვის განკუთვნილ წიგნში ქალის ამგვარად წარმოდგენა. მით უმეტეს, რომ ამ მითის კავშირი მუსიკასთან, შესასწავლ საკითხთან და გაკვეთილის მიზანთან გაუგებარია.

“მუსიკა და ბავშვები“, მე-5 კლასი

ავტორები: მაია ოთიაშვილი

გამომცემელი: „წყაროსთვალი“

სახელმძღვანელოს ავტორები: 1 ქალი.

სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი: 7 ქალი, 8 მამაკაცი. მათ შორის: მუსიკალური რედაქტორები: 1 ქალი, 1 მამაკაცი; ეთნომუსიკოსი: 1 ქალი, მხატვარი: 1 ქალი, ლიტერატურული რედაქტორები: 2 ქალი, ფსიქოლოგი: 1 ქალი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: 3 მამაკაცი, ფონოგრამების ავტორები: 2 მამაკაცი, აუდიორეჟისორები: 2 მამაკაცი, მთავარი რედაქტორი: 1 ქალი; რეცენზენტი: 3 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია ცნობილი ადამიანების ილუსტრაციებში და ტექსტუალურ მასალაში

სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია: ილუსტრაციების რაოდენობა, რომლებზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული (63%) მკვეთრად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან

ილუსტრაციებს (საერთო

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
92	25	58	9	27	63	10

რაოდენობის 27%). ილუსტრაციათა 10%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატულნი. აღსანიშნავია, რომ წიგნში ძალიან ცოტაა ილუსტრაცია, სადაც მამაკაცები და ქალები ერთად არიან გამოსახულნი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მათი მიზნები, ამოცანები, ყოველდღიური საქმიანობა, ქცევა, ადგილი სამყაროში

მკაცრად დიფერენცირებულია და ეს საკლასო ოთახშიც იგრძნობა (გოგონა და ვაჟი იშვიათად ჯდება ერთ მერხზე საკუთარი ინიციატივით).

წიგნში მოცემული მასალის დიდი ნაწილი მამაკაცი კომპოზიტორების, დირიჟორებისა და შემსრულებლების შემოქმედებას ეთმობა, თუმცა, სახელმძღვანელოს ტექსტსა და ილუსტრაციებში გვხვდება 13 ქალი: სამი კომპოზიტორი - ნუნუ გაბუნია, ვარინკა წერეთელი, მაია ოთიაშვილი (იგი არის სახელმძღვანელოს ავტორიც); ანა კალანდაძე, ნუნუ კერესელიძე (სიმღერის ტექსტის ავტორები), ელმა ლაგერლოგი (მწერალი), კომპოზიტორ შუმანის დედა, კლარა ვიკი (შუმანის მეუღლე), ერნესტინა ფონ ფრიკენი (შუმანის მეგობარი). ზემოთ ჩამოთვლილი სახეებიდან, მხოლოდ ვარინკა წერეთელს ეძღვნება ცალკე გაკვეთილი შესაბამისი ტექსტით, მაშინ როდესაც სხვა ხელოვანი ან ხელოვნებასთან ასოცირებული ქალები მხოლოდ დასახელებულნი არიან. წიგნში ასევე გამოყენებული მსახიობ ლეილა აბაშიძის ფოტო ფილმიდან „აბეზარა“ (წარწერის გარეშე). ასევე მოხსენიებულია მდებდრობითი სქესის მითოლოგიური პერსონაჟები.

სახელმძღვანელო მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია გენდერული ხედვის თვალსაზრისით. შეიმჩნევა მუსიკასა და ხელოვნებაში ქალთა როლის წარმოჩენის სურვილი (ტექსტებში, მხარდამჭერ ილუსტრაციებში). ასე მაგალითად, პირველივე გაკვეთილი, „დილა“, რომელიც ეძვარდ გრიგის მუსიკის გაცნობით იწყება, მოიცავს მონაკვეთს, სადაც კომპოზიტორის დედა წარმოჩენილია როგორც განათლებული, კარგი პედაგოგი, პროფესიონალი შემსრულებელი და ხაზგასმულია დედის როლი გრიგის მუსიკოსად ჩამოყალიბებაში. მეორე გაკვეთილი კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას მუსიკაზე შექმნილ სიმღერა „მეორე ლეგენდას“ ეთმობა.

მეექვსე გაკვეთილი - „როგორ გადაარჩინა ტრუბადურმა ქალაქი ვირთაგვებისგან“ - ბავშვებს აცნობს ლეგენდას ერთ-ერთი ტრუბადურის მიერ ქალაქის ვირთაგვებისგან განთავისუფლების შესახებ. ილუსტრაცია მიაწოდებს, რომ ტრუბადური ბიჭია. თუმცა, ტექსტში აღნიშნულია, რომ შვედმა მწერალმა ქალა ელმა ლაგერლოგმა ეს ისტორია პოპულარულ მოთხრობაში გამოიყენა.

მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გაკვეთილი („საუკუნის სიმღერა“) მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს ვარინკა წერეთლის, როგორც არა მხოლოდ დიდი პოეტის (აკაკი წერეთლის) მეგობარზე, არამედ როგორც კომპოზიტორსა და პროფესიონალ შემსრულებელზეც. ტექსტში ხაზგასულია მისი როლი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, აქვეა მოცემული მისი პორტრეტიც.

მნიშვნელოვანია, რომ საკრავების დახასიათებასთან ერთად წარმოდგენილ ილუსტრაციებში 45-ე გაკვეთილში, გვხვდება ძველი პერიოდის ნახატები, სადაც ქალების, როგორც მუსიკალური შემსრულებლების, როლი ასევე თვალსაჩინოა.

რომანტიზმს, როგორც მუსიკალურ მიმდინარეობას, საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს წიგნში. ეს ნაწილი მთლიანად ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, მათ შემოქმედებასა და შესაბამის ილუსტრაციებს აქვს დათმობილი. შუბერტის ბიოგრაფიაში, სადაც წარმოჩენილია მამის როლი კომპოზიტორის ჩამოყალიბებასა და მუსიკალურ კარიერაში, ასევეა ხაზგასმული მამის გარდაცვალების შემდეგ დედის თავდადებაზე.

თუმცა, სახელმძღვანელოში არის არასათანადოდ მოწოდებული ინფორმაციაც. მაგალითად, შუმანის მეუღლის - კლარა ვიკის როლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მისი როლი კომპოზიტორის შემოქმედებაში უდიდესი იყო, ავტორები მასზე საუბრისას მხოლოდ აბზაცით შემოიფარგლებიან, სადაც კლარას, როგორც ვირტუოზი პიანისტისა და შუმანის ნაწარმოებების ხშირი შემსრულებლის ფუნქციებზეა საუბარი. მეორე მხრივ კი, კლარა ვიკის რამდენიმე პორტრეტი, მისი საფოსტო მარკაა ილუსტრაციებში წარმოდგენილი. კლარა ვიკი ასევეა ნახსენები შუმანის საფორტეპიანო ციკლის - „კარნავალის“ განხილვისას, სადაც საუბარია, რომ ციკლის ერთ-ერთი პიესა სწორედ მისი მეუღლის სახესთანაა დაკავშირებული. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი კარგად იაზრებს კლარა ვიკის როლს შუმანის შემოქმედებაში, თუმცა კომპოზიტორის ბიოგრაფიაში ნაკლებად ამახვილებს მის წვლილზე ყურადღებას.

მე-20 და 46-ე გაკვეთილები აგებულია ძველბერძნულ მითოლოგიაზე. „ორფეოსი და ევრიდიკე“ და „პანი და სარანგა“ მოსწავლეებს აცნობს მითოლოგიურ გმირებს, როგორც კარგ მუსიკალურ შემსრულებლებს და ყურადღებას ამახვილებს მუსიკის როლსა და ზეგავლენაზე. მამაკაცი წარმოდგენილია, როგორც მიჯნური (ევრიდიკე, პანი), მოუთმენელი, მოძალადე, საშიში (არისტეოსი, პანი), ქალი კი მშვენიერი, დაუცველი, სუსტი, მსხვერპლი. დამატებითი განმარტებების გარეშე, მხოლოდ მუსიკის ზეგავლენაზე დისკუსია არის საკმარისი იმ სტერეოტიპული როლების დასაბალანსებლად, რომელიც მსხვერპლი ქალებისა და მოძალადე მამაკაცების სახითაა წარმოდგენილი. აუცილებელია იმის მითითება და განმარტება სახელმძღვანელოში, რომ მითები ასახავს ძველი ეპოქის (ამ შემთხვევაში - ანტიკური ხანის) წარმოდგენებს გენდერულ ურთიერთობებზე, რაც, ცხადია, განსხვავდება თანამედროვე მოდელისაგან. საჭიროა სიფრთხილე ამგვარი მასალის მიწოდებისას. ასეთი მასალის სასწავლო რესურსად გამოყენება, როდესაც მას არ უკავშირდება პირდაპირი სასწავლო მიზანი და ნაკლებია შესაძლებლობა საკითხის გენდერული კუთხით გაანალიზების, სახიფათოა და გენდერული სტერეოტიპების პროდუცირების საფრთხეს ქმნის.

წიგნის ბოლო გაკვეთილები (64-70) მოსწავლეებში მუსიკალური გაფორმების უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად და ეთმობა სცენარს წიგნის ავტორის საბავშვო სპექტაკლისა - „ნოეს კიდობანი“. გაკვეთილი მდიდარია ილუსტრაციებით, რომლებიც მოიცავს ნაწყვეტებს და ნახატებს პატარა მსახიობების სპექტაკლებიდან. ილუსტრაციებში გოგონები ვარსკვლავებს განასახიერებენ. სახელმძღვანელოში მოცემული არა ილუსტრაციული გაფორმება, რომელიც ბავშვებს ვარსკვლავებად წარმოადგენს, რეალურად შესაძლებელს ხდიდა რეალური კადრები სქესის მიხედვით ბიჭუნა ვარსკვლავების ნახატებით დაბალანსებულიყო. სცენარის მიხედვით, ნოეს კიდობნიდან გადმოდიან ბავშვები სიმღერით: „ფერხული ჩავაბათ, ბიჭებო“ და ცეკვავენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარღვნის შემდგომი აქტივობა მხოლოდ „ბიჭების ფერხულია“ და გოგონების მონაწილეობა მეორეხარისხოვანია.

სცენარის ერთ ნაწილში „ვარსკვლავები“ სიმღერასა და ცეკვაში ეჯიბრებიან. როდესაც გოგონები ასრულებენ საგალობელს, ბიჭები არ მღერიან, უარს აცხადებენ და იწყებენ ჭიდაობას. გაისმის მოწოდებები: „ბიჭებო, რა დროს საგალობელია, მომყევით, დავერიოთ (გოგონებს)“, „აბა თუ ბიჭები ხართ, დამეჭიდეთ!“ ეს, ერთი შეხედვით, სახალისო და საინტერესო მხატვრული გადაწყვეტა სტერეოტიპულია: ქალი მშვიდობის, თანხმობის მოყვარეა, მამაკაცი - დესტრუქციული მუხტის შემომტანი. სახეზეა მამაკაცთა მიერ ქალების ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა, მათი საქმიანობის უმნიშვნელოდ წარმოჩენა, აგრესიისაკენ მოწოდება, ზეწოლა საკუთარი სქესის წარმომადგენლებზე (თუ ამ ქცევას არ იზიარებ, ესე იგი, ბიჭი არ ხარ).

მათემატიკის საგნობრივი ჯგუფი

მათემატიკა, მე-4 კლასი

ავტორები: გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ჭელიძე (ქურჩიშვილი)

გამომცემლობა „ინტელექტი“

სახელმძღვანელოს ავტორები: სახელმძღვანელოს ავტორთა გენდერული ბალანსი დაცულია: 2 ქალი, 2 მამაკაცი. სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფი 4 ქალი, 3 მამაკაცი (მათ შორის რედაქტორი: 1 მამაკაცი, საგამომცემლო ჯგუფი: 3 ქალი, 2 მამაკაცი, მხატვარი 1 ქალი), რეცენზენტები: 1 მამაკაცი, 1 ქალი.

სქესთა რეპრეზენტაცია და ცნობილი ადამიანები ილუსტრაციებსა და ტექსტუალურ მასალაში

სახელმძღვანელოში ილუსტრაციების რაოდენობა, რომლებზეც მხოლოდ მდედრობითი სქესია გამოსახული, საერთო რაოდენობის 40 %-ს შეადგენს, ამდენივეა იმ ილუსტრაციათა რაოდენობა, რომლებზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული. ილუსტრაციათა 20%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატულნი. რაოდენობრივი მაჩვენებლები ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის დაბალანსებულობაზე მიუთითებენ.

ილუსტრაციების გადანაწილება

სახელმძღვანელოს ტექსტში, მისი შინაარსიდან გამომდინარე, თითქმის არ არის ინფორმაცია ცნობილი

ადამიანების შესახებ.

ამოცანებში

ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
240	93	92	55	40	40	20

მოხსენიებულია სულ 8 ცნობილი ადამიანი: გამომგონებელი სამუელ მორზე, მწერლები: აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაქტიონ ტაბიძე, სპორტსმენი: კალათბურთელი ზაზა ფაჩულია, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე, მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში ალბერტ კუზილოვი, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი, ძალოსანი არსენ კასაბიევი. არ არის წარმოდგენილი არც ერთი ცნობილი ქალი.

გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში:

სახელმძღვანელოს ტექსტის დიდი ნაწილი გენდერულად ნეიტრალურია, რაც ბუნებრივია საგნის თვისებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, ამოცანების ტექსტისა და ილუსტრაციების თვისებრივი ანალიზი გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორაა ასახული ქალისა და მამაკაცის როლი და საქმიანობა სახელმძღვანელოში. მათემატიკის სახელმძღვანელოს ანალიზი გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მმნიშვნელოვანია, რადგან საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შინაარსი სრულ თავისუფლებას ანიჭებს ავტორებს თანამედროვე შეხედულებისამებრ წარმოაჩინონ ქალი და მამაკაცი.

დადებითია ის, რომ სახელმძღვანელოში წარმოაჩენილია ქალები/გოგონები. კერძოდ, ამოცანებში გვხვდება როგორც ბიჭის, ასევე გოგონას სახელები, მოცემულია გოგონას ილუსტრაციები. სასწავლო აქტივობებს („შეაფასე“, „ამოხსენი“, „გამოთვალე“) ახლავს როგორც გოგონას, ისე ბიჭის გამოსახულება. ასეთი მიდგომა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ილუსტრაციებსა და ტექსტში გენდერულ თანაფარდობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში ორივე სქესი

რაოდენობრივად თანაბრად არის წარმოდგენილი, თვისებრივმა ანალიზმა გამოკვეთა არცთუ თანასწორი შეხედულებები სქესთა მნიშვნელობის, შესაძლებლობებისა და როლების შესახებ.

ამოცანებში ასახულია ქალთა შემდეგი საქმიანობა: ტკბილეულს მიირთმევს (შაქარლამას და ორცხოზილას), ბუშტით დგას, ფურცელს აფერადებს, თაიგულით ხელში დგას, ყიდულობს, კერავს (არშია გადაკეცა და გაჭრა), სამაჯურს აკეთებს, ნესვს ჭრის, ვარდები გაახარა, თაიგული დაამზადა, კაფეში მიირთმევს, ავადაა, ტელევიზორში მუსიკალურ გადაცემას უყურებს, თეატრში მიდის, ქართული ფულის კოლექცია აქვს, სატელევიზო კონკურსში გაიმარჯვა. შედარებით მრავალფეროვანია ქალთა საქმიანობა ამოცანებში, სადაც სუბიექტის სქესი კერძო სახელით დგინდება და მისი ასაკი და საოჯახო სტატუსი არ არის დაზუსტებული, თუმცა ილუსტრაციების მიხედვით ძირითადად ახალგაზრდა ქალბატონებია გამოსახული. მცირე რაოდენობით არის ამოცანები, სადაც ქალი არა მხოლოდ ტრადიციული საქმიანობითაა დაკავებული, არამედ განსხვავებული ინტერესები და მიღწევებიც აქვს: კოლექციონერია, თეატრისა და მუსიკის მოყვარულია, გამარჯვებულია. ეს დადებითია, თუმცა, მეტწილად ილუსტრაციების მიხედვით ამგვარი საქმიანობა ახალგაზრდა ქალთან ასოცირდება, რაც მადებს იმის განცდას, რომ დედისა და ბებულის ასაკსა და სტატუსთან ერთად, საოჯახო ინტერესის გარდა, სხვა ინტერესები ქრება. უფრო კონკრეტულად კი, ამოცანებში დაქორწინებული ქალის წარმოჩენის დროს ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ მის ტრადიციულ საქმიანობაზე. მაგალითად: ბებია მხატვარი ოთხ ტოლ ნაწილად დაჭრა, დედამ ტორტი ოთხ ტოლ ნაწილად დაჭრა, დედამ საფარდე ქსოვილი შემოკვეცა, დედამ სურსათი შეიძინა. დედა და ბებია სხვა როლში არ არის ნაჩვენები. მამის როლი საოჯახო საქმიანობაში საერთოდ არ ჩანს. გამონაკლისია ერთი ამოცანა, სადაც მამა სადღესასწაულო სუფრისათვის სურსათს იძენს, თუმცა სწორედ ამოცანის ერთადერთობა ქმნის განცდას, რომ ეს არ არის მამის ჩვეული საქმიანობა.

ამოცანებში ასახულია მამაკაცთა შემდეგი საქმიანობა: ყიდულობს მათემატიკის სახელმძღვანელოს, მეცადინეობს, დაფასთან ამოცანას იყვანს, ყველაზე სწრაფად ანგარიშობს (სხარტი და მოსაზრებულება), კუბებით კონსტრუქციას აგებს, აგურები ჩამოტვირთა, მასალას ყიდულობს სარემონტო სამუშაოებისათვის, ჭადრაკს თამაშობს, ფულს აგროვებს ყულაბაში, ბაღის ღობეს აკეთებს, ბოსტანი დაბარა, კარტოფილს ანაწილებს ტომრებში, წერილს წერს, წიგნს კითხულობს, კონცერტზე მიდის, მივლინებაშია, ბურთით თამაშობს, სპორტის სხვადასხვა სახეობითაა დაკავებული. განსაკუთრებით თვალსაჩინოა, რომ ამოცანებში სპორტით მხოლოდ ბიჭები არიან დაკავებულნი. ბიჭები აკეთებენ ბუქნებს, თამაშობენ ფეხბურთს, ბაგირზე ცოცავენ. ბიჭები ეჯიბრებიან ერთმანეთს: ღერძზე აზიდვაში, ბურთის კენწვლაში, სირბილში. ვრცელი ამოცანა, რომელსაც ახლავს ილუსტრაციები და ცხრილები, ეძღვნება სიმაღლეში ხტომაში შეჯიბრს. ნიშანდობლივია, რომ ყველა მოსწავლე ბიჭია. ასეთი ამოცანა რამდენჯერმე მეორდება. ილუსტრაციაში სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მოსწავლიდან ექვსივე ბიჭია. სირბილში სასკოლო შეჯიბრში გამარჯვებული ყველა ბიჭია (ილუსტრაციაც ახლავს). ერთადერთ ამოცანაში, რომელიც გოგონათა სპორტული ცხოვრებით დაინტერესებაზე მეტყველებს, გოგონა დილის ვარჯიშს ასრულებს.

მწირია იმ საქმიანობების ნუსხა, რომლითაც დაინტერესებულია/დაკავებულია როგორც მამაკაცი, ისე ქალი. ძირითადად ასეთი საქმიანობაა: მოგზაურობა, სკოლაში სიარული, სასკოლო ნივთების შეძენა. ზოგჯერ ამოცანაში სქესის გარეშე ნახსენები სიტუაცია ილუსტრაციაში მხოლოდ ერთ რომელიმე სქესს მიეწერება. მაგალითად, მცხობელი, რომელიც საცხობში ფუნთუშებს აცხობს, მდედრობითი სქესის ორი წარმომადგენლის ილუსტრაციითაა გაფორმებული, ჭადრაკის თამაშისას ორივე მამრობითია, კარგი ექიმის საილუსტრაციოდ მამაკაცი ექიმია მოყვანილი. მიუხედავად იმისა რომ მცხობელი კაცი, ქალი ექიმი და მოჭადრაკე ქალი (თანაც მსოფლიო ჩემპიონი) ქართული რეალობაა, სახელმძღვანელოში პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის საილუსტრაციოდ მამაკაცს ენიჭება

უპირატესობა, სხვაზე ზრუნვა, ქველმოქმედება, ავადმყოფისათვის წამლის შეძენა კი მხოლოდ ქალს მიეწერება.

ამოცანათა უმრავლესობაში გოგონები და ბიჭები განცალკევებულად მოქმედებენ, თითქმის არ ურთიერთობენ ერთმანეთთან, არ საქმიანობენ ერთად, არ მეგობრობენ. მაგალითები ამოცანიდან:

მხოლოდ ბიჭები: ნიკამ და თორნიკემ ფუნთუშები მიირთვეს, ვატო და კოტე სათამაშოდ ჩავიდნენ, ვანომ და ბექამ ბოსტანი დაბარეს, ბიჭები ჭადრაკს თამაშობენ და სხვ.

მხოლოდ გოგონები: ნინო და მერი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, ეკატერინე და ანა ასფალტზე ცარცით ხატავენ, მარინამ და ირინამ ჩაყვინთა, თეონა და მზია სავაჭრო ცენტრში წავიდნენ, ნათიას დაბადების დღეზე მეგობრები ესტუმრნენ (ოთხივე გოგოა, - ილუსტრაციაც ახლავს) და სხვ.

ძალიან მცირეა იმ ამოცანების წილი, სადაც გოგონები და ბიჭები ერთი საქმიანობით არიან დაკავებულნი. მაგ. სკოლასთან შეხვდნენ, ექსკურსიაზე მიდიან, ზოოპარკის აკვარიუმთან თევზებს თვლიან, გამოფენას ათვალიერებენ.

საინტერესოა ამოცანებში ქალისა და მამაკაცის პროფესიული საქმიანობის დროს გენდერულად სეგრეგირებული წარმოჩენა, რომელიც მათ განსხვავებულ ფინანსური შესაძლებლობასაც მოიცავს. ქალები დაბალანაზღაურებად პროფესიულ საქმიანობას ეწევიან და მამაკაცები კი - მაღალს. ამოცანებში ქალი მასწავლებელია, მოლარე, ახალგაზრდულ ბანაკში მუშაობით თანხა გამოიმუშავა, ქალის ხელფასია 285 ლარი, ერთადერთ ამოცანაში აქვს ქალს 860 ლარი ხელფასი (ნაწილს საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავს). გოგონებს თუ ქალებს წიგნის შესაძენად ფული აკლია (რუსიკოს - 7ლარი, ქეთინოს -2ლარი). იმავდროულად, მამაკაცის ხელფასი საგრძნობლად მაღალია - 462-965 ლარი. ერთ ამოცანაში მამაკაცი ექიმია და გასინჯა 1000 ადამიანი, მიფრინავს საზღვარგარეთ, ბანკიდან სესხს იღებს 8 365 ლარს (ანუ აქვს მაღალი შემოსავალი), ყიდულობს 2 697-ლარიან ავეჯს, 4 125-ლარიან კატერს.

საინტერესოა ისიც, რომ ამგვარი ამოცანები ერთი და იგივე მათემატიკური ოპერაციის ან წესის დასწავლისათვის გამიზნული. ერთ გვერდზე განთავსებული ამოცანების მიხედვით ნუცას 19 ლარი 50 თეთრი აქვს, მარიამს - 24 ლარამდე, გიორგის 6 989 ლარი აქვს. გვერდი გაფორმებულია გიორგის მიერ შეძენილი კატერისა და ძვირფასავეჯიანი ინტერიერის ფოტოებით.

ასეთივე სტერეოტიპული სახითაა წარმოდგენილი სქესთა როლი და დამოკიდებულება ვაჟებსა და გოგონებთან ოჯახურ სიტუაციაში: სახელმძღვანელოში მოცემული ამოცანების შინაარსის მიხედვით, მშობლები მამრობითი სქესის შვილს უპირატესობას ანიჭებენ და მეტ რესურსს უთმობენ. რაც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების კვლავწარმოებისა და განმტკიცების ნათელი მაგალითია. მშობლების სქესის მიხედვით განსხვავებულ მიდგომებსა და დაფასებაზეა ორიენტირებული ამოცანები, სადაც მშობლები ფულს აძლევენ შვილს ან ძვირფას საჩუქარს ჩუქნიან. გარდა სოციალურ-ეთიკური საკითხებისა, მოსწავლეების ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ამოცანების რელევანტურობისა, ამ ამოცანების პრობლემა ისიცაა, რომ ყველა შემთხვევაში დასაჩუქრებული შვილი მამრობითი სქესისაა. მაგალითად: ნიკას მამამ მისცა 200 ლარი, თორნიკეს - 300; დედამ მისცა ნიკას 215 ლარი, თორნიკეს - 307. მამამ არჩილს 236-ლარიანი მობილური უყიდა, გიორგის - 377-ლარიანი მუსიკალური ცენტრი. ამ ფონზე: დედამ ნინიკოს მაისურში 21 ლარი გადაიხდა; დაბადების დღეზე თოჯინა აჩუქეს (სულ 4 თოჯინა მიიღო).

ამოცანების მიხედვით, ქალიშვილის ჩაცმულობაზე ზრუნავენ, რაც აუცილებლობაა და პირდაპირი მოვალეობაა მშობლის, ხოლო ვაჟს აძლევენ ფულს, რომელიც საკუთარი ინტერესების მიხედვით შეუძლია დახარჯოს. აჩუქებენ საჩუქრებს, რომლებიც მათი განვითარებისთვისაა საჭირო და თვითშეფასებაზე, იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. რეალურად სახელმძღვანელო გაუცნობიერებლად მოსწავლეს უქმნის და უნმტკიცებს სტერეოტიპულ წარმოდგენას სქესობრივ

უპირატესობასა და ნაკლებ მნიშვნელობაზე, რაც უდავოდ აისახება მოსწავლის ცნობიერებაზე გენდერული სტერეოტიპების სახით.

და ბოლოს, აშკარაა, რომ ავტორთა ჯგუფს გააჩნდა მცდელობა გენდერულად დაბალანსებინა სახელმძღვანელო და ეს მცდელობა ილუსტრაციბსა და ამოცანებში მდებარეობითი სქესის რაოდენობრივი მაჩვენებლით ასახა. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოს ძირითად მომხმარებლად, ინფორმაციის მიმღებად მამრობითი სქესის მოსწავლეა მიჩნეული. ეს ვლინდება მათემატიკური ამოცანების სპორტული თემატიკითაც, სადაც ქალი საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ამას მოწმობს ფეხბურთისა და კალათბურთის მატჩების ამსახველი ილუსტრაციების სიუხვეც. სახელმძღვანელოს მიხედვით, წიგნის მომხმარებლები მხოლოდ ბიჭები არიან. ამოცანებში რამდენჯერმე გვხვდება, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოს ბიჭი ყიდულობს. არცერთ შემთხვევაში წიგნის მყიდველი გოგონა არაა.

დასკვნა

ამრიგად, დეტალური ანალიზი ადასტურებს, რომ სახელმძღვანელოების ნაწილი მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია სქესთა შორის თანასწორობისა და გენდერული როლების გააზრების კუთხით. თუმცა, გვხვდება სრულიად დაუბალანსებელი სახელმძღვანელოებიც. საერთო ჯამში, ყველა სახელმძღვანელოში არსებობს გენდერულად დაბალანსების პოტენციური თანასწორობის საკითხების წარმოჩენის კუთხით. საგულისხმოა ისიც, რომ ტენდენციები საგნობრივი პროგრამების მიხედვით განსხვავებით ხასიათდება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სახელმძღვანელოების ხასიათი ავტორებისა და გამომცემლობების გენდერულ ხედვებითაა ნაკარნახევი და არ ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ ჩარჩოს, რომელიც ერთი მხრივ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და ინდიკატორებზე კონკრეტული საგნობრივი პროგრამის გენდერულად მგრძნობელ განსაზღვრებებზე ხოლო მეორე მხრივ კი, სახელმძღვანელოს გრიფირების მოპოვებისათვის მოცემულ წესებზე დაყრდნობით შემუშავდებოდა.

თავი 8: მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა

მთავარი მიგნებები

ფოკუს-ჯგუფებმა მოსწავლეებთან დაგვანახა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, სქესისგან დამოუკიდებლად, მამაკაცთა და ქალების როლებისადმი მიკერძოებულ და სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ავლენს. ყველაზე ხშირად ამგვარი დამოკიდებულება იმ აღქმული მოლოდინით არის გამოხატული, რომელიც ბიჭების ცელქობას, ზარმაცობას, უხეშობას და გოგონების სიდინჯეს, სიბეჯითეს და აკადემიურ ქცევას უკავშირდება.

მოსწავლეთა ფოკუსჯგუფების შედეგები

მოსწავლეთა ფოკუსჯგუფის ფარგლებში გენდერული საკითხები ასევე იყო განხილული განსხვავებებისადმი დამოკიდებულებებისა და მოლოდინების კონტექსტში, რომელიც კულტურული იდენტობის თორმეტ წყაროს ეფუძნებოდა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად განსახილველი საკითხების მრავალმხრივობისა, ფოკუსჯგუფებში გენდერული ასპექტი ყველაზე მეტად იქნა განხილული და მკაფიოდ აქცენტირებულ საკითხად წარმოჩნდა.

საზოგადოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფოკუსჯგუფში გოგონები და ბიჭები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილები, გოგონები ბევრს და პირდაპირ საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ კლასში თუ სკოლაში გოგონები კარგები არიან და ბიჭები კი - ცუდები. ბიჭები მასწავლებლებს აბრაზებენ, გოგონებს აჯავრებენ, უხეშ სიტყვებს იყენებენ და ხშირად გოგონებზე ზეწოლას ახდენენ. მეორე მხრივ, ბიჭები, რომლებიც რიგ შემთხვევებში არ უარყოფდნენ ამგვარ მტკიცებულებებს, ხოლო რიგ შემთხვევებში კი, საუბრობდნენ საკუთარ კლასში არსებულ ჰარმონიულ დამოკიდებულებაზე ბიჭებსა და გოგონებს შორის და სხვადასხვა სქესის მოსწავლეებს შორის მეგობრობის მაგალითები მოჰქონდათ, იქვე

ამატებდნენ, რომ სქესთა შორის როლების აღქმული განაწილება მათ სკოლაში აქტუალურია.

რიგ შემთხვევებში მოსწავლეები ვერ ხსნიან, თუმცა ადასტურებენ, რომ საკლასო ოთახში ურთიერთობა ერთი სქესის მოსწავლეებს შორის ბევრად ინტენსიურია:

- „გოგონები ცალკე ვმეგობრობთ, ბიჭები ერთად არიან. რატომ, არ ვიცი“.

კვლევა ადასტურებს, რომ სხვადასხვა მცირე დეტალი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული, განზოგადებულია; მაგალითად, მამრობითი სქესის მოსწავლეები კითხვაზე, თუ რას აკეთებენ გოგონები დასვენებაზე, პასუხობენ, რომ ჭორაობენ. ამასთან, მათი ტონი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ გოგონები სწორედ იმას აკეთებენ დასვენებაზე, რასაც უნდა აკეთებდნენ.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია სქესთაშორისი აღქმული დამოკიდებულება, ქცევათა დაყოფა სქესებისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით და ცალკეული შემთხვევების განზოგადების ტენდენცია. ბავშვები ხალისით საუბრობენ სხვათაგან გამორჩეულ ბიჭებზე:

- „ჩვენ რომ ხალისით ვთამაშობთ, ის ზის და გოგოებთან ლაპარაკობს“;
- „ჩვენთან არის ერთი ბავშვი, სულ გოგოებთან ლაპარაკობს“.

მოსწავლეები ასეთ შემთხვევებზე აქცენტირებას მაშინაც კეთებენ, რომ კონკრეტული ბავშვის ქცევა განსხვავებულია, თუმცა ის განსაკუთრებული არ არის.

- „ის „ჩვეულებრივი“ ბავშვია, არ უნდა ფეხბურთის თამაში ან ბიჭებთან თამაში და მოდის ჩვენთან“.

გამოვლინდა სტიგმატიზაციის შემთხვევა, რომელიც გენდერული როლების სტერეოტიპული აღქმისგან გამომდინარეობს.

„წარმოიდგინეთ, არაფერს სწავლობს, მოდის ეგრე გაკვეთილებზე და არ სცხენია. თან გოგოა...“

რიგ შემთხვევებში განსხვავებულ ქცევად აღიქმება იმ გოგონების ან ბიჭების ქცევა, რომლებიც მეტ დროს საპირისპირო სქესის ამხანაგებთან ურთიერთობაში ატარებენ. ამავე დროს, მკაფიოდ ვლინდება: მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ დაირღვა

ის აღქმული ქცევები, რომლებიც ორივე სქესის წარმომადგენლებს უნდა ახასიათებდეს:

- „ჩვენთან ჩემი კლასელები სულ დასცინიან, მით უმეტეს, ბიჭები და „ქალო“, „ქალოს“ უძახიან, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ ეგრე“.

მოსწავლეები ასევე აღწერენ მასწავლებლის მოქმედებას/მცდელობას, დაცინვის ფაქტი საკლასო ოთახში შეწყდეს:

- „მასწავლებელსაც რამდენჯერ უჩხუბია ამაზე“.
- რას ეუბნება მასწავლებელი?
- რა ვიცი, არ შეიძლება დაცინვაო და პირიქით, უნდა დაიცვათო ყველაფრისგანო.
- მერე ისინი რას ეუბნებიან? კარგიო?
- კი პირდებიან მასწავლებელს, მარა მერე ისევ ისე იქცევიან.
- და ეს ბავშვი რას აკეთებს მერე?
- არაფერს, უთმენს.
- როგორ ფიქრობ, სწყინს ძალიან?
- არ ვიცი.
- არასდროს გიკითხავს?
- არა.
- გოგონები როგორ ექცევიან?
- ჩვეულებრივად კარგად ვექცევით ძალიან, ჩვენთან ვათამაშებთ, არ ვაგდებთ როგორც

ბიჭები აგდებენ. თან არც უნდათ ბიჭებს მაგასთან მეგობრობა, რადგან ჩვენთან მოდის სულ“.

ფოკუსჯგუფმა ასევე გამოავლინა ძალადობისა და აბუჩად აგდების მაგალითებიც, რომელიც გენდერული ხასიათისაა და გოგონას მიმართ ხორციელდება.

„რომ დაინახავენ, სულ ერჩიან. ერთხელ კიბეზე დააგორეს. მასწავლებელი ცდილობს, რომ გააჩეროს, დასჯით ემუქრება, მაგრამ მაინც იგივეს აკეთებენ. არ შეიძლება ასე მოქცევა. კი, შეიძლება არ აცვია ლამაზად და შეიძლება არ იქნევა ჭკვიანურად, მაგრამ როგორ შეიძლება გოგოსთან უხეშად მოქცევა.“

ერთ-ერთ ფოკუსჯგუფში დაფიქსირდა გოგონას საქციელის განსჯა. მოსწავლეები უცნაურად მიიჩნევენ (და ამას არც ძალავენ), რომ გოგონა ვაჟებს ეხვეწება, ფეხბურთი მათამაშეთო. მოსწავლეები ასევე საუბრობდნენ იმაზე, რომ ამ გოგონას რეგულარულად სცემდა ერთი ბიჭი:

- ჩვენ ერთი ბიჭი გვყავს, ყოველდღე სცემს, რამდენჯერ მოვიდა დედამისი, მაგრამ მაინც არ ესმის.
- გოგოს სცემენ? სულ ერთსა და იმავე გოგოს სცემენ?
- დიახ. ახლა აღარ, ადრე ძალიან სცემდნენ.

მოსწავლეების აღქმულ მოლოდინებზე სქესის მიხედვით ასევე საუბრობს მათი დიალოგი თანაკლასელი გოგონას ჩაცმულობის სტილის შესაბამისობაზე. მოსწავლეები კიცხავდნენ გოგონას ჩაცმულობის გამო. საინტერესოა, რომ აქცენტი არ კეთდებოდა იმაზე, თითქოს თანაკლასელს მოსწავლისათვის შეუფერებელი ჩაცმულობით დადიოდა - არამედ იმაზე, რომ გოგონასათვის შეუფერებლად ეცვა.

რაც შეეხება საგაკვეთილო პროცესს და მოსწავლეების დამოკიდებულებას, ფოკუსჯგუფმა სპორტის გაკვეთილთან დაკავშირებული დამოკიდებულებები გამოკვეთა. მოსწავლეების თქმით, გაკვეთილი მთლიანად ორიენტირებულია ფეხბურთისა და კალათბურთის თამაშებზე, სადაც მხოლოდ მამრობითი სქესის მოსწავლეები არიან ჩართულები. შესაბამისად, იკვეთება ის არათანაბარი პირობები, რომელიც მდედრობით და მამრობით სქესის მოსწავლეებს გააჩნიათ სპორტულ აქტივობებში ჩართულობის კუთხით. ამასთან, ის, რომ ფიზიკური აქტივობები ბიჭების მოთხოვნილებებზე და საჭიროებებზეა მორგებული და არ ითვალისწინებს გოგონათა ინტერესებს, თუმცა თავად მოსწავლეების მიერ ნორმად განიხილება.

თავი 9: მასწავლებელთა სქესთაშორისი დამოკიდებულების და საკუთარი პრაქტიკის ანალიზი გამოკითხვის შედეგების მიხედვით

ძირითადი მიგნებები

გამოკითხვამ რამდენიმე საინტერესო მიგნებამდე მიგვიყვანა:

1. მასწავლებლები ნაკლებად ავლენენ გენდერული როლების მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ზოგადი ხასიათის იმ დებულებებში, რომლებიც მათ პროფესიულ გამოცდილებასთან ნაკლებადაა დაკავშირებული.
2. მასწავლებლები ნაკლებად ავლენენ გენდერული როლების მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას იმ დებულებებში, რომლებიც ქალი დისკრიმინაციული პოზიციიდან არის წარმოდგენილი.
3. მასწავლებლები მკვეთრად სტერეოტიპულ შეხედულებებს ავლენენ იმ დებულებებში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მათ პროფესიულ პრაქტიკასთან. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა დახასიათება შესაძლებელია გენდერული განსხვავების მიხედვით, ამასთან, მოსწავლეები მკაფიოდ განსხვავდებიან თვისებებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით - სქესის მიხედვით.

გამოკითხვის დეტალური ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის 400 განათლების პედაგოგი გამოკითხა. განაწილების მიხედვით, გამოკითხულ მასწავლებელთა 91.9%-ს ქალები შეადგენდნენ, შესაბამისად, 9.1%-თი მამაკაცები იყვნენ წარმოდგენილები. რაც შეეხება ასაკობრივ დისტრიბუციას, მასწავლებლების ყველაზე დიდი წილი 36-45 წელზე მოდიოდა. დეტალები მოცემულია დანართში 1. მასწავლებლების გადანაწილება სკოლის სწავლების მიხედვით შემდეგნაირად არის მოცემული: სწავლების ენა ქართული - 85.3%, არაქართული 10.4%, შერეული


(სექტორული) 2.8%. გადანაწილება შეესაბამება სკოლების საერთო პოპულაციის პროცენტულ გადანაწილებას (დანართი 1).

ამ შემთხვევაშიც, გენდერთან დამოკიდებულების გამოსავლენად დასმული კითხვების ნაწილი 12 წყაროს მიმართ კულტურული იდენტობის განმსაზღვრელია. შესაბამისად, მასწავლებლები არ იყვნენ ფოკუსირებულნი მხოლოდ გენდერულ საკითხებზე, რაც სავარაუდოდ, ამცირებს იმის ალბათობას, რომ ისინი ორიენტირებულნი იქნებოდნენ „სწორი“ პასუხების გაცემაზე.

კითხვარი შედგებოდა როგორც ზოგადი კითხვებისგან გენდერული როლებისა და სქესთაშორისი განსხვავებების შესახებ, ასევე მოიცავდა საკითხებს, რომლებიც უშუალოდ მასწავლებლის მოსწავლეებთან ინტერაქციას და მათი პროფესიული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს უნდა გულისხმობდეს.


დებულებას: „ქალს თავისი ფუნქცია აქვს, კაცს - თავისი; ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს“ რესპონდენტთა 25.4% სრულიად ეთანხმება, 41.9% ეთანხმება, ხოლო 12.3% ნაწილობრივ ეთანხმება. ნიშანდობლივია, რომ 20.4% გამოკითხული მასწავლებლებისა არ ეთანხმება ან კატეგორიულად არ ეთანხმება დებულებას. თუ კითხვარის გენდერული მგრძნობელობის ქვეთავის ამ კონკრეტულ დებულებას სხვა დებულებებს შევადარებთ, აშკარაა, რომ სხვა დებულებები მკაფიოდ დეკლარაციულია, სადაც პოზიციის გამოხატვა არა საკუთარი შეხედულებებისა და აღქმული მოლოდინის, არამედ დასწავლილი ღირებულებების გამოყენების საფუძველზეცაა მეტ-ნაკლებად შესაძლებელი. შესაბამისად, სწორედ ამ დებულებაში, სადაც რესპონდენტებისთვის არ იყოს ნათლად გამოხატული „კარგი“ ან „სწორი“ პასუხი, კარგად გამოჩნდა სტერეოტიპული დამოკიდებულება სქესთა შორის საქმიანობისა და პასუხისმგებლობის განაწილებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 12: პასუხების გადანაწილება სქესთა შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ




შემდეგი დებულება „მე კომფორტულად ვგრძნობ თავს საპირისპირო სქესის მქონე ადამიანთან“ - პირადი გადმოსახედიდან მოცემული დებულებაა და თითოეული მასწავლებლისგან მოითხოვს საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირებას. დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ 55.7% სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება ამ დებულებას, აქედან 9.4% სრულიად ეთანხმება, 19.5 ეთანხმება, ხოლო 26.8% კი ნაწილობრივ ეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონალური პერსპექტივიდან მოცემული დებულებაა და სწავლებასთან არ არის პირდაპირ კავშირში, დებულება არ აზუსტებს კომფორტისათვის განსაზღვრულ ვითარებებსა და გარემოებებს. დებულებაზე ამგვარი პასუხების გადანაწილება კი გვაჩვენებს, რომ 44%-ზე მეტი არ გრძნობს თავს კომფორტულად საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ნეიტრალური და ზოგადი ხასიათის დებულებისათვის და შეიძლება მასწავლებლების დიდი ნაწილის სქესის მიხედვით განსხვავების საფუძველზე დაფუძნებული ურთიერთობისა და სქესის მიხედვით ყოფნის ფორმებთან ასოცირდებოდეს.

დიაგრამა 13: პასუხების გადანაწილება დებულებაზე საპირისპირო სქესთან ყოფნისა და ურთიერთობის დროს შეგრძნების შესახებ



შემდეგი დებულება ასევე ზოგადი ხასიათისაა და მასწავლებლებისგან მოითხოვდა აზრის დაფიქსირებას ქალებისა და მამაკაცების სამსახურეობრივი პოზიციონირებისა და შესაძლებლობების შედარებას, და არა საკუთარი პერსპექტივიდან აზრის გამოხატვას.

დიაგრამა 14: პასუხების გადანაწილება კითხვაზე ქალებისა და მამაკაცების თანაბარი



შესაძლებლობების შესახებ მნიშვნელოვან თანამდებობებზე საქმიანობაში


დიაგრამაში კარგად ჩანს, რომ მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა (97.4%) მეტ-ნაკლები ინტენსივობით იზიარებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების იდეის მართებულობას სამსახურეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის თავზე აღებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ დებულებაში ხაზგასმულია სიტყვა „სუსტი“. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლების უმრავლესობა „სისუსტეს“ ფიზიკურ მონაცემებს არ უკავშირებს და მიიჩნევს, რომ ქალებს გააჩნიათ მამაკაცთან შესაბამისობაში მყოფი თანასწორი სოციალური, მენტალური, ფსიქოლოგიური უნარი და შესაძლებლობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისათვის.

ეს დებულება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ამგვარი დამოკიდებულების მქონე მასწავლებელი ერთნაირად უნდა ამზადებდეს ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სხვათა სამსახურეობრივი მოვალეობის პირობებში მართვისათვის.

ამ ფონზე საინტერესოა მასწავლებლების დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამიმართების შესახებ საოჯახო სივრცეში; წინა დებულებიდან და აქაც, დებულების არაპერსონალურობიდან გამომდინარე, არსებობს მოლოდინი, რომ პასუხები ისეთივე ინტენსივობით გადანაწილდება სავარაუდო პასუხებს შორის. რეალურად, ამ შემხვევაშიც, საკმაოდ დიდი, 65.2% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ოჯახის ხელმძღვანელობა კაცის საქმეა, ქალი კი მისი მორჩილი უნდა იყოს. თუმცა,


პასუხების ინტენსივობა სხვაგვარადაა გადანაწილებული და დაახლოებით 46% არ ეთანხმება დებულებას, ხოლო კატეგორიულად კი, 18.6% არ ეთანხმება.

დიაგრამა 15: პასუხების გადანაწილება კითხვაზე ქალების და მამაკაცების უერთიერთადმოკიდებულების შესახებ საოჯახო სივრცეში




რეალურად, დებულება წინა დებულებაზე უფრო მძაფრია, რადგან მოცემულია ქალის მორჩილების, დამოკიდებულების პერსპექტივიდან ოჯახის ხელმძღვანელ კაცზე. შესაბამისად, პასუხების წინა დებულებიდან ნაკლებად მძაფრი დისტრიბუცია გვაფიქრებინებს, რომ საოჯახო საქმიანობაში მამაკაცის ხელმძღვანელობა უფრო მეტადაა მისაღება მეტი მასწავლებლისათვის, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს მამაკაცის დომინანტი როლის შესახებ ოჯახში. ასევე, ვარაუდი, რომ ფრაზა: „ქალი მას უნდა ემორჩილებოდეს“ უნდა გამხდარიყო მასწავლებელთა დიდი პროცენტისათვის დებულებასთან დაუთანხმებლობის მიზეზი, არ მართლება. ქვემოთ მოცემული წრფივი შედარებითი დიაგრამა უფრო თვალსაჩინოს ხდის მასწავლებელთა მოსაზრებებს შორის განსხვავებას ამ ორ დებულებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 16: მასწავლებელთა დამოკიდებულებების შედარებითი დიაგრამა ოჯახის ხელმძღვანელობასა და სამსახურებრივ მოვალეობასა და პასუხისმგებლობის შესახებ.



ასევე, ზოგად ურთიერთდამოკიდებულებას ეხება დებულება „ქალი მხოლოდ იმაზე უნდა ფიქრობდეს, რით ასიაშვინოს მამაკაცს“. ეს დებულებაც, წინა ორის მსგავსად, მასწავლებლისგან ითხოვს არა პირადი გამოცდილების საფუძველზე, არამედ ზოგადად არსებული აღქმისა და დამოკიდებულებიდან გამომდინარე შეხედულების დაფიქსირებას. დებულებაზე პასუხთა გადანაწილება მეტად მკვეთრად უარყოფითია. 63.3% მასწავლებლებისა არ მიიჩნევს მართებულად ქალის ამგვარ ფუნქციას. თუმცა, კვლავაც 21%-ზე მეტი ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას, ხოლო 10%-ზე მეტი ეთანხმება. აქაც ხაზგასასმელია სიტყვა „მხოლოდ“, რაც კატეგორიულს ხდის დებულებას და ქალის როლს მამაკაცის სიაშვინებაზე ზრუნვით სრულიად ფარგლავს. შესაბამისად, ის, რომ მასწავლებელთა 35%-ზე მეტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება ქალის მნიშვნელოვან ფუნქციად მამაკაცისათვის სიაშვინების მინიჭების იდეას, საკმაოდ დამაფიქრებელია.

დიაგრამა 17: პასუხების გადანაწილება დებულებაზე ქალის ერთადერთ ფუნქციად მამაკაცის სიაშვინების შესახებ.




კითხვარის მომდევნო სამი დებულება მასწავლებლის პროფესიულ გამოცდილებას, შეხედულებებსა და მოლოდინებს ეხება მოსწავლე გოგონებისა და ბიჭების შესახებ და მოცემულია იმ სტერეოტიპული წარმოდგენების ჭრილში, რომლებიც საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით არსებობს პედაგოგებს შორის. კონკრეტულად კი შემდეგი დებულება სვამს კითხვას მოსწავლეების შედარებით ნიჭიერებასთან დაკავშირებით ფიზიკასა და მათემატიკაში სქესის მიხედვით.

დებულებაზე სავარაუდო პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მასწავლებლების 66.5% მიიჩნევს, რომ ბიჭები უფრო ნიჭიერები არიან. აქედან,

მასწავლებელთა მეოთხედზე მეტი ეთანხმება, ხოლო 33.9% ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას. კატეგორიულად მასწავლებლების 4.1% არ ეთანხმება დებულებას. ნიშანდობლივია, რომ კითხვა მასწავლებლების პირადი პერსპექტივიდან, პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული დამოკიდებულების გამოხატვას გულისხმობს. შესაბამისად, უნდა ვივირაუდოთ, რომ 66%-ზე მეტ მასწავლებელს განსხვავებული მოლოდინები აქვთ გოგონებისა და ბიჭებისგან მათემატიკისა და ფიზიკის შედეგებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები არ არიან ფიზიკის სწავლებაში უშუალოდ ჩართულები, რადგან ფიზიკა სკოლის დაწყებით საფეხურზე არ ისწავლება, საპირწონედ, მათემატიკა პირველივე კლასიდანაა სასწავლო საგანი. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა არ ვამტკიცოთ, რომ რომ ამგვარი მოლოდინების ფონზე, მასწავლებლებს ბიჭებისათვის მათემატიკის სწავლებისას წარმატების მეტი მოლოდინი აქვთ და, შესაბამისად, მეტ ყურადღებას უთმობენ მათ.


დიაგრამა 18: პასუხების გადანაწილება დებულებაზე გოგონებისა და ბიჭების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მათემატიკასა და ფიზიკაში



შემდეგი დებულება მასწავლებლების დამოკიდებულებას არა აკადემიური, არამედ ქცევითი და სწავლისათვის მოტივაციის კუთხით აკეთებს. დებულებას - „ბიჭები, როგორც წესი, ზარმაცები არიან“ - მასწავლებლების თითქმის 73% ეთანხმება. ეს დებულება მასწავლებლების პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილების კუთხით არის დასმული და პირად დამოკიდებულებას, შეხედულებასა და მოლოდინებს ითვალისწინებს. შესაბამისად, ის, რომ მასწავლებლების 73% სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება ბიჭების სიზარმაცეს და, ამასთან, კანონზომიერად მიიჩნევს ამას (დებულებაში მოცემული ფრაზა „როგორც

წესი“), გვადლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლები ასევე კანონზომიერად მიიჩნევენ „როგორც წესი, ზარმაცი“ ბიჭებისათვის მეტი ყურადღების დათმობას და ძალისხმევას სასწავლო მასალის გაგებისა და გათავისებისათვის.


დიაგრამა 19: ბიჭების, ჩვეულებისამებრ, სიზარმაცის შესახებ



შემდეგი დებულება ჰგავს წინას, მხოლოდ მოსაზრებების დაფიქსირებას მასწავლებლებისგან უკვე გოგონას პერსპექტივიდან მოითხოვს და თან შედარებას აკეთებს ბიჭებთან. ამ დებულებაზე კი პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მასწავლებლების 74.9% ეთანხმება დებულებას, საიდანაც თითქმის 10% სრულიად ეთანხმება, 34.2 პროცენტი ეთანხმება, ხოლო 31.1% კი, ნაწილობრივ ეთანხმება.


ეს დებულება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მოსაზრებას, ერთი მხრივ, გოგონების პოზიტიურ თვისებაზე აკეთებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, წინა დებულებიდან განსხვავებით - შედარებას გვაჩვენებს გოგონებსა და ბიჭებს შორის. პასუხების ამგვარი გადანაწილება გვადლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ მასწავლებლებს მეტი მოთხოვნები ექნებათ „შრომისმოყვარე“ გოგონების მიმართ და, შესაბამისად, იმის მოლოდინი და რწმენა, რომ გოგონები უფრო ხშირად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ დავალებებს. შესაბამისად, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მოლოდინის გაუმართლებლობის შემთხვევაში, გოგონებთან დაკავშირებით უფრო ინტენსიური იქნება მოთხოვნები არა აუცილებლად მათი ბიჭებზე უკეთესი აკადემიური შედეგების, არამედ, მეტი რეგულარულობის, მოწესრიგებულობის, საშინაო დავალებების სათანადოდ შესრულებისათვის.

დიაგრამა 20: დებულება გოგონების ბიჭებთან შედარებით უკეთესი შრომისუნარიანობის შესახებ



საინტერესოა, რომ რესპონდენტთა პასუხების გადანაწილება ბიჭების სიზარმაცესთან დაკავშირებით არ არის გოგონების უფრო მეტ შრომისმოყვარეობასთან ზუსტად ასოცირებული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოკითხულთა იდენტური რაოდენობა არ თვლის, რომ თუ ბიჭები უფრო ზარმაცები არიან, შესაბამისად, გოგონები არიან უფრო შრომისმოყვარეები. თუმცა, პასუხების გადანაწილების ტენდენცია ერთგვაროვანია, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ შედარებით დიაგრამაზე. ამასთან, გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი პროცენტი ოდნავ უფრო „ფრთხილია“ მეორე დებულების დათანხმების დროს. რესპონდენტთა 40% ნაწილობრივ ეთანხმება ბიჭების სიზარმაცეს გოგონებთან შედარებით, თუმცა, ამასთან, 31% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ სწორია მოსაზრება გოგონების მეტ შრომისმოყვარეობასთან დაკავშირებით. გოგონების მეტ შრომისმოყვარეობას მასწავლებლების თითქმის 10% ეთანხმება, ხოლო ბიჭების სიზარმაცეს კი - 4.6%. საერთო ჯამში ბიჭების მეტ სიზარმაცეს 72.9% ეთანხმება, ხოლო გოგონების განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას კი 74.9%, ანუ გამოკითხულთა თითქმის $\frac{3}{4}$.

დიაგრამა 21: შედარება დებულებების ბიჭების სიზარმაცესა და გოგონების ბიჭებთან შედარებით უკეთესი შრომისუნარიანობის შესახებ



ამრიგად, გამოკითხვის შედეგად შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ დამოკიდებულების, აღქმისა და მოლოდინების დონეზე მასწავლებლებს აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება მეტწილად პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, გოგონათა და ბიჭების სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობების, ქცევისა და უნარების შესახებ. ისინი უფრო მეტ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ავლენენ სქესთაშორისი თანასწორობის საკითხებზე იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი პერსპექტივიდან, ზოგადად განიხილავენ გენდერულ საკითხებს და ნაკლებ მიკერძოებულნი არიან იმ შემთხვევაში, თუ გენდერული საკითხები ზოგად კონტექსტშია მოცემული და დეკლარაციული ხასიათისაა.

თავი 10: მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგები

ძირითადი მიგნებები

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია გენდერული საკითხების შესახებ. საუბრისას ისინი ამჟღავნებენ მკვეთრად სტერეოტიპულ დამოკიდებულებას განსხვავებული სქესის მოსწავლეების განსხვავებული ფიზიკური და აკადემიური შესაძლებლობების მიმართ. საკუთარი მოსაზრებების გაზიარებისას, მასწავლებლები ძირითადად საკუთარ გამოცდილებაზე აპელირებენ. ამასთან, მასწავლებლები კატეგორიულად გამორიცხავენ სწავლების განსხვავებულ მიდგომებს, შეფასებასა და მოლოდინებს საკუთარ სწავლებაში მოსწავლეების მიმართ სქესის მიხედვით.

პირისპირი ინტერვიუების შედეგების აღწერა

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებლების ჩადრმავებული ინტერვიუების მთავარი მიზანი იყო, მასწავლებელთა ცნობიერების კვლევა, ასევე, მათი ხედვის გარკვევა განათლებაში გენდერული მგრძნობელობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ინტერვიუს საშუალებით მკაფიოდ უნდა

დაგვეჩვენა, რამდენად ინფორმირებულები არიან მასწავლებლების გენდერული სოციალიზაციის საკითხების შესახებ. რამდენად აქვთ ცნობიერი მზაობა იმისათვის, რომ დაინახონ გენდერული ბალანსის აუცილებლობა, გაამახვილონ ყურადღება საკითხების გენდერული პერსპექტივით განხილვაზე, გააანალიზონ სასწავლო რესურსები ამ კუთხით და ბოლოს, განახორციელონ გენდერულად დაბალანსებული სწავლება კლასში. ინტერვიუ საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ თუ ანკეტირების შემთხვევაში გენდერი პიროვნების იდენტურობის წყაროებს შორის ერთ-ერთ ასპექტად იყო მოცემული და, შესაბამისად, მასწავლებლების დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს გენდერული საკითხების მიმართ სხვა ასპექტებთან მიმართებითაც აფიქსირებდნენ, პირისპირი ინტერვიუ მხოლოდ გენდერულ საკითხებს მოიცავდა და, აქედან გამომდინარე, მასწავლებლები ნათლად განმარტავდნენ საკუთარ პოზიციებს.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი ვერ აკეთებს გენდერის განმარტებას და ვერ განასხვავებს გენდერისა და სქესის მნიშვნელობას ერთმანეთისაგან.

„გენდერი, ეს არის ქალი და მამაკაცი და მათ შორის განსხვავებები. ოღონდ როდესაც გენდერზე ვლაპარაკობთ, ყურადღებას ქალთა საკითხებზე ვამახვილებთ.“

მეტია გენდერის აღქმადობა კონტექსტში. გენდერის, როგორც ტერმინის ხსენებისას, მასწავლებლები საუბრობენ გენდერულ თანასწორობაზე და გადადიან იმ მაგალითების მოყვანაზე, რომელიც ოჯახური ძალადობისა და ფემიციდის ბოლო შემთხვევებს უკავშირდება. ამ შემთხვევაში დამოკიდებულება მკვეთრად ნეგატიურია და ისინი ხაზს უსვამენ რადიკალური ქმედებების განხორციელების აუცილებლობაზე, რომელიც ქალზე ძალადობას შეებრძოლება. კითხვაზე, თუ რა შეიძლება მოქმედებდეს ქალის მიმართ ძალადობაზე, და რამდენად შეიძლება ძალადობრივი დამოკიდებულებების სათავე განათლებაში ვეძებოთ, მასწავლებლები მეტწილად საუბრობენ სოციალურ ფონზე, მასმედიიდან წამოსულ ნეგატიურ ინფორმაციასა და ოჯახის გავლენაზე გენდერული როლების გადანაწილების

კუთხით. სკოლისა და მასწავლებლის როლს გენდერული განსხვავებების სწორად აღქმასა და განვითარებაში ისინი არ უარყოფენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ სკოლა ვერ შეცვლის იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც ოჯახში ყალიბდება.

„აბა რა უნდა გააკეთოს სკოლამ და მასწავლებელმა, თუ ბავშვი ოჯახშია ძალადობის მოწმე? მასწავლებელს შეუძლია აუხსნას მოსწავლეს, რომ არ შეიძლება დაჩაგვრა, მით უმეტეს, ქალის დაჩაგვრა, ცემა, ძალადობა. მაგრამ ეს ვერაფერს შეცვლის. სკოლაში არ ხედავენ მოსწავლეები ძალადობას, სახლში სწავლობენ და ტელევიზორში, ინტერნეტში უყურებენ.“

ზოგადად, გენდერული როლების გადანაწილებასთან დაკავშირებით, მასწავლებლების უმეტესი ნაწილი თანხმდება, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორია და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია არ უნდა ხდებოდეს. მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობა მათ მიერ აღიქმება იმის აღიარებად, რომ ქალი და მამაკაცი ერთნაირები უნდა იყვნენ და ეს ვერ მოხერხდება, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

„ბუნებამ ჩადო ასე, რომ ქალი და კაცი განსხვავებულები არიან. ქალი - დედაა, და ამას ვერაფერი შეცვლის. აბა როგორ შეიძლება ქალი და კაცი ერთნაირები იყვნენ? პატივი უნდა სცენ ერთმანეთს.“

გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით ყველაზე მეტად ქალის სოციალურ სტატუსსა და ოჯახურ მდგომარეობაზე ხდება ყურადღების გამახვილება. ინტერვიუებში მასწავლებლები ასევე საუბრობენ სამსახურზე თანასწორ ხელმისაწვდომობაზე.

„არ მგონია, რომ ქალებს ვინმე ჩაგრავდეს და სამსახურში იმიტომ არ იღებდეს, რომ ქალია. ქალებს იმდენი სხვა საქმე აქვთ, რომ ვერ ახერხებენ მთლიანად კარიერაზე გადაერთონ. არ უნდათ იმდენს, რამდენსაც კაცს. ვისაც უნდა, რატომ ვერ ახერხებს...“

მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასკოლო სივრცეში გენდერული უთანასწორობა სრულიად გამორიცხულია და გოგონებისათვის ისევეა სასწავლო გარემო მიმზიდველი, როგორ ბიჭებისათვის. ისინი თვლიან, რომ სკოლაში ყველაფერი იმაზეა გათვლილი, რომ სქესობრივი განსხვავება გამორიცხილი იყოს; ინფრასტრუქტურა, სასწავლო რესურსები, სასწავლო პროცესი ბიჭებისთვის და გოგონებისთვის ერთნაირად მიმზიდველია, არსებული ხარვეზები კი ორივე სქესისათვის ერთნაირად მოსაგვარებელი.

„ჩვენთან გოგონები უფრო მონდომებულები არიან წარმატებისთვის. გაკვეთილზე უფრო აქტიურობენ, კლასგარეშე საქმიანობაში უფრო მეტად არიან ჩართულები. თუ რამეს ჯგუფის დონეზე ვაკეთებთ, გოგონები არიან ხოლმე უფრო მეტად დაინტერესებულები. სკოლაში გოგონების დისკრიმინაციაზე საუბარიც კი არ შეიძლება.“

„გოგონები და ბიჭები ერთნაირად არ არიან ჩართულები ყველა გაკვეთილზე. ბიჭები სპორტის გაკვეთილზე გიჟებივით დარბიან, გოგონები ცალკე არიან გამოსულები. ეს ბუნებრივია, მათ ხომ არ აქვთ ერთნაირი ინტერესები. რაც შეეხება გაკვეთილებს, ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ გოგონები დაჩაგრულები შეიძლება იყვნენ. პირიქით უფრო შეიძლება იყოს.“

„რასაკვირველია, ბავშვები განსხვავებულები არიან. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ბავშვი სხვადასხვა ხარისხით იღებს იმას, რასაც სკოლა სთავაზობს. გოგონები რამდენად უფრო ნაკლებს იღებენ ვიდრე ბიჭები, ან პირიქით, ამაზე ლაპარაკი გამიჭირდება. საინტერესო კი იქნებოდა ისე... ალბათ მაინც გოგონები სჯობიან. ბიჭებს..“

„ჩემი გამოცდილებიდან იმის თქმა შემიძლია, რომ გოგონები უფრო თანმიმდევრულები და რეგულარულები არიან. ბიჭები ხან ზარმაცობენ, ხან ცელქობენ და არ სწავლობენ. მერე უცებ ეს ბიჭი ადგება, სწავლას დაიწყებს და სულ სხვა შედეგს იღებ. სხვანაირად უკეთ ითვისებენ ბიჭები და რა ვქნა!“

სახელმძღვანელოების განხილვისას, მასწავლებლები აქცენტებს აკეთებენ მათ დაბალ ბეჭდურ ხარისხზე და ზოგად შინაარსობრივ ხარვეზებზე. ასევე, საუბრობენ დავალებების შეუსაბამობაზე, რომლებიც ხშირად არ არის მასალის განმტკიცებაზე ორიენტირებული. თუმცა, არც ერთ გამოკითხულ მასწავლებელს არ გაუმახვილებია ყურადღება გენდერული ასპექტების ასახვაზე სახელმძღვანელოში. პირდაპირი შეკითხვის შემთხვევაში კი აღიარებენ, რომ არასდროს გაუანალიზებიათ სახელმძღვანელო ამ კუთხით.

„არასდროს მიფიქრია, რომ სახელმძღვანელოში გენდერული საკითხებისთვის შემეხედა. თუმცა, რაზეც საუბრობთ, ძალიან საინტერესო ჩანს და აუცილებლად გადავხედავ ამას.“

„არასოდეს შემიმჩნევია, რომ რომელიმე ტექსტი ან სავარჯიშო უფრო ბიჭებზე იყოს აწყობილი, ვიდრე გოგონებზე. უფრო ინდივიდუალურ მოსწავლეზე შემიძლია ვისაუბრო. ვიღაცა უფრო ინტერესით კვიდება, ვიღაც ნაკლებით.“

რეალურად, სახელმძღვანელოში გენდერული ბალანსის საკითხი ყველა პედაგოგისათვის ყველაზე საინტერესო საკითხი აღმოჩნდა. მასწავლებლების სურვილი იყო, გაერკვიათ, რა ასპექტებში შეიძლება ვლინდებოდეს სტერეოტიპული

დამოკიდებულებები სასწავლო მასალებში. პრაქტიკულად, ყველა მასწავლებელი თანხმდება, რომ ძალიან საინტერესოა სახელმძღვანელოს ამ კუთხით განხილვა და გაანალიზება. უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, განეხილათ სახელმძღვანელოები გენდერული ბალანსის კრილში.

კითხვაზე, უყვართ თუ არა გოგონებს და ბიჭებს სხვადასხვა საგანი და სწავლობენ თუ არა ბიჭები ტექნიკურ საგნებს უფრო კარგად, ვიდრე გოგონები, მასწავლებლები მეტწილად ცალსახა პასუხს არ იძლევიან. თუმცა, აღიარებენ, რომ რეალურად არსებობს საგნების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება და შესაძლებლობები, რომლებიც სქესის მიხედვით შეიძლება „დაიყოს“. საგულისხმოა, რომ მასწავლებლების ნაწილი მიიჩნევს, რომ დაწყებით საფეხურზე ნაკლებად ვლინდება ინტერესი და განსხვავებული ნიჭიერება. მოსწავლეები ინდივიდუალურად არიან უფრო მეტად მონდომებულები და ნიჭიერები სქესის მიუხედავად. კარგი მოსწავლეები ძირითადად ყველა საგანს „კარგად“ სწავლობენ.

„ძალიან იშვიათადაა, რომ მოსწავლე ძალიან კარგად სწავლობდეს მათემატიკას და ცუდად - ქართულს. შეიძლება ქართული უფრო უყვარდეს, მოსწონდეს ან მათემატიკა, მაგრამ ვერ კი ვიხსენებ შემთხვევას, რომ ერთ მოსწავლეს მათემატიკაში ძალიან კარგი შედეგები ჰქონოდა და მეორეში - ძალიან ცუდი.“

„ვერ ვიტყვი, რომ ბიჭები მათემატიკით უფრო ინტერესდებიან, ვიდრე გოგონები. გოგონები უფრო მონდომებულებიც კი არიან. თუმცა, ზოგადად თუ ვილაპარაკებ, ბიჭები უფრო სწრაფად იგებენ ახალ მასალას, რა დასამალია. ისიც ფაქტია, რომ გოგონებს ქართული უფრო უყვართ, ბიჭებს კი თუ უყვართ, ალბათ მათემატიკა.“

„განზოგადებას ვერ გავაკეთებ, მაგრამ „ჩვენი სამშობლოს“ მასალიდან ბიჭებს სხვა რაღაცები უფრო აინტერესებთ და გოგონებს - სხვა“.

მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ განათლების მომდევნო საფეხურზე ტექნიკური საგნებისადმი ბიჭების მეტი ინტერესი და ჰუმანიტარულის მიმართ კი გოგონებისა - ალბათ მაინც მათი ბუნებრივი მიდრეკილებებით აიხსნება. თუმცა, მასწავლებლების ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ რეალურად შემდგომ საფეხურებზეც არ არის თვალსაყრდენი ბიჭების განსაკუთრებული უპირატესობა გოგონებთან შედარებით, მაგალითად, მათემატიკის სწავლის კუთხით.

„მე მგონი, ბევრ შემთხვევაში გოგონები ნაკლებად კი არ სწავლობენ მათემატიკას და ფიზიკას, არამედ, უბრალოდ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, იმიტომ, რომ ამ საგნებს ვერ უკავშირებენ საკუთარ არჩევანს. არ უნდათ ამ გოგონებს ინჟინრობა და პროგრამისტობა და რა კენათ!“

საკუთარი მიდგომების შეფასებისას, მასწავლებლები ასევე კატეგორიულად გამორიცხავენ განსხვავებულ მიდგომებს რომელიმე სქესის მოსწავლის მიმართ. თუმცა, სიღრმისეული კითხვები ავლენს იმ ტენდენციებს, რომლებიც სწავლების პროცესში შეიძლება იჩენდნენ თავს. უფრო კონკრეტულად კი, მასწავლებლები საუბრობენ მოსწავლეების „მეტ“ და „ნაკლებ“ ინტერესზე გაკვეთილის, საგნის, საკითხის მიმართ და ამ ინტერესს რიგ შემთხვევებში მოსწავლის სქესს უკავშირებენ.

„ყველა მოსწავლეს ერთნაირად ვუყურებ. როგორ შეიძლება ბავშვი გამოარჩიო? თუ მოსწავლე ზარმაცია, დავალებას არ აკეთებს, გაკვეთილზე უყურადღებოდაა, ცელქობს, მას შეიძლება უფრო მეტი ყურადღება მიჰქონდეს, ვიდრე დანარჩენებს. ფაქტია, რომ უფრო მეტად მოუსვენრად ბიჭები იქცევიან, მეტს ცელქობენ და ცუდლუტობენ...“

„დავალების შესრულება ორ რამეზეა დამოკიდებული. ან ბავშვია მონდომებული ან კიდევ მშობელი - ყურადღებიანი. გოგონები უფრო მონდომებულები არიან და დავალებაც უკეთ აქვთ შესრულებული ძირითადად. როდესაც ბავშვი რაღაცას კარგად აკეთებს, იმას მეტს სთხოვ. რა შუაშია სქესი! გოგონები თუ უფრო ყურადღებით აკეთებენ დავალებას, უფრო მონდომებულები არიან, გასაგებია, მათ უფრო მეტი მინდა, რომ გააკეთონ და მეტს ვთხოვ!“

„ბიჭებს რომ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევდე ან გოგონებს, ასეთი არ არის. უბრალოდ, არის ხოლმე, რომ გოგონა უფრო აქტიურია. ხელს იწევს და უნდა, რომ მიპასუხოს. მაშინ ვცდილობ, რომ ის ბიჭი გამოვიძახო, რომელიც ჩუმდაა. ეს ხომ არ არის იმიტომ, რომ ის ბიჭია და ეს გოგო?“

„მე კლასში 12 ბიჭი და 5 გოგო მყავს. როდესაც კლასში ბიჭები ჭარბობენ, იქ სხვანაირი მოქცევა გიწევს. კიდევაც დამიყვირია, აბა როგორ გინდა ამდენი ბიჭი გააჩერო?“

„არასოდეს ვფიქრობ იმაზე, რომ მოსწავლე გოგოა და ამიტომ სხვანაირად ვკითხო რაღაც, ნაკლები ვკითხო ან სხვა ტიპის დავალება იმიტომ მივეცე, რომ გოგოა ან პირიქით - ბიჭია. თუ იმაზე საუბრობთ, რომ ერთ მოსწავლეს ერთი ტიპის დავალებას ვაძლევ და მეორე სხვა ტიპის, ეს იმიტომია, რომ იმ მოსწავლეს მეტი შეუძლია და მეორეს ნაკლები. გამოვრიცხავ, რომ გოგო-ბიჭის მიხედვით ხდებოდეს დავალებების დიფერენცირება. ერთი უნდა დავაკვირდე ისე, ნიჭიერ, კარგ მოსწავლეებს ბიჭებს სხვა რამეს ვავალებ მართლა და გოგოებს სხვა რამეს?“

დასკვნის სახით, მასწავლებელთა ინტერვიუების მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ მასწავლებლების მხრიდან სრულ რწმენაზე, რომ სქესის მიხედვით

მოსწავლეების მიმართ არათანაბარი დამოკიდებულება სრულიად გამოირიცხება. ის პატარა კითხვები, რომლებიც საკითხთან მიმართებით გამოითქვა ინტერვიუს მსვლელობისას, გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ უფრო მაღალი ცნობიერებისა და მეტი ინფორმაციის ქონის შემთხვევაში, ისინი შეეცდებოდნენ საკუთარი პრაქტიკის გენდერული სენსიტიურობის კუთხით ანალიზს. იქიდან გამომდინარე, რომ ინტერვიუები არ იძლევა ინფორმაციას მასწავლებლების პრაქტიკული მუშაობის, საკუთარი დამოკიდებულებების, რწმენისა და მოლოდინების ასახვის შესახებ სწავლების პროცესში, ვერ ვისაუბრებთ დისკრიმინაციულ მეთოდებზე, არამედ უფრო იმ სტერეოტიპებზე, რომლებიც მასწავლებლებს მოსწავლეების მიმართ სქესობრივი ნიშნით და მათი გენდერული როლების მიხედვით გადანაწილებაში ვლინდება.

ინტერვიუ არ იძლევა პედაგოგიური პრაქტიკის აღწერის საშუალებას, თუმცა, გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ის ხედვები, რომლებიც მასწავლებლების ინტერვიუებსა და გამოკითხვაში იკვეთება პრაქტიკაშიც არის ასახული.

თავი 11: რეკომენდაციები განათლების პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის უზრუნველსაყოფად

ზოგადი რეკომენდაციები

გენდერულად მგრძნობიარე განათლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კომპლექსური, მრავალმხრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც შემდეგ ასპექტებს უნდა მოიცავდეს:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვა და მასში გენდერული საკითხების მკაფიოდ წარმოჩენა, რაც გამჭოლი ხაზი უნდა იყოს მთელი გეგმისათვის. ამასთან, სასწავლო გეგმაში უნდა ჩამოყალიბდეს მისაღწევ მიზნებსა და ამოცანებთან დაკავშირებული მკაფიო ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს თითოეული

ასპექტის შეფასების მექანიზმს. მნიშვნელოვანია, რომ გენდერული ასპექტების ასახვა საგნობრივი ჯგუფებისა და ცალკეული საგნების პროგრამებში მოხდეს როგორც შინაარსობრივი, ასევე გამჭოლი კომპეტენციის სახით.

2. გენდერული ხედვის ჩამოყალიბება და მისი განმტკიცება მასწავლებელთა განათლების პროგრამებში, რაც გულისხმობს სპეციალური კურსის გათვალისწინებას, ასევე მეთოდებისა და სტრატეგიების აღწერას საგნობრივი მეთოდოლოგიისა და ზოგადი პედაგოგიური კურსების ფარგლებში.
3. გენდერული ასპექტების გათვალისწინება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის დაგეგმილი სატრენინგო პროგრამის ფარგლებში. ამასთან, აუცილებელია, რომ მოხდეს სწავლებაში გენდერული თანასწორობისა და მგრძნობელობის ინტეგრირების მნიშვნელობის აღიარება და, შესაბამისად, ყურადღება გამახვილდეს როგორც საგნობრივი სწავლების ფარგლებში მოსწავლეებისათვის გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, არამედ მათთვის სტერეოტიპებისაგან თავისუფალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისათვის სწავლების მიდგომებსა და მეთოდებში გენდერული თანასწორობისა და მგრძნობელობის საკითხების ინტეგრირების საშუალებით.
4. სასწავლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესში ნათლად აისახოს გენდერული ასპექტები, როგორც სახელმძღვანელოს გრიფირებისათვის აუცილებელი კომპონენტი. ამასთან, აუცილებელია, რომ გრიფირების წესში მოხდეს ბალანსისა და მგრძნობელობის მახასიათებლების დეტალური გაწერა და მკაფიოდ აისახოს სტერეოტიპებისაგან თავისუფალი სახელმძღვანელოს შემუშავების კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, რომ კრიტერიუმები მოიცავდეს როგორც ვიზუალურ - ილუსტრაციულ, ასევე შინაარსობრივ მახასიათებლებსაც, რომლებიც გამოსახული იქნება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლებით.
5. განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ და მარეგულირებელ დოკუმენტებში, კერძოდ კი, ზოგადი განათლების შესახებ კანონში, ზოგადი განათლების

ეროვნულ მიზნებში, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკის კოდექსში, ასევე დირექტორის პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკის კოდექსში, მანდატურის ეთიკის კოდექსში - გენდერული ასპექტების ასახვა, რათა ხელი შეეწყოს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას გენდერული თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციული მაგალითების, სტერეოტიპების კვლავწარმოებისა და განმტკიცების პრევენციისა და აღკვეთისათვის.

ქვემოთ წარმოადგენილია დეტალური რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი ორივე მიმართულებით განათლების პოლიტიკის გენდერული ხედვის გასაუმჯობესებლად:

რეკომენდაციები ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხებზე

- აუცილებლად მივიჩნიეთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალსა და ზოგად ნაწილში მოხდეს გენდერული მგრძნობელობის ამსახველი ასპექტების წარმოჩენა, რაც ხაზს გაუსვამს მრავალფეროვნების კონტექსტში გენდერული ასპექტების არსებობის მნიშვნელობას.
- ძირითად მეთოდურ ორიენტირებზე საუბრისას სასურველია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის განმარტების, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პოზიტიური და მოწესრიგებული გარემოს მნიშვნელობაზე საუბრის კვალდაკვალ, ასევე მოხდეს დამატებითი პუნქტის ინტეგრირება, რომელიც სტერეოტიპებისგან თავისუფალ სწავლებასა და გარემოს შექმნაზე და იმგვარი სასწავლო გეგმის მოწოდების აუცილებლობაზე გააკეთებს აქცენტს, რომელიც თანაბარ სწავლებას უზრუნველყოფს სქესისობრივი განსხვავების მიუხედავად.
- ასევე, სასურველია, რომ გაღრმავებული სწავლების განმარტებისას, და მრავალმხრივი მიწოდებისა და განსხვავებული კონტექსტების განხილვისას,

მოხდეს თავად მოსწავლეების განსხვავებულ ინტერესთა გათვალისწინების აუცილებლობის ხაზგასმაც, ხოლო საგანთაშორის კავშირებსა და საერთო ასპექტებზე საუბრისას კი, დაემატოს გამჭოლი კომპეტენციების გაღრმავებისა და განვითარების მნიშვნელობაც.

- სადამრიგებლო საათის აღწერისა და დამრიგებლის ფუნქციებისა და მოვალეობების განმარტებას აუცილებელია დაემატოს, რომ დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას საკლასო ოთახში და ამ პრინციპების გათავისებას მოსწავლეებში.
- მოსწავლის მოტივაციისათვის აუცილებელი პირობების განმარტებისას, და მასწავლებლის მიერ მოსწავლის განვითარების პრიორიტეტულობაზე საუბრისას, ასევე სასურველია ხაზი გაესვას მასწავლებლის მიერ თანასწორობის პრინციპის დაცვისგან მიღებულ მოტივაციასაც.
- არჩევითი საგნის მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია ხაზი გაესვას მოსწავლეების მიერ საგნის არჩევისას არასტერეოტიპული დამოკიდებულების განვითარების აუცილებლობასაც და საკუთარი მიდრეკილებების თავისუფალი გამოვლენისათვის მზაობასაც.
- აბიტურის საათზე საუბრისას აუცილებელია კონკრეტული საგნის ფარგლებში შესწავლილი მასალის განმეორებას დაემატოს მოსწავლეების საგნობრივი ჯგუფების სტერეოტიპებისგან თავისუფალი დამოკიდებულების განვითარების საჭიროებაც, რაც მათ მიერ სამომავლო პროფესიასთან ასოცირებული საგნების თავისუფალი არჩევანის გაკეთებაზე იქნება ორიენტირებული.
- აუცილებელია გამჭოლ კომპეტენციებზე საუბრისას, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის აღწერაში ნათლად იყოს ინტეგრირებული მრავალფეროვნების აღიარება და თანასწორობის აღიარების დაცვის, როგორც ამ კომპეტენციის აუცილებელი კომპონენტის ხაზგასმა.

- საგნობრივი პროგრამების შესავალ ნაწილებში უნდა მოხდეს იმ საკითხთა ინტეგრირება, რომლებიც თანასწორობის პრინციპებს მკაფიოდ უსვამს ხაზს და, შესაბამისად, იძლევა გენდერული ბალანსის დაცვის საჭიროებაზე აქცენტის გაკეთების საშუალებას.
- აუცილებელია, რომ საფეხურების მიხედვით პროგრამულ დაყოფაში სათანადოდ იყოს გამოყოფილი ყველა საფეხურისათვის სქესთა თანასწორობის საკითხების გააზრებისა და მგრძნობელობის გამომუშავების ასაკის შესაბამისი მიდგომები, განსაკუთრებით ხაზი გაესვას განათლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისათვის ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბების აუცილებლობას, შემდგომ საფეხურებზე მისი თანდათანობითი განვითარებისათვის.
- აუცილებელია, რომ იმ საგნობრივ სასწავლო პროგრამებში, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარეა სქესთაშორისი თანასწორობის კუთხით, მკაფიოდ გამოიყოს ის ინდიკატორები, რომლებიც ამოცანებისა და სასწავლო შედეგების დახასიათებისას გაზომვადი იქნება და მისი მიღწევის შეფასების საშუალებას იძლევა.

მასწავლებელთა მომზადება და პროფესიული განვითარება

- აუცილებელია, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის თითოეული კატეგორიის მასწავლებლის დახასიათებისას ხაზგასმული იყოს მასწავლებლისათვის ცოდნისა და კომპეტენციების ის მოთხოვნა, რომელიც სტერეოტიპებისგან თავისუფალი სწავლების განხორციელებისათვისაა აუცილებელი.
- სასწავლო პროცესის მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის დახასიათებისას დაემატოს, რომ მართვა ასევე გულისხმობს თანასწორობის პრინციპებზე აგებული გარემოს შექმნის მოთხოვნას მასწავლებლისადმი.

- სწავლების მახასიათებლების აღწერისას დაემატოს თანასწორი სწავლების პრინციპების დაცვისა და გამოყენებისათვის მზაობის მოთხოვნა.
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, აუცილებელია მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით თემატური სასწავლო გეგმების შემუშავებას დაემატოს მოსწავლეების თანასწორობის უზრუნველსაყოფად გამიზნული თემატური სასწავლო გეგმების შემუშავების ვალდებულება.
- მკვლევარი მასწავლებლის ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერისას აუცილებელია მიეთითოს მოსწავლეებისადმი თანასწორობის გამოვლენის პრინციპების დამკვიდრებისა და ამ პრინციპებისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარება კოლეგებში.
- მენტორი მასწავლებლის სწავლების მოთხოვნების დახასიათებაში კოლეგების საქმიანობის ანალიზს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინების შესახებ უნდა დაერთოს სქესის გათვალისწინების ვალდებულება.
- აუცილებელია, რომ ყველა საგნობრივ სტანდარტში დაწყებითი კლასის მასწავლებლისათვის ასახული იყოს შემდეგი დებულებები:
 1. სწავლების მეთოდების აღწერისას აუცილებელია ხაზი გაესვას მასწავლის უნარ-ჩვევასა და კომპეტენციას, რომელიც თანასწორობაზე დაფუძნებულ და გენდერულად მგრძნობიარე სწავლების სტრატეგიების გატარებას ითვალისწინებს;
 2. შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის აღწერისას აუცილებელია დაემატოს პუნქტი, რომელიც მის მიერ გენდერული ბალანსისა და თანასწორობის პრინციპებზე აგებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვის, ორივე სქესის მოსწავლისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებისა და მოსწავლეთა თანაბარი ინტერესისა და მოტივაციის ამაღლების ვალდებულებას მოიცავს.

3. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლის უნარებს შორის უნდა აღინიშნოს გენდერული საკითხების საგაკვეთილო შინაარსთან ინტეგრირების უნარიც, რომელიც მოსწავლეების პირადი გამოცდილებით გამდიდრების, განსხვავებული ხედვის პატივისცემისა და აღიარებისკენ, არასტერეოტიპული ცნობიერების განვითარებისკენ იქნება მიმართული.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებით

- სახელმძღვანელოს გრიფირების წესის ძირითად დოკუმენტში მრავალფეროვნების განმსაზღვრელი ასპექტების დისკრიმინაციულობისა და დისკრედიტაციული ხასიათის შესაბამისად, სახელმძღვანელოს შეფასებიდან გამოთიშვის კვალდაკვალ, აუცილებელია დანართში მკაფიოდ იქნეს განმარტებული, თუ რა კრიტერიუმები განსაზღვრავს სახელმძღვანელოში ამგვარი შეუსაბამობის არსებობას.
- სახელმძღვანელოს გრიფირების წესის ძირითად დოკუმენტში მრავალფეროვნების განმსაზღვრელი ასპექტების არარსებობის შემთხვევის გარდა, აუცილებელია ხაზი გაესვას მისი გათვალისწინების აუცილებლობას, ხოლო დანართში კი მკაფიოდ იქნეს განსაზღვრული, რა რაოდენობრივი და თვისებრივი კრიტერიუმები ითვალისწინებს გენდერული საკითხების დაბალანსებულად გადმოცემის უზრუნველყოფას შინაარსობრივ, მხატვრულ-გაფორმებით და გამჭოლი კომპეტენციების სახით.
- აუცილებელია საგნობრივ სტანდარტზე მომუშავე ჯგუფების მიერ შემუშავდეს სპეციალური გზამკლვევი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სახელმძღვანელოზე მომუშავე ჯგუფს, გაეცნოს გენდერული მგრძნობელობისათვის განსაზღვრულ შინაარსობრივ პარამეტრებს და დეტალურ მითითებებს სახელმძღვანელოს გენდერული მგრძნობელობის ასახვის შესახებ.

- აუცილებელია სახელმძღვანელოს გრიფირების წესის დანართში დეტალურად აღიწეროს ყველა ის კრიტერიუმი, რომელიც გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალ სახელმძღვანელოს შეაფასებს, ეს ეხება ილუსტრაციების შინაარსობრივ და რადენობრივ მხარეს, სახელმძღვანელოს ძირითად ტექსტუალურ და დამატებით მასალას.
- აუცილებელია სახელმძღვანელოების შეფასების ჯგუფების ინფორმირება და მათი სათანადო მომზადება თითოეული სახელმძღვანელოს ადეკვატური შეფასებისათვის გენდერული მგრძნობელობისა და თანასწორობის კონკრეტული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით.
- აუცილებელია სახელმძღვანელოების შემქმნელთა ჯგუფს, რომელიც მოიცავს ავტორებს, ილუსტრატორებსა და მხატვრებს, ასევე გამომცემლობებსა და რედაქტორებს, სახელმძღვანელოების შექნამდე აუცილებელ ვალდებულებად მიეცეს გენდერული მგრძნობელობის საკითხებთან დაკავშირებული სატრენინგო პროგრამების ან სპეციალურად შემუშავებული გზამკვლევების გაცნობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიციური, ინფორმირებული და გააზრებული კადრების ჩართულობა სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში.
- რეკომენდებულია ფსიქოლოგთა, გენდერის, გენდერული განათლების სპეციალისტთა ჩართვა სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების, ასევე სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში.
- თუ სახელმძღვანელოებში ინტეგრირებულია ისეთი სავალდებულო სასწავლო მასალა, რომელიც სტერეოტიპულია გენდერული პესპექტივით, თუმცა, ღირებულია სხვა ასპექტების გათვალისწინებით, აუცილებელია საგნობრივი სტანდარტის გზამკვლევში მითითებულ იქნეს ისეთი დამატებითი მასალის არსებობა თანდართული დავალებების, სწავლების მიდგომებისა თუ კითხვების საშუალებით, რომელიც მოსწავლეების კრიტიკულ აზროვნების

ჩამოყალიბებას და გენდერული თანასწორობის საკითხების სწორად გააზრებას შეუწყობენ ხელს.

მოქმედი და მომავალი მასწავლებლების მომზადება გენდერულად მგრძნობიარე სწავლებისათვის

მასწავლებლის განათლების პროგრამა

- მასწავლებლის განათლების პროგრამების ბადეში გენდერისა და განათლების კურსის დამატება სავალდებულო საგნად.
- მასწავლებლის განათლების ზოგადი პროფესიული მოდულის ფარგლებში გაერთიანებულ კურსებში გენდერული ასპექტების, როგორც სწავლა-სწავლების მართებული და ეფექტური სტრატეგიის ასახვა, თეორიული არგუმენტებისა და პრაქტიკული მიდგომების გაცნობა.
- კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, შესაბამისი რესურსების მობილიზება სტუდენტების მიერ გენდერული ასპექტების კვლევის წასახალისებლად;
- ინტერდისციპლინარული კურსების ინტეგრირება მასწავლებლის განათლების პროგრამებში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სხვადასხვა პერსპექტივიდან შეისწავლონ და გაიაზრონ გენდერთან დაკავშირებული განათლებისა და განვითარების, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები;
- გენდერის განათლების, გენდერის ფსიქოლოგიებისა და სოციოლოგიების მოწვევა პროგრამის ფარგლებში საკითხზე ორიენტირებული პროგრამული და პროგრამის გარეშე თავისუფალი საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობების, აკადემიური საქმიანობის განსახორციელებლად.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები

- გენდერის საკითხების მნიშვნელობის შესახებ განათლებაში სატრენინგო პროგრამის, ვორკშოპის ორგანიზება ყველა საფეხურისა და საგნის პედაგოგის

ცნობიერების ამაღლებისა და საკითხებისადმი სწორი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

- საგნობრივი პროფესიული განვითარების პროგრამებში გენდერული მგრძნობელობისა და თანასწორი სწავლების სტრატეგიების, როგორც სწავლების უმნიშვნელოვანესი მიდგომის ინტეგრირება;
- პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებული გზამკვლევის შემუშავება პედაგოგებისათვის, სადაც კონკრეტული მეთოდები სტატისტიკური მონაცემებითა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებით იქნება არგუმენტირებული.
- სკოლის დირექტორების პროფესიულ განვითარების პროგრამაში გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს შექმნის საკითხის ინტეგრირება;
- დირექტორისათვის, მასწავლებლების მსგავსად, გზამკვლევის შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე სასკოლო გარემოს შექმნისა და განვითარების, თანასწორობის პრინციპების წამახალისებელი სასკოლო და სკოლისგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების, სასკოლო და სათემო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და აქტიური ჩართულობის პრინციპების მატარებელი აქტივობების გასაცნობად და შესასწავლად.
- გენდერული მგრძნობელობის, როგორც აუცილებელი პროფესიული კომპეტენციების ასახვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასების სისტემაში.

გენდერულად დაბალასებული სასკოლო გარემოს შექმნა

სკოლამ, როგორც სოციალიზაციის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ინსტიტუტმა, ხელი უნდა შეუწყოს დაწყებით საფეხურზევე მოზარდების გენდერული ცნობიერების და სქესთა თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია:

- სკოლის ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებელთა შიდასასკოლო განვითარების ღონისძიებები, რომლებიც მასწავლებლებს მიაწოდებს რელევანტურ ცოდნასა და გამოუმუშავებს უნარ-ჩვევებს მოსწავლეებისათვის გენდერული თანასწორობის თეორიული საფუძვლების გაცნობის, მოსწავლეებში გენდერული მგრძნობელობის, გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სქესთა თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამყარების უზრუნველსაყოფად;
- სკოლის ადმინისტრაციის მიერ წახალისდეს გენდერული საკითხების გაანალიზებაზე, არსებული პრობლემების განხილვასა და გადაჭრაზე, გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებაზე ორიენტირებული შიდა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები;
- ხელი შეეწყოს სასკოლო და სათემო საზოგადოების წევრთა ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ, მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად და აქტიური ჩართულობის საშუალებით სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას, რომლებიც ოჯახისა და თემის როლის მნიშვნელობის გაზრდაზე იქნება ორიენტირებული სქესთაშორისი თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად სკოლაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, თბილისი 2013
- ბანდურა, ა., Social cognitive theory of personality. In L. Pervin & O. John (Eds.), Handbook of personality (2nd ed.). New York: Guilford Publications, 1999
- სადგერი, დ., Gender Equity: Still Knocking at the Classroom Door: Educational Leadership, Vol 56 April 1999
- ბლუმბერგი, ლ. ს., Gender bias in textbooks: a hidden obstacle on the road to gender equality in education, Paper commissioned for the EFA Global Monitoring Report 2008, Education for All by 2015: will we make it, 2008/ED/EFA/MRT/PI/18, Unesco, pp. 9-17, 30-35, 2007
- გაი, პ., ჯავახიშვილი, ნ., შუბითიძე, გ., Studies of STEM Education and Occupations in Georgia: Barriers and Opportunities, Millennium Challenge Account – Georgia (MCA-G) through the Millennium Challenge Corporation's Second Compact to Georgia, IPM Research, 2014
- “საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში”, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2013
- არნოტი, მ., Gender equality and difference in education: Affirmative and transformative pedagogic approaches. Theory and Research in Education, 4 (2), pp. 131-150, 2006a
- საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში, UNDP Georgia, 2013
- ბიგლერი, რ., რობერტსონი, ა, ჰამილტონი, ვ., The Role of Schools in the Early Socialization of Gender Differences, Encyclopedia on Early Childhood Development, CEECD / SKC-ECD, 2013 (12)
- კლაინი, ს., Handbook for achieving sex equity through education. Baltimore, MD: The Johns Hopkins University Press; 1985
- სტრომქვისტი, ნ.პ., The gender socialization process in schools: A cross-national comparison. Paper commissioned for the EFA Global Monitoring Report 2008, Education for All by 2015: Will We Make It? New York: UNESCO; 2007
- აპელროტი, ს., დესფორი, ლ., *Sociological Theory in the Contemporary Era: Text and Readings*, 7. Feminist and Gender Theories, pp. 312-323, 2nd edition, 2010

ლანგი, სარა., A gender perspective on educational facilities, CELE Exchange 2010/10, OECD

Emebet Mulugeta, Gender Mainstreaming in Teacher Education Policy , a Training module, UNESCO-IICBA, 2012

ობიუნუ, ჯ.ჯ., (Jude J. Obiunu), The Effect of Gender Sensitivity on Discrimination among Secondary School Students, Journal of Emerging Trends in Educational Research and Policy Studies (JETERAPS) 4(6):888-894

ბერეკაშვილი, ნ., გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში, სადისერტაციო ნაშრომი, ლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012

ნაშრომში გამოყოფილი ცხრილები და დიაგრამები

ცხრილები

ცხრილი 1: სოციალური უზრუნველყოფა საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა - გვ.

ცხრილი 2: საქ-სტატის სტატისტიკა 2007-12 წლებში სქესის მიხედვით დაყოფილი შობადობისა და აბორტების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.

ცხრილი 3: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ცხრილი 4: განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად

ცხრილი 5: 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

ცხრილი 6: უმუშევრების განაწილება 2010-2012 წლებში სქესის მიხედვით

ცხრილი 7: დასაქმებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით (ათასი)

ცხრილი 8: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში

ცხრილი 9: საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა გენდერული გადანაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით, 2013

ცხრილი 10: ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით, 2012

ცხრილი 11: ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2012

ცხრილი 12: გოგონებისა და ბიჭების გადანაწილება საჯარო და კერძო სკოლებში 2010-2015 წლებში

ცხრილი 13: სკოლის მიტოვების რიცხოვნობი მაჩვენებელი საჯარო სკოლაში 2011-14 წლებში კლასების მიხედვით.

ცხრილი 14: სკოლის მიტოვების პროცენტული მაჩვენებელი საჯარო სკოლაში 2011-14 წლებში სქესთა მაჩვენებლის პროცენტული გადანაწილებით კლასების მიხედვით.

ცხრილი 15: მოსწავლეების გადანაწილება კერძო და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სქესისა და ასაკის მიხედვით.

ცხრილი 16: სტუდენტთა საერთო გადანაწილება 2011-2015 წლებში სქესის მიხედვით

ცხრილი 17: სტუდენტთა გადანაწილება საფეხურების მიხედვით 2011-2014 წლებში სქესის მიხედვით

ცხრილი 18: სტუდენტთა საშუალო სქესის მიხედვით გადანაწილება სსწავლის საფეხურის მიხედვით საჯარო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში % საშუალოდ სამი წლის ჭრილში

ცხრილი 19: საქართველოში დოქტორანტთა გადანაწილება 2011-2013 წლებში

ცხრილი 20: 2008 წლის დოქტორის ხარისხის მქონე პირთა სქესობრივი გადაწილება ევროსტატის მიხედვით

ცხრილი 21 პროფესორ მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ცხრილი 22: დოქტორანტების გადანაწილება 2011-2013 წლებში პროგრამების მიხედვით

ცხრილი 23: მასწავლებლების გადანაწილება საშუალო განათლების სამივე საფეხურზე იმ საგნებში, სადაც მამაკაცი პედაგოგების პროპორცია იცვლება საფეხურიდან საფეხურზე

ცხრილი 24: მასწავლებელთა განათლების პროგრამები გენდერული საკითხები მიმოხილვის ჭრილში: წყარო: უნივერსიტეტებისაგან გამოთხოვილი და მოწოდებული ინფორმაცია)

ცხრილი 25: გაანალიზებულ სახელმძღვანელოებში ავტორთა და ილუსტრაციების სქესობრივი თანაფარდობა

დიაგრამები

დიაგრამა 1: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების საშუალო მაჩვენებლით

დიაგრამა 2: აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში %

დიაგრამა 3: უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში %

დიაგრამა 4: საზოგადოებრივი აზრის გადანაწილება უმაღლესი განათლების გადასახადის პრიორიტეტების შესახებ სქესის მიხედვით

დიაგრამა 5-6: სკოლის მიტოვების საერთო მაჩვენებლის განაწილება საჯარო და კერძო სკოლებში სქესის მიხედვით

დიაგრამა 7: სკოლის მიტოვებისა და პროფესიულ განათლებაში შესვლის დინამიკა სქესობრივ ჭრილში

დიაგრამა 8: სტუდენტთა გადანაწილება 2014 წლის გამოცდების შედეგად დარგების მიხედვით

დიაგრამა 9: არჩევითი საგნის გადანაწილება 2014 წლის მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე სქესის მიხედვით

დიაგრამა 10: მასწავლებლების პროპორციული გადანაწილება საშუალო განათლების საფეხურებზე სქესის მიხედვით

დიაგრამა 11: გაანალიზებულ სახელმძღვანელოებში მოცემული ილუსტრაციების საერთო პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით.

დიაგრამა 12: პასუხების გადანაწილება სქესთა შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ

დიაგრამა 13: პასუხების გადანაწილება დებულებაზე საპირისპირო სქესთან ყოფნისა და ურთიერთობის დროს შეგრძნების შესახებ

დიაგრამა 14: პასუხების გადანაწილება კითხვაზე ქალებისა და მამაკაცების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ მნიშვნელოვან თანამდებობრივ საქმიანობაში

დიაგრამა 15: პასუხების გადანაწილება კითხვაზე ქალებისა და მამაკაცების უერთიერთდამოკიდებულების შესახებ საოჯახო სივრცეში

დიაგრამა 16: მასწავლებელთა დამოკიდებულებების შედარებითი დიაგრამა ოჯახის ხელმძღვანელობასა და სამსახურობრივ მოვალეობასა და პასუხისმგებლობის შესახებ.

დიაგრამა 17: პასუხების გადანაწილება დებულებაზე ქალის ერთადერთ ფუნქციად მამაკაცის სიამოვნების შესახებ.

დიაგრამა 18: პასუხების გადანაწილება დებულებაზე გოგონებისა და ბიჭების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მათემატიკასა და ფიზიკაში

დიაგრამა 19: ბიჭების, სიზარმაცის შესახებ

დიაგრამა 20: დებულება გოგონების ბიჭებთან შედარებით უკეთესი შრომისუნარიანობის შესახებ

დიაგრამა 21: შედარება დებულებების ბიჭების სიზარმაცესა და გოგონების ბიჭებთან შედარებით უკეთესი შრომისუნარიანობის შესახებ

დანართები

დანართი 1

პედაგოგთა შერჩევის მეთოდოლოგია და გადანაწილება ქვოტების მიხედვით

სტრატა	რეგიონი	ქალაქი/სოფელი	პედაგოგების რაოდენობა	ძირითადი შერჩევა	დამატებითი შერჩევა
1	აჭარა	1 ქალაქი	806	12	3
2	აჭარა	2 სოფელი	2122	31	8
3	გურია	1 ქალაქი	251	4	2
4	გურია	2 სოფელი	985	14	4
5	თბილისი	1 ქალაქი	4050	59	15
6	იმერეთი	1 ქალაქი	1636	24	6
7	იმერეთი	2 სოფელი	2808	40	10
8	კახეთი	1 ქალაქი	475	7	2
9	კახეთი	2 სოფელი	2054	30	7
10	მცხეთა-თიანეთი	1 ქალაქი	151	2	2
11	მცხეთა-თიანეთი	2 სოფელი	739	11	3
12	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1 ქალაქი	73	1	2
13	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 სოფელი	475	7	2
14	სამეგრელო ზემო სვანეთი	1 ქალაქი	771	11	3
15	სამეგრელო ზემო სვანეთი	2 სოფელი	2058	30	7
16	სამცხე-ჯავახეთი	1 ქალაქი	497	7	2
17	სამცხე-ჯავახეთი	2 სოფელი	1943	28	7
18	ქვემო ქართლი	1 ქალაქი	958	14	3
19	ქვემო ქართლი	2 სოფელი	2694	39	10
20	შიდა ქართლი	1 ქალაქი	570	8	2
21	შიდა ქართლი	2 სოფელი	1441	21	5
სულ			27557	400	105

ასაკი	20-25	26-35	36-45	46- 50	51-55	56-62	63-70	71-75	76-80	უპასუხო
%	1.3	15.9	28.9	14.9	12.7	13.7	7.8	2.3	1.3	0.3

სკოლის სწავლების ენა	ქართული	არაქართული	შერეული/სექტორიანი
N	337	41	11
%	85.3	10.4	2.8

კვლევის ფარგლებში შერჩეულ და გაანალიზებულ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი

1	მუსიკა და ბავშვები	მე-4 კლასი	მაია ოთიაშვილი, გამომცემლობა „წყაროსთვალი“, თბილისი, 2011
2	მუსიკა და ბავშვები	მე-5 კლასი	მაია ოთიაშვილი, გამომცემლობა „წყაროსთვალი“, თბილისი, 2011
3	მუსიკა	მე-2 კლასი	მარიკა ჩიკვაძე, მუსიკა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2011
4	ხელოვნება	მე-4 კლასი	თანაავტორები: ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნათელა ჯაბუა, ნინო სილაგაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“;
5	ხელოვნება	მე-3 კლასი	თანაავტორები: ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნათელა ჯაბუა, ნინო სილაგაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“;
6	ხელოვნება	მე-5 კლასი	ანა კლდიაშვილი, ნინო ლაღანიძე, თამარ ჯაყელი, გამომცემლობა „კლიო“
7	ქართული	მე-4 კლასი,	ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე, ქართული, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, მე-4 კლასი;
8	ქართული	მე-6 კლასი	ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ნანა ღონღაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“;
9	ქართული	მე-2 კლასი	ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ქეთევან თოფაძე, ლალი ვაშაკიძე, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, ენგურ ქურციკიძე, გამომცემლობა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“/შპს „სწავლანი“;
10	ქართული	მე-4 კლასი	ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ლალი აშაკიძე, გამომცემლობა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“/შპს „სწავლანი“
11	ჩვენი საქართველო	მე-5 კლასი	მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, ლაშა ბერაია, თამარ გეგეშიძე, ნინო მამალაძე, მანანა ქურთუბაძე, თამარ შალვაშვილი, იზა გარსენიშვილი, ლია გარსენიშვილი, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ზურაბ კიკნაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, თამარ უზუნაშვილი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“;
12	ჩვენი საქართველო,	მე-6 კლასი	მზია სურგულაძე, ნინო მინდაძე, ვაჟა ნეიძე, კობა ხარაძე, ლაშა ბერაია, თამარ გეგეშიძე, ნინო მამალაძე, მანანა ქურთუბაძე, თამარ შალვაშვილი, იზა გარსენიშვილი, ლია გარსენიშვილი, ნინო ერემაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ზურაბ კიკნაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, თამარ უზუნაშვილი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“
13	მათემატიკა	მე-4 კლასი	თანაავტორები: გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მეზონია, ლამარა ჭელიძე (ქურჩიშვილი), გამომცემლობა „ინტელექტი“
14	ქართული, როგორც მეორე ენა	მე-3 კლასი	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, განათლების სამინისტრო;
15	ქართული, როგორც მეორე ენა	მე-2 კლასი	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, განათლების სამინისტრო;
16	ქართული, როგორც მეორე ენა	მე-4 კლასი	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, განათლების სამინისტრო;
17	ქართული, როგორც მეორე ენა	მე-5 კლასი	მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე, განათლების სამინისტრო.

ინტერკულტურული მგრძნობელობის კითხვარი მასწავლებლებისათვის

ინსტრუქცია

გამარჯობა, მე გახლავართ _____ (უთხარით სახელი), ჩვენ ვატარებთ კვლევას, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა ინტერკულტურული ასპექტების შესწავლას. კვლევა ხორციელდება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ანხორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი. გულწრფელი პასუხები საშუალებას მოგცემს, რომ ნათელი წამოდგენა შევიქმნათ საკვლევი საკითხის შესახებ.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თუ დათანხმდებით მონაწილეობაზე, შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის საბოლოო ანგარიშში განზოგადებული იქნება და არ მოხდება ცალკეული სტუდენტის იდენტიფიცირება. ამასთან, ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მკაცრად დავიცავთ რესპონდენტთა კონფიდენციალურობის მოთხოვნებს. კერძოდ, ყველა პასუხი და მოწოდებული ინფორმაცია დაცული იქნება მკაცრად კონფიდენციალურად. „მკაცრად კონფიდენციალური“ ნიშნავს, რომ მხოლოდ მკვლევარს, კვლევის ადმინისტრატორს და რამდენიმე თანამშრომელს ექნება რესპონდენტთა პირად ინფორმაციაზე და მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ხელმისაწვდომობა. კითხვებზე პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ: (1) კონკრეტული საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით. გამოკვლევის შედეგების მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში რესპონდენტების პერსონალური ინფორმაცია, დაწესებულების სახელწოდება და ის მონაცემები, რომელთა გამჟღავნებაც საშუალებას იძლევა, მოხდეს რესპონდენტების იდენტიფიცირება, იქნება დახურული.

აღნიშნული კითხვარი გთავაზობს, დაეთანხმოდ ან არ დაეთანხმოდ სხვადასხვა საკითხს. გთხოვთ უპასუხოთ გულწრფელად

ზოგადი სასკოლო ინფორმაცია

1	რეგიონი		კოდი			
2	რაიონი		კოდი			
3	ქალაქი/სოფელი/დაბა		კოდი			
4	სკოლის სახელწოდება		კოდიO			
სწავლების ენის მიხედვით:		A	დასახლების ტიპის მიხედვით:	B	რომელი კლასებია სკოლაში:	C
ქართულენოვანი		1	სოფლის	1	მხოლოდ დაწყებითი (1-6 კლასები)	1
არაქართულენოვანი (სომხური/აზერბაიჯანული/რუსული)		2			დაწყებითი და საბაზო (1-9 კლასები)	2
შერეული (სექტორებიანი)		3				
ბანათლების განსაკუთრებული ტიპის მიხედვით:		D	დაბის	2	სრული საშუალო (1-12 კლასები)	3
ინკლუზიური (ბავშვები განსაკუთრებული საჭიროებებით)		1			სხვა	4
სპეციალური (გამლიერებული საგნით ან მიმართულებით (კომაროვის ტიპის)		2				
კომპლექტ-კლასებით		3				

მასწავლებლის პერსონალური და პროფესიული ინფორმაცია

G.1

1	სახელი/გვარი	
2	სქესი	1. მამრობითი 2. მდედრობითი
3	ასაკი	_____ წლის
4	ტელეფონი (ქალაქის/მობილურის)	
6	მასწავლებლად მუშაობის საერთო სტაჟი	_____ წელი
7	განათლება, სპეციალობა	

G.2. რა საგნებს ასწავლით სკოლაში? (ერთი პასუხი თითო მწკრივში)

NN	საგანი	დიახ	არა
1	ქართული (მშობლიური) ენა და ლიტერატურა	1	2
2	მშობლიური (არაქართული) ენა და ლიტერატურა	1	2
3	ქართული, როგორც მეორე ენა	1	2
4	მათემატიკა	1	2
5	ბუნება/ბუნებისმეტყველება	1	2
6	ისტორია/ჩვენი საქართველო	1	2
7	მუსიკა	1	2
8	ხელოვნება	1	2
9	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	1	2
10	შრომა	1	2
11	ინგლისური ენა	1	2
12	რუსული ენა	1	2
13	სპორტი	1	2
14	სხვა (დააკონკრეტეთ)	1	2

შემოხაზეთ თითოეული დებულების გასწვრივ ერთი პასუხი, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას.

თავი მერვე

1 ქალს თავისი ფუნქცია აქვს, კაცს - თავისი; ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს.

- ა. კატეგორიულად არ ვეთანხმები
- ბ. არ ვეთანხმები
- გ. ნაწილობრივ ვეთანხმები
- დ. ვეთანხმები
- ე. სრულიად ვეთანხმები

2 ოჯახის ხელმძღვანელობა კაცის საქმეა, ქალი მას უნდა ემორჩილებოდეს.

- ა. კატეგორიულად არ ვეთანხმები
- ბ. არ ვეთანხმები
- გ. ნაწილობრივ ვეთანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

3 მე კომფორტულად ვგრძნობ თავს საპირისპირო სქესის მქონე ადამიანებთან.

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

4 ქალი მამაკაცზე სუსტი არ არის. ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად შეუძლიათ მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

5 როგორც წესი, ბიჭები გოგონებზე უფრო ნიჭიერები არიან ფიზიკასა და მათემატიკაში.

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

6 ბიჭები, როგორც წესი, ზარმაცები არიან,

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

7 გოგონები, როგორც წესი, უფრო შრომისმოყვარენი არიან, ვიდრე ბიჭები.

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები

8 ქალი მხოლოდ იმაზე უნდა ფიქრობდეს, რით ასიამოვნოს მამაკაცს.

ა. კატეგორიულად არ ვეტანხმები

ბ. არ ვეტანხმები

გ. ნაწილობრივ ვეტანხმები

დ. ვეტანხმები

ე. სრულიად ვეტანხმები